

1962

საქართველოს
ბიბლიოთეკა

652

4
1962

25

საქართველოს
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შუქნალი

საპარტეზოლოს საზოგადოებრივ-მხატვრული
კავშირის აზარის განყოფილების
ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

რუსული კომუნიზმის დეკადი საპარტეზოლოში . . .	3
ალ. ტვარდოვსკი — საშუალო (ლექსი) . . .	5
მ.ვ. დოლგოპოლსკი — ლექსები . . .	5
პ. ანტონოვსკი — ნიკო ფიროსმანიშვილი (ლექსი) . . .	7
ალ. მამირიძე — ზღვა (ლექსი) . . .	7
ნ. დორიძე — სად დაიბადა რუსეთი? (ლექსი) . . .	9
მ.ვ. მუხომედი — * * * (ლექსი) . . .	9
ნ. დამურსანაშვილი — განჯაში (მოთხრობა) . . .	10
ნ. მალაზონი — ლექსები . . .	13
ა. შერვაშიძე — მიგელი (მოთხრობა) . . .	15
ლ. გელაძე — ლექსები . . .	26
პ. გოგლიშვილი — ჩემი თვალები (მოთხრობა) . . .	28
ბ. სურგულაძე — * * * (ლექსი) . . .	34
ვლ. მურავიოვი — პორტრეტი (მოთხრობა, თარ- გმანი ნ. პავლოვისა და მ. ბერძენიშვილისა) . . .	35
პ. ბაშარა — ოქროსფერი მიწა (მოთხრობა, თარ- გმანი ც. შორეილისა) . . .	41

დღეები და აღმზანები

ნ. ტუშუვი — პატიმარყოფილი . . .	46
---------------------------------	----

პირები და კუპალიციონები

პ. ელიზბარაშვილი — შედეგადი — ექვს წე- ლიწადში . . .	51
პ. ჯორბენაძე — როზა ლუქსემბურგი მხატვრულ- ლი ლიტერატურის შესახებ . . .	54
პ. ბაბუნაშვილი — მხოლოდ შენიშვნის სახით . . .	59
დ. ნაცვალაძე — გრიგოლ კოლხიდელო . . .	61
ა. მარტაბაძე, ბ. მარტაბაძე — მახალბეა ტიცი- ან ტაბიძის ბიოგრაფიისათვის . . .	64
პ. მონიჭრავიშვილი — ბიბლიოთეკა-გეგანტი . . .	69



5805
4
1962
ივლისი
პევიზი

გ. ნოდარდელი — თქმულებები და გადმოცემები
ბი აქარაში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე . 71

ხელოვნება

ვლ. შარაშიძე — ქეთევან მაღალაშვილის ნაწარ-
მოებთა გამოფენაზე . . . 74

აზარის წარსულიდან

შ. მებრედიძე, ბ. სურგულაძე — ახალი საბუთ-
ბი 1862 წლის მღვდლთაშინაშის შესახებ
აქარაში 78

ვლ. მებრედიძე — პეტრე უმიკაშვილი ქობულეთის
შესახებ 81

ფრ. სინარულიძე — თავდგირიძეთა უძველესი ის-
ტორიიდან 84

სპორტი

მ. შაშიაშვილი — ბათუმელი გოლიათი . . 86

წიგნის თარო

ლ. ნიძოშანი — აქარის ისტორიული წარსულის
ამსახველი რომანი . . . 89

საბრძოლო და იუმორი

მ. კორიუნი — იგავ-არაკები (თარგმანი შ. თვა-
ლაძისა) 92

ნ. ჩხაიძე — ცემენტის სახლი (მოთხრობა) . . 98

რედაქტორი შოთა ქუჩიძე

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარამიშვილი, მ. ვარშანიძე, (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია,
ა.ლ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1. ტელეფონები — 14-06, 13-35.

რუსული პოეზიის ღვაწლად საქართველოში

რუსული და ქართული ლიტერატურის უმჭიდროესი ურთიერთკავშირისა და მეგობრობის ახალ მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა რუსული პოეზიის დეკადი, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა. დეკადის დღეებში რუსი პოეტები ტვარდოვსკი, სურკოვი, დოლმატოვსკი, დორიზო და სხვები შეხვდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მშრომელებს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, დაათვალიერეს სამრეწველო საწარმოები, საკოლმეურნეო ზერები და პლანტაციები, უძველესი ქართული კულტურის ისტორიული ძეგლები, გამართეს ლიტერატურული საღამოები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი პოეტებიც.

ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ საქართველოს ულამაზეს კუთხეს აჭარასაც. ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა რუსული პოეზიის დიდი საღამო, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. თხილაიშვილი. რუსი და ქართველი პოეტების გამოსვლის შემდეგ საპასუხო სიტყვა წარმოთქვა და თავისი ლექსები წაიკითხა დიდმა რუსმა პოეტმა ლენინური პრემიის ლაურეატმა ალ. ტვარდოვსკიმ. საღამომ წარუშლელი კვალი დასტოვა და ახალი ძალით ცხადყო, თუ რა მჭიდრო კავშირი და მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან რუსულ და ქართულ პოეზიას.

ორი მოძმე ლიტერატურის — რუსული და ქართული ლიტერატურის ეს ურთიერთკავშირი და მეგობრობა ეყრდნობა ჩვენი დიადი სამშობლოს სოციალისტური ერების ძმობა-მეგობრობის გრანტისებურ საფუძველს. იგი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ როგორც რუსული, ისე ქართული პოეზია საზრდოობს მარქსისტულ-ლენინური იდეებით, ემსახურება კომუნიზმის მშენებელ ხალხს და გამოხატავს მის სასიცოცხლო ინტერესებს. ისტორიულ წარსულშიც რუსულ და ქართულ ლიტერატურას ერთმანეთთან აახლოებდა საერთო პროგრესული მისწრაფებანი, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლა, ეპოქის მოწინავე იდეები, რომლებითაც შთაგონებული იყო ორივე ლიტერატურა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და XIX საუკუნის სხვა გამოჩენილი ქართველი კლასიკოსები არა მარტო თვითონ აღიზარდნენ მთელ მსოფლიოში მოწინავე რუსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებსა და პროგრესულ იდეებზე, არამედ თავიანთ მკითხველებსაც ზრდიდნენ ამ ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებზე, რომლებსაც მთელი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით თარგმნიდნენ. თავის მხრივ, მოწინავე რუსი მწერლები

და რუსული პრესა დიდ ყურადღებას უთმობდნენ და მზრუნველობით
ბოდნენ ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს.

ეს შესანიშნავი ტრადიცია ჩვენს ეპოქაში მთელი ძალით გაიფურჩქნა და
აყვავდა, გადაიქცა ფართო ორგანიზებულ მოძრაობად, რომელიც ხელს უწყობს
ხალხთა დაახლოებას, მათი ძმობა-მეგობრობის განმტკიცებას, უმნიშვნე-
ლოვანეს კულტურულ ღირებულებათა გაცვლასა და სხვადასხვა ხალხის ლი-
ტერატურათა ურთიერთგამდიდრებას. რუსული პოეზიის დეკადა ამ ტრადი-
ციის ცხოველყოფილობის ფრიალ მკაფიო გამოხატულება იყო. მან გააძლიე-
რა ინტერესი თანამედროვე რუსული პოეზიისადმი, უფრო საცნაური გახადა
მისი ძირითადი მიმდინარეობანი და მიღწევები. კერძოდ, მან უმდიდრესი მა-
სალა მოგვცა იმ დღვის გადასაჭრელად, საჭიროა თუ არა გვექონდეს ე. წ. „ყო-
ფითი“, ინტიმური პოეზია. დეკადამ ცხადი გახადა, რომ ინტიმური ლირიკა,
თუ კი იგი ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის შინაგან სამყაროს, მის ფიქრებ-
სა და გრძნობებს გადმოგვცემს, კი არ ეწინააღმდეგება მოქალაქეობრივ-პუბ-
ლიცისტურ პოეზიას, არამედ ავსებს მას და უფრო სრულყოფილად, ყოველ-
მხრივად წარმოგვიდგენს საბჭოთა პოეზიის ლირიკულ გმირს, ახალი ცხოვრე-
ბის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელს. შემთხვევითი როდი იყო, რომ
პოეზიის მოყვარულნი მხურვალედ უკრავდნენ ტაშს თანადროულობის ყველა-
ზე აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ ლექსებსაც და იმ ნაწარმოებებ-
საც, რომლებიც საბჭოთა ადამიანის ინტიმურ განცდებს გადმოგვცემდნენ.

პარტიის XXII ყრილობამ ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის წინა-
შე, ჩვენი ლიტერატურის წინაშეც უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნი-
შვნელობის ამოცანები დასაზა. ლიტერატურამ სიძაბოთი უნდა ასახოს ჩვე-
ნი გმირული სინამდვილე, გვიჩვენოს კომუნიზმის მშენებელთა უმდიდრესი და
უღამაზესი სულიერი სამყარო, ხელი შეუწყოს ადამიანებში საუკეთესო მო-
რალური თვისებების აღზრდას, მათს გამსჭვალვას კომუნისტური სულისკვე-
თებით, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაცი-
ონალიზმის სულისკვეთებით. რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში იყო
უმნიშვნელოვანესი მოვლენა ლიტერატურის მიერ მის წინაშე მდგომი საპატიო
და პასუხსაგები ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამიტომაც
ასეთი აღფრთოვანებით შეხვდნენ მას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ
ქართველ ხალხთან ერთად, როგორც უდიდეს კულტურულ მოვლენას, რომელ-
მაც ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა არა მარტო ორი მოძმე ხალხის —
რუსი და ქართველი ხალხის სულიერი მეგობრობა და ურთიერთკავშირი, არა-
მედ სსრ კავშირის ყველა ხალხისაც.



აღექსანდრე გვაჩეშვილი

სამშობლო

სამშობლო, ქებას გიძღვნი რიგიანს,
თვალის სინათლეს ჩემსას გადარებ,
მადლობა მისთვის, რაც შემეგნია,
რა საუნჯესაც გულით ვატარებ.
გლოცავ იმ მაღალ დღეებისათვის,
რომლებიც ქვეყნის დასაყრდენია,
მადლობა, კარგი რაც განვიცადე,
და მისთვის, რაზეც გული მტკენია.
მადლობას გიძღვნი წვისთვის, ვნებისთვის,
რომლებიც გზებზე ვერ გვაბრკოლებდა,
მადლობა შენი მაღალ მცნებისთვის,
სამშობლო, წინ რომ მიგვაქროლებდა.
მადლობა მისთვის, რომ მოუღლელი
შენი მსახური ვრჩები მარადის,
მოვალეობის მძიმე უღელი,
რომ მსურს ვატარო კუბოს კარამდი.
ჩემი ოცნება თავზე გველება,
ჩემი და შენი ფიქრი ერთია,
სადაც სჭირდება შენს ძლიერებას,
სამშობლო, ჩემი ბედნიერება
შენი სიცოცხლის ალავერდია!

თარგმნა შოთა როყვამ.

აშკენი ღოდგაშვილი

ლენინის მთები

შემეყარებია მე ლენინის მთები.
იქ გვხვდება წყვილებს ცისკრის ალერსი.
იმ სიმაღლიდან გულებს გვივსებს შვებით

სანახაობა უღამაზესი.
ქარხნის მიღების რიგი დგას უწყვეტი.
ციხის ლაქვარდი კრემლის თაღს ამკობს...
ქვეყნის იმედო, გულო მთლად რუსეთის,
ჩემო მოსკოვო, დედაქალაქო.
როცა აქედან სივრცეს გადასცქერი,
სუნთქვას შეგიკრავს სიმაღლე იგი.
მთელი სიტურფით, ვით ოცნება ვრცელდ,
წინ დაგიდგება ქალაქი დიდი.
შორით ოქროსფრად ელავს ლამპიონი.
დე, ტყემაც მისებრ ელაპარაკოს.
რუსეთის გულო, ხარ იმედი ყოვლის,
მოსკოვო, ჩემო დედაქალაქო.
ლენინის მთებო, სიმაღლეს ვერ მალავთ.
ცათამბჯენების გარტყია ჯარი.
იმან შემატა სილაზათე ქალაქს,
სტუდენტებს ფართოდ გაუღო კარი.
ჩვენ წარსულ დღეთა მოგონებაც ვიცით.
ის სიმღერები რაღამ ჩააქროს:
რუსეთის გულო, გულო დედამიწის,
ჩემო მოსკოვო, დედაქალაქო.

დედამიწის ღერძი

შენ თქვი: „ღერძი დედამიწის
თუ სად გადის, მე არ ვიცი.
პოეტი ხარ, განმიმარტე“.
როგორ ავხსნა, კია ძნელი,
მე არა ვარ მეცნიერი —
დავიბენი, დავიფანტე.
მე ამ ქვეყნის მთებს და სერებს
ვიცნობ, ბევრჯერ გადავსერე,
სანგრები, ხან შახტი ვთხარე,
მაგრამ ამ ღერძს დედამიწის,
თუმც მდენია ოფლი სიმწრის,
ვერა, ვერსად შევეყარე.
სიღრმის სიბრძნეს მე ვერ ჩავწვდი,
მეგობრად კი ბევრის გავხდი
აქ, ამ მიწის ზედაპირზე.
მათ ნახვას კვლავ ვისურვებდი,
მკვიდრნი გახდნენ ყინულის. —
პოლარეთში გადაფრინდნენ.
სადაც ჩრდილო პოლუსია,
სად ყინვაა და სუსხია,
იქ მყავს ერთი მეგობარი.
ერთიც სამხრეთ პოლუსისკენ

ყინულს ებრძვის მთების სისქეს
სტიქიასთან მეომარი.
დღეს იმ ორი გმირის გული
მტკიცედ არის გადაბმული —
უხილავი გადის ღერძი.
და იმ ღერძზე მჯერა, ვიცი
ბრუნავს ბურთი დედამიწის
და მიყვება გზას მარადის.

თარგმნა შალვა შუბლაძემ.

კავდე ანგოქოლსკი

ნიკო შიროსმანიშვილი

დუქანში, სადაც არის მთვრალთა
ხორხოცი, შფოთი,
შავ მუშაბაზე, სველ სუფრაზე
მხატვარი დინჯი
ხატავს ოქრათი და თეთრათი,
ხატავს სურინჯით,
სურს იყოს დიდი, ვით ცხოვრება,
ეს ნატურმორტი.
ღვინით უხდიდა მიკიტანი
აბრისთვის გარჯას.
მოხუცის გული სიხარულით,
ხალისით ძვერდა,
როცა დარდიმანდ ღვინისმსმელთა
საამოდ წერდა
დამწიფებული პამიდვრის და
პილპილის ხანძარს.
აქლემის, ცხენის, დათვის, ლომის
ცქერას მინებდა.
ველური ცეცხლი და სიმშვიდე
ენთო მათ თვალში,

თხა წვერცანცარა
ეშმაკურად შესციცინებდა
და მოლის ნოხზე კუნტრუშებდა
ლალი, ვით ბავშვი.
წიწილები კი, ყელგაწვდილნი
სამყაროსაკენ,
პირველადქმნილი სიცოცხლისა
იყვნენ სადარი.
ვერა, ცხოვრებას ვერ გაექცა
ვერსად მხატვარი
და ღორმუცელებს ხელისგულით
უწვდიდა საყენეს.
ღვინით პირთამდე სავსე ყანწებს
ქაფი ფარავდა.
სველი ღოჭები
ყარაჩოღულ სუფრას შვენოდა.
მამლის ყივილში
განთიადი ახლოვდებოდა.
სისხამი დილით სადღეგრძელო
შესვა თამადამ.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.

აღექსანდრა მუჟიკოვი

ზ ლ მ ა

— თქვი, რა მოგველის ზღვად რომ გავივლით?
— სულ ერთი არის.
— თუმცა ვინ ჩაეა...
შენი წარბები ხმება მარილით,
ლოყები ელავს, როგორც ბრინჯაო.

ზღვა არის ჩვენს წინ, დიდი ზღვა არი,
ცისარტყელების თეთრი ანთებით,
გუგუნებს ზვირთი და მღერის ქარი
და შუქურებში იწვის სანთლები.
შენ ამბობ მშვიდად:

— თუ ცურავ კარგად,
თუ მხრით გაიტან ტალღის მარწუხებს,
ველური ღელვის შიში აღარ გაქვს
და არც ქარიშხლის ღრენა გაწუხებს.
სწორედ იმ წუთში,

უკუქცეულმა
ზვირთმა წაგვიღო ორივე ზღვისკენ
და შენაც, შიშით გადარეულმა,
გაცურე, როგორც შეგეძლო ისე.
გატაცებული ცისფერი დენით
ფეიქრობდით:

ვცურავთ, ჰოდა, რა გვიშავს.
ზღვამ კი თავისი ზვირთების ტყვენი
ნაპირისაკენ აღარ გაგვიშვა.

ჩვენ არ ვიცოდით —
ბედნიერება

თურმე ამ ღია ზღვაში ყოფილა,
რომელიც თურმე იმას ერგება,
ვინც ბედთან შიშით არ დამხობილა.
ნაპირისაკენ ძლიერ ვილტვოდით,
ნატყვნი მიწა გვენატრებოდა.
ჩვენ სიყვარული ვპოვეთ, ვიტყოდით,
იქ, სად სიცოცხლე თითქოს ქრებოდა.
რომ მივაცურდით სამხრეთის ნაპირს,
კლდესთან დავანთეთ ძლივს კოცონები.
მე სიყვარული ვამსგავსე ზღაპარს,
ისე დავშორდით ურთერთს ოცნებით.
ჩამოირბინე ჩემთან გზაბაწრით
და ხშირ ჩრდილებში მომინახულე
და შავი თვალი შავი წამწამით
ხან აახილე და ხან დახურე.

მე ჩემს გამოვლილ გზებს ავაფეთქებ,
ხიდებს, ხომალდებს

ცეცხლით მივწვდები
და ვით მზვერავი, ბრძოლების შემდეგ
უცხო ნაპირზე გარდავიცვლები.

ცხოვრებისა და სიმღერის მადლით,
იმ გარღვეული ჯებირის გაღმა,
ოი, ზღვის ტალღავ,

ისევ მოვარდი,

სატრფოსთან ერთად ზღვას მიმეც, ტალღავ?

თარგმნა ფრიდონ ხალვაშმა.

სად დაიბადა რუსთველი?

ვუძღვნი ბესო ჟღენტს

ჰა, რუსთავი ძველთაძველი,
ელავს ზეცის ლურჯი თვალი.
— დაიბადა აქ რუსთველი! —
მოხუცებმაც გვითხრეს ასე.
მოგვაწოდეს ყანწი სავსე,
წინანდელი შეგვთავაზეს.
— დაიბადა აქ რუსთველი,
იზრდებოდა ამ მიწაზე.
შემდეგ ზღაპრულს ვხედავ ყვარელს
და გავყურებ ცას საყვარელს.
— დაიბადა აქ რუსთველი! —
კაცმა მითხრა ყვარლის ედემს,
თქვა იმგვარი დაჯერებით,
გულის თრთოლვა-აძვრებით,
— დაიბადა აქ რუსთველი! —
მე კამათი ვერც გავბედე.

იქ, მესხეთის ტურფა მხარეს
ბავშვებმაც კი მოგვახარეს:
— დაიბადა აქ რუსთველი!
...მაგრამ ახლა მეც ვთქვა მზად ვარ:
მისი ნიჭი და გენია,
მთელ ქვეყანას გაწვდენია,
კაზაკია რუსთაველი,
ის ჩემს ღონზე დაიბადა!
ნუ კამათობ ჩემთან, ბესო,
რა წამოგცდა სიტყვა ესო,
— დაიბადა აქ რუსთველი! —
ალბათ, იტყვის იქ ყირგიზიც...
სიმართლის რომ ვიყოთ მთქმელი,
სად დაიბადა რუსთველი?
იქ დაიბადა რუსთველი,
სადაც იგი გულში გვიხის.

თარგმნა შოთა როყვამ.

ეპიგონი ეპიგონაკო

* * *

დარდმა ერთბაშად გადამიარა,
ქართულ სოფელში როცა მოვედია.
ნედლი ბალახით შვებას ვბოვებდი,
მიმუშდებოდა ყველა იარა.
მე გამიცრუა იმედი ქალმა,
რომელსაც ვანდე სიცოცხლე მთელი.
ალარ დამინდო არც მეგობარმა,
რადგან ვიყავი სიმართლის მთქმელი.
და კვლავ ქართული დოქებით
ვხარობ,
კვლავ მეგობრებმა მომაბეს მხარი.
ისევ ტკაცუნობს სიმინდის ტარო,
ვიღებ და ვაყრი ზედ ხოშორ
მარილს.

არ ვარ აბეზარ ფიქრთა
მხლართველი,
ვცნოსავ ბალახს და სიამეს ვიძენ,
და ჩემი ძმაა გლეხი ქართველი
და ქართველ პოეტს ძმად შევეფიცე.
ო, ტაროების ნელსურნელებავ!
ო, კალმახების გაელვარებავ!
ისევ სიცოცხლის ჟინი მედება,
მისი სიამე და მღელვარება.
ო, როგორ მიყვარს სითეთრე
სეტყვის.
მე მინდა ცრემლიც და სიხარულიც.
სიმინდის ტაროს მე გულით ვეტრფი,
სიცოცხლედ მიღირს მისი ხრამუნი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



სოლომონ დემუხანაშვილი

გ ა ნ გ ა შ ი

დაბნელდა. ელექტრონები ანთეს ქუჩებში, ეზოებში.

მე ღია ფანჯარასთან ვზივარ და უაზროდ ვიყურები გარეთ.

ახლა ნოემბრის მიწურულია, მაგრამ საღამო ისე თბილია და ისე გარინდული, აპრილი გევონება კაცს.

ეზოში დათო გამოვიდა, მხარზე ავტომატი გადაიკიდა და მეორე სართულზე ბოხი ხმით შესძახა:

— ანდრეი!

მოსდენილი, თხელი ბიჭი მკვირცხლად გამოვარდა ოთახიდან და მოაჯირზე ნიკაპით დაეკიდა.

— ჩამოდი!

— ჩამოვალ.

— ჩქარა!

ანდრეი ილუქმება, დათოს თავს უქნევს და ისევ ოთახში შედის. მე თვალს ვაყოლებ მას და ვფიქრობ:

„ახლა ჩამოვა და გაიმართება ომი“.

ანდრეი, ანდრეი, საკვირველი ბიჭი... დედა რუსი ჰყავდა და ანდრეის, ალბათ, ამიტომ ეძახდნენ, მაგრამ თავად ალი-კვალი მამა იყო, შავი წარბებითა და დიდი, ნაზი თვალებით. სახეზე ხორბლისფერი გადაკრავდა, რაც ძალიან შევენოდა და უეჭველად დედით მოსდგამდა.

თავით ფეხამდე იარაღში ჩაჯდებოდა, საშრობისაგან გაკეთებულ მოწითა-

ლო სამხრეებს დაიტყუებდა და მთელი ეზოს ბაღლობას შეჰყრიდა. ყველაზე დიდი იყო ასაკით და სამართლიანად უფროსობდა.

ორად გაყოფილი ჩვენი პატარა ეზო სამომარი ველი იყო და აზარტიანი ბრძოლა ხშირად იმართებოდა.

ბრძოლის გაცხარებისას სარდაფში აფარებდნენ თავს, ხან კიბის უკან იმალებოდნენ და იქიდან ესროდნენ „მოწინააღმდეგეს“.

მერე რომელიმე მხარე მარცხდებოდა. ცოცხლად გადარჩენილნი „ცხენებზე“ სხდებოდნენ და გარბოდნენ, გამარჯვებულნი ყოყინით მისდევდნენ და ატყვევებდნენ.

ამით ყველაფერი თავდებოდა, წყდებოდა სროლა, ყოყინა, „ცხენების“ ჭიხვინი და ნაომარ ველზე სიჩუმე ისაღვურებდა.

გამარჯვებულთა მეთაური ანდრეი წვრილი, მკაცრი ხმით იძლეოდა ბრძანებას:

— მოიტანეთ საკაცები და წაიყვანეთ დაჭრილები! დაჭრილებს გაუფრთხილდით! შეუხვეით ჭრილობები!

„დაჭრილებს“, ვითომდა საკაცით მიგვეყავსო, ერთი მხრებში ჩაავლებდა ხელს, მეორე ფეხებში და სიცილით მიაპარწიალებდნენ. ანდრეის კი ღიმი არ ეკარებოდა სახეზე, მრისხანე იერი

გადაკრავდა მუდამ. გაჯგიმული ჩამო-
უვლიდა ტყვეებს, რაღაც-რაღაცებს
ეკითხებოდა და ყველას სათითოდ
ათავისუფლებდა. მე ისე ვუყურებდი
ყოველივე ამას, როგორც საცირკო
ნომერს და გულწრფელად მიხაროდა,
როცა ანდრეი ყველა ტყვეს დიდბუნე-
ბოვნად ექცეოდა.

თუ ეზოში ბაღები არ მოიყრიდნენ
თავს, ანდრეის შეეძლო მარტომდარ-
ტოს ეთამაშა. სამხედრო ნაბიჯით და-
დიოდა, იძლეოდა რაღაც ბრძანებებს
და ვიღაცას ესროდა ავტომატს.

— რა გამოვა ეს ბიჭი, ჰა?

— აბა, აბა. — თავს აქნევდნენ მე-
ზობლები.

ბოლოს და ბოლოს, სხვებიც მოქუჩ-
დებოდნენ და გაიმართებოდა ცხარე
ბრძოლა. ეს თითქმის ყოველდღე მეო-
რდებოდა და ჩვენს ისედაც პატარა და
ხალხმრავალ ეზოში ყურთასმენა აღარ
იყო. ანდრეი წესრიგს ვეღარ ამ-
ყარებდა, ყველა თავის ნებაზე ყვირო-
და, თავისი სურვილით ისროდა და, რო-
ცა სურდა, მაშინ „კვდებოდა“.

თავმოებზრებულები დედაკაცები გა-
მოვარდებოდნენ ხოლმე და დაიფრენ-
დნენ პატარა მეომრებს. განსაკუთრე-
ბით ერთი ქალი ასკდებოდა გულს. იგი
ჩემს პირდაპირ პირველ სართულზე
ცხოვრობდა. გაწიწმატებული გამოვა-
რდებოდა და შეშლილივით აყვირე-
ბოდა:

— წაჭამეს ყურები, რა ამბავია, აბა,
ჩქარა დაიკარგენით აქედან!

ბიჭები სიცილით გაიფანტებოდნენ
და მანამ იმალებოდნენ, სანამ ქალი
ისევ შინ არ შევიდოდა.

— რა მოხდა, ითამაშონ, ქალო! —
გამოვესარჩლებოდი ხოლმე ბიჭებს.

მეზობლის ქალი უშნოდ დაიღმანჭე-
ბოდა და ზიზღს შემომაყრიდა:

— რას ამბობ, შენ, რას! ამის მეტი
სათამაშო არაფერია? სულ ბუხ, ბუხ,
ტრახ, ტრახ! გაასიეს გული პირდაპირ!
დაბალ აივანზე სქელი ფეფენაც გა-
მოფარფაშდებოდა. იგი ჩემს გვერდით

ცხოვრობდა და, ალბათ, ას ოც კილოს
არხეინად იწონიდა. გამოფარფაშდებო-
ბოდა და დარბაისლურად დაუკრავდა
კვერს ჩვენს. პირდაპირ მცხოვრებ
ქალს:

— მართალია, რა არის სულ რომ
ომობანას თამაშობენ? პატრონმა უნდა
მიაქციოს ყურადღება. ეს ანდრეი მა-
ინც არ ვიცი რა გაიზრდება, პატარა კი
აღარ არის.

მე მაინც არ მესმოდა, რად უნდა და-
ეშალათ ბავშვებისათვის ომობანას თა-
მაში. ომობანას ვთამაშობდი მეც, ომო-
ბანას თამაშობდა ყველა ბავშვი ნახე-
ვარი საუკუნის წინათ, ერთი საუკუ-
ნის წინათაც. ბავშვები საერთოდ ბევრ
რამეს თამაშობენ, ბევრი რამით ერ-
თობიან: აკეთებენ მშვილდ-ისრებს,
აგებენ წისკვილებსა და სახლებს, მერე
იღებენ ხელში წიგნებს და ეთხოვები-
ან ყოველივე ამას.

ბიჭები კი მაინც არ იშლიდნენ თა-
მაშს. დედაკაცების საყვედურებს ყუ-
რიდან ყურში უშვებდნენ.

ახლაც ომობანას თამაშს აპირებდ-
ნენ.

მე კვლავ ფანჯარასთან ვიჯექი და
ვუყურებდი ბავშვებს. ისინი ანდრეის
უცდიდნენ. პატარა ეზო დღესავით იყო
განათებული.

როცა ანდრეი ჩამოვიდა, ბავშვები
აყაყანდნენ. ორად იყოფოდნენ და
ვერ რიგდებოდნენ. ყველას უნდოდა
ანდრეის ჯარისკაცი ყოფილიყო. დიდი
დავისა და ყაყანის შემდეგ, როგორც
იყო, მორიგდნენ და ძველებურად აკა-
კანდა „ავტომატები“, აჭიხინდნენ
„ცხენები“.

ბიჭები შუა ომში იყვნენ, როცა ეზო-
ში სინათლე ჩაქრა. სინათლე ჩაქრა
ქუჩაშიც, ყველგან და სიბნელემ შთან-
თქა მთელი ქალაქი. მე დავინახე ცა.
ცა, მოწმენდილი იყო და დალეული,
გაცრეცილი მთვარე პირდაპირ დაჰყუ-
რებდა ჩვენს ეზოს.

— ოე! — დაიყვირა ვიღაცამ.

— უუ!

- ანდრეი!
- დათო!
- არ მოდის სინათლე?
- ნუ მოვა, უკეთესია.
- ტრახ, ტრახ, ბუხ!

ამჯერად ერთად შეჯგუფდნენ და თამაში განაგრძეს. ჩემი ფანჯრის წინ თამაშობდნენ და მთვარის ცივ შუქზე შემეძლო მათი სახეები გამერჩია.

ეზოში უცებ რაღაც აზუზუნდა. გაბმულ დაბალ ხმაზე ზუზუნებდა. მერე საყვირებიც ჩართეს. ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბლაოდნენ, გულსაკლავად, შემადრწუნებლად. ეს ხმა მთელ ქალაქში ისმოდა, მთელ ჩაბნელებულ ქალაქში.

ბიჭები ერთბაშად გაინაბნენ, თამაში შეწყვიტეს. კარგად ვხედავდი, ისინი მღუპარედ იდგნენ გადახიახებული სახეებით. კიბის საფეხურზე შემდგარი ანდრეი ზურგით მიეყუდა სახელურს და ნელ-ნელა ჩამოშალა პატარა ხელე-ბი. ხის ავტომატი მიწაზე დაუვარდა. მერე ზანტად შებრუნდა და კიბეს აპყვა.

— განგაში უნდა ყოფილიყო დღეს, არა? — იკითხა ვიღაცამ აივანზე.

- კი.
- ნუ ანთებთ ნურაფერს.
- განგაში ყოფილა! — თქვეს ბიჭე-ბმა.

— ნახე, რამდენი პროექტორია! პროექტორები უცებ გამოვარდნენ საიდანაც და ჩაბნელებულ ცაში დაიწყეს გრძელი ხელების ფათური.

— ანდრეი, აღარ მოხვალ?
ანდრეიმ ბიჭებს არ უპასუხა. ზანტად აიარა კიბე და შინ შევიდა.

ახლა თვითმფრინავებმა მორთეს ღრიალი. ისინი ძალიან დაბლა დაფრინავდნენ და გააყრუეს ქალაქი.

ბიჭები ერთხანს იხტიბარს არ იტყვდნენ, მერე ისინიც სათითოოდ მღუპარედ შეიკრიფნენ სახლებში.

კიბეზე დარჩა ანდრეის ხის ავტომატი.

მე ვიჯექი ღია ფანჯარასთან და ამ ჯოჯოხეთურ ღრიანცელში ვფიქრობდი პატარა ბიჭ ანდრეიზე.



ნესვორ მაღაზონია

ა ლ მ ა უ რ ე ნ ა

ერთი ცილა მთა-ბარი,
ერთი ხელის დადება,
ტურფა, როგორც თამარი,
როგორც მზის დაბადება.

ერთი მუჭა ბაღნარი,
ერთი ხელის მოფენა,
ასე მხნე და მაღალი,
მთელი ქვეყნის ოდენა,

ცისკრის ფრენა მთაღამთა,
დილა ოქროსძაფება,
თეთრი ღამე ქათქათა,
მთვარის აქაფქაფება...

ოი, დედულ-მამულო,
დედის ტკბილო ენაო,
ჟრჟოლავ და ჟრიაშულო,
ჩემო აღმაფრენაო!

ა მ ა ზ ი

ხშირად იტყვიან, გამიგონია,
ამაგი წყალში ჩამიცვიდაო.
მართლაც,
მდინარეს რასაც კი ესვრი,
წამსვე ქარქარით მიაქვს,
როგორც ბუმბული ნიაფს.

მაგრამ შეცდება, ვისაც ჰგონია,
რადგან წყალს მიაქვს, იკარგებაო.
არა!

არსებობს ბუნების წესი:
რასაც გაუშვებ ზღვისკენ,
ზღვა დაგიბრუნებს ისევ.

სწორედ ასეთი ზღვაა ქვეყანა,
არ დაგიკარგავს უბრალო ნამცეცს,
ოღონდაც რამე არგე.
თვითონვე იღებს, რასაც კი გასცემს
სამშობლოს მოამაგე.

გაზაფხული ქობულეთში
არ დაუცდის მერცხლის მოსვლას,
ყვავილების შნო და ეშხი
ნარინჯებს და ატმებს მოსავს.
თვალს გაახელს ხეზე კვირტი,
სალამს ეტყვის მზეს და წიავს
და ცვარნამის ყურსაკილი
ბუჩქთან დახრის იაიას.
გულს მოხვდება კრიმანჭული,

გაცოცხლდება მთების კალთა,
ჩაის ბუჩქებს ჩამოუვლის
გმირი წყება მკრეფავ ქალთა.
შემოდგომა ხინოს მთაში
შეიფარებს შველს და ირემს,
ბარში ბალი ფერებს გაშლის,
ოქრო დაკრავს მანდარინებს...
მერე შალის მოსასხამში
ლოყა ეწვის მედაირეს.

ცისარტყელა

გაღმა ბნელი ქოხი იდგა
და გამოღმა ოდები.
ტაშ-ფანდური ჩვენი მხრიდან,
ხოლო გაღმით,
იმ ქოხიდან —
კენესა, ცეცხლის მომდები.

— ეჰერ, მოდი, ჩემო ძმაო,
ნუ ვართ უცხოვდ, ყარიბად!..
წვრილად ცრილი ბროლის შხაპი
მზის ბადეში გაიბნა
და, ვით ხიდი სამოძრაო,
ცისარტყელა გაიბა...

მე მივყვები.
ისიც მოდის.
უკვე არ ვართ შორიშორ,
გადავურჩით დროთა ლოდინს,
თითქოს ცრემლიც შეიშრო,

და...
ზმანებაც რამედ ღირდა!
ო, ეს ცისარტყელები!
თითქოს გაღმა-გამოღმიდან
გადავაჭდეთ ხელები.



პიკან პიკანშიძე

მივილი

ხასან აღას გამდიდრებას ხაჯაზე წასვლამ შეუწყო ხელი. მანამდე მისი ალბა ღიმილს გვრიდა ნამდვილ აღებს და ამის გამო „ბედიავა ზენგირს“¹ ეძახდნენ.

ხასან აღა ორმოცდაათ წელს იყო მიღწეული, როცა ცოდვების ჩამოსაბანად ხაჯაზე სალოცავად წავიდა. ბევრი ფული წაიღო თან, უმეტესად თურქული ოქროს ღირებები, რომლებიც ნაცნობ-უცნობებისაგან მიიღო, რათა მათი სულის განწმენდისთვისაც ელოცა მექასა და არაფაზე.

ბათუმში ხასან აღა ჩრდილოეთ კავკასიიდან და აზერბაიჯანიდან, შუა აზიიდან, ყაზანიდან და ბაშკირეთიდან ჩამოსულ მლოცველებს შეუერთდა. მათ აზიზებს მოედანზე და იქვე აღმართული მეჩეთის ეზოში მოიყარეს თავი და ლოცვითა და გაუთავებელი მთქნარებით ელოდნენ გემს.

* * *

მზე ამოდოდა, როცა მლოცველებით გატენილი გემი ჯედას ნავსადგურს მიაღწა, მაგრამ არავინ ჩქარობდა... მგზავრები დილის ლოცვას სუბხს ასრულებდნენ.

ხასან აღამ ყველაზე ადრე მოათავა ნამაზი და გემბანიდან ქალაქს გადახედა. იქაურობა გაჭედოლი იყო მექას მი-

მავალი მლოცველებით. ამ დროს ჯედაში, რომლის მკვიდრი მოსახლეობა ოცი ათასს ძლივს აღწევდა, ორასი ათასამდე მლოცველი იყრიდა თავს. ქალაქის შენობები ყველას ვერ იტევდა. მლოცველთა უმეტესობა ღია ცის ქვეშ ათევდა ღამეს. ჯერ კიდევ ხასან აღას ჩასვლამდე ჯედაში შავი ჰიბრი გაჩენილა და ადამიანები ბუზებივით იხოცებოდნენ. ყველგან შშირისა და ოფლის სუნი იდგა.

ხასან აღა მოხუცი არაბის ეზოში ათენებდა. მეოთხე ღამეს ავადმყოფის კენესა და ქართული სიტყვები მოესმა. ღია კარავში საწოლზე გაშოტილი მოხუცი ძლივს სუნთქავდა, ალაჰსა და მუჰამედ წინასწარმეტყველს ახსენებდა, თან მიხრწნილი ხმით მიმართავდა სასთუმალთან ჩამოქცარი ძმისშვილს.

— იბრაგიმ... ალბათ, მზის ამოსვლამდე ვეღარ გავატან. მექამდე ვერ მივალწი, ვეღარ შევძელი სულის განწმენდა და ცოდვილი ჩავალ სამარეში. იბრაგიმ, ვიცი ძნელია, მაგრამ ფულით ყველაფერს შეძლებ... ჯედას მეჩეთის ეზოში დამასაფლავე. — მომავკდევმა უბიდან მოზრდილი ქისა ამოიღო და ხელის კანკალით გადასცა ძმისშვილს. — აქ ათი ათასი ოქროს ღირაა... ხაჯადან რომ დაბრუნდები, ჩემთვისაც წამოიღე ზემზემის წყალი და საფლავეზე დამააკურე. — ისევ ჩიიყო ხელი უბეში და ახლა

¹ ბედიავა ზენგირი — ცრუ, ყალბი მდიდარი.



პატარა ქისა ამოიღო. — ამაში გასაღები... ჩემი სახლის კიბის ქვეშ, მესამე საფეხურთან აგურს გამოიღებ... ამ გასაღებით კიბეში ჩაკირულ სალაროს გააღებ... იქ პატარა გასაღებს ნახავ... — მომაკვდამა ღრმად ამოიოხრა და წამით დაღუშდა. იბრაგიმ ეფენდი შეწუხდა, ბიძა შეაჩაღრია და თითქმის შეპყვირა:

— მერე?

ავადმყოფმა თვალი გაახილა და განაგრძო:

— მერე ჩემი სახლის დიდი დარბაზის ბუხარს მიაღებები... ბუხარი წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერის აგურიითაა ნაგები... ბუხრის მარჯვენა კედლის საზღვართან, იატაკიდან მეხუთე აგური ლურჯი ფერისაა, იმ აგურს გამოანგრევე და გამოჩნდება რკინის სალარი, რომელსაც პატარა გასაღებით გააღებ.

— მერე?

— გააღებ და ყველაფერი შენი იქნება, მაგრამ ერთი პირობით... ჩემს ოჯახს უპატრონე...

— კი, მაგრამ რა არის იმ ყუთში? — მოუთმენლად წამოიძახა იბრაგიმ ეფენდი.

— ოთხასი ათასი ოქროს ლირა... დიდძალი ოქრო და ბრილიანტი... ჰო, ოქრო... ბრილიანტი.

იბრაგიმ ეფენდი გაბრუებული შესცქეროდა ცაზე ჩამოკიდებულ ნახევარ მთვარეს და ყურებს ძლივს უჯერებდა... მან კარგად იცოდა, რომ ბიძამისი, სამოცდაათ წელს იმდწეული ჯვედეთ ბეი მთელ კონსტანტინოპოლში განთქმული მდიდარი ქართველი მუსლიმანი იყო და ულამაზესი ცოლი ჰყავდა. მისი ორი სავაჭრო გემი, ერთი სასტუმრო, ათამდე მაღაზია, თამბაქოს ფაბრიკა, საპნისა და ტყავის ქარხნები საკმაოდ დიდ შემოსავალს იძლეოდა, მაგრამ თუ ასეთი განძის მფლობელი იყო, ეს კი არ იცოდა... ახლა, როცა ყველაფერი საკუთარი ყურით მოისმინა და ერთი წუთით წარმოიდგინა, რომ ასეთი ურიცხვი სიმდიდრის პატრონი გახდებოდა,

თავბრუ დაესხა... თან შიშმა შეიჭრა, ვაი თუ ჯვედეთ ბეი გადარჩეს, მაგრამ იგი უკვე აღარ სუნთქავდა.

იბრაგიმ ეფენდომ თეთრად გაათენა ის ღამე. არც ხასან აღას ეძინა. მას მოსვენებას არ აძლევდა ჯვედეთ ბეის ანდერძი და მთელი ღამე ბორბავდა.

როგორც კი ირიჟრაჟა, იბრაგიმ ეფენდი ჯვედეთ ბეის დაკრძალვის თაღარიგს შეუღდა. დიდად რომ არ დახარჯულიყო, მიცვალებული საერთო სასაფლაოზე დაკრძალა და იქიდან პირდაპირ ჯედას მთავარ მოედანს მიამშურა. მოედანზე მექას მიმავალი აქლემების ქარავნები მლოცველებს ელოდნენ.

ჯედადან მექამდე სამოციოდე კილომეტრია, მაგრამ თითო მლოცველის გადაყვანაში მექარავენები სამოც ლირას ითხოვდნენ. იბრაგიმ ეფენდომ ბევრი იევაჭრა, ერთ-ერთ მათგანს ორმოც ლირად მოურიგდა და დაღლილმა და მთელი ღამის უძილობით მოქანცულმა თავისი კარვისაკენ გასწია.

* * *

ხასან აღას არ ეძინა, პირაღმა იწვა და მომაკვდავის სიტყვები საწამლავივით ეწვეთებოდა ყურში. არც იბრაგიმ ეფენდის ეძინა... ჯვედეთ ბეის გასაღები და ათი ათასი ოქროს ლირა მოსვენებას არ აძლევდა, ვაი თუ ძილში ვინმემ გაქურდოს და მშრალზე დავეჩეო. მაგრამ წინა დღის ამბავი ისევ აწყენარებდა.

წინა დღეს კი ასეთი რამ მოხდა: მექადან ჩამოსული ერთი ბედუინი ჯედას პოლიციაში გამოცხადდა და თქვა:

— გზაზე ქერით სავსე ტომარა გდია... ალბათ, ვინმემ დაკარგა!

— შენ საიდან იცი, რომ ტომარაში ქერია?! — კითხა პოლიციის მოხელემ.

— გავხსენი და შიგ ჩავიხედე. — გულწრფელად მიუგო ბედუინმა.

— აჰა, ესე იგი, მოპარვა გინდოდა! — იყვირა განრისხებულმა მოხელემ და... ბედუინს იმავე დღეს მარჯვენა ხელი მოკვეთეს.

იბრაგიმ ეფენდომ კარგად იცოდა, რომ შარიათის კანონი ქურდობისათვის

სასტიკად სჯიდა... ჯედაში სახლები არა-
სოდეს არ იკეტებოდა, მაგრამ იბრაგიმ
ეფენდი მაინც შიშობდა და საწოლზე
გაშოტილი ხშირ-ხშირად სინჯავდა
უბეში შენახულ ლირებით სავსე ქი-
სებს და სანუჟვარ გასაღებს...

უცებ იბრაგიმ ეფენდიმ საწოლზე
რალაც ამოხურთული იგრძნო... ლეიბი
ასწია და გაკვირვებისგან კინაღამ იუ-
ვირა — მის წინ ქისა იდო... იგი ფულით
იყო სავსე. იბრაგიმ ეფენდიმ ქისა იმ-
წამსვე უბეში შეინახა და კიდევ ეფრო
აწრიალდა. მთელი ღამე ძილი არ მიჰკა-
რებია.

გათენებისას ხასან ალა სადღაც გაქ-
რა.

მზე ახალამოსული იყო, როცა
მთელეშარე იბრაგიმ ეფენდის საწოლს
იქვე პოლიციელი მიაღვა.

* * *

— მერე? — დინჯად იკითხა საპო-
ლიციო უბნის უფროსმა, წარმოშობით
ალეპოელმა. თურქმა.

— ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ეს ამ-
ბავი გავიგე. ოთხი ქისიდან სამი მომპა-
რეს... ერთში ათი ათასი ლირა იდო, მე-
ორეში — ათასი, მესამეში — პატარა
გასაღები. — მიუგო შეწუხებულმა ხა-
სან ალამ და საპოლიციო უბნის უფ-
როსს მიაშტერდა.

— ესე იგი, ერთში ათი ათასი ლირაა,
მეორეში — ათასი, მესამეში კი პატარა
გასაღები? — ზანტად იკითხა საპოლი-
ციო უბნის უფროსმა.

— ზუსტად ასეა... თუ ასე არ იქნება,
მატყუარად ჩამთვალეთ და დამსაჯეთ...
მაგრამ თუ თქვენ დაკარგულს მაპოვნე-
ნებთ, თვით მუჰამედ ფეიჰამბერის მო-
საწონ საქციელს ჩავიდენ.

საპოლიციო უბნის უფროსი ხასან
ალას მოუთმენლად შეეკითხა:

— მაინც რას აპირებთ?

ხასან ალა დაიხარა და საპოლიციო
უბნის უფროსს ყურში ჩასჩურჩულა:

— ნახევარი თქვენთვის მიფეშქეშე-
ბია, როგორც შარიათის დამცველისათ-
ვის.

უბნის უფროსს სიხარულით თვალი
ბი აუციმციმდა.

— ყველაფერს ისე გავაკეთებ, რო-
გორც საჭიროა, მაგრამ მოწმეები გყავს?

— ის ქისა, რომელშიც ათასი ლირაა,
აქ გავაკეთებინე და ზედ ჩემი სახელია
ამოკვეთილი. ხელოსნები დამემოწმებ-
იან... ისინი უკვე აქ არიან.

— აქ არიან?! — თითქმის სიხარუ-
ლით წამოიძახა საპოლიციო უბნის უფ-
როსმა და კარებთან ატუხულ პოლი-
ციელს უბრძანა: — შემოიყვანეთ!

პოლიციელმა შემოიყვანა ორი ხე-
ლოსანი, რომლებიც საპოლიციო უბნის
უფროსს წელში მოხრილი მიესალმნენ.
უფროსმა ხასან ალაზე მიუთითა და
ხელოსნებს მკაცრად შეეკითხა:

— ამ კაცს იცნობთ?

— როგორ არა... გუშინ ქისა შეგვი-
კვეთა და მისივე თანდასწრებით გავუ-
კეთეთ.

— შეგიძლიათ გამოიცნოთ ის ქისა?

— როგორ არა!

— შემოიყვანეთ დაპატიმრებული!

ხასან ალამ საპოლიციო უბნის უფ-
როსს ყურში რალაც ჩასჩურჩულა და
თვითონ კუთხეში, შეუმჩნეველ ადგილ-
ზე გადაჯდა. პოლიციელმა იბრაგიმ
ეფენდი შემოიყვანა. უფროსმა უბრძა-
ნა და პოლიციელმა იბრაგიმ ეფენდი
გაჩხრიკა. ერთ წუთში მაგიდაზე ოთხი
ქისა იდო.

— ვისია ესენი? — მრისხანედ შეეკი-
თხა უფროსი იბრაგიმ ეფენდის, რომე-
ლმაც აკანკალებული ხელი ერთ-ერთ
ქისას დაადო და გაჭირვებით უპასუხა:

— ეს ჩემია.

— ესენი?


— ორი ქისა ბიძაჩემმა დამიტოვა სიყ-
ვდილის წინ. ეს კი ვიპოვე.

— ამ დიდ ქისაში რა არის?

— ათი ათასი ოქროს ლირა! — ახლა
უკვე თამამად უპასუხა იბრაგიმ ეფენ-
დიმ.

— ათი ათასი. — გაიმეორა უბნის
უფროსმა. — დათვლაც მოასწარი?

— არ დამითვლია... ისედაც ვიცი, რაა...
რომ ამ ქისაში ათი ათასი ლირაა.



— აჰა, იცოდო, არა? ძალიან კარგი...
— უფროსმა ახლა მომცრო ქისას დაა-
დო ხელი: — ეს?

— ეს ქისა? აკი ვითხარით, რომ ვი-
ბოვე.

— შიგ რა არის?

— ფული... ათასი ლირა...

იბრაგიმ ეფენდის სიტყვის თქმა არ
აცალეს, ორივე ხელოსანმა თითქმის
ერთდროულად წამოიძახა:

— ეს არის... ეს არის ჩვენი გაკეთე-
ბული ქისა.

საპოლიციო უბნის უფროსი წამოდ-
გა, იბრაგიმ ეფენდის მრისხანედ გადა-
ხედა და ხელი მაგიდას დაარტყა.

— გიაურო, უწმინდურო, მთელი მი-
ლეთის ხალხი აქ ჩამოდის, რომ წმიდა
ადგილები მოინახულოს, ილოცოს, ცო-
დვებისაგან განიწმინდოს და უმწიკვლო
დაბრუნდეს თავის ქვეყანაში! შენ კი...
— ღრიალებდა უბნის უფროსი, — შენ
კი აქ ასეთ საძაგლობას და ცოდვას სჩა-
დიხარ? გაიყვანეთ, ახლავე გაიყვანეთ
და ორმოში ჩააგდე.

თავზარდაცემულ იბრაგიმ ეფენდის
რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ პოლი-
ციელმა არ აცალა და მუჯლუგუნით წინ
გაიგდო.

უფროსმა ხელოსნები გაისტუმრა,
ხასან ალას გაუღიმა, იბრაგიმ ეფენდის
კი ხელის მოკვეთა გადაუწყვიტა.

ხასან ალა შეერთა, თან შიშმა შეიბყ-
რო, ვაი თუ ისედაც უძლურმა იბრაგიმ
ეფენდიმ ველარ გაუძლოს წამებას და...
არა, არა, მას კიდევ დასჭირდებოდა იბ-
რაგიმ ეფენდი.

— ეფენდი, მაღლობელი ვარ ასეთი
დიდი დახმარებისათვის, მაგრამ...

— რა მაგრამ?..

— თუმცა ხაჯაზე მივდივარ და ცოდ-
ვებისაგან განვიწმინდები, მაგრამ არ მი-
ნდა ჩემი გულისათვის ადამიანი ასე და-
ისაჯოს... მაჩუქეთ ის ცოდვილიანი, ჩე-
მი ხარკით წავიყვან მექას, იქიდან სახ-
ლშიც გავისტუმრებ ცოდვებისაგან გან-
წმენდილს და მეც აღარ შემაწყუხებს სი-
ნდისის ქენჯნა... სამაგიეროდ ეს ათი
ათასი ლირა თქვენი იყოს. — მოზრდი-

ლი ქისა აიღო, უფროსს მიართვა და
დასძინა: — ფეშქეშ!

— ჩემგანაც ფეშქეშ... დამნაშავე წა-
იყვანეთ და, თუ კი კაცად გამოიყვანთ,
ალაპი იქნება თქვენი მფარველი! —
ღიმილით უბასუხა საპოლიციო უბნის
უფროსმა და ქისა იმწამსვე მაგიდის
უჭრისაკენ გააქანა.

დანარჩენი ქისები გასაღებთან ერ-
თად ხასან ალამ უბეში ჩაიღო, როგორც
თავისი კუთვნილი ქონება.

მეორე დილით, გათენდა თუ არა, ხა-
სან ალამ იბრაგიმ ეფენდისთან ერთად
მექას გასწია ცოდვებისაგან განსაწმენ-
დად.

* * *

ხაჯა მზის ჩასვლისას დამთავრდა.
მლოცველები დასაძინებლად მიწვენენ.

— იბრაგიმ ეფენდი, როგორ ხარ?
— შეეკითხა ხასან ალა მის გვერდით
პირალმა გაშოტილ იბრაგიმ ეფენდის,
რომელიც მძიმედ სუნთქავდა.

— არა მიშავს... ალაპის წყალობით,
ალბათ, არაფაზეც შევძლებ წასვლას,
ხაჯი ვიქნები და მერე სიკვდილის აღარ
შემეშინდება.

— როგორ გეკადრებათ, იბრაგიმ
ეფენდი! ხასან ალა ნუ ვიქნები, თუ
კონსტანტინოპოლში არ ჩავიყვანე სა-
ლი და უენებელი.

— თქვენს პირს შაქარი, ხასან ალაგ!..
თქვენი მიდგას სული. ალბათ, ღმერ-
თის მოგზავნილი ხართ... თუ განგება
ინება და შინ მშვიდობით დავბრუნდი,
ოქროში ჩავსვამთ და ფაღიშაპივით გა-
ვისტუმრებთ სამშობლოში.

— ოღონდ თქვენ იყავით კარგად და
ჯილდოდ ესეც მეყოფა... რაც არ უნდა
იყოს, ჩვენიანი ხარ.

მათი საუბარი კარგა ხანს გაგრძელ-
და... იბრაგიმ ეფენდი ძალიან წუხდა,
რომ მისთვის ძლიერ საჭირო გასაღები
ჯედაში დარჩა საპოლიციო უბნის უფ-
როსთან. ხასან ალა ამშვიდებდა და და-



ბეჭითებით პირდებოდა, როგორც კი
ჯედაში დავბრუნდებით. გასაღებსაც და
ფულსაც დავაბრუნებინებო.

იბრაგიმ ეფენდის უბედურებას ხასან
აღა აბრალედა ჯედელ ხელოსნებს,
რომლებმაც უსინდისოდ დასწამეს ქუ-
რღობა და მერე ვის? ისეთ პატიოსანსა
და ღვთისმოსავ ადამიანს, როგორიც იბ-
რაგიმ ეფენდია... აი, აი, აი... რას არ
ჩაიდენს რჯულზე გადასული და გახრწ-
ნილი ადამიანი!

იმ ღამით ხასან აღამ ბევრი რამ გაი-
გო ჯევედთ ბეის შესახებ და იბრაგიმ
ეფენდი მაშინვე ზედმეტი ბარგი გახდა
მისთვის...

იბრაგიმის სიკვდილის მიზეზი არავინ
იცოდა, გარდა ერთი კაცისა. ის კაცი კი
ცოდვებისაგან განბანოი, ხაჯად წო-
დებული ხასან აღა იყო.

* * *

კონსტანტინოპოლში ხასან აღამ ძვე-
ლი საცვლები და შელანძლული ტანსაც-
მელი გემზე დატოვა. ნავსადგურიდან
პირდაპირ მაღაზიებისაკენ გაემართა. გა-
ლატა რამდენიმე წუთში გადასერა, პე-
რაზე გავიდა და იქ ჯერ დიდი ჩემოდან-
ი, მერე საცვლები, გახამებულსაყე-
ლოიანი პერანგები, ძვირფასი კოსტიუ-
მი, ფეხსაცმლები და ფესი შეიძინა;
საიუველირო მაღაზიაში აღმასებით
მოჭედილი ქალის ოქროს საათი და
ბრილიანტით დამშვენებული პლატინის
სამკერდე იყიდა.

საყიდლებს რომ მორჩა, ეტლი დაი-
ქირავა და თხუთმეტი წუთის შემდეგ
ბაშ ფაშის ქუჩაზე სასტუმრო „სელიმი-
ეს“ წინ ჩამოხტა. ეს სასტუმრო ჯევე-
დთ ბეისა იყო და ხასან აღამ სწორედ
ამიტომ არჩია იქ გაჩერება.

ყველაზე ძვირი ნომერი მოითხოვა.
იმ წუთშივე მისი ჩემოდანი მეორე სარ-
თულისაკენ გააქანეს, ადმინისტრატორ-
მა კი ხასან აღა ნომრამდე მიაცილა და
კარები თვითონ გაუღო: ადმინისტრა-
ტორს ოცი ლირა აჩუქა, ჩემოდნის ამ-
ტანს — ორი; სამოთხიანი მდიდრუ-
ლად მორთული ნომერი ხაჯაზე მოგზა-

ურობის შემდეგ სამოთხედ მოეჩვენა.

— საღოლ, ხასან აღა! — მიამახა სარ-
კეში თავის თავს. ფეხზე გაიხადა და შე-
ზლონგზე სულთანით გაიშლართა...

ორი საათის შემდეგ ახალ კოსტიუმში
გამოწყობილი ხასან აღა სასტუმროს სა-
პარკმახეროში შევიდა, იქიდან კი თით-
ქმის ათი წლით გაახალგაზრდავებული
გამოვიდა. პარკმახერს სამი ლირა აჩუ-
ქა, ხოლო სასტუმროს პორტიეს ორი
ლირა ჩაუღო ჯიბეში და ქალაქში გავი-
და.

ბაიაზეთის მეჩეთს ჩაუარა და დიდ
ბაზარში ამოყო თავი. იქ ზოგიერთი რამ
გაიკითხ-გამოიკითხა და ისევ სასტუმ-
როში დაბრუნდა. საღამომდე ხმა გავარ-
და, ჯევედთ ბეის სასტუმრო „სელიმი-
ში“ ხაჯადან დაბრუნებული ვიღაც გი-
ურჯი აღა ჩამოსულაო. ეს ამბავი იმავე
საღამოს ჯევედთ ბეის ოჯახშიც შეიტყ-
ვეს და ძლიერ დაინტერესდნენ, იქნებ
ხაჯაზე წასული ჯევედთ ბეის შესახებ
რამე იცისო.

სწორედ ამ დროს ჯევედთ ბეის მეუღ-
ლეს ნევრესტან ჰანიმს და მის თვრამე-
ტი წლის ქალიშვილს ხასან აღას გამო-
გზავნილი საჩუქრები გადასცეს — აღ-
მასებით მოჭედილი ოქროს საათი და
ბრილიანტით დამშვენებული პლატინის
სამკერდე... საჩუქრებმა აღაფრთოვანა
ნევრესტან ჰანიმი და მისი ქალიშვილი
მშვენიერი ზულფიე. იმწუთშივე კაცი
აფრინეს ხასან აღასთან, გვეწვიეთო.

* * *

ხასან აღამ იცოდა, რომ ყავა ზულ-
ფიემ გააკეთა და ქებას მოჰყვა:

— მთელი დღენია შემომივლია, მაგ-
რამ ასეთი გემო ყავას პირველად ჩავა-
ტანე.

ნევრესტან ჰანიმს ძლიერ ესიამოვნა
ხასან აღას სიტყვები და კმაყოფილებით
გადახედა ზულფიეს, რომელმაც ამ
დროს ხილი შემოიტანა. ხასან აღა კარ-
გად ხედავდა, რომ ნევრესტან ჰანიმი
მოუთმენლად ელოდა ჯევედთ ბეის ამ-
ბავს, მაგრამ არ ჩქარობდა, მით უმე-
ტეს, რომ ნევრესტან ჰანიმი მართლაც

მეტად ლამაზი ქალი აღმოჩნდა... რაც მთავარია, იგი სრულებით არ ერიდებოდა ხასან აღას და მუსლიმანი ქალისათვის აკრძალულ სითამამეს იჩენდა, კეკლუცობდა კიდევაც... ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო, მაგრამ ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა... თვალებში იმდენი ვნება და ცეცხლი ენთო, რომ ხასან აღამ ვეღარ გაუძლო და პირდაპირ დაიწყო:

— რაღა უნდა დაგიმალოთ... ცოდვაა, როცა ასეთი ცოლ-შვილი უპატრონოდ რჩება, მაგრამ ღმერთმა არ გაგწირათ და ჯევდეთ ბეიმ თქვენი თავი მე ჩამაბარა; მექას მეჩეთში ფიცი დამადებინა, რომ მის დავალებას პირნათლად შევასრულებ... როგორც კი მოთავდა ხაჯობა, ჯევდეთ ბეი...

ნევრესტან ჰანიმს ფერი ეცვალა, ზუღფიე კი ცახცახმა აიტანა და შიშით შეჰყურებდა ხასან აღას, რომელმაც არც აცხელა, არც აცივა და უცბად თქვა სათქმელი:

— არაფას გორასთან, სულგანწმენილი გარდაიცვალა.

ნევრესტან ჰანიმმა თავი ჩაქინდა. ზუღფიე ჯერ გაქვავებული იდგა, მერე საშინლად შეკივლა და დარბაზიდან გავარდა. ხასან აღამ წყალი შეაპკურა გაფითრებულ ნევრესტან ჰანიმს, მერე ხელები მოხვია ნახევრად გულწასულ ქალს და წყალი დააღვინა... ნევრესტან ჰანიმი თანდათან გონს მოდიოდა, თვალები გაახილა, პირდაპირ სახეში შეხედა ხასან აღას და... მამაკაცის მკერდზე მიყრდნობილი ქალი ციებიანებით აცახცახდა. ხასან აღამაც დაკარგა წონასწორობა... გიყვივით დაეწაფა ქალის ვნებიან ტუჩებს, მაგრამ ნევრესტან ჰანიმი მალე გონს მოვიდა, მამაკაცი მოიცილა და ისეთი მრისხანე თვალებით შეხედა, რომ ხასან აღა იძულებული გახდა უსიტყვოდ დაეტოვებინა იქაურობა.

* * *

ხასან აღამ შუალამემდე ვერ დაიძინა... გული მოსდიოდა თავის თავზე,

თუ ჩემი უჭკუობით საქმეს ვცავნენ და მშრალზე დავრჩეო.

არც ნევრესტან ჰანიმს ეძინა. მან კარგად იცოდა, რომ ჯევდეთ ბეის უთვალავი სიმდიდრე ჰქონდა, მაგრამ სად ინახავდა მას? ალბათ, ხასან აღას გაანდო საიდუმლო... აკი საუბარში აღამ ვილაც ბათუმელი ოსმან აღა ყილიჩ-ოღლი ახსენა. ჯევდეთ ბეის მთელი ქონების საბუთები, ვექსილები და განძი მას აბარიაო, ჩემი დახმარებით ამას ყველაფერს სულ მოკლე დროში ჩაიბარებთო.

არა, არა, უთუოდ ცუდად მოექცა ხასან აღას. აღამიანი კეთილი სურვილებით მოვიდა მასთან, თვითონ კი... მაგრამ განა ხასან აღა დამნაშავე არ იყო? დრო იხელთა და დამწუხრებულ ქალს ღმერთმა იცის, რა მოუწოდოდა!.. თუმცა ნევრესტან ჰანიმიც დამნაშავეა. მასაც ხომ უღალატა თავდაპირილობამ? განა ლამაზი ვაჟკაცის კოცნას კოცნითვე არ უპასუხა? არა, ნევრესტან ჰანიმი უხეშად მოეპყრო ხასან აღას, რომელიც ახლა ვინ იცის რას ფიქრობს მასზე. ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ იქნებ ხვალვე დაბრუნდეს თავის გიურჯისტანში და... ნევრესტან ჰანიმი ყველაფერს დაკარგავს. ჰოი, ქალის მოკლე ჰკუთავ, რა ადვილად შეცდები ხოლმე!.. ხასან აღა ახლა ნევრესტან ჰანიმს ისე ესაჭიროება, როგორც წყალი, როგორც ჰაერი. გარდა ამისა, ხასან აღა ხომ წარმოსადეგი ლამაზი ვაჟკაცია... როგორი თვალები ჰქონდა, როგორი ვნებით შემოხვია ხელები, როგორ გაშმაგებით კოცნიდა!

ნევრესტან ჰანიმი წამოდგა, ჩაიცვა, აივანზე გავიდა და გრილ ნიავს მიუშვირა ნახევრად გაღედილი მკერდი. ირგვლივ სიჩუმე იდგა. სახლში ყველას ეძინა. ოდნავ მძეუტავი სინათლე მხოლოდ მეფეზოვის სადგომიდან მოჩანდა. ნევრესტან ჰანიმი ეზოში ჩავიდა, მეფეზოვე გარეთ გამოიხმო, რამდენიმე ლირა მისცა და უბრძანა:

— ახლავე სასტუმრო „სელიმბეი“ წადი, ხაჯადან დაბრუნებული ხასან აღა

ჩვეთხე და გადაეცი, რომ ნევრესტან ჰან-
ნიმი სასწრაფოდ გიბარებს-თქო. დრო
რომ არ დაეკარგო, ეტლი დაიჭირავე.

* * *

ხასან აღასთან საუბარმა ნევრესტან
ჰანიმი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მი-
სი ბედი გადაწყვეტილი იყო, რომ იგი
საბოლოოდ უნდა მინდობოდა ხასან
აღას...

ღამის სამი საათი შესრულდა, მაგრამ
არც ერთს ძილი არ ეკარებოდა. სავსე
მთვარემ ზენიტს მიადწია. ღია ფანჯრი-
დან მოჩანდა მისი შუქით განათებული
აია სოფიასა და სულეიმანის დიდებუ-
ლი მეჩეთების ცაშიბჯენილი მინარეთე-
ბი. მათ რომ შეხედა, ხასან აღას ერთი
წუთით გაახსენდა ალაჰი და მისი წინას-
წარმეტყველი მუჰამედი, ყურანი და შა-
რიათი, მექა და ქააბე, მაგრამ ყველაფერ
ამას ნევრესტან ჰანიმის სულისწამწყ-
მედი თვალეზი აფერმკრთალებდა. ნე-
ვრესტან ჰანიმმა იგრძნო მამაკაცის ვნე-
ბიანი მზერა, მასაც ცეცხლი მოედო,
სწრაფად წამოდგა და თავისი საწოლი
ოთახისაკენ გაემართა. ხასან აღამაც
აღარ დააყოვნა და ფეხდაფეხ მიჰყვა...

* * *

სასტუმრო დარბაზში. საათმა თერთ-
მეტჯერ დარეკა, მაგრამ ნევრესტან ჰანი-
მის საწოლი ოთახი კვლავ გამოკეტილი
იყო... ზულფიემ დიდხანს უცადა დედას,
ბოლოს შეწუხდა, ვაი თუ რამე მოუვი-
დაო, კარებთან მივიდა, მაგრამ დაკაკუ-
ნება ვერ გაბედა და აივანზე გავიდა...
მოაჯირზე გადაზნექილმა ფანჯარაში შე-
იკვრიტა... ზულფიეს მზერა დედის ფა-
რთო საწოლზე შეჩერდა და გაშეშდა...
ნევრესტან ჰანიმის გვერდით ხასან აღა
იწვა. ორივეს ტკბილად ეძინა.

ზულფიეს ცივმა ოფლმა დაასხა. ჯერ
საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, მერე,
როცა დარწმუნდა, დანახული ცხადი
იყო და არა სიზმარი, აივნიდან სასტუ-
მრო დარბაზში გავარდა, შეზლონგზე
პირდაღმა დაეხმო და ტირილი მორთო.
მაგრამ ცრემლებმა ოდნავადაც ვერ

დაამშვიდეს იგი, გიჟივით წამოვარდა
და ქუჩაში გაიჭრა...

ქართული
ლიტერატურა

უცებ საშინელი კივილი გაისმა...
ნაუცბადვე და მუხრუჭებული ავტო-
მანქანის ხმაური მიჰყვა და ერთ წუთში
ქვეფენილზე გამოტილ ზულფიესა და
იქვე გაქვავებული ავტომანქანის ირგე-
ლზე კარგა მოზრდილი ბრბო გაჩნდა.
მანქანიდან ჯერ გაფითრებული მძღოლი
გადმოვიდა, შემდეგ კი გილაყ სამხედ-
რო პირი, რომლის დანახვისთანავე
ბრბომ თითქმის ერთხმად წამოიძახა:
— ენვერ ფაშა!

* * *

სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა ძლი-
ერ შეაშფოთა ამ უსიამოვნო შემთხვე-
ვამ, მაგრამ მალე შეშფოთება აღტაცებამ
შესცვალა... ზულფიემ, რომელიც ავტო-
მანქანაში ფაშის ხელგულზე ესევნა, თვა-
ლები გაახილა და იქიდან ორმა მხემ გა-
მოანათა... გამოანათა და ენვერ ფაშას
თვალები მოსჭრა... ზულფიეს სილამა-
ზემ ანატოლიის ღრმს გული გაღიაში
გამომწყვდეული ჩიტივით აუფართხა-
ლა.

— ხომ არაფერი გტკივთ? — თით-
ქმის ალერსით შეეკითხა ენვერ ფაშა.

— არა! — ღონემიხდილი ხმით უბა-
სუნა ზულფიემ და ისევე მიხუტა თვალე-
ბი.

ეტყობოდა, ქალიშვილი უფრო შიში-
საგან წაიქცა და თანდათან მოდიოდა
გონს.

ამასობაში მანქანა ენვერის სახლს მი-
ადგა. ჰიშკარი გაიღო და მანქანა ეზოში
შევიდა. მძღოლის დახმარებით ენვერ
ფაშამ ზულფიე ფრთხილად გადმოსვა
მანქანიდან და გონსმოსული, მაგრამ
ღონემიხდილი ქალიშვილი სახლში შე-
აყვანეს.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმი მოვიდა. მან
ზულფიე გასინჯა და დაამშვიდა შეშფო-
თებული ენვერ ფაშა და მამიდამისი
ადვიე ჰანიმი, რომელიც იმ ხანად ძმის-
შვილის ოჯახში დიასახლისობდა. ენვერ
ფაშას მესამე ცოლი სულ სამიოდე

თვის წინათ გარდაიცვალა და ოჯახსა და მის მეათურს მოვლა სჭირდებოდა.

* * *

ადვიე ჰანიმმა ძლიერ მოუხშირა ნერესტან ჰანიმთან სტუმრობას. მათი შეხვედრები ენვერ ფაშის გაბედნიერებით დაგვირგვინდა და მშვენიერი ზულფიე ფაშა ჰანიმი გახდა.

ხასან ალა, რომელიც უკვე ნევრესტან ჰანიმის მეუღლე გახლდათ, სიხარულით ცას სწვდებოდა, — ხუმრობა ხომ არ იყო, ყოვლადძლიერ ენვერ ფაშას დაუმოყვრდა! იგი თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ მაინც ენვერის სიმამრი იყო. სულ მოკლე დროში ხასან ალა მთელ ანატოლიასა და რუმელიაში ცნობილი გახდა, როგორც კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი პიროვნება.

მალე ენვერ ფაშამ ხასან აღასაგან იცოდა, რომ ჯევდეთ ბეის დიდძალი ქონების საბუთები, სხვადასხვა ვექსილი და მდიდარი განძი ბათუმში ვინმე რეჯებ აღას აპირაო, ხოლო მასთან კავშირის დამყარება ბათუმელი მსხვილი ვაჭრის ოსმან აღას შემწეობით შეიძლებოდა.

ენვერ ფაშას რჩევით, ზულფიე ქონების კუთვნილ ნაწილს მოითხოვდა... ხასან ალა ყოველნაირად ცდილობდა იგი მშრალზე დაეტოვებინა, მაგრამ ენვერ ფაშის ეშინოდა. თუმცა არ დაბნეულა. სასწრაფოდ წერილები აფრინა ბათუმელ ოსმან აღასა და თანასოფელ რეჯებ აღასთან, რომელსაც მისი ერთადერთი და ჰყავდა ცოლად. ამავე დროს თავისიანების გულის მოსაგებად ხასან აღამ ყველას დაუბრუნა ფული, რომელიც ხაჯაზე წასვლისას მისცეს სულის საცხონებლად... ფულთან ერთად ყველა მათგანს გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები და, რაც მთავარია, ჩვეულებრივი წყლით სავსე პატარ-პატარა ბოთლები, რომლებიც ქაბუდან წამოდებულ ზემზემის წყაროს წმიდა წყლად გაასალა! მათ დიდსულოვნად დაუმატა მუჰამედის წვერების რამდენიმე ბალანი, რომლებიც თავის მეეზოვეს შეაჭრა. მალე ორივე აღამ

მადლობის წერილები გამოუგზავნეს ხასან აღას და თან ატყობინებდნენ, მზად ვართ პირნათლად შევასრულოთ ყველა შენი დავალებათ. ხასან აღამაც სათანადო რჩევა-დარიგება გაუგზავნა მათ. ამასობაში რამდენიმე თვე გავიდა. ენვერ ფაშა არ მალავდა უქმაყოფილებას საქმის გაჭიანურების გამო, ბათუმში ნდობითა და სათანადო საბუთებით აღჭურვილი კაცის გაგზავნაც დააპირა, მაგრამ ხასან აღამ აქაც ივარგა:

— როგორ გეკადრებათ, ფაშა ბატონო!.. მე წერილი მიგწერე რეჯებ აღას, რომ იგი დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს აქ და თან ჩამოიტანოს ჯევდეთ ბეის ქონების საბუთები.

ენვერს გაეხარდა, მაგრამ ხასან აღას არც კი უფიქრია რეჯებ აღას გამოძახება. როცა ამის შემდეგ კიდევ საკმარისი გავიდა და რეჯებ აღა მაინც არ გამოჩნდა, ხასან აღამ ახლა მისი ავადმყოფობა მოიმიზეზა, თან „სიძეს“ განუმარტა: ნდობითა და სათანადო საბუთებით აღჭურვილი კაცის გაგზავნა უშედეგო იქნება, ვინაიდან, რეჯებ აღას თქმით, ჯევდეთ ბეის ქონების საბუთები მემკვიდრემ პირადად უნდა ჩაიბაროს. თუმცა ზულფიე ჰანიმი კარგა ხნის ორსული იყო, ენვერმა სათანადო ამალის თანხლებით იგი მაინც გაამგზავრა ბათუმს. ამ ამბავმა ძლიერ შეაშფოთა ხასან ალა... სასწრაფოდ აფრინა წერილები, რეჯებ აღა სადმე მიიმალოს, თითქოს სავაჭრო საქმეებზე წავიდაო.

ოსმან აღამ ზულფიე ჰანიმი დიდი პატივისცემით მიიღო, მის კაცებს თვითონ ეახლა რეჯებ აღას სანახავად, მაგრამ მასპინძელი სოფელში არ დახვდათ, არზრუმსა და დიარბექირს წავიდა სავაჭრო საქმეებზე და, ალბათ, მალე ვერ ჩამოვაო...

...1914 წლის აგვისტოს დასაწყისში ბათუმში ხმა გავრცელდა, გერმანიამ ომი დაიწყო რუსეთის წინააღმდეგო.

ზულფიე ჰანიმმა ენვერის დეპეშა მიიღო, სასწრაფოდ დაბრუნდითო, მაგრამ იგი თავს ძლიერ სუსტად გრძნობდა და მოლოგინებადმე ბათუმში დარჩა.

...ომის გამოცხადების მეორე დღესვე გერმანიამ თურქეთს სამოკავშირეო ხელშეკრულება შესთავაზა. თერთმეტ აგვისტოს კი საიდ ხალილ ფაშის სასახლეში თურქეთის მომავალი ბედის გადასაწყვეტად ენჯუმენ იუკელა! მოიწვიეს. სწორედ იმ დღეებში ბრწყინვალე პორტამ პარიზიდან არასასამოვნო ცნობა მიიღო — საზღვაო მინისტრის ჯემალ ფაშის ცდებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო და ინგლის-საფრანგეთთან თურქეთის დაახლოების საკითხი სამუდამოდ ჩაიშალაო. ამან საბოლოოდ განსაზღვრა მთავრობის პოლიტიკა. გადაწყდა, რომ თურქეთი გერმანიას მიემხრობოდა.

— მხოლოდ, — განაცხადა დიდმა ვეზირმა, — ჩვენი კავშირი გერმანიასთან სრულებითაც არ ნიშნავს, რომ დაუყოვნებლივ ჩავებათ ომში. ჯერჯერობით საჭიროა მობილიზაცია და ჩვენი ჯარების სათანადო გაწვრთნა. მანამდე კი უნდა დავარწმუნოთ როგორც რუსეთი, ისე ინგლისი და საფრანგეთი, რომ არავითარი კავშირი არა გვაქვს გერმანიასთან. რომ ჩვენი ერთადერთი მიზანია დავიცვათ მტკიცე ნეიტრალიტეტი.

ამ დროს მეზობელ ოთახიდან ტელეფონის ზარის წკარუნი მოისმა. უხმობდნენ სამხედრო მინისტრს ენვერ ფაშას. იგი სულ მალე უკან დაბრუნდა და დამსწრეთ ღიმილით მიმართა:

— ვაჟიშვილი შეგვეძინა! — მაგრამ ამ ქარაგმას ვერავინ მიხვდა და ენვერ ფაშამაც გასაგებად განმარტა: — ამ დღით დარდნაღელთან გამოჩნდა გერმანიის სამხედრო გემები „გებენი“ და „ბრესლაუ“. რადგან მათ ინგლისის ფლოტი მოსდევდა, თხოვნით მოგვმართეს, სრუტეში შეგვეშვა. მე, რასაკვირველია, ნება დავრთე, ვინაიდან არ მინდოდა, რომ ჩვენი მოკავშირე სახელმწიფოს სამხედრო გემები დასაღუპავად გამეწირა. ამჟამად გემები სრუტეში არიან და ჩვენი ფორტების საფარქვეშ დადგნენ. საკი-

როა ამაღამვე გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

— ნეიტრალიტეტის კანონის თანახმად, — თქვა ხალილ ბეიმ, — ისინი უნდა გაიძულოთ ოცდაოთხ საათში დატოვონ ჩვენი წყლები, ანდა განვაიარალოთ და დავაკავოთ ჩვენს ნავსადგურში. — გერმანია ჩვენი მოკავშირეა და თუ ჩვენ გაიძულებთ მათ გემებს ოცდაოთხ საათში დატოვონ ნავსადგური, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მტერს ჩავუგდოთ ხელში. — მიუგო მას ენვერ ფაშამ. — რაც შეეხება განიარაღებასა და გემების ინტერნირებას, გერმანია ამას არასოდეს დაეთანხმება.

მოკლე კამათის შემდეგ გადაწყვიტეს, სთხოვონ გერმანიის მთავრობას, დათანხმდეს გემების დროებით განიარაღებაზე. მოსალაპარაკებლად ვაგზავენეს ტალაატ ბეი და ხალილ ბეი, რომლებმაც, ცხადია, სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. გერმანიის ელჩი ფონ ვაგენჰაიმი, პირიქით, თურქეთისაგან მოითხოვდა, ხელშეკრულების თანახმად ნეიტრალიტეტი დაერღვია და ომში ჩაბმულიყო. ამან საგონებელში ჩააგდო როგორც დიდი ვეზირი, ისე ინტიმური საბჭოს ყველა მონაწილე.

ენვერ ფაშა მხარს უჭერდა გერმანიის მოთხოვნას, მთავრობის დანარჩენი წევრები და თვითონ დიდი ვეზირიც კი საყოველთაო მობილიზაციის დამთავრებამდე ომში მონაწილეობის წინააღმდეგი იყვნენ. გამოსავალი ჯავად ბეიმ მოისაზრა:

— განა გერმანიას არ შეეძლო ომის დაწყებამდე მოეყიდა ჩვენთვის ეს გემები? შეიძლება თუ არა, საქმე ისე დავატრიალოთ, თითქმის გემები ნასყიდობის მიხედვით გადმოგვცეს გერმანელებმა?

ეს აზრი ყველას მოეწონა. ნაშუალამევს ფონ ვაგენჰაიმი სასახლეს ეწვია. მოლაპარაკებამ ერთ საათზე მეტი გასტანა. ბოლოს, გერმანიის ელჩი დათანხმდა დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა ბერლინს. დილის ხუთ საათზე პასუხიც მოვიდა... გერმანიის მთავრობა თანახმა იყო დაეკმაყოფილებინა თურქეთის მთა-

1. ენჯუმენ იუკელა — ინტიმური საბჭო.

ვრობის თხოვნა, მხოლოდ იმ პირობით, თუ თურქეთი თავის სამსახურში აიყვანდა აღმირალ სუშონს და გემების ყიდვა-გაყიდვა ფიქტიური იქნებოდა.

გერმანიის მიერ წამოყენებულ პირობებს თურქეთის მთავრობა სიამოვნებით დაეთანხმა. სულთნის ბრძანებულებით, თურქეთის ფლოტის სარდლად დანიშნა აღმირალი სუშონი. „გებენს“ და „ბრესლაუს“ სახელები გამოუცვალეს. მათ ეწოდათ „იოუსი“ და „მიგილი“, რომლებზეც თურქეთის დროშა აღმართეს, მაგრამ გერმანელთა ეკიპაჟი არ შეუცვლიათ. გემები მეორე დღესვე სრუტიდან გავიდნენ და სტამბოლის ნავსადგურის მოღას მისადგომთან ჩაუშვეს ლუზა.

* * *

— ფაშა, დღეს ჩვენთვის ნამდვილი ბაირამია!.. ვაჟიშვილი შეგეძინა! — უმაღლვე მიახარა ადვიე ჰანიმმა სასახლიდან დაბრუნებულ ენვერ ფაშას და მისი შვილს ბათუმიდან გამოგზავნილი დეპეშა გადასცა.

მთელი ღამის უძინარი ენვერის სახეზე სიხარულმა გადაიბრინა. მადლობის ნიშნად მამიდას მკერდზე აკოცა, აივანზე გავიდა და სიამაყით გადახედა ქალაქს. ნავსადგურის მხრიდან „გებენისა“ და „ბრესლაუს“ მიღები მოჩანდა. იმათი ნათლია ხომ თვითონ ენვერ ფაშა. სწორედ ენვერ ფაშას წინადადებით ეწოდა მათ „იოუსი“ და „მიგილი“. „მიგილი“, „იოუსი“... „იოუსი“, „მიგილი“... რამდენჯერმე გაიმეორა ენვერ ფაშამ და უცებ „მიგილიზე“ შეჩერდა... წამით დაფიქრდა და მყისვე უბრძანა მსახურს, დეპეშა ეფრინათ ბათუმში... ჩემს ბიჭს მიგილი დაარქვით სახელად და დაუყოვნებლივ ჩამოდიოთ.

„გებენისა“ და „ბრესლაუს“ შემატეხამ თურქეთის ფლოტი საგრძნობლად გააძლიერა. გარდა ამისა, არმია უკვე მობილიზებული იყო და სულთნის კორპუსები დღითიდღე ელოდნენ ფრონტზე გასვლის ბრძანებას. სკუტარისა და კონსტანტინოპოლის მიდამოებში

ყოველდღე ტარდებოდა დიდი მანქანები.

გერმანიის ელჩი თავისი მთავრობის დავალებით სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდა სამოკავშირეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას, მაგრამ ნეიტრალიტეტს ამოფარებული თურქეთი არ ჩქარობდა, უნდოდა რაც შეიძლება უფრო მეტად გაშიშვლებულიყო კავკასიის ფრონტი, გერმანიას კი, პირიქით, კავკასიის ფრონტისაკენ სურდა მიეპყრო რუსეთის ყურადღება, რასაც საომარ ოპერაციებში თურქეთის ჩარევა გამოიწვევდა... მაშინ რუსეთი იძულებული იქნებოდა ევროპის ფრონტიდან კავკასიისაკენ გადაესროლა თავისი ძალების საგრძნობი ნაწილი. ეს საკითხი აღმირალ სულთნის მეთაურობით ისევ „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ გადაწყვიტა... თურქეთის ფლოტმა დაბომბა ოდესა, ფეოდოსია, სევასტოპოლი და ბათუმი.

* * *

როგორც კი ენვერის დეპეშა მიიღო, ზულფიე ჰანიმი კონსტანტინოპოლში დაბრუნების თადარიგს შეუდგა, მაგრამ უცებ ბათუმში პანიკა დაიწყო, საზღვარზე თურქეთის ჯარი იყრის თავს და, ალბათ, ომი მალე დაიწყებოდა. თურქეთსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში მიმავალი გემების რეისები შეწყდა...

ზულფიე ჰანიმი თავისი ამალით დღედღე ელოდა რომელიმე გემის გამოჩენას და კონსტანტინოპოლში გამგზავრებას.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში ბათუმში ჩვეულებრივად კარგი დარი იდგა. თბილოდა და ხალხი ისევ ბულვარში და სანაპიროზე იყრიდა თავს. სანაპირო ქუჩის ყავახანები ხალხით იყო გატენილი. ყველა ომზე ლაპარაკობდა.

ნასადილევს ოსმან ალა გამოჩნდა და ზულფიე ჰანიმს კარგი ამბავი მოუტანა: ერთ პატარა გემს, რომელიც ტრაპიზონელ ვაჭარს ეკუთვნოდა, ხვალ დილით გამგზავრების ნებართვა უნდა მიეღო. ტრაპიზონიდან კი ზულფიე ჰანიმი აღ-

გილად მიაღწევდა კონსტანტინოპოლამდე. ზულფიე ჰანიმის ამაღლის მამაკაცები ოსმან ალას გაყვანენ ნავსადგურში ამბის გასაგებად, ქალებმა კი ზულფიე ჰანიმი ბავშვთან ერთად ბულვარში წაიყვანეს სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად.

როტონდაზე ძველებურად უკრავდა სასულე ორკესტრი... საზოგადო საკრებულოს შენობიდან კვლავ მოისმოდა მხიარული ხმაური. ბულვარის ყველა ხეივანი საცხე იყო მოსეირნე ხალხით.

ვილადამ ჰორიზონტზე გემები შეამჩინა. ისინი თანდათან ახლოვდებოდნენ. უცებ ზღვიდან ქვემეხების გრიალი გაისმა... მას ბურუნ ტაბიეს, ბარცხანის, არდაგნის ყაზარმებისა და მთისძირის სანაპირო ბატარიებმა უბასუხეს... ბულვარში მოსეირნე ხალხი შიშმა მოიცვა. აღარ იცოდნენ საით გაქცეულიყვნენ, რა ელონათ.

ზულფიე ჰანიმმა ბავშვს ჩადრის კალთა გადააფარა, მკერდზე მიიკრა და ვეებერთელა მაგნოლიის ქვეშ ყვავილების ხშირ ბუჩქს შეეხიზნა... მისი მხლებელი ქალები კი ჩადრების შრიალით დამფრთხალი წიწილებივით გაიფანტნენ... გემებიდან გასროლილი ყუმბარები ქალაქის სხვადასხვა უბანში

დაეცა. საარტილერიო კანონადა ქალაქს აზანზარებდა.

შიშით აცხცახებული ზულფიე ჰანიმი მაგრად იკრავდა მკერდში თავის ერთას და ლოცვასავით ჩასჩურჩულებდა: „ვაიმე, შვილო, მიგილი!“

„გებენმა“ და „ბრესლაუმ“ ანუ „იოუსმა“ და „მიგილიმ“ უფრო მოუხშირეს სროლას... „მიგილის“ ერთ-ერთი ყუმბარა სწორედ იმ ადგილზე დაეცა, სადაც ზულფიე ჰანიმს თავისი მიგილი გულში ჩაეკრა.

* * *

მეორე დღეს მთელი ბათუმი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდა, თუ სად დაეცა ყუმბარები, ხოლო ერთმა მათგანმა როგორ ნაფლეთებდალ აქცია თურქეთის რომელიღაც დიდი ფაშის ცოლი და მისი ჯერ კიდევ ძუძუთა ბავშვი.

ქალაქში თითქმის არავინ დარჩენილა, რომ არ ენახა ის ადგილი, სადაც თურქეთის სამხედრო გემის ყუმბარამ დედა და შვილი იმსხვერპლა. ყუმბარას დიდი ორმო ამოეთხარა... ირგვლივ მკვდრებით ეყარა ძირფესვიანად ამოგლეჯილი მაგნოლიის ხე და დარუჯული ბუჩქები.



ლევან გელაძე

ბედნიერი აქ ვარ მხოლოდ

მოიფენენ მთები ნისლებს,
შორს ბურუსი მოჩანს მარტო,
ჩამუქდება ხევიც მყისვე
და მწვერვალებს თითქოს ათოვს.
სადღაც მეზი გაჰკრავს კაპანს,
რქებს წაიმტვრევს ჯიხვი შიშით,
შველი ხესთან თვალებს ნაბავს,
ლორთქო ყლორტი უჩანს პირში.
ქარი ბაღში გაშლის ყვავილს,
ათამაშებს როგორც ფიფქებს...
ბედნიერი აქ ვიყავი,
დავეწიო იმ დღეს, იქნებ...
ხმას მიაწვდის ვიღაც კენტად
ხევგალმიდან გადმოძახილს,
ტყემლის ყვავილს ჰაჭვით ვხვებავ
და მეც ვყვირი: „აქ რა დამღლის!“

დღისით, მზისით

ყველგან მესმის ლალადისი,
კაცი ვარ და მანდე გული,
დღისით, მზისით,
დღისით, მზისით,
სანთელი მაქვს ანთებული.
სანთელი მაქვს ანთებული
და ამაყად დავაბიჯებ.
იმ კაცს რად არ ანდე გული,
ბევრჯერ გვქონდა დავა ბიჭებს.
ასი თვალთ ვიხედებო,
ფიქრით მივდევ ტროტუარებს.

ზოგნი დღეს თუ გიხელოებენ,
შესაფერი დრო თუ არი,
დაგიგებენ გზაზე ხუნდებს,
დაგიგებენ, როგორც ირემს,
დაგინგრევენ არწივს ბუდეს,
წაგიქცევენ სახლის დირეს.
შურთ სვეტები მაღალი და
კერა ტრფობით ანთებული,
კენჭი უჩანთ მარგალიტად,
მოდი, ყველას ანდე გული?!
კაცს დავეძებ

დღისით,
მზისით,
სიტყვა მომცეს გულის წინდად,
ათასი რამ გულში მიზის,
ათასი რამ მომწონს, მინდა.
თეთრნაბდიან მწვერვალებს და
ზურმუხტისფრად გაშლილ
ხმელეთს,
წარბაქსნილი გადავხედავ,
როგორც დედას მოვხვევ ხელებს.
სირცხვილია! იცოცხოო და

აზ იკაცო ამ მიწაზე
ალერსით და სიყვარულით,
როცა გულმკერდს დაგიწევს მზე.
საქართველო, ჰე, რამდენჯერ,
მკერდში დასჭრეს უკაცოთა,
ამიტომ დღეს უცხო ცის ქვეშ,
ისევ ვეძებთ უკვდავ შოთას,
ამიტომაც დღისით, მზისით,
დავალ თვალებანთებულო.
მინდა მწამდეს მარად მისი,
ვისაც დღემდე ვანდე გული.

* * *

ზღვა და ზღვა,
ზღვა და ზღვა,
სილურჯე უღევი.
ფიქრები სხვადასხვა,
ზღვაზე ღრმა გულები.
მიაქვს გემს,
მიაქვს გემს
შორეულ ნაპირთან,

ტალღებო, გაიგეთ?
ზღვა როგორ დამპირდა?
ცა როგორ კამკამებს,
მზე, როგორ იცინის?
ნატრობდა ამ წამებს
იცი, ვინ?
იცი, ვინ?

გეპატიება

შენს გაღიებას ველოდები, როგორც ალიონს,
ჩემში სიცოცხლის შემომტანი მხოლოდ შენა ხარ,
მსურს დარჩენილი სადღეგრძელო ერთად დავლიოთ
და კვლავ მომთხოვო საიდუმლოს მკაცრად შენახვა.
ჩემში შემოხველ და აფეთქდი, როგორც აპრილი
და სულშიც,
გულშიც
ჩანჩქერები ამიმქუხარე.
უცებ დამტოვე და მტრედით მაღლა აფრინდი,
თან ჩამომძახე
ჰეი!
ჰეი!
დაბლა ნუ ხარო,
გაშალე ფრთები, რადგან ასე მაღლა აფრინდი.
ლურჯ სივრცეებში გაგინათონ გზები მთიებმა!
ჩემში დარჩები, ვით ამ ქვეყნად კვალი აპრილის
და, როგორც აპრილს, ჩემგან წასვლა გეპატიება.



პიჯალი გოგლიჩიძე

ჩემი თვალები

ლამაზი გოგოაო, ჩემზე ამბობენ. მე ხშირად მივდივარ სარკესთან და დაქონებით შევცქერა ჩემს ორეულს.

წარმოდგინეთ ჭრელი თვალები.

მოსაწონია მარტის თვის ცასავით ჭრელი თვალები?

და მაინც გაიძახიან: ლამაზი, ცისფერი თვალები!

ვერ ვიტყვი, რომ დამცინიან. არა, მათ ნამდვილად მოსწონთ ჩემი თვალები, — ახლა მოდაშიაო ასეთი თვალები... თუმცა ერთი უნდა ვთქვა: ჩემი ჭრელი თვალები არასოდეს გამიმართავს ვაჟისათვის.

ცხვირი...

ვერ ვიტყვი, ცუდი მქონდეს, — სწორია, ჩამოქნილი.

წამწამები და წარბები შავი მაქვს. მართალია, მაყვალევით შავი არაა, მაგრამ არც წაბლისფერი ეთქმის. სამაგიეროდ თმა... ეჰ, თმამ დამჩაგრა... შეიძლება მართლაც ლამაზი ვყოფილიყავი, თმაც რომ შავი მქონდეს... ეს გიყვები კი გაიძახიან, — მოდაშიაო ასეთი ფერის თმა! ვთქვათ ასეა, მაგრამ მერე რა ვქნა, დრო რომ გაუვა ამ მოდას?

არა, ერთი შეხედვით არა ვარ ცუდი გოგო და, თუ კარგად დაუკვირდები... თუმცა, აბა რა მოსაწონია წელში გაწყვეტამდე ვიწრო ტანი, მეტი სისრულე შეშვენის სხეულს...

ეს გიყვები კი ლამაზი გოგოაო, გაიძახიან!

ერთხელ თამუნამ მითხრა:

— თებრო, წადი ქალაქში.

გაკვირვებისაგან თვალები დავკეციტე. აგერ მეორე წელია ეს არ წამოცდენია თამუნისა. ახლა რამ გაახსენა?

— ჰო, წადი ქალაქში და... — თამუნამ სათქმელი აღარ დაასრულა.

— რას ამბობ, თამუნია, გო!

ჩვენ თვალუწვდენ ჩაის პლანტაციაში ვიდექით, თავზე დიდი, დიდი ფარფლიანი ჭილის ქუდი გვეხურა და წითლად დაწინწკლულ ჩითის კაბებში შორიდან, ალბათ, სოკოებს ვგავდით.

თამუნამ ჩემს კალათებს შეავლო თვალი და მითხრა:

— ასე მგონია ეს კალათები წელში გადაგტეხს... რა შენი საქმეა ჩაის კრეფა და კალათების თრევა.

— თამუნია, ჩვენ ამაზე დიდი ხნის წინათ დავამთავრეთ დავა, ახლა რამ გაგახსენა?

— თებრო... შენ უნდა წახვიდე, უნდა ისწავლო...

— შენ, შენ არ გინდა სწავლა? ქალაქი არ გიზიდავს?

— მე?... მე რა საქალაქო ვარ, მე ნამდვილ სოფლის ქალად გავჩენილვარ... შემომხედე, ორი თებრო გამოიჭრება ჩემში. — თამუნამ ხელები გაშალა,

თითქოს ჩემი დარწმუნება უნდა ნათქვამის სიმართლემო. შემდეგ სიხარულით ჩაილაპარაკა: — სწავლა კი მინდა, თებრო, როგორ არ მინდა, მარა ოჯახს რა ვუყო?..

მართალია თამუნია! ვუყურებ ჩემს მეგობარს და ვფიქრობ: აი ვისზე უნდა ამბობდნენ, ლამაზიაო!

თამუნია გამალებით კრეფს ჩაის. ვგრძნობ, რაღაცაზე თუ ვიღაცაზე გულნატკენია!

— ჩემო თამუნია, — ვეუბნები. — აგერ ორი წელია, რაც შენთან ერთად ჩაის ვკრეფ, კარგადაც ვკრეფ... არც წელი მომწყვეტია და არც ფეხი მომიტეხავს. არ მეგონა, თუ ამდენ ხანს შეგრჩებოდი სოფელს... შრომამ გამიტაცა და სწავლა თითქმის გადავიწყა... შენ მართალი ხარ, თამუნია, მამაც მართალია... ყველა მართალია... მე უნდა ვისწავლო... მხოლოდ შემდეგ... წელს არ ვაპირებ სოფლიდან წასვლას...

თამუნის თითქოს თოფი ესროლეს. შეკრთა. სახეზე სისხლი მოაწვა, თვალებში ცეცხლი აენთო, სულ გამოიცვალა... მხოლოდ წუთით, მალე ისევ დამშვიდდა და ჩაილაპარაკა:

— შენ უნდა ისწავლო, თებრო... შენ ისეთი გოგო ხარ...

— ვიცი, ლამაზი გოგო ვარ!

— ჰო, შენ ისეთი გოგო ხარ, იქ ვინმე დიდი კაცი...

— დიდი, ნასწავლი კაცი მომიტაცებს...

— არა, მოტაცება რა შუაშია, შეგიყვარებს... ცოლად შეგირთავს.

— მერე!

— მერე რა?... შენც ნასწავლი იქნები, ისიც... ერთი სიტყვით, კარგ ოჯახს შექმნით.

— ამისთვის მიშვებ ქალაქში, თამუნია?

— სხვა კიდევ რა გინდა?

— ქმარს აქაც ვიშოვი.

— ვიცი, ბაგრატას გოგია გელრიჯე-

ბა, — თითქმის ჩაიხურჩულა თამუნია და რატომღაც უცებ წამოწოთლდა. — არც სხვა დამიწუნებს.

— ესეც ვიცი.

— აბა, რატომ წავიდე მაინცდამაინც ქალაქში?

— იმიტომ, რომ იქ ქმართან ერთად სწავლასაც შეიძენ, აქ კი...

— არ მინდა, გოგო, ქმარი, თავი დამანებე! — შეეძახე ღიმილით თამუნის, ჩაის ბუჩქს გადავევლე და მოვეხვიე: — არ მეტყვი, რა მოგდის, თამუნია? მითხარი რა, მითხარი!

თამუნია გაიღიმა. მე ამ ღიმილში სიმწარე მეტი შევნიშნე. მიგხვდი, რაღაცას მიმაღავდა. უნდოდა ეთქვა და ვერ შემოებედა...

თამუნია ორი წლითაა ჩემზე უფროსი. დედით ობოლი, ოჯახის დედაბოძია. მას ჩემთან შედარებით გამოცდილად მიაჩნია თავი და ასეც არის. ზოგჯერ ბავშვურ საქციელს მისაყვედურებს, მერე გულში ჩამიკრავს; შენ ისეთი კარგი ხარ, უთუოდ ბედნიერი იქნებიო, მეუბნება ხშირად. საშუალო სკოლა რომ დავამთავრე და პლანტაჟიაში გავედი ჩაის საკრეფად, თამუნია გადაირია, რა არ მითხრა, როგორ არ ეცადა, დავერწმუნებინე, რომ მე სოფლისათვის არ ვარ გაჩენილი, რომ უსათუოდ სწავლა უნდა განმეგრძო და ქალაქში მეცხოვრა. თუმცა იმასაც ამბობდა, უშენოდ რა გამაძლებინებსო.

ქალაქში ცხოვრებაზე რა გითხრათ და სწავლაზე კი ვფიქრობდი. მინდოდა, ერთი წელი მაინც დავრჩენილიყავი სოფლად, მეშრომა და ჩემი ქალაქში წასვლა მშობლებისათვის გამეადვილებინა.

მამას არ გახარებია ჩემი გადაწყვეტილება, ძალიან უნდოდა ნასწავლი გოგო ჰყოლოდა, დედა კი ფარული სიხარულით შეხვდა ამ ამბავს — არ ემეტებოდა ერთადერთი ქალიშვილი ქალაქში გადასაქარგავად. როგორც იქნა, თამუნიაც შეურიგდა ამას და აგერ მეორე წელია ერთად გავდივართ ჩაის

საყრფად. ისე შეეჩვიეთ ერთმანეთს, აღარც ვეძებთოდი საქალაქოდ. დღეს კი, დღეს რა დამართა თამუნისა?... როგორ თქვა: „ბაგრატას ბიჭი გოგია გელრიჯებაო?“

შუალამე გადავიდა. არ მძინავს. შეეყურებ ჭერს და იქიდან ტრაქტორისტი გოგია მიდიმის... როგორ თქვა თამუნია? გელრიჯებაო?... სულაც არ იღრიჯება, უნდება კიდევაც ღიმილი გოგიას... ვითომ ასე კარგია გოგია ტრაქტორისტი? მე კი მუდამ სახეშოთხუზნული მახსოვს. ერთხელ ვნახე კლუბში სუფთად ჩაცმული. რომ ჩავეუარე, გამიცინა; კარგად არც კი შემხედვავს და აი თურმე რა კარგი ღიმილი ჰქონია გოგიას!..

ნუთუ გოგიაა, თამუნისა რომ... მერე მე რა შუაში ვარ?..

მეორე დღეს, თამუნისა რომ გადავძახე, სახლში არ დამხვდა. მარტო წავედი. პირველად წავედი მარტო სამუშაოზე. თამუნია აღარ დამელოდა.

— გამარჯობა, თამუნია! — მივაძახე კრეფაში გათულს, — რატომ არ დამიცადე, გო?

— გავიმარჯოს... საქმე მქონდა ისეთი...

— ჰოო, რადგან საქმე გქონდა!

ორივე ველუმვართ. თითების შარი-შური ისმის და კალათები თანდათან მძიმდებიან.

— თამუნია, — ველარ მოვითმინე მე.

— ჰა!

— გიყვარვარ, თამუნია?

თამუნია კრეფას თავი მიანება და შემომხედა. მიყურებს თავისი ჭკვიანი, თაფლისფერი თვალებით... რაღად უნდა ფიცი და მტყიცო! ვუყვარვარ, ნამდვილად ვუყვარვარ თამუნისა!

— რატომ მეკითხები, თებრო?

— თამუნია, მითხარი, საყვარელო, ყველაფერი მითხარი! მე ხომ შენი თებრონე ვარ? რატომ გერიდება ჩემი?... იქნებ, იქნებ მე...

ველარ დავამთავრე და თამუნისა

მოვხვებო. ცრემლი ველარ შეიკავა. იქვე ჩავცუცქდით, ჩაის ბუჩქი ჩრდილად ვიფარეთ და გავყუჩდით. ჩრდილი
— თებრო, შენ იცი რაა სიყვარული? — მეკითხება თამუნია და თვალეში მიცქერის.

— სიყვარული?! სიყვარული როგორ არ ვიცი რა არის, მაგრამ...

— ჰოდა, თუ იცი, გათავდა ყველაფერი.

— რა, რა გათავდა, თამუნია?! მე რომ ვიცოდე, სიყვარული რა არის, ეს ვის რას უშლის ხელს?!.

— არა, ეს არავის უშლის... შენ სიყვარულიც იცი რა არის და გიყვარს კიდევაც...

მე გავშრი.

— ვინ მიყვარს, რას ამბობ?!.

— ის, ვინც მე მიყვარს...

სული მოვითქვი. მე ხომ არავინ მიყვარდა.

— ბედნიერი ხარ, თამუნია! — შევძახე გახარებულმა. — მე ხომ არავინ მიყვარს.

— მართლა?!

— მართლაც და მეტიც!

თამუნია ისევ მოიწყინა.

— სულერთია, მას უყვარხარ, — მი-თხრა ნაღვლიანად.

— არ გადამრიო, თამუნია, ვის ვუყვარვარ?!

— ვისა და გოგიას...

შევკრთი

— გოგიას?

— ჰო.

— მერე?

— მერე ისა, რომ უყვარხარ.

— მე არ მეკითხება?

— ეს სხვა ამბავია.

— როგორ თუ სხვა?

— როგორ და... — თამუნია თავი მიაბრუნა და ისე ჩაილაპარაკა: — მეც მიყვარს გოგია... ისე მიყვარს, რომ მისთვის არ მეკითხავს...

აბა, რა უნდა მეთქვა? მაგრამ მაინც ვთქვი:

— მე წავალ ქალაქში, თამუნია... მა-ლე წავალ...

თავი შევიკავე, თორემ მინდოდა კიდევ მეტყვა, თუ გიშველის ჩემი წასვლა-მეთქი. ახლა უკვე ვიცოდი რა აწუხებდა თამუნას. თუ მე წავიდოდი ქალაქში სასწავლებლად, მას სოფელში ველარავინ აჯობებდა. თუმცა, ღმერთმანი, არც მე ვჯობდი თამუნას, ნამდვილად არ ვიყავი მასზე უკეთესი!

თამუნია მაინც ვერ გავახალისე.

— შენ ჩემი გულისთვის რატომ უნდა წახვიდე ქალაქში. — თქვა მან თავაუღებლად. — გუშინ რაღაც ვისულელე, ჩემი თავი ვერ პიცვნიას, თებრო... ცუდი გოგო ვარ... ბოროტი... აპატიებ შენს თამუნას? ა? აპატიებ, თებრო?

პატიება რომელია, მზად ვიყავი მისი გულისთვის წყალში გადავვარდნილიყავ, მაგრამ რა შემძლო? ჩემთვის, გუნებაში, გოგიას ვემუქრებოდი. ეს იყო და ეს.

— თამუნია, საიდან მოიტანე, რომ გოგიას ვუყვარვარ? — წამომცდა, როცა საღამოს სახლში ვბრუნდებოდით. თამუნამ არ მიპასუხა.

როცა მისი ეზოს ჭიშკარს გავუსწორდით, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ჭიშკართან მივიდა, კალათი ეზოში შეაგდო და იქვე ლოდზე ჩამოჯდა. მასთან მივედი.

— რა მოგდის, თამუნია?

— რაო, რა მკითხე?.. საიდან იციო? . მე ისიც ვიცი, როგორ უფროხობს მას ძილს შენი თვალები...

— კარგი ერთი!..

— ჰო... ამას წინათ მთელი ღამე რომ აბურღალა ტრაქტორი სატურის ფერდობზე, ხომ გახსოვს? თავმჯდომარემ შეაქო, მადლობა უთხრა... იცი გოგიამ რა უპასუხა?

— რაო?

— თებრონეს უმადლოდეთო, კოწიას ქალიშვილს...

— უყურე შენ! თუ გოგო ვყოფილვარ, ვანანებ!

— იცი რა, თებრო, მართლა ბავშვი ხარ... არ გეწყინოს! ხომ არ გეწყინება?

წამოდგა, მაკოცა და ეზოში შეიბრუნა.

მოწყენილი დავბრუნდი სახლში. ისიც თამუნისათვის!

უვახშმოდ დაეწეკი. სინათლე არ ჩამიქრია, ჭერს მივჩერებივარ, იქ კი ისევ გოგია იღიმება. როგორ თქვა თამუნამ? გელრიჯებო? სულაც არ ილრიჯება, უხდება კიდევაც ღიმილი გოგიას... ეჰ, გოგია, გოგია!.. რაო, თებრონეს უმადლოდეთო?.. თებრონეს თვალები ძილს მიფრთხობსო?.. რა ნახა მაინც ამ ჭრელ თვალებში? არა, ნამდვილად სულელები არიან ბიჭები, თორემ თამუნის ვინ აავლებს თვალს?

ღილით მამას ვეუბნები:

— მამიკო, ქალაქში უნდა წავიდე.

— რისთვის?

— სასწავლებლად.

— ჰოო!.. მეგონა გადაგვიწყდა; მადლობა ღმერთს!

— დედიკო, მომილოცე!

— რა, შვილო?

— სასწავლებლად მივდივარ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო, მარა მე რაღა მეშველება?

— გეშველება, ყველას ეშველება!

ჩემი აღტაცება უცბად ჩაქრა. თამუნია? თამუნისა ეშველება?.. თამუნია მარტო რჩება. იქნებ მართლა გამართლდეს თამუნის გულისთქმა? იქნებ მაშინ მაინც აეხილოს თვალები გოგიას და შეამჩნიოს თამუნია? იქნებ... ა?

მაღე ჩემი გადაწყვეტილება მთელმა სოფელმა გაიგო. გზას მილოცავდნენ.

— ასე როგორ იქნება, დეიდა ანიკო, მაღე დაბრუნდიო, გინდა გამოცდაზე ჩავიჭრა?

— უი, ღმერთმა დაგვიფაროს, შენი ჭირიმე!.. ისე არ მემეტები გოგო!

— ჰოდა, აბა ბარე კარგა ხანს ვერ დავბრუნდები.

— იცოცხლე, შვილო, იცოცხლე!

— იცოდე, როგორც კი დაამთავრებ უმაღლესს, იმ წუთშივე აქეთ უნდა მოკურცხლო, აბა! მიტომ გაძლევ ოქრო-

სავით დახასიათებას, — მითხრა თავმჯდომარემ და ხელი მაგრად ჩამომართვა.

— შე კაცო, ბავშვი არ დაბადებულყო და პეტრეს არქმევდნენო! ვინ იცის, იქნებ სვალვე მოკურცხლოს აქეთ, — ჩაიქირქილა ენამწარე ბულა-ლტერმა.

დადგა გამგზავრების დღე.

ავტობუსის გაჩერებამდე მშობლები არ გამიყოლებია, რადგან თამუნია მაცილებდა. ტვირთიც არ მქონდა მძიმე.

— მე მალე ჩამოგაკითხავ, — მითხრა მამამ, — იმ ჩემ დაიას უთხარი, არაფრის შეეშინდეს, ყველაფერს თავის ღროზე მოგაწვდი. სხვა, შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ არ მომჭირი თავს.

— შეილო, — მითხრა დედამ, — აბა შენ იცი, რა ჭკუით იქნები, წერილები ხშირად მომწერე; თუ ვერ მოეწყვე, ქალაქში ნუ გაჩერდები, მალე ჩამოდი...

— რას ამბობ, დედა, კარგი მითხარი რამე!

გადავკოცნე ორივე და წამოვედი.

— მაინც შენი გაიტანე ხომ? — მეუბნება თამუნია გზაში. — რატომ დამიჯერე მე სულელს... მე ხომ პატიება გთხოვე... მე ხომ... — წუხს თამუნია და მზადაა ხმამაღლა იტიროს.

— რას ამბობ, თამუნია?... არ გინდა ვისწავლო? შენ არ იყავი, ასე დაჟინებით რომ მთხოვდი მესწავლა? ჰოდა, ახლა რა მოგდის?!

— როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა, ჩემო თებრო!.. მინდა, რომ განათლებული ქალი იყო... მიხარია კიდევაც, სასწავლებლად რომ მიდიხარ... მიხარია, მაგრამ... მაგრამ ეს მოლად ასე არაა... ახლა მე ვარ მიზეზი... შენ ხომ ჯერ არ გინდოდა წასვლა... შენ, აი მიდიხარ და არასოდეს არ დაბრუნდები... შენ ისეთი გოგო ხარ, არ გამოგიშვებს ქალაქი... მე ეს მჯერა, მე ვიცი, არ დაბრუნდები...

— რას ამბობ, თამუნია, დაუკვირდი, რას ამბობ? ვინ დამტოვებს ძალად, ვინ

მაიძულებს!.. ჯერ ვნახოთ, თუ მოვეწვევ... ვინ იცის, იქნებ სულ მალე დაბრუნდეს... თუ მოვეწყვე, როგორც კი დავამთავრებ, იმ დღესვე აქ გავჩნდები. თქვენთან ვიქნები, ამ ჩაის ბუჩქებს მოვუვლი, გავახარებ და მოვუვლი... — კარგია, კარგი დაგემართოს, მაგრამ რატომღაც არ მჯერა, ჩემო თებრო.

— რომ ვამბობ, ასე იქნება. წერილებს ხშირად მოგწერ. შენ ხომ მომწერ? ალბათ, მალე ქორწილში დამპატიებ და იცოდე, ორი-სამი ამხანაგის წამოყვანის უფლებას ახლავ გთხოვ... შემდეგ, სულ რომ ჩამოვალ, შენ ბიჭი გეყოლება...

თამუნიას მწარედ ელიბება და სიტყვას მაწყვეტინებს:

— თებრო, ერთი რამე მინდა გთხოვო.

— ათი... ასი, თამუნია!

— ერთი, მხოლოდ ერთი, თებრო... არასოდეს არ იფიქრო ჩემზე ცუდი... მე ერთხელ ვიყავი ცუდი, აი მაშინ...

— არა, არა, შენ არც მაშინ იყავი ცუდი... გაჩუმდი, ნუ ამბობ მაგას!..

— ჩვენ მუდამ გვეყვარება ერთმანეთი.

— ჰო, თამუნია.

— ჩვენ...

თამუნია ადგილზე გაქავდა, თითქოს მიწამ მიიკრა მისი ფეხები. სიტყვა ტუჩებზე შეახმა.

გოგია!

ავტობუსის გაჩერებასთან, ბებერი ლედვის ძირში, ჩემოდანზე ზის გოგია და პაპიროსს აბოლებს. დაგინახა და წამოდგა. გაგვიღია.

ჩვენ მისკენ წავედით.

— თამუნია, მიაცილებ დობილს, ა? — ღიმილით შეათვალიერა გოგიამ თამუნია.

— ჰო...

ძლივს ამოთქვა თამუნია.

— ჩემი გაცილებაც მოგიხდება.

თამუნია გვერდზე გაიხედა.

— თქვენ საით, გოგი? — ვკითხე სხვათა შორის.

— მე? მე... მინდა ბედი ვცადო სასოფლოზე... — ძალიან გაუძნელდა, მაგრამ მაინც თქვა გოგიამ და გაიღიმა, გაიღიმა და ისე გაწითლდა, თითქოს ცეცხლის აღმა შეანათა სახეზე.

თურმე როგორ შეგნის გოგიას ღიმილი!

ავტობუსი ჩამოდგა.

მე და თამუნამ ერთმანეთი გადავკოცნეთ და ავტირდით.

გოგიამაც ჩამოართვა ხელი თამუნას. რაღაც უთხრა. მე ავტობუსში ვზივარ. ჩემს გვერდით გოგია ზის და მთელი სახით იღიმება. გარეთ კი... გარეთ კი ბებერი ლელვის ქვეშ დგას თამუნია და ვატყობ, თავს ძლივს იკავებს. თვალი ვერ გაუსწორებია ჩემთვის. როცა მანქანის ძრავა ათუხთუხდა, მხოლოდ მაშინ ასწია თავი თამუნიამ და თვალი თვალში გამიყარა. მე ვერ გავუძელი მის გამოხედვას და თავი დავხარე.

ავტობუსი დაიძრა.

ბებერი ლელვთან დარჩა ცისფერი კვამლში გახვეული, ანგელოსიფიკებული აღმართული თამუნია... მე რაღაც ვაწეწე, წუხებს, მინდა დავბრუნდე, ფეხებში ჩავუვარდე თამუნისა და პატიება ვთხოვო... მინდა ვუთხრა, რომ დავაშავე, რომ მას წავართვი რაღაც ყველაზე ძვირფასი... წავართვი ისე, რომ თვითონ ვერ გავგკველვარ, რატომ და როგორ!..

ავტობუსი კი, ვითომც არაფერი, მიდის, მისრიალებს სოფლის გზაზე.

„მე ისიც ვიცი, როგორ უფრთხობს მას ძილს შენი თვალები“, — მესმის თამუნის სიტყვები და თვალს ვარიდებ გოგიას. რა ნახა ჩემს ჭრელ თვალებში, რამ გადარია!.. სულელები არიან ბიჭები, თორემ თამუნისთანა გოგოს თვალს აავლებს ვაჟკაცი?

ავტობუსი მიდის, მისრიალებს.

აპატიე ჩემს თვალებს, ჩემო თამუნია... მე ჯერ არაფერი ვიცი, რა მოხდება ან რა იქნება... და მაინც აქედანვე ვთხოვ, აპატიე ასე უცაბედი ცოდვა ჩემს თვალებს, ჩემო თამუნია!



ამიკან სუკანძიძე

* * *

ო, აქ ტყემლის თეთრ ფიჭვებით
დაიფარა შარა,
იბარდნება ეს ფიჭვები
და ვჩურჩულებ — კმარა!

ვევედრები ტყემლის ტოტებს
და ქლიავის კვირტებს,
ხან გაფრენილ მტრედებს ვიჭერ,
ხან ფათქუნა გვრიტებს.

სადღაც მთაში თოვლი მოდის,
ფანტელები ცვივა...
შენზე ფიჭვი გულს მითბობს და
უშენობით მცვივა.



ვერდიანის მემორუარი

პორტრეტი

ლომონოსოვმა ფართო ხელისგული-
დან ყუთში გადაყარა მზის სხივებზე
აბრჭყვიალებული მოზაიკის მწვანე მა-
რცვლები და ნელა, უგუნებოდ დაიწყო
სამუშაო წინაფრის ზონრების გახსნა.

— ამბობ, რომ სასწრაფოდ მთხო-
ვენ?

— სასწრაფოდ, მიხაილო ვასილის-
ძევ, — თავაზიანად უბასუხა კართან
მდგომმა ოქრომკედლით მოქარგულ ლი-
ვრეიანმა მაღალმა ჰაიდუკმა.

იგი უხერხულად იცვლიდა ფეხს,
ცდილობდა არ წაეარებოდა კედელს,
განუწყვეტლივ უბერავდა სულს თავი-
სი ქუდის თეთრ ფრთას, რათა უხილავი
მტვერი მოეცილებინა, და შიშნარევ
მზერას აყოლებდა სახელოსნოში მო-
ფარფატე ქვარტლს. ლომონოსოვმა
დაიჭირა მისი მზერა და გაეღიმა.

— დასერისა გეშინია?

— გეშინია, მიხაილო ვასილის-ძევ.

— გადი ეზოში. ეტლთან დამიცადე.

ლომონოსოვმა წინაფარი ლურსმან-
ზე ჩამოკიდა. კარებისაკენ მიმავალი
შეჩერდა სმალტით საესე ყუთთან და,
თითქოს ხმამალა ფიქრობსო, ჩაილა-
პარაკა:

— ცივია მწვანე ფერი. მომიხდება
შველაფრის თავიდან დაწყება. საჭიროა

ჩქარა წავიდე უსტ-რუდიცის ფაბრიკა-
ში. აჰ, როგორც ჩანს, არ მომცემენ
მუშაობის საშუალებას.

ჭიშკართან, ორ გუბეს შუა, კამერ-
პერის ივანე ივანეს-ძე შუვალოვის
ღერბებიანი მაღალი ეტლი იდგა.

ჰაიდუკმა ჩვეული ჟესტით გადმოი-
სროლა კიბე, ფართოდ გამოაღო და
დაიკავა კარი და, როცა ლომონოსოვი
მოთავსდა მისი სიმძიმით აჭრიალებულ
საჯდომზე, მოხდენილად, ტკაცანით
დახურა იგი.

ეტლი დაიძრა მოიკის სანაპიროს გა-
სწვრივ ნევის პროსპექტისაკენ.

„რისთვის დავჭირდი ასე სასწრაფოდ
შუვალოვს? — ფიქრობდა ლომონო-
სოვი, — შესაძლებელია შუვალოვმა
მიადწია პრივილეგიის ტაუბერტის წი-
ნაშე აკადემიის კანცელარიაში? თუ
ისევ სინოდი მოითხოვს სულეირი მა-
მების გამაშვებელი ღვთისმგმობი
„წვერების ჰიმნისათვის“ ჩემს დას-
ჯას?“

ეტლში ცხელოდა, იდგა მტერიანი
ხვერდისა და ჰუდრის სუნი. ლომო-
ნოსოვმა ფარდა გადასწია და ფანჯარა
დაუშვა.

ქუჩიდან დაბერა გაზაფხულის სინეს-
ტემ. ამღვრეულ მოიკაზე მოცურავდა
ყოველნაირი ნაგავი: ყინულის ნამსხე-
რეები, რომლებშიც ცხენის ნაეკლი

ჩაყინულიყო, ნაფრტები, თივა, შეშა. ყველაფერი ეს ერთმანეთს ეჯახებოდა და იძირებოდა, ხან კიდევ კუნძულებად იხერგებოდა.

ლომონოსოვმა შენიშნა არყის ხის როკებიანი კუნძი, რომელიც - დინებას მიჰქონდა ნაპირისაკენ შავ, ნელ-ნელა მოფოფინე ჭანჭრობაში. თითქოს არ სურს იქით გაცურვავო, კუნძი ხან ერთ ადგილზე ტრიალებდა, ხან თავისი როკებით ფანტავდა ირგვლივ შემოხვეულ ხარა-ხურას. ბოლოს, ერთმა მძიმე მორმა კუნძი ხიმიჩვებთან მიაიწყვდია და გამარჯვებულმა ჭანჭრობაში ერთ წუთში დაფარა მისი ურჩი როკები.

ეტლმა პოლიციის ხიდი გადაიარა და ნეესკიზე შეუხვია.

* * *

ეტენ ფესარი. პარიზელი გრავიორი, ფერწერისა და ქანდაკების აკადემიის წევრი, უკვე მეორე კვირაა პეტერბურგში ცხოვრობდა.

ნისლიანი, მშენებლობადაუმაჯრებელი პეტერბურგი, რომელსაც გამჟოლი ნესტიანი ქარი უბერავდა, ნაღველს გვრიდა მას. სამხატვრო აკადემიას, რომელშიც მასწავლებლად მოიწვია იგი რუსეთის დედოფლის ფავორიტმა, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველმა ივანე ივანეს-ძე შუვალოვმა, არ გააჩნდა არც შენობა, არც მოსწავლეები, არც სახსრები. იგი არსებობდა მხოლოდ ხელოვნებით, გატაცებული დიდებულის წარმოდგენაში.

ფესარი არ აპირებდა რუსეთში დარჩენას. პეტერბურგში მას აკავებდა უგზოობა და ამ კრეზივით მდიდარი მეცენატის დაკვეთა. მან სთხოვა ფესარს დაეხატა რუსეთის მეფის კარის მეხოტბის ბატონ ლომონოსოვის პორტრეტი.

„საინტერესოა, როგორია იგი, მათი პოეტი! — ფიქრობდა ფესარი და შუვალოვის განიერ კაბინეტში ლომონოსოვის მოსვლას ელოდებოდა. — თუმ-

ცა ასეთ პორტრეტში აუცილებელია აისახოს ბატის ფრთა, ქალღმრთის ფეხები, ცელი, ზევითკენ მიპყრობილი ნებბული მზერა, თავისუფალი, მაგრამ მოკრძალებული პოზა და, რა თქმა უნდა, რომელიმე შესაფერისი ფონი“.

ფესარმა ალბომი გახსნა და რამდენიმე შტრიხით მოხაზა ფიგურა. კომპოზიცია კარგი გამოდიოდა. საჭირო იყო მხოლოდ სახის დახატვა და ესკიზი მზად იქნებოდა.

კაბინეტში შუვალოვი შემოვიდა. მას ეცვა უბრალოდ, ბეწვშემოვლებული ხალათი; მხრებამდე სწვდებოდა წამოსახსამის ფართო გადანაკეცი, რომელზეც მოყოლებული მუქი ფუმფულა ბეწვი ძლიერ უხდებოდა მისი ანგელოსებრივი სახის ნახვარდისფერ კანს. იგი ოცდაათ წელზე უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

— მე უკვე გავგზავნე მიხაილო ვასილის-ძის მოსაყვანად, — ზანტად, სიტყვების გაჭიანჭრებით წარმოთქვა შუვალოვმა, — ნახევარ საათში აქ იქნება.

— თქვენო მაღალღმადმობებლებავ, მე აქ ზოგიერთი რამ მოვხაზე, — თავი დახარა ფესარმა. — მე საესვებით მიზანშეწონილად მიმაჩნია დავხატო თქვენი პოეტი იმ მომენტში, როცა ღვთაებრივი შთაგონება კარნახობს მას კეთილზმოდან სტროფებს მისი მეფური უდიდებულესობის სადიდებლად.

— ჰოდა, კარგი... თქვენ, ბატონო მხატვარო, წარმოსახვის მახვილი უნარი გქონიათ. მე მომწონს თქვენი ჩანაფიქრი.

შუვალოვს იმიტომ უფრო მოეწონა ფესარის ესკიზი, რომ იგი მშვენივრად ეგუებოდა თვით შუვალოვის მიერ შეთხზულ წარწერას. იგი მან შეთხზა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დააპირა შეეკეთა პორტრეტი ლომონოსოვის თხზულებებისათვის, რომლებიც მოსკოვის უნივერსიტეტის სტამბაში იბეჭდებოდა.

შუვალოვმა წარწერა წამღერებდით

წაიკითხა და მცირე პაუზის შემდეგ ჩვეული ზანტი ტონით დაუმატა:

— მე მსურს ეს ლექსი პორტრეტს მივაწერო.

— დიახ, დიახ, — თავი დაუქნია ფესარმა, — მაგონდება, რომ ლაფონტენის პორტრეტის ქვეშაც იყო მიწერილი ლექსი.

— ბატონი კოლეგიის მრჩეველი და პროფესორი მიხაილო ვასილის-ძე ლომონოსოვი, — მოახსენა ლაქიამ.

— აი ჩვენი პოეტიც! — შესძახა შუვალოვმა და ლომონოსოვის შესახედრად გაემართა.

— გამარჯობათ, თქვენო მაღალადმატებულიებავ! — თავი დაუკრა ლომონოსოვმა. მოქნილი, ნარნარი მოძრაობით შუვალოვმა მკლავში ხელი გაუყარა ლომონოსოვს.

— მე შენ ასე სასწრაფოდ იმიტომ დაგიბარე, რომ მეშინია, ისევ შენს ფაბრიკაში გაიქცევი და მთელ ზაფხულს ვერავინ გნახავს.

— გავიქცევი, ივანე ივანეს-ძე, საჭიროა იქ წასვლა. არ გამომდის, ვერ მივიღე საჭირო ფერი.

— შენ გამოგივა. მაგრამ ამაზე სხვა დროს. მე აზრად მომივიდა შევამყო შენი თხზულებანი პორტრეტით, როგორც ეს კეთდება განთქმული მწერლების თხზულებებში. საბედნიეროდ, ახლა აქ არის ცნობილი მხატვარი — ბატონი ფესარი, სამეფო აკადემიის წევრი. თავის სამშობლოში ბატონმა ფესარმა გააკეთა დე არგენსონის, დუკა შუაზელის, კარდინალ ლინისა და სხვა განთქმულ პირთა პორტრეტები. ჩვენ კი იმ პორტრეტს გავუკეთებთ წარწერას შენი დამსახურების შესაფერისად.

— თუ კი თქვენ მეცნიერებისადმი სიყვარულისა და კეთილი სურვილების გამო გსურთ გამოაჩინოთ ჩემი დამსახურება, მაშინ, მართალი მოგახსენოთ, ჩემს პორტრეტზე უფრო მეტად მინდოდა შეგესრულებინათ ჩემი თხოვნა ტაუბერტთან პრივილეგიების შესახებ.

— ისევ აკადემიის საქმეები. — ოდ-

ნავ შეიკუმხნა შუვალოვი. — ერთი მეორეს ხელს არ უშლის, ბატონი ფესარი კი კაბინეტში გველოდება.

შუვალოვმა ლომონოსოვი ფესარს წარუდგინა.

დაბალი ტანის ფესარმა, რომელიც ლომონოსოვს მხრებამდე წვდებოდა, დაბლიდან მაღლა ახედა მას და უსიამოვნო ენის ჩლექით და სიტყვების ყლაპვით დაიწყო ჩქარი ლაპარაკი.

— მე ბედნიერი ვარ, ბატონო ლომონოსოვ, რომ მომეგო პატივი გაგიცნოთ თქვენ. ბედნიერი ვარ, რომ დავხატავ თქვენს პორტრეტს.

— სწორედ ჩინებულია, — შეაწყვეტინა შუვალოვმა ფესარს. — შენ, მიხაილო ვასილის-ძე, ნუ ჯიუტობ. ბატონი ფესარი დღესვე დაიწყებს მუშაობას.

— ბატონო პოეტო, გთხოვთ ჩამოვდეთ.

ლომონოსოვი მორჩილად ჩაეშვა სავარძელში და მუშტები დააწყო გაბრიალებული მინისაგან ნაკეთებ მაგიდის გრილ ხუფზე. ეს მინის ხუფი ოდესღაც მან აჩუქა უმაღლეს მფარველს არა იმდენად მაღლობის ნიშნად სიკეთისათვის, რამდენადაც უსტრუდიცის მინის ფაბრიკის მიღწევების დასადასტურებლად.

ფესარმა ალბომი გადადო და გულუბრყვილო წყენით გაასახსავა ხელები:

— არა! არა! ასე არა! თქვენ ხომ პოეტი ხართ, ბატონო ლომონოსოვ, და არა ვახშმის მოლოდინში მჯდომი გლახი.

ლომონოსოვმა დახედა თავის მძიმე, ჭვარტლამჯდარ, შრომას დახარბებულ მარჯვე ხელებს და წარმოთქვა: — მე-ლექსეობა ჩემი გასართობია, ჩემი საქმე კი ფიზიკაა.

ფესარს მისი სიტყვები არც გაუგონია.

— ბატონმა კამერპერმა, — შუვალვისაკენ თავის ოდნავი დახრით განაგრძო ფესარმა, — კეთილი ინება და გადმომითარგმნა რუსულიდან ზოგიერ-

თი თქვენი ქმნილება. ისინი საუცხოოა. მე განსაკუთრებით მომხიბლა სტიქიის დიდებულმა აღწერამ: „ღამის წყვდიადში კიაფობს ნათელი სხივი და ღრუბლებიდან დაშვებული ელვა ცეცხლის ენით ჰკვეთს დედამიწას!“ რა დიდებული სურათია!

„როგორც ჩანს, „სალამოს ფიქრებიდანაა“, — თავისთვის გაიფიქრა ლომონოსოვმა. — ეს ბჭკარები უნდა იყოს:

რას არხვეს ღამე სხივებს კაშკაშით?
რას კვეთავს ალი ცის სიმაყარეში?
როგორ ისწრაფის მიწიდან ცაში
ელვა, საადრეო ღრუბელთ ვარეშე?

მარჯვედ დაუმახინჩებია ფრანგს!“
ფესარი კი განაგრძობდა:

— მე გადაწყვეტიტე ავსახო ის დიდებული წამი, როდესაც თქვენ მოგველინათ შთაგონება და მუხები გკარნახობენ ხოტბას მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სადიდებლად. თქვენ წინ პოეტური უწესივრობით მიმოფანტულია ქაღალდის ფურცლები, ხელში ბატის ფრთა გიპყრიათ, თვალეში შთაგონების ცეცხლია.

ფესარმა ფუსფუსით შემოუბრინა ირგვლივ მძიმედ მჯდომ რუს პოეტს, პარიკმახერისათვის დამახასიათებელი მსუბუქი მოძრაობით შემოუბრუნა თავი მარჯვნივ, ხელი ჩავლო მის მარჯვენა მუხლს და გამოსწია მაგიდის ქვეშიდან.

— აი ასე, — კმაყოფილებით წარმოთქვა ფესარმა და ისევ აიღო ალბომი.

მან მკრთალი ოვალით შემოხაზა სახე, აღნიშნა თვალები, უკმაყოფილოდ შეიკმუხნა და დახატა ცხვირი („ცხვირი კი არა მიწამხალაა“, — წაიბურღლუნა თავისთვის) და დაუდო გვერდით მუქი ჩრდილი, შემდეგ გამოიყვანა სახე, ფუნჩულა ბაგეები, ნაზი ჩრდილით დაამრგვალა შუბლი და ლოყები, გულმოდგინედ დახატა პარიკის კულულები.

— თქვენ, ბატონო ლომონოსოვ, მე დაგხატავთ დერეფანში მჯდომს. თქვე-

ნი ფიგურა ძალზე ეფექტური გამოვა! მარმარილოს მოაჯირისა და იონური სვეტების ფონზე. მოშორებით კი ზღვა, გემები, ღრუბლები, ელვა, როგორც თქვენს ხოტბაშია „ელვა ღრუბლებიდან“.

ლომონოსოვს უკვე აღიზიანებდა ფრანგის ლაყბობა, მაგრამ ფესარი არ ჩერდებოდა, ის თავის მოვალეობად თვლიდა ლაპარაკით გაერთო ნატურა.

— ბატონო ფესარ, — როგორც იქნა შეაწყვეტინა მას ლომონოსოვმა, — რა საჭიროა ასეთი ფონი?

— ო! ეს პარმონიულად ეგუება პოეტის სახეს. ზღვა განასახიერებს თქვენი პოეზიის სიღრმეს, ჭექა-ქუხილი — მის ძალას. ბატონო ლომონოსოვ, დაივიწყეთ, რომ თქვენ პოზაში ზიხართ და დაიწყეთ ახალი ხოტბის შეთხზვა. მე კი შევეცდები აღვებჭდო შთაგონების ხილული სახე.

ლომონოსოვმა გაბრაზებით მიუგო რუსულად:

— მუხები ისეთი გოგოები როდია, რომლებზეც ყოველთვის შეიძლება ძალადობა, ბატონო მხატვარო.

ფრანგმა პოეტის სიტყვებში გაბრაზება შენიშნა და გაკვირვებით შეხედა შუვალოვს.

— ბატონი ლომონოსოვი ამბობს, რომ ღვთაებრივი შთაგონება დაკვეთით არ მოდის, — ღიმილის დაფარვით გადაუთარგმნა შუვალოვმა. — ნუ დავაძლებთ.

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, — თანხმობით დააქნია თავი ფესარმა და რამდენიმე შტრიხის გასმის შემდეგ შეაბრუნა ალბომი შუვალოვისა და ლომონოსოვისაკენ. — ესეიგი მზადაა.

— თქვენ ძალიან მარჯვე ხელი გქონიათ, ბატონო ფესარ, — უთხრა შუვალოვმა. — შენ მოგწონს, მიხაილო ვასილის-ძეე?

ლომონოსოვმა პასუხი დააყოვნა.

— მე ჩემს შრომებს ვუძღვნი არა მარტო რუსულ პოეზიას, — ყრუდ თქვა მან. — თავის საქებად არ ვიტყვი,

უცხოეთის ბევრ სახელმწიფოში პატივს მცემენ, როგორც მეცნიერს. მაგრამ პორტრეტში ეს არ ჩანს და, მგონია, ეს ამცირებს ჩემს საქმიანობას.

— შენ, თითქოს, მართალი ხარ, — გამოეპასუხა შუგალოვი. — მაგრამ, ვფიქრობ, ბატონი მხატვარი გამოიჩინა საშუალებას შეასწოროს თავისი ნაშრომი. ხომ ასეა?

ფესარი თანახმა იყო შეესწორებინა პორტრეტი.

ლომონოსოვი ფეხით ბრუნდებოდა სახლში მოიკის გავლით. თითქმის ზედ სახლთან, ჯაჭვის ხიდთან, მან უცებ შენიშნა წინათ დანახული არყის ხის კუნძი. მას გზა გაეკაფა პოლიციის ხიდის ქვეშ გაჩხერილ უამრავ საგანს შორის და ახლა, სუფთა წყალში გასული, სწრაფად მიცურავდა მდინარის შუაგულში, მის განიერ ნაკადში, რომელიც ერთვოდა დიდი ნევის თვალუწვდენ სივრცეს.

— მაინც გავიდა! — გაეხარდა ლომონოსოვს და გააცილა იგი ხანგრძლივი მზერით. — გავიდა!

* * *

ქარმა გაფანტა ღრუბლები ნოემბრის მკრთალ მტრედისფერ ცაზე. კაბინეტში სინათლემ მოიმატა.

ზაფხულში ლომონოსოვი ველარ დაელოდა, თუ როდის შეასწორებდა ფესარი ნახატს. იგი უსტ-რუდიცაში გაემგზავრა და ახლა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა უნივერსიტეტის სტამბიდან ამ დილით მიღებულ ფურცლებს პორტრეტით.

ზოგი რამ ფესარს შეეცვალა: მაგიდაზე გაჩნდა გლობუსი, ყუთი მოზაიკით, ფარგალი და ტრანსპორტიორი; ოთახის სიღრმეში ახლა უკვე მოჩანდა ფარდებით ნახევრად დაფარული თაროები ქიმიური ჭურჭლით, მაგრამ დანარჩენი მას უცვლელად დაეტოვებინა თავის პირვანდელ ნახატში. იგივე დარჩა პოზა, ზურგს უკან ისევ მოჩანდნენ

ახლა სრულიად შეუფერებელი სვეტებიანი მოაჯირი და ზღვის იგივე ხედი.

— აი საძაგელი ფრანგი! — შეიგინა ლომონოსოვმა, მობრუნდა და დაიძახა: — მოდი აქ, იგნატ, შეხედე ერთი!

იგნატმა, ყმა მინის მგერავმა და უსტ-რუდიცელმა მხატვარმა, აიღო ფურცელი, დაიჭირა გამართული ხელის სიშორეზე და მოჭუტული თვალით დაუწყოთ თვალიერება.

— რა, ვგევარ?

— თითქოს გვეხართ, მიხაილო ვასილის-ძე...

— საქმეც ის არის, რომ სახით თითქოს წააგავს ლომონოსოვს, იერი კი სხვა აქვს. ასეთ პოზიტურაში ლექსებს კი არა სწერენ, არამედ წარჩინებულ დიდებულთა წინაშე დგანან ისინი, ვინც ბედნიერებად თვლის მიიღოს უზენაესი გასილქება... მამცირებს მე ასეთი პორტრეტი.

— თქვენ, მიხაილო ვასილის-ძე, უსტ-რუდიცის ლაბორატორიაში უნდა დაეხატეთ.

— წინსაფრით თუ უპარიკოდ? — გაცეცინა ლომონოსოვს. — არ გამოვა. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის ხელმწიფის დიდების მომღერალს არ უხდება უბრალოდ გამოჩენა, ხოლო ჩვენს დიდებულებს არ სურთ გაიგონ, რომ მე ჩემი შრომებით მთელ მსოფლიოში ვავრცელებ რუსული მეცნიერების ჭეშმარიტ დიდებას. მისმა აღმატებულებამ ივანე ივანეს-ძემაც კი ჩემი საქმეების მისებრ ვიწრო გაგებით გაუკეთა პორტრეტს გაჯახიერებული წარწერა. — ლომონოსოვმა იგნატს პორტრეტი გამოართვა. — მე მაინც არ მსურს ქედი მოვიხარო. ვეტყვი ჩვენი აკადემიის მხატვარს, რამდენადაც შესაძლებელია შეასწოროს პორტრეტი.

ლომონოსოვმა ჩააწო ბატის ფრთა
მელანში, მსხვილი ჯვრით პორტრეტზე
გადახაზა გაშვერილი მარჯვენა ფეხი და
შემდეგ ორი მკაფიო ხაზით მოხაზა
ამავე ფეხის ადგილი მაგიდის ქვეშ. შე-
მდეგ კიდევ ჩააწო ბატის ფრთა მელან-
ში და მთლიანად დაფარა ღრუბლები,
ელვა და გემები.

— ამბობ, რომ უსტ-რუდიცში უნდა
დავებატე? დაე ასე იყოს! აქვე დავხა-
ტავთ უსტ-რუდიცის ლაბორატორიას,
ნაძვს, რომელიც მის მახლობლად დგას,

და არყის ხის შეშის შტაბელებს. სინამ-
შინა

ლომონოსოვმა მელნით შემოხაზა
მოზაიკიანი ყუთი, გლობუსი, მაგრამ
კალამი რაღაცას მოედო და მთელი
გრაფიურა მელნით მოითხუპნა. ლომო-
ნოსოვმა გვერდზე გადადო ფურცელი
და ამოიხეწნა:

— მრცხვენია, იგნატ, ამ პორტრე-
ტისა. ერთი იმედილა მრჩება, — ჩვენი
შთამომავლობა ამით კი არა, ჩემი საქ-
მეებით წარმოიდგენს ლომონოსოვს.

თარგმნეს ნ. პავლოვამ და მ. ბერძენიშვილმა.



პირა გეგმა

მკროსშერი მიხაკი

ბავშვები აღარ კვდებოდნენ. ამიერიდან მათ დასაცავად აღმდგარიყო მეცნიერების უახლესი მიღწევები და დიდებული მოწყობილობანი, რომელნიც კაცობრიობის გამომგონებლურ გონებას შეექმნა. ბავშვები უკვე აღარ კვდებოდნენ. მათ, უბრალოდ, არ შეეძლოთ მომკვდარიყვნენ.

ყველაფერი რაზეც ოცნებობდნენ შორეული წარსულის პოეტები და რომანისტები, თანდათანობით განხორციელებულიყო ცხოვრებაში — მოძრავი ტროტუარებიდან დაწყებული სასწაულებრივ რაკეტებამდე. პოლუსებზე და საჰარაში მოჰყავდათ უხვი მოსავალი. შაქარს ცარცისაგან იღებდნენ. დედამიწაზე არ იყო შიმშილი. საკმარისი იყო ქვის ნახშირის უმცირესი ნაწილაკის გახლეჩაც, რომ ქალაქები სინათლით ავსებულყვნენ. ადამიანს უკვე დაეპყრო მთვარე და დედამიწის მკვიდრთა უსაზღვრო ცნობისმოყვარეობისთვის სხვა პლანეტებიც თანდათანობით ხელმისაწვდომი ხდებოდნენ.

ყველაფერი ადამიანის ნებას ემორჩილებოდა. ომები აღარ იყო. ძველი სისხლიანი შეტაკებები მშენებელთა, პოეტთა, სპორტსმენთა შეჯიბრებებს შეეცვალა. ადამიანთა შრომის ნაყოფი შორეულ საჰაერო სივრცეებშიც

გვხვდებოდა. რაკეტების ტრიუმფები საესე იყო სიმინდით, ბრინჯით, ფორთოხლით, ქსოვილებით. მანქანებით, ამერიკული ხორციით, ციმბირის პურით, ფრანგული ღვინოებით. იასამნები და ვარდები წელიწადის დროებზე წარმოდგენებს რევდნენ. მაგრამ ყველაზე მშვენიერი და საკვირველი მაინც ის იყო, რომ ბავშვები არ კვდებოდნენ. წარსულის არც ერთ პოეტს, არც ერთ მწერალს არ ეოცნება ასეთ მიღწევას. ბავშვები არ კვდებოდნენ არც დედის საშოში, არც აკვანში, არც სასიცოცხლო ძალების გაფუჩქენისას.

ბუნებრივია, რომ გვიან, ძალიან გვიან ხანდაზმულობაში ადამიანები მიჰყავდა სიკვდილს. მედიცინის, განსაკუთრებით კი ქირურგიის, უდიდესი პროგრესის წყალობით ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა საგრძნობლად გაზრდილიყო. და დასასრული მაინც დგებოდა.

მაგრამ ბავშვებისათვის, რომელთა სხეული ნორჩი იყო, ხოლო სისხლი ცინცხალი, ეს პრობლემა არ არსებობდა, თითქმის არ არსებობდა.

იმ ეპოქის ადამიანები ამაყობდნენ იმით, რომ შეეძლოთ ეთქვათ — ჩვენი ყველა ბავშვი ცოცხალია, ჩვენ ვანიჭებთ მათ სიცოცხლეს და ვუნარჩუ-

ნებთ კიდევაც იმას, რასაც ვანიჭებთ. საღ თვალებს, ჯანმრთელ გულს, მოქნილ სხეულს. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მათ შეძლონ ამ ფასდაუდებელი საუნჯეების გამოყენება.

რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც ხდებოდა. რომელიმე იშვიათი ავადმყოფობის ავთვისებიანი ფორმა, ან უბედური შემთხვევა, რომლის აცილებას ვერ შეძლებდა ვერც რადარი, ვერც ელექტრონული თვალი... ხანდახან ასეც ხდებოდა...

* * *

ივლისის დამლევს ხმა დაირხა, რომ პარიზში რაღაც უცნაური ავადმყოფობით დაავადდა პატარა ბიჭი. ეს გამოაცხადეს გაზეთებში და ტელევიზიითაც გადასცეს, მაგრამ განსაკუთრებული მღელვარება არ გამოუწვევია. ექიმები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ამიტომ მაინცდამაინც არავინ შეშფოთებულა. ყველამ იცოდა, რომ თუ უახლოესი სამედიცინო ცენტრი უძლური აღმოჩნდებოდა და ვერ განკურნავდა ავადმყოფობას, მიმართავდნენ ეროვნულ ცენტრს, რომელიც ფეხზე დააყენებდა მეცნიერებსა და მკვლევარებს, სასწრაფოდ აცნობდნენ ყველა კვლევის ლაბორატორიას, აკადემიებს, მედიცინის გამოჩენილ მოღვაწეებს. უნდა დაუშვათ, რომ ეს მოხდა არადავების დროს, როდესაც ის-ის იყო დასასრულს უახლოვდებოდა საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში. გავიდა რამდენიმე დღე. გაზეთების უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდილმა ცნობამ გადმოინაცვლა პირველზე. სადაც ჩვეულებრივად კულტურისა და მეცნიერების დარგის უმნიშვნელოვანესი ინფორმაციები იბეჭდებოდა. შრიფტი თანდათანობით მსხვილი და მსხვილი ხდებოდა.

პარიზელი მოსწავლე კვლავ ავადაა!

ჩვენი გამოკვლევა მალე წარმატებით დამთავრდება,

— ამბობს პროფესორი რობინსონი.

სტატიში ნათქვამი იყო, რომ პატარა ლეოპოლდ პ-ს დიდხანს სინჯავდნენ გამოჩენილი პროფესორი რობინსონი და მისი კოლეგები საფრანგეთის ეროვნული ცენტრიდან. ბავშვი ძალიან ცოტას ჭამდა, სრულ გრძნობაზე იყო და, როგორც ეტყობოდა, განსაკუთრებულ ტკივილებსაც არ განიცდიდა. არც ერთი მისი შინაგანი ორგანო თითქმის არაფრით არ იყო დაავადებული, მაგრამ ავადმყოფობა მაინც ვითარდებოდა და ვერაფრით მოეხერხებინათ მისი შეჩერება. მიუხედავად ამისა, პროფესორი რობინსონი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ტელევიზიით გადასცეს ინტერვიუ მეცნიერების გამოჩენილ შუქურებთან, დაწვრილებით მოუთხრეს მკვლევრებს პ-ების ოჯახის შესახებ. ჩვეულებრივი მშრომელი ოჯახი. დედა, მამა, უფროსი ძმა საუცხოო ჯანმრთელობით გამოირჩეოდნენ ყოველთვის.

მეორე დღეს ბავშვს სიცხემ აუწია. დროგამოშვებით ბოდავდა კიდევაც. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ჯენაძე, რომელიც ბერმუდის კუნძულებზე ისვენებდა, პირველივე რაკეტით ავადმყოფ ლეოპოლდის საწოლთან გაჩნდა. გამოჩენილმა ამერიკელმა მეცნიერმა ვილიამსმა დატოვა ჩრდილოეთი ჩინეთი, სადაც ის სხვადასხვა სახის გამოკვლევას ატარებდა და სასწრაფოდ შეუერთდა პარიზელ კოლეგებს.

ავვისტოს პირველი დღეები მოლოდინში გავიდა. ციებ-ცხელება არ ცხრებოდა. ჯენაძეს და ვილიამსს ჯერ კიდევ არ დაესვათ დიაგნოზი. ცნობილი გახდა მხოლოდ, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სამეცნიერო გაერთიანებას რომში და სანტ-იაგოში დაწვრილებითი ოქმები გაეგზავნათ. ცნობილმა ბრაზილიელმა მეცნიერმა არტურო ბენედეტიმ, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო დედამიწამთვარის მარშრუტით მესამე გადაფრენაში,

უარი თქვა მოგზაურობაზე, რათა რობინსონსა, ვილიამსსა და ჯენაძესთან ერთად შექმნილი მდგომარეობა განესაჯა.

მსოფლიოს ყველა გაზეთის სპეციალური კორესპონდენტები მიაწყდნენ პარიზს. მილანში და ნიუ-იორკში მიდიოდა მსხვილი სათაურები:

ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა.

დიაგნოზის ისევ არ არის დასმული.

18 აგვისტოს პირველად ალაპარაკდნენ ოქროსფერ მიხაკზე.

* * *

ამ დროისათვის კი ერთი სამედიცინო კვლევა მეორემ შეცვალა. ერთსა და იმავე დროს ჩაატარეს რამდენიმე გულმოდგინე გამოკითხვა. ყოველ წვრილმანში დაადგინეს იმ კვირის დროის მთელი განაწესი, რომელიც წინ უძღოდა ავადმყოფობას.

ნორმიდან გადახვევის ვერც ერთი ფაქტი ვერ აღმოაჩინეს. ლეოპოლდი დანიშნულ დროს მიდიოდა სახლში (სწავლობდა V კლასში, ეს იყო საესეებით ჩვეულებრივი თხუთმეტმოსწავლიანი კლასი). სპორტულ მოედანზე, საცურაო აუზში, ჟანგბადით კვების პუნქტში. პირველად სკოლის ექიმმა, მედიცინის დამ და თვით მასწავლებელმაც განაცხადეს, რომ არც მეცადინეობაზე, არც თამაშის დროს ბავშვისთვის არ შეუენიშნავთ რაიმე შემავფოთებელი.

მაგრამ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მასწავლებელმა თავის მოვალეობად ჩათვალა ეთქვა, რომ ბავშვი რამდენადმე აღელვებული იყო ერთ-ერთ უკანასკნელ გეოგრაფიის გაკვეთილზე, უფრო სწორად, სამეცნიერო ფილმის ჩვენებისას, რომელიც გაკვეთილს ერთოდა. ფილმში იყო მეორეხარისხოვანი ეპიზოდი, სადაც ერთ-ერთი მოგზაური — ფილმის გმირი პოულობს ძალიან ნაზი სურნელების ღია ყვითელი ფერის, დაუხლოებით მიხაკის მსგავსს ყვავილს,

რომელიც ქვიშაში ხარობს. მოგზაურმა მას ოქროსფერი მიხაკი უწოდა. მასწავლებელმა უდაბნოდან ვერც ერთი ეგზემპლარის ჩამოტანა ვერ მოახერხეს, რომ შეესწავლათ და მოეშენებინათ.

მასწავლებელს მოაგონდა, რომ ლეოპოლდმა რამდენიმე შეკითხვა მისცა ოქროსფერი მიხაკის შესახებ. ხომ არ უპოვიათ სხვა ეგზემპლარები? შეიძლება თუ არა ამ ყვავილის პარიზის ბოტანიკურ ბაღში ან სხვა რომელიმე ადგილზე ნახვა? მასწავლებელს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონდა და ორკოფულად უპასუხებდა. ბავშვს ეტყობოდა, რომ გულგატრებული დარჩა. და მაინც, აქედან, რა თქმა უნდა, ძნელი იყო დაესკვნათ, რომ სწორედ დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობა იყო ბავშვის ავად გახდომის თავდაპირველი მიზეზი.

მასწავლებლის განცხადება პრესაში გამოქვეყნდა, მაგრამ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუტიათ.

ავადმყოფის არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა, კვების მოგვარება შეძლეს, მაგრამ ბავშვის ციებ-ცხელებით აელვარებული თვალები გულგრილად უყურებდნენ ყველაფერს. იგი ცდილობდა გაეღიმა ახლობლებისთვის, ექიმებისთვის, შემდეგ კი ისევ ნახევრადმძინარე ბურანში იძირებოდა. ერთხელ ბოღვისას ოქროსფერი მიხაკი ახსენა. იგი იმეორებდა მხოლოდ ორ სიტყვას: ოქროსფერი მიხაკი... ოქროსფერი მიხაკი... ოქროსფერი მიხაკი...

ერთმა კორესპონდენტმა ეს ცნობა კომენტარების გარეშე გადასცა. მეორემ სრულიად უყოყმანოდ გამოთქვა მოსაზრება, რომ ბავშვის გადარჩენა შეეძლო მხოლოდ ამ უცნობ ყვავილს.

ექიმები თათბირს განაგრძობდნენ. მიუხედავად ამისა, მთელი მსოფლიოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტებსა და ბოტანიკურ მუზეუმებს გაეგზავნათ შეკითხვები. უცნაური დაავადების შესწავლა ფსიქოლოგიის სპეციალისტებმაც დაიწყეს.

მალე ყველა დედაქალაქი მოიარა სა-
შინელმა ცნობამ: მეცნიერებამ უძლუ-
რად სცნო თავი. ექიმებმა ვერ შეძლეს
დაედგინათ ავადმყოფობა და მისი გა-
მომწვევი მიზეზი, ვერც ის განსაზღვ-
რეს როგორ განვითარდებოდა ავად-
მყოფობა შემდეგში. ალაღებდნენ სინ-
ჯეს ყველა ხელმისაწვდომი საშუალება.
ყველაფერი ამოა აღმოჩნდა. ბავშვი
ნელ-ნელა ქრებოდა და წინანდებურად
კვლავ იმეორებდა ორ საბედისწერო
სიტყვას: ოქროსფერი მიხაკი.

ერთი გამოსავალია რჩებოდა: ებო-
ვით ყვავილი და მოეტანათ ბავშვისა-
თვის.

მოეთათბირნენ სამეცნიერო ფილმის
ავტორებსა და მათ ასისტენტებს. დაუ-
ყოვნებლივ აღჭურვეს სამი რაკეტა,
რომლებმაც გობის უდაბნოში გადაიყ-
ვანეს გამოცდილ ბოტანიკოსთა ჯგუ-
ფები. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გა-
გზავნეს ფილმის პირები.

არავინ იცოდა რა ერქვა ამ მი-
ხაკს. არც ერთ მეცნიერს მანამდე არ
აეწერა, არ მიეცა მისთვის ლათინური
სახელწოდება, არ მიუტუთვნებია რომე-
ლიმე ოჯახისათვის. შემორჩენილი იყო
მხოლოდ ერთადერთი, ისიც წუთიერი
გამოსახულება ფირზე. და ვინ იცის,
ნამდვილად მიხაკი იყო, თუ სხვა რამე
იმის მსგავსი?..

იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ყვავი-
ლი იზოვეს, ცათამდე აღმართულიყვნენ
სახლები, ელექტროენერგიის უზარმა-
ზარი სადგური, გადაშლილიყო ხეხი-
ლის ბაღები, წაღოტები. ოქროსფერი
მიხაკი აბრეშუმისებრი ფურცლებითა
და უნახესი სურნელებით კი იქ აღარ
იყო.

სად იზრდებოდა ასეთი ყვავილი:
მთებში, ველებში? თუ მისი თესლი
ნიათხ იდუმალად მოეტანა ზღვისპირე-
თიდან?

შედგა გეოგრაფიულ და გეოლო-
გიურ მეცნიერებათა აკადემიების
სხდომა. მეცნიერთა საერთაშორისო
ასოციაციებმა ახალი ექსპედიციები

მოამზადეს. შევითხვები და უწყვეტი
ელვის სისწრაფით მიფრინავდნენ, ელ-
მანეთისაკენ. ელექტრონულმა მანქანე-
ბმა რამდენიმე მილიონი კარტოთეკა გა-
დაათვალიერეს. მიხაკების ყველა ოჯა-
ხი გულდასმით იქნა შესწავლილი.

ბავშვი უკვე ძლივსა ლაპარაკობდა.
მკრთალი, თითქმის გამჭვირვალე ხე-
ლის უღონო მოძრაობით იგი გამოხატა-
ვდა რაღაცას, რაც ბუნდოვნად მოჰ-
გავდა ყვავილის ჯამსა და გვირგვინს.
აჩვენეს ათასნაირი სახის მიხაკები, ზა-
ფრანისფერი ყვითელი ვარდები, თვა-
ლისმომჭრელი ტულპანები, მაგრამ მი-
სი მოტყუება ვერაფრით შეძლეს. „არა,
არა!“ თავს იქნევდა ავადმყოფი. მას
უნდოდა მხოლოდ ის სურნელოვანი
ნაზი ყვავილი. შორეული უდაბნოს ეს
არნახული საოცრება.

ძებნა უკვე მებაღეებმაც დაიწყეს.
ორანჟერეებში, სადაც წელიწადის
ღრონი არაჩვეულებრივი სისწრაფით
ცვლიდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ
გამოეყვანათ ოქროსფერი მიხაკი. ბავ-
შვი ოდნავ წევდა ხელს, საჩვენებელი
თითი ოდნავ მოძრაობდა ერთი მხრი-
დან მეორეზე: არა, არა, ის არაა... ეს
ის ყვავილი არ არის...

ბავშვი კვდებოდა. დედამიწაზე ხალ-
ხი მღელვარებამ და შიშმა აიტანა. მთე-
ბზე და ხეობებზე გუგუზნებდნენ რაქე-
ტები, შვეულმფრენები. ადამიანები ეშ-
ვებოდნენ ღრმა გამოქვაბულებში,
თხრიდნენ ღიდი ხნიდან მივიწყებულ
გვირაბებს, გულადებმა ოცნება დაიწ-
ყეს კიდევ უფრო მამაცურ, შეუპოვარ
გადაფრენებზე. „როგორც ჩანს, ოქ-
როსფერი მიხაკის თესლი აღიგავა
პირისაგან მიწისა. — ამბობდნენ ისინი,
— ალბათ, რომელიმე შორეულ პლა-
ნეტაზე გადასახლდა და ამიტომ იდუ-
მალი ყვავილი სწორედ იქ. სამყაროს
უქიდეგანო სივრცეებში უნდა მოიძებ-
ნოს“.

* * *

დადგა აგვისტოს ბოლო რიცხვები.
ბავშვი სრულიად დასუსტდა. ერთ ღი-

ლას; როდესაც ბურანიდან ოდნავ გამოერკვა, მისკენ დედა დაიხარა. უსაზღვრო შეშფოთებას მოეცვა ქალის გული. აღარ იცოდა რა ელონა. და უცებ სასოწარკვეთილებაში ყველა დედისათვის დამახასიათებელი განუსაზღვრელი რწმენით ჩაუჩურჩულა:

— დამშვიდდი! ოქროსფერი ყვავილი გაქნება. მალე მოგიტანენ.

— მალე! — ძლივს გასაგონად შეეპასუხა ლეოპოლდი.

— ჰო, ჰო, დამშვიდდი, მალე... — გაუმეორა დედა.

გულში კი ფიქრობდა: „რა ავადმყოფობაა ეს, საიდან გაუჩნდა ასეთი უგუნური სურვილი, რომელიც მის ჯანმრთელობას ასეთნაირად ანადგურებს?!“

და ჩურჩულით განაგრძო მოყოლა იმ ადამიანებზე, რომლებიც დადიოდნენ, ფრინავდნენ... ჩადიოდნენ ზღვის სიღრმეებში, აკეთებდნენ შეუძლებელს, რათა ყვავილი ეპოვათ.

— დარწმუნებული ვარ, ყვავილს მალე მოგიტანენ!..

დედა მთელი თავისი არსებით ებრძოდა სიკვდილს. იგი განიცდიდა წარსულის დედების ყველა შიშსა და იმედს, რომლებიც ღამეებს თეთრად ათენებდნენ და იაფ-ნანათი ზრდიდნენ შვილებს, მილიონობით იმ ადამიანის შიშსა და იმედს, რომლებიც ხედავდნენ, როგორ იღუპებოდა მათი სისხლი და ხორცი.

ყველაფერი გაირინდა ოთახის სიწყნარეში. ქალაქის ხმაური და ზაფხულის პაპანაქება მოკრძალებით ჩერდებოდნენ მის კედლებთან. ბავშვი ფიქრობდა სამყაროს შორეულ სივრცეებსა და იმ ადამიანებზე, რომლებსაც ყვავილის ძებნაში დღე და ღამე არ ეძინათ.

ქუთუთოები მძიმედ დაეშვნენ. სუბთქვა შენელდა.

„მოვიდა დასასრული, — გაიფიქრა დედამ, — მე ვიქნები, ალბათ, ქალთა შორის უკანასკნელი, რომელიც დაინახავს როგორ კედება მისი შვილი...“

* * *

და მოულოდნელად კარები გაიღო. ოთახში ვიღაც შემოვიდა. ოქროსფერმა შუქმა გაანათა საწოლი, ბავშვის ხელები, სახე. ავადმყოფი აღტაცებით გაირინდა.

საწოლზე მთებად ეყარა მიხაკები. ეს იყო მისი მიხაკები. სწორედ ისინი, რომლებზეც ოცნებობდა ისეთები, როგორც წარმოედგინა. ის ოცნებობდა ერთ ცალზე — ახლა კი ისინი ყელამდე ჰქონდა. დედამიწის ყველა კუთხიდან მოუტანეს ისინი მეცნიერებმა, მოგზაურებმა, კოსმონავტებმა. ნაწილი მოთმინებით გამოიყვანეს მეზაღვებმა. ადამიანებმა არ დაიხიეს ბავშვის აუსრულებელი სურვილის წინაშე და გააკეთეს ის, რაც ერთი შეხედვით ადამიანის ძალას აღემატებოდა. ადამიანებმა გაიმარჯვეს სიკვდილზე, გადაარჩინეს სასიკვდილოდ განწირული ბავშვი.

ლეოპოლდმა აიღო ერთი მიხაკი, მიიტანა ტუჩებთან და გაიღიმა. სიხარულის ცეცხლით აელვარდნენ მისი თვალები.

— ეს სწორედ ის მიხაკია, — თქვა მან, — ვიცანი.

და თავისუფლად ამოისუნთქა. დედამ შუბლზე გადაისვა ხელი. მუხნათი ავადმყოფობა დამარცხებული იყო. დედამ იცოდა, დედა დარწმუნებული იყო.

დადგა საღამო. ბიჭს ულამაზესი მოჩვენებებით აღსავსე სიზმრები ეწვია. ჩაბნელებულ ოთახში დედასა და მძინარე ბავშვთან ერთად უჩინრად იყვნენ ისინი, ვინც ყვავილის თვალისმომჭრელ სილამაზეს განუსაზღვრელი სიყვარული და იმედი ჩააქსოვა.

თარგმნა ცისანა ჟორჟოლიანმა.



სევერიან გულუბი

კატინარყოფილი

რიფთ გოგმაჩაძე მოულოდნელად გამოიძახეს კოლმეურნეობის კონტორაში. რატომღაც გული აუფანცქალდა. გზა ჩქარი ნაბიჯით გადასჭრა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ელადი-მერ ბაჯელიძის კაბინეტის კარები ფრთხილად შეიღო. მიესალმა. ჯერ იქ მყოფნი შეათვალიე-რა, მერე დაკვირვებით დააცქერდა თავმჯდომარეს, თითქოს სურდა წინასწარ ამოეკითხა მის სახეზე მოულოდნელად გამოძახების მიზეზი. გლადიმერი რატომღაც დუმდა, პაპიროსს აბო-ლებდა და ჩაფიქრებული გაჰყურებდა სარკმი-ლიდან ცაზე გაფანტულ თეთრ ღრუბლებს. სი-ჩუმე აგრძელებდა დაარღვია.

— პირობაზე როგორ ხარ? რა გადაწყვიტე?

— რომელ პირობაზე?! — გაიკვირვა რიფა-თმა.

მის მზერას პირი აარიდა აგრძელებდა და, თი-თქოს თავისთვის ლაპარაკობსო, თქვა:

— ბრიგადირობა პატარა საქმე როდია. მუ-ყაითი, შრომისმოყვარე კაცია საჭირო და, — ახლა მან თავმჯდომარეს გადახედა, — ჩვენი არჩევანი შენზე შევაჩერეთ.

რიფათი მოულოდნელობისაგან შეკრთა. ეტ-ყობოდა, რაღაც იღუმალმა ფიქრმა მისი გული მწარედ გაეწეწლა. არ იცოდა რა ეთქვა, დუმდა, თითქოს უზილაგმა ძალამ დაამუწჯა და ბაგე შეუკრა. ბოლოს, ძლიერდობით ამოი-ლულულა:

— თქვენ ხომ იცით მე ვინ ვიყავი?

რიფათის ეს შეკითხვა უპასუხოდა დარჩა.

— თქვენ ხომ იცით მე ვინ ვიყავი? — გაიმე-ორა რიფათმა და თავმჯდომარეს თვალები გაუ-სწორა.

თავმჯდომარეს და აგრძელებდა ჩუმი, კეთილი ღიმოლით ჩაღიმათ. რა თქმა უნდა, მათ კარგად იცოდნენ ვინ იყო რიფათი. იცოდნენ მისი წარ-სული... და იმასაც კარგად ხედავდნენ ახლა,

რომ საკოლმეურნეო შრომაში ტოლს არავის უღებდა. უხაროდათ რიფათის შრომითი მამა-ცობა. შრომა კი აღამიანის სულსაც ცვლის, აკეთილშობილებს, აღამაზებს. ახლა რიფათს გული საქვეყნო სამსახურისაკენ მიუწევს.

ზარაქალა მის მარჯვენას!

ენახოთ, როგორია მისი წარსულის ფურც-ლებიც.

რიფათ გოგმაჩაძეს მამა გულთ ჰყავდა ავად. 1937 წელს ბათუმში დასახლდა, იქნებ ზღვის ჰაერი მომიხდესო, მაგრამ ამაოდ. თექე-სმეტი წლის იყო რიფათი, მამა რომ გარდაეც-ვალა. „უფროსი ვაჟიშვილი ხარ, შენ უნდა გა-უძღვე ოჯახს“, — დაარიგეს რიფათი ახლობ-ლებმა.

დედა შეუძლოდ ჰყავდა. არავინ იყო მათ-თვის ხელის გამომწოდებელი. დიდი სამამულო ომი მძინვარებდა. ყველას უჭირდა. ოჯახში დარდმა და გასაჭირმა დაიბუღა.

ერთ დღეს რიფათი ქუჩაში უზნის ბიჭებს გადაეყარა.

— საით რიფათ? — დაუძახა ერთმა.

— არსად, ქუჩაში გამოვდი, — უგუნებოდ მიუგო რიფათმა.

— წამოდი ჩვენთან! მარტო რა გაძლებინებს, ან სახლში რა გიყრია — ჩამქრალი ნაკვერ-ჩხლები და ნაცარი!.. შენ კი ფული და პური გინდა... — უთხრა მეორემ,

— მერე სად ვიშოვი ფულს? — იკენეულად შეეკითხა რიფათი.

— იცი რა, — მიუახლოვდა პირველი და კარგი მეგობარივით სინანულით თვალებში ჩა-ხედა, — ფული თავისით არ მოვა, საერთოდ ცხოვრებაში თავისით არაფერი იშოვება. უნდა

მოიპოგო, გესმის? ხელი უნდა გაანძრო! უქნარობა არაფერს მოგიტანს.

— მე უქნარობა მძულს. მაგრამ სად არის გამოსავალი, როგორ ვიშვები ფულს? — გაიმეორა კითხვა რიფათმა.

— როგორ და ასე, — უთხრა შევქოჩორა ბიჭმა, — დღეს გვიყურე, რასაც აეწანით, ვაგიზიარებთ, ხეალ თვითონ გაანძრე ხელი.

...ისინი რკინიგზის ვოგზალზე ვავიდნენ. მახარამის მატარებელი ჩამოდგარიყო. ვაგონში შევიდნენ... რიფათი დაარუხებს, შენ უკან იქნები, ვაგონის ბოლოში. როცა რაიმეს გადმოგაწოდებთ, სწრაფად ისკუპე, გადახტი და მიიმალე... მერე შეხვედრის ადგილიც დაუთქვებს.

ვაგონი ხალხით გაიქვდა. ფეხზე გასაჩერებელი ადგილიც ძნელად იშვებოდა. „ატამანი“ (ასე ეძახდნენ მეთაურს) სადომიდან ადგა. ბოდიშის მოხდით, ზრდილობიანი სიტყვებით ადგილი მოხუც მგზავრს დაუთმო. მისი ამფსონებიც ასევე მოიქცნენ და ერთიმეორის მიყოლებით გამწვრივდნენ. რიფათი ბოლო იყო, მეექვსე.

მატარებელი დაიძრა. რიფათის ამხანაგები მგზავრებს შეერივნენ, ზოგიერის სრულებით ვეღარ ხედავდა. გრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რა? ვნახით, მალე დადგება ეს წუთებიც... და ამ წუთების მოლოდინში გულის ძეგრა ემატებოდა. ფიქრში წასული, ვიღაცამ მისიკრად მოქაჩა და შეანჯღრია. დამჯილული ხელი უკვე ფულით ჰქონდა სახსე. კინაღამ იყვინა, მაგრამ ვეგრდში მუჯლუტუნი იგრძნო, გონს მოვიდა, მოავონდა „ატამანის“ დარჩევამ. შეგვფუფულ ხალხში გაძეგრა-გამომძვრა, კარებს მიადწია და მატარებლიდან ისკუბა.

რიფათი რამდენჯერმე გადაკოტრაილდა მიწაზე, მაგრამ სწრაფად წამოხტა. მწარე ტივილები იგრძნო, თუმცა არ შეიშინა, ვითომც არაფერიო, და მახლობელ სადგურს მიაშურა... იქ უნდა შეხვედროდა ამფსონებს.

...და აი უკვე დანიშნულ ადგილზეა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, დარბაზში ატამანი შემოვიდა, მერე მეორე, მესამე და, ბოლოს, ყველამ მოიყარა თავი.

— ყოჩაღ რიფათ! — შეაქო იგი ატამანმა და ჩუმაღ ჩაულაპარკა: — პირველი გამოცდა კარგად ჩააბარე, გამოდგები. აბა, მოიტა ნადავლო.

რიფათს რატომღაც შეაყრეოლა და შუბლა სიმწრის ოფლმა დაუტყვრა.

— ჰო, მოიტა-მეთქი, გეუბნები! შენ რა, ენა ხომ არ გადაგიცლაპავს?

რიფათმა უხმოღ ამოიღო ნადავლი და ატამანს მიაწვრა.

— აბა, თქვენაც ჩამოყავით, — ახლა დანარჩენებს მიუბრუნდა ატამანი.

საკმაოდ მოენადირათ. ვახარებული ატამანი ხმამაღლა ზორზოცობდა და ხუმრობდა, ენაწყლიანობდა. პირველი „მონავარი“ თანაბრად გაინაწილეს.

სახლში უგუნებოდ დაბრუნდა რიფათი. უკვე ფული ჰქონდა, ბლომდაც ერგო. მაგრამ, მისცეს? დედას? რომ კითხოს, სად იმეფებოდა უპასუხოს? გაჩუქება არჩია. არაფერი უთქვამს, ფულიც არ გამოუჩენია.

პირველ „წარმატებას“ მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... საგონებელში ჩავარდა რიფათი. სად წაიღოს ამდენი ფული, როგორ მოიქცეს? გაუმხილოს თუ არა დედას? ო, არა, არა. მაგრამ ფული ხომ აუცილებლად სჭირდება ოჯახს? ხშირად პურის ფულიც არა აქვთ. მაშ როდემდე უნდა მალოს რიფათმა? ბოლოს, ისევ ამფსონებმა გამოიყვანეს მგდომარეობიდან. დედა მოატყუა, მუშაობა დაიწყო და გასამჭკოლოც რიფათი მაქცის.

ერთ საღამოს რიფათი გამომთვრალი მივიდა შინ. ხან მაგიდას ეჯახებოდა და ხან ლოჯინს. ლულულებდა და ყველა აიძებდა, მე თქვენ მოგივლით, მშვიტს არ დაგტოვებთ, ნუ გეშინიათო. და დედას წითელი სამთუშნიაები ჩაუყარა კალთაში.

დედას ერთბაშად ფერი წაუვიდა.

— სად ნახე, შვილო, ამდენი ფული?

— სად ვნახე? პატიოსანი შრომით ვიშვებ, დედა. პატიოსანი შრომით. აბა, სანამდე უნდა ვიყოთ ასე?! სწავლას შემდეგაც მოვესწრები, მუშაობა დაიწყო. ჩემი პირველი ხელფასია! — მერე დამეხს გადახედა და თვითუფლს წითელ-წითელი სამთუშნიაები მიაწვდა. პატარებს უხაროდათ, დედის გულს კი ექვი ღრღინა, იღუშალი ექვი... ვინ იცის, რა ფიქრებს ებრძოდა. მაგრამ ბოლოს დაუჯერა შვილს ხურჩი და მიეალერსა. მიეალერსა, თუმცა არ სიამოვნებდა შვილის სამთვრალე. რიფათი ხომ არასოდეს დამთვრალა, დღემდე წვეთი ღვინოც კი არ ჩასვლია პირში.

რიფათი ტანგაუნდელი ტახტზე გაიშოტა და მალე ჩუმი ხვრინვა ამოუშვა. მაგრამ წრიალებდა, ვერ ისვენებდა, ეტყობოდა, ღვინოს შეუჩვეველი ორგანიზმი ძალიან სწყუხდა. დედა მიეწილა მასთუფლოთან ეჯდა... ფიქრებს აპყლოლოდა... წარსულს გონების თვალი გადაავლო და მერე ისევ რიფათზე ფიქრმა გაიტაცა. სად უნდა დაეწყო რიფათს მუშაობა, რომ ამდენი ფული მიეღო? „ნუთუ იქურდა?“ — ამ ფიქრმა ხმალივით გასჭრა ხურჩის გული. წამებაში გაათია ღამე.

ღილით, როცა უძილობისაგან თვალზეგამოღამებულ დედას შეხვდა, რიფათს გული მოუკვდა. თვალდაც შეაწუხა დედის ექვმა, მაგრამ ხმის ამოდება არ შეეძლო, სიმაბოლნე უნდა დაემალა, არ გაემხილა ამხანაგები, თორემ სიკვდილი არ ასცდებოდა. ატამანმა ხომ მკაცრად გააფრთხილა იგი და კიდევაც აღუსრულებდა დაპირებას.

რიფათმა კვლავ შეხვდა დედას და ახლა მწყრალად მოეჩვენა მისი სათნო სახე. გლოვისაგან ჩაღრმავებულ თვალთა უბეებიც რისხვად

მკეულა და გამეხებული, თითქოს ეუბნებიან: ეს რა ბინძური გზა ავირჩევია, შვილო რიფათ? დამე ბიჭი, თორემ მაღალ მივიყვანს დალუპვის კარამდე. ჩვენ ალალი ლუკმა გვინდა და არა ნაქურდალი, შვილო!

რა მწარეა დედის სამართლიანი საყვიდური! მაგრამ რიფათი მაინც გულში ჩიუტად იმყოფებდა: „სხვა გზა არ არის“.

რიფათი დილადრიან გავიდა სახლიდან და... გაქრა, კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. ხურიე დეიდას და რიფათს ჩამოხმდა. ახლა უკვე იმეო არ ეპარებოდა შვილის ავკაცობაში... და რიფათის დატოვებულ ფულს ხელი არ ახლო.

ხურიემ თავისი ბიჭი მხოლოდ სასამართლო პროცესზე ნახა. სახე ჩაყვითლებოდა და გამხდარიყო.

ცრემლი და გოდება გააყოლა სასჯელმისჯილ რიფათს ქანცვაბოლუღმა მშობელმა.

ორი წელიწადი დაყო საბავშვო კოლონიაში რიფათმა. 1946 წელს მსჯავრდობილი შინ დაბრუნდა. პირველად ძლიერ გაუჭირდა მეზობლებში და შინაურებთან გამოჩენა. იმასაც ფიქრობდა, შეიძლება აღარ მიმიღონო. მაგრამ საკუთარი სახლის გარდა სხვა გზა არასათქმუნდა. და ამ მაღლიან გზას გაჰყვა დაფიქრებულ-დაჯავრიანებული.

მოულოდნელი იყო რიფათის სახლში გამოცხადება. კარებზე დააკაკუნა. დედამ გამოიხედა...

ორი წლის უნახავი დედა-შვილი ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

მეზობლებიც აღერსით შეხედნენ. დაარიგეს, აბა შენ იცი, ოჯახს როგორ მიხედავ, შენ ხარ ახლა მათი იმედიო. იმ წუთში არც რიფათი ფიქრობდა კვლავ ძველი, მოღიწული გზით ეყო. ყველას, ყველას დაპირდა, არ შეარცხვენ და მშობელსა და ოჯახს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

...იგი კვლავ შეხვდა ძველ მეგობრებს. ისევ სხვის ხურჩინში ხელის ფათურო... ისევ პატიმრობა, სასამართლო... და რიფათმა მომდევნო ორი წელი კვლავ კოლონიაში გაატარა.

პატიმარყოფილი ოჯახს და მეზობლებს ჩვეულებრივ გულთბილობით აღარ მიუღიათ, აღარ ენდობოდნენ, აღმაცერად უტყუარდნენ და შინ დაბრუნებაც აღარ მიუღოცნიათ. ყველამ ზურგი შეაქცია. „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“, ესეც გაავიწყნეს. ბოლოს, ერთი მეზობელი მაინც გამოეჭიმა, საშინაურიც უშოვა, მაგრამ რიფათმა მუშაობას გული ვერ დაუღო: თავს ძალას ატანდა, სხვებმაც შეუძახეს... და ერთ დღეს ცოლიც კი შეირთო. მისთვის კარგის მსურველთა იმედი მიეცათ, გამოსწორდებოდა, მაგრამ ამჯერადაც მოტყუებდნენ.

ერთ დღეს რიფათს დანაშაულზე წაუწერეს... ისევ სასამართლო და საჯარო შერცხვნა, სინანული, გოდება, სინდისის ქენჭა, მტირალი დედისათვის თვალის არიდება...

და აი 1949 წლის ზამთრის ერთ სუსხიან და-

მეს ათწელმისჯილი რიფათი გოგმაჩაძე საბატონო ვაგონით შორ გზას გაუყენეს. უკან, მშობლობური ბათუმი, სწული დედაჩემი და-ძმა და ახლად შერთული ცოლი.

მაგრამ რიფათს ბედმა გაუღიმა, ამნისტიამ მოუსწრო და პატიმრობაში მხოლოდ ოთხი წელი დაყო. შინამთავალი რიფათი სატყუარო სადგურში ჩამოხტა. უკვე დაგეგმილი, უღაცადამშენებელი, მაგრამ შერცხვენილი და თავს-ლაფდასმული... გრძნობდა ყოველივე ამას, განა არ გრძნობდა? გულიც სტყვიდა. აწი აღარ ივლის ბნელი გზით... ოთხი წლის უნახავ ქუჩას მიჰყვებოდა და აკვირდებოდა ახლად აშენებულ შენობებს, გალამაშებულ გაზონებს და სკვერებს. ბევრი ცვლილება მომხდარიყო დროის ამ მცირე მონაკვეთში. თითქოს აღამიანებოც შეცვლილიყვნენ. რიფათი ბევრ მათგანს ვერ ცნობდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობით აყოლებდა ხოლმე თვალს. მიდიოდა და ფიქრობდა — ვინ ცოცხალი დახვდებოდა ოჯახში და ვინ არა. ოჯახის შესახებ ხომ დიდი ხანია არაფერი გაუგია. დედა ავადმყოფი დატოვა. იქნებ აღარაა ცოცხალი? ახალმოყვანილი ცოლიც იქნებ გათხოვდა? და-ძმა პატარები იყვნენ, დაიზრდებოდნენ...

ფიქრები... ფიქრები... სულის ამშლელი ფიქრები...

ამასობაში სახლს მიუახლოვდა. კარზე ფრთხილად დააკაკუნა. გული ძალუშვდა უცემდა — ვინ გამოხედავდა პირველად და როგორ შეხვდებოდა იგი?

— ვინ ბრძანდებით? — მოესმა უცნობის ხმა და კარიც გაიღო. რიფათი დაიბნა.

— მე... მე...

— ვინ გნებავთ? — ისევ ჭიხის მასპინძელმა. რიფათმა იქაურობას ამღვრელი თვალი შეაღწყო.

— მე აქ ვცხოვრობდი... თქვენ... თქვენ ვინ ბრძანდებით?

ერთმანეთს გამოეცნაურნენ. ძნელი იყო ყველადრის თქმა, მაგრამ რიფათისათვის არაფერი დაუშავათ. დედა გარდაცვლილიყო. სოფლიდან ბიძა მემედ გოგმაჩაძე ჩამოსულიყო, ძალი და ობოლი ბავშვები თავისთან წაიყვანა, ხოლო სახლი გაუყვიათ.

რიფათი საგონებელში ჩავარდა. სად ან ვისთან წასულიყო? რა თქმა უნდა, იქ, სადაც ოჯახის მკვიდრნი ეგულებოდა!

ახალშენილებული იყო, როცა მემედ ბიძის ქოშკარს მიადგა.

— რომელი ხარ მაქ? — გასძახა მემედმა უცნობს, რომელსაც ვერც დაძახება გაეხედნა და ვერც ეზოში ჩასვლა.

— მე ვარ, ბიძა მემედ, მე.

— ვინ შენ?

— რიფათი.

მემედი შუა ეზოში შეჩერდა.

— გამოიპარე, ბიჭო?

— არა, გამაძლიერებ აშინსკით.

— ნამდვილად თუ 'ტროტ'?

— ვფიცავ ღმრთის, ვფიცავ ყველაფერს! —

და რიფთაში წელი ნაბიჯით მისკენ გასწია...

მემდის ოჯახში მხიარული ჟივილ-ხივილი ატყდა. უხაროდა ყველას, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ მოულოდნელ სტუმარსა და ოჯახის წევრს.

ბიძა მემდმა მეორე დღეს რიფთაში კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წარუდგინა და თხოვა, ეს ძალდონით სავსე ახალგაზრდა საკოლმეურნეო შრომაში ჩაბოძო.

— ჩვენ ყოველმხრივ დავებნარებით, ვნახოთ როგორ გაამართლებს ნდობას, — უთხრა მემდს თავმჯდომარემ.

ასე გახდა რიფთაში გოგმაჩემ ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას კოლმეურნეობის წევრი. მუყაითად შეუდგა მუშაობას. ადრე დილით მიდიოდა სამუშაოდ და გვიან ღამეშიც არ ბრუნდებოდა შინ. დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა, ხშირად სამ ნორმასაც კი. კეთილსინდისიერი შრომით მალე სოფლის გული მოიგო. შეიყვარეს რიფთაში. გაიზიარეს მისი ჭირი და ღვინო. ამოუღდნენ მხარში, ურჩიეს ცალკე დასახლება. შეპირდნენ დახმარებას. ბიძა მემდმა ხომ მხარში ედგა მისი შვილის, ქალაქში გაყიდული სახლის ფული ხელუხლებლად შეენახა, ახლა კი რიფთას გადასცა — სახლის აშენებას მოახმარე.

მთელი სოფელი დავებნარა რიფთას. ვის როგორც შეეძლო, ისე უმართავდა ხელს. სულ რაღაც ერთ თვეში რიფთაში მამისეულ მიწაზე კოხტა ოღა-სახლი წამოვიძო. კაცია და ქუდი ხურავს, მობრძანდით და ნახეთ! შეგმურდებით მისი სახლ-კარი, მისი მშვენიერი ზოო. რიფთას სტუმარი უყვარს... და ხშირადაც ნახავთ მის ოჯახში სტუმარს. ხელუხეზადაც გაგიმასპინძლებდა საკუთარი მარჯვენის მონაგარი.

სიხარული და ბედნიერება დამკვიდრდა რიფთის ოჯახში. იგი უკვე ორი შვილის მამაა. მისი ფიქრი და გონება ახლა ოჯახს ევლება თავზე. ყოველწლიურად 450-500 შრომადღეს იმუშავენ და გასამრჩელოსაც უხვად იღებს.

* * *

რიფთაში კარგა ხანს იდგა დაფიქრებული თავმჯდომარისა და აგრონომის წინ... ვერ გადაეწყვიტა, დათანხმებოდა თუ არა მათ. ბოლოს განუტყდა:

— თანახმა ვარ, რაკი მენდობით!

თავმჯდომარეს და აგრონომს ჩაეღიმათ, ხელი დაერქნა მხარზე და კაბინეტიდან გარეთ ერთად გამოვიდნენ ტყბილი ბაასით.

მართლაც კარგად წარუძღვა ბრიგადას რიფთაში. ვისაც კი მის ბრიგადაზე გაპიროვნებული ჩაის, ციტრუსების და სხვა ნარგავების ფართობი უნახავს, გული გახარებია. საზოგადოებრივი საქმის საღარაჯოზე ერთვულად დადგა. უყვარს რიფთას სამუშაოს წმინდად შესრულება,

ხინჯს არ გაუტევს, თავწყაროს არ დაუფარავს. როცა იგი მოკრეფილ ჩაის ფოთოლს-გაყვინცხს მეჩაიეები ხშირად ედავებოდა, ორობდა უხეში ფოთლისათვის ნაკრეფი მეორე ხარისხში რად გადაგვასვს.

— რას შერებდი, რიფთა, ჩვენი კოლმეურნეობა ხომ არ გინდა ჩამოაქვეითო, ჩამოარჩინო? — ხუმრობით ეუბნება ვლადიმერი. რიფთა კი დინდვდა უპასუხებს:

— თუ არ მოთხოვნი, მკრეფავებს შევაჩვევთ როგორც უნდათ ისეთი ფოთოლი კრფონ. ჩამორჩენის საშუალება სწორედ მაშინ მოვლის კოლმეურნეობას. იქნებ ვინმე ფიქრობს, მე თუ არ ვთქვი, ასეთი უსულგულობა მიიჩქება... ურემი სანამ გადაბრუნდება, გზა მანამდე უნდა შეამოწმო...

და მკრეფავები შეაჩვია მკაცრ მოთხოვნას. ახლა აღარ საყვედურობენ, პირიქით, უწონებენ რიფთას ასეთ მოქმედებას.

ერთი სიტყვით, რიფთაში სოფლის ნდობა გაამართლა. როცა მის ბრიგადას ოცდაერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჩააბარეს, მოუვლელობის გამო, ვინ იცის, რამდენი ნაკვეთი იყო დაკნინებული, მაგრამ ახლა ყველა მათგანი ღონიერია და თვალს იტაცებს. მთავარი, რამაც ბრიგადირის წარმატება განაპირობა, ეს იყო პირადი მა-

გალითის ძალა. იგი ზოგიერთი ბრიგადირივით კი არ გაუბრძნის ფიზიკურ შრომას — ხან ბარი უჭირავს ხელში, ხან თოხს და ხან კიდეც სახსლავი. ბრიგადირობას იგი არ გაუყუარებია, პირიქით, უფრო თავმდაბალი და ხალისიანი გახდა.

გაიყოლია და დარაზმა კოლმეურნეები, ყველას თავისი საქმე მიუჩინა. ასწავლის და თვითონაც სწავლობს გამოცდილი კოლმეურნეებისაგან. შეუწელებლად იბრძვის ჩაის ფოთლის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებისათვის და ზუგდიდელი წარჩინებული მეჩაის მერი ქირდავას მოწოდების პასუხად მიზნად დაისახა მთელ პლანტაციაში წინა წელთან შედარებით მოსავლიანობა გაეზარდა სულ ცოტა ნახევარი ტონით. ბრიგადის წევრებმა მას ერთსულგოდ დაუჭირეს მხარი. ოთხივე რგოლი ერთმანეთს შეეჯიბრა ჩაის ფოთლის კრეფაში, ხოლო მთლიანად ბრიგადა — ოთარ ჭინკარაძის ბრიგადას. ამან სასურველი ნაყოფი გამოიღო. რიფთაში გოგმაჩაძის ბრიგადამ ოცდაერთი ჰექტარი ფართობის თვითმუშა ჰექტარზე შარშან წინა წელთან შედარებით საშუალო მოსავალი 509 კილოგრამით გაზარდა.

* * *

ეს არის პატარა მოთხრობა უბრალო, რიგითი საბჭოთა ადამიანზე. აი რა შეუძლია პატრონს

შრომას. იქნებ ვიხმეს გაუკვირდეს, როგორ, განა გვარაში ცოტანი იყვნენ წარჩინებული ადამიანები, რომ ეს ყოფილი... დანიშნეს ბრავადირად? არა, ნუ შევცდებით და ნუ ავჩქარდებით. იმ ადამიანთა ნაბიჯი, რომლებმაც რიფათი დააწინაურეს, გულდასმით მოფიქრებული იყო და სამაგალითოდ გამოდგება. ჩვენი საზოგადოებრიობა წუმბეში კი არ გადაისვრის ადამიანს, არამედ იქ შემთხვევით მოხვედრილ მზის სინათლეზე ამოიყვანს, გზას უჩვენებს, დაეხმარება, ხელს გაუმართავს... ეს ერთი მაგალითიც ამის უტყუარი მაუწყებელია.

ეს ამბავი ნაწილობრივ მიაშრო ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ, ამაჟამად იმავე რაიონის ზეტუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ელადიმერ ბაჯელიძემ. თანაც მთხოვა რიფათის ამბავი ქალაქზე გადამეტანა, პრესაში გამოქვეყნებინა, მკითხველ-

ბი აქედან სასარგებლო დასკვნებს გააკეთებინო.

ვლუმი. ვფიქრობდი ამით, იქნებ რიფათის ტკივილი მიმეყენებინა რიფათისათვის... და გადავწყვიტე პირადად მენახა იგი. ვნახე კიდევაც, ძმურად ვისაუბრეთ. ბევრი რამ მიაშრო თავისი ცხოვრებიდან. იგი დიდად უმადლის გვირელებს, რომლებმაც სოფელში ჩასვლის პირველი დღიდანვე მშობლიური დახმარება გაუწიეს, შრომაში ჩააბეს, მხარში ამოიყენეს, შეიყვარეს, როგორც ძმას ძმა შეიყვარებს და მკვიდრს მკვიდრი.

რიფათს აღარ სურს გაიხსენოს განვლილი მოლიბული სამარტხენო გზა. იგი ამაჟამად მოწინავე კოლმეურნეთა რიგებში დგას და მუყაითი შრომით კომუნისმის დიდ კედელში თავის წილ ავუბრებს აწყობს.

ეს არის მისი სახელი და დიდება.

დაე, ამის შესახებ სხვებმაც იცოდნენ.

ეს რიფათის სურვილიცაა.



კლიმენტ ელიზბაგაშვილი

შვიდწლადი — ექვს წელიწადში

მიმდინარე წლის 30 ივნისს დამთავრა ახალი შვიდწლადის პირველი ნახევარი. განვლილია დამთავრებული შემოქმედებითი შრომის სამნახევარი წელი, რომლებიც აღინიშნა ახალი თეოსა-მინო წარმატებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქა-რის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აიღეს ახალ-ახალი ზღუდეები და ამ-ჟამად თავდადებათი შრომობენ იმისათვის, რომ შვიდწლიანი გეგმის დაგეგმვას შეასრულონ ექვს წელიწადში. შეიძლება ეგვი არ ვიჭინოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები პირნათ-ლად გაანადგურებენ ნაკირს ვალდებულებას. ამის თავდადება უკვე მოპოვებული წარმატებები.

აქარის მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების 1959 წლის გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, 1960 წლისა — 105 პროცენტით. 1961 წლისა — 102 პროცენტით, ხოლო 1962 წლის პირველი ნახევრის გეგმა — 106 პროცენ-ტით. 1959-1961 წლებში საერთო პროდუქციის ზრდის ტემპმა შეადგინა 115 პროცენტი, ე. ი. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარ-და 17 მილიონ 202 ათასი მანეთით. მნიშვნელო-ვნად გადიდა ერთი პროცენტით პროდუქციის ზრდის ხვედრითი წილი. თუ 1958 წლამდე სამრეწველო პროდუქციის ერთი პროცენტითა გადიდებდა მილიონ მანეთს არ აღემატებოდა, 1961 წელს მან მილიონ 345 ათასი მანეთი შეა-დგინა.

შვიდწლადის სამნახევარ წელიწადში აქარის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა აგრე-თვე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გეგმები. პრო-დუქციის თვითღირებულების შემცირებით მი-ღებულმა ზეგვედრითმა ეკონომიამ განვიღო სამ-ნახევარ წელიწადში შეადგინა სამი მილიონ 382

ათასი მანეთი, რაც შვიდწლადის რესპუბლიკურ ფონდში ჩაირიცხა.

რესპუბლიკის მრეწველობამ ათთვისა და მა-სობრივად უშეგებს მრავალნაირ სახალხო მოხ-მარების საგნებს, რაზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა. შვიდწლადის პირმშოები — ჩვენი მრეწველობისათვის სრულიად ახალი და-რგის საწარმოები — ელექტროკარის, ელექ-ტროტექნიკური და ელექტროხელსაწყოთა ქარ-ხნები ათობით ახალი სახეობის სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს აწარმოებენ. მნიშვნელოვნად გააფართოვეს პრო-დუქციის ასორტიმენტი და წარმოება მანქანათ-საშენმა, ნავთობგადამამუშავებელმა, გემთსაშე-ნმა ქარხნებმა და სხვა საწარმოებმა.

აქარის თითქმის ყველა სამრეწველო საწარ-მოში ფართოდაა განავრცობილი მუშაობა საწარ-მოო პროცესების შემდგომი მექანიზაცია-ავ-ტომატიზაციის, მოწყობილობათა მოდერნიზა-ციისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულ-ყოფისადვის.

მიმდინარე შვიდწლადში მძლავრი გასაქანი მიეცა სოციალისტურ შევიბრებას. წარმოიშვა და განვითარდა შევიბრების ახალი ფორმა — ბრძოლა კომუნისტური შრომის კალექტივისა და დამკვერლის საბატიო წოდებისათვის. თეო-საჩინოდ გადიდა გამოიმკვნიებლთა და რა-ციონალიზატორთა რიცხვი. მარტო 1961 წელს გამოიმკვნიებლთა და რაციონალიზატორებმა შეიტანეს 967 წინადადება, რომელთაგან 659 იმავე წელს დაინერგა წარმოებაში, რამაც სა-ხელმწიფოს მისცა 265 ათასი მანეთის ეკონო-მია. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებუ-ლების ნიშნებს იძლევიან მანქანათსაშენი ქარ-ხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლე-ბმაც შრომან ითხმოცდათორმეტი რაციონალი-ზატორული წინადადება და გამოგონება და-

ნერგის წარმოებაში და ქარხანის მისცეს 38.600 მანეთის მოგება.

აჭარაში კაპიტალური დაბანდებანი წინა შეიღწეულთან შედარებით მიმდინარე შეიღწეულში სამჯერ გაიზარდა. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება საცხოვრებელი ბინებით მოსახლეობის უკეთ დაკმაყოფილებას. შეიღწეულის სამხანგვარ წელიწადში კაპიტალურ დაბანდებზე უკვე ათვისებულია 31 მილიონ 996 ათასი მანეთი, აქედან საბინაო მშენებლობას მოხმარდა შეიღწეული მილიონ 863 ათასი მანეთი. მარტო 1959-1961 წლებში სახელმწიფო სახსრებით აშენდა ორმოცდაშვიდი ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გარდა ამისა, ქალაქად და სოფლად საქსპლოატაციოდ გადაეცა მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეთა ორი ათას 787 ინდივიდუალური სახლი. ქ. ბათუმში წელს შენდება ოცდაექვსი საცხოვრებელი სახლი ოცდასამი ათასი კვადრატული მეტრი საერთო სასარგებლო ფართობით.

მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელებისათვის განუხრელად იზრდება სამშენებლო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. ასე, მაგალითად, საერთო მშენებლობის № 5 ტრესტი, რომელიც 1.500-ზე მეტ მუშამოსამსახურეს აერთიანებს, სულ უფრო გაბედულად ნერგავს წარმოებაში ინდუსტრიულ მეთოდებს, ფართოდ იყენებს მსხვილ პანელებსა და ბლოკებს. ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს. ამოქმედდა მექანიზებული სახლსაშენი ქარხანა, რომლის პროდუქციით ბათუმში უკვე აშენდა პირველი სახლი. მწყობრში ჩადგა აგრეთვე ხის დასამუშავებელი და ბეტონის ქარხნები. ახალი ტექნიკით აღიჭურვა საწარმოო კომბინატის პოლიგონები.

შეიღწეულის განვლილ პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. თავდადებით შრომობენ აჭარის მეჩაიეები, რომლებიც წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ მაღალხარისხიან ჩაის მწვანე ფოთლის აბარებენ სახელმწიფოს. მარტო 1959-1961 წლებში რესპუბლიკის მეჩაიეებმა სახელმწიფოს მიყიდეს სამოცდაჩვიდმეტ ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხიანი ჩაის, მწვანე ფოთლი, რაც დაეაღების 106 პროცენტს ფოთდენს.

ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბევრმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა და კოლმეურნემ ისახელა თავი. საქვეყნოდაა ცნობილი ქობულეთის რაიონის სოფელ დავვას კოლმეურნეობის მეჩაიეთა სახელმწიფო საქმეები. დაგველებმა ჩაის საშუალო საქექტარო მოსავლიანობა 6.756 კილოგრამამდე გააღიღეს. დღემდე არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მიუღ-

წევიათ ხარისხიანი ჩაის ფოთლის წარმოება ასეთი დონისათვის.

კიდევ უფრო განვითარდა მეცხოველეობა აჭარის ციტრუსოვანთა ბაღებს შერწყმული განვლილ პერიოდში ასოთხმოცდა ოთხთმეტე ჰექტარზე ახალი, ყინვგამძლე და მაღალნაყოფიერი ნარგავები შეემატა. 1959-1961 წლებში აჭარის მეცხოველეობა დაამზადეს ერთი მილიარდ 278 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც გვემის 107,2 პროცენტად 437 მილიონი ცალით აღემატება წინა შესაბამის პერიოდში მოწეული ციტრუსების რაოდენობას. მაგრამ რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა მოსავლიანობის დონე მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალია, მით უმეტეს, რომ მეცხოველეობის კოლმეურნეობებს მოსავლიანობის გადიდების დიდი შესაძლებლობანი აქვთ. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ბათუმის რაიონის სოფელ გინიის კოლმეურნეობამ თვითუღ ჰექტარზე 72,6 ცენტნერი ციტრუსოვანთა ნაყოფი მოიწია, მაშინ როცა რესპუბლიკის მთელ რაი კოლმეურნეობებში ათ-ოთხთმეტ ცენტნერსაც ვერ იღებენ.

აჭარის მშრომელებმა სასახლოდ შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის სამი წლის დავალება. განვლილ პერიოდში სახელმწიფოს ჩაბარდა 6.604 ტონა თამბაქოს ნელმუღო, რაც დაეაღების 139 პროცენტად.

ყოველწლიურად ვითარდება ერთ დროს მივიწყებული სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა მევენახეობა. 1959-1961 წლებში 278,5 ჰექტარზე გაშენდა ახალი ზვრები. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სერიოზული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ყურძნის მოსავლიანობის გასაღიღებლად და მისი თვითღირებულების შესამცირებლად. აღსანიშნავია, რომ აჭარის მევენახეობა ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის შეიღწეულის სამი წლის დავალება — გვემის ას ტონამდე ყურძენი დააყდეს.

სულ უფრო და უფრო ფართოვდება ხეხილის ბაღები, დიდდება მოსავლიანობა. განვლილ სამხანგვარ წელიწადში მარტო რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1.184 ჰექტარზე გაშენდა თესლოვანი, კუროვანი, კაკოვანი და სუბტროპიკული ხეხილის ბაღები.

ამის მეოხებით ხილის შესყიდვის განვლილ სამი წლის დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულდა — სახელმწიფოს მიყიდა 14.538 ტონა თესლოვანი და კუროვანი ხილი, რაც გვემის 130 პროცენტს შეადგენს და რამდენიმე ასეული ტონით აღემატება წინა შეიღწეულის შესაბამის პერიოდში შესყიდული ხილის რაოდენობას.

ახლა უფრო მეტი ყურადღება ექცევა დაფინს გაშენებას. ამ ძვირფასი კულტურის ნარგავები ერთიორად და მეტად გაიზარდა. თუ 1958 წლის ბოლოს მას 127 ჰექტარი ეკავა, 1962 წლისათ-

ვის დაფინს ფართობმა 260 ჰექტარს გადაეკ-
რაბა.

ყოველწლიურად გადაპარბებით სრულდება ტუნგოს ნაყოფის სახელმწიფო შესყიდვის და-
ვალებში. შედგენილი სამ წელიწადში სახე-
ლმწიფოს მიეყიდა 12.733 ტონა ნაყოფი, რაც
გეგმის 102 პროცენტს შეადგენს.

აჭარის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქ-
ცია და შემდგომი განვითარება ამჟამად მიმდი-
ნარეობს ბუნებრივი სიმდიდრის, კლიმატური,
ნიადაგობრივი და სხვა პირობების თავისებუ-
ლებათა მაქსიმალური გამოყენებისა და ნაკლე-
ბად სარგებლიანი კულტურების უფრო ძვირ-
ფასი, მრავალწლიანი სუბტროპიკული და ტექ-
ნიკური კულტურებით შეცვლის გზით. ამიტომ
რესპუბლიკაში რამდენადმე შემცირდა ერთ-
წლიანი კულტურების ნათესები, თუმცა მეცხო-
ველეობის შემდგომი განვითარების მიზნით სა-
გრძნობლად დიდდება საკვები კულტურების,
განსაკუთრებით სასილოსე სიმინდის ნათესი
ფართობი.

ალმაღლობის გზით მიდის მეცხოველეობა.
განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირუტყ-
ვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესე-
ბასა და პროდუქტიულობის გადიდებას. თვალ-
საჩინო წარმატებებია მოპოვებული მეცხოვე-
ლეობის ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო
შესყიდვის დავალებათა შესრულებაში. ხორცის
შესყიდვის 1959-1961 წლების დავალება განა-
ღებულა 115,5 პროცენტით, რძისა — 105,5
პროცენტით, კვერცხისა — 103 პროცენტით,
ტყავნელეულისა კი 114 პროცენტით. დიდი
გადაპარბებით შესრულდა ამავე პროდუქტების
შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევ-
რის გეგმები. მიუხედავად ამისა, მეცხოველეო-
ბის განვითარების თანამედროვე დონე ვერ
უზასუნებს გაზრდილ მოთხოვნებს, ამასთან
უქანსკენლ ხანებში შენეულა პროდუქტიულო-
ბის ზრდის ტემპი. არ სრულდება ხორცის,
რძისა და კვერცხის წარმოების გეგმები.

მიმდინარე შედგენილში რესპუბლიკის სახა-
ლბო მეურნეობის ძირითადი დარგების შემდ-
გომ განვითარებასთან ერთად განუწყვეტლივ
ვითარდებოდა ტრანსპორტი და საქონელბრუნე-
ვა. საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის მიერ
მასშტაბითა და არასასურსათო საქონლის შესყი-
დვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობა-
ში. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის
საეალო საქონელბრუნვის მოცულობამ 1961
წელს შეადგინა 83,4 მილიონი მანეთი, რაც
1958 წელთან შედარებით 11,2 მილიონი მანე-
თით მეტია. თვალსაჩინოდ გადიდა სოფლად
სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნე-
ვა. რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებზე 1961

წელს 1958 წელთან შედარებით მოსახლეობის
სათვის მიყიდული მემცენარეობისა და სახე-
ველეობის პროდუქტების რაოდენობა საშუა-
ლოდ 45 პროცენტით გაიზარდა.

სკკპ XX და XXI ყრილობების ისტორიულ
გადაწყვეტილებათა შესაბამისად დამთავრდა
მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა ექვს
და შვიდსაათიან სამუშაო დღეზე სახალხო მეურ-
ნეობის ყველა დარგში. შემცირებულ სამუშაო
დღეზე გადაყვანა განხორციელდა ხელფასის
შემცირებლად, ხოლო ზოგიერთ დარგში მე-
შათა და მოსამსახურეთა ხელფასი დიდდება,
განსაკუთრებით მცირეხელფასიან მუშაკთა
ხელფასი. ახლა აჭარის მოსახლეობა სახელმწი-
ფის ხარჯზე გაცილებით მეტი რაოდენობის
დამხარებას იღებს სოციალური დაზღვევით,
პენსიებით, სანატორიუმებისა და დასასვენებე-
ლი სახლების საგზურებით, სტიპენდიებით და
სხვ.

შეიღწეულის განვლილ პერიოდში წარმა-
ტებით ხორციელდებოდა სამრეწველო, კომუ-
ნალურ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელ
შენობათა გაზიფიკაციის სამუშაოები. მარტო
1958-1961 წლებში გაზიფიკირებულია ქალაქ
ბათუმის 4.066 საცხოვრებელი ბინა და 157
კომუნალური დაწესებულება.

შესანიშნავი წარმატებებია მოპოვებული კუ-
ლტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის და-
ცვის დარგებში. 1958 წელთან შედარებით გა-
დიდა მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლებში, მათ შორის მუშა და სოფ-
ლის ახალგაზრდობის სკოლებში.

გაიზარდა კინოდანადგართა რაოდენობა და
მაყურებელთა რიცხვი. რესპუბლიკის ქალაქებ-
სა და სოფლებში 1961 წლის ბოლოს მოქმდე-
ბდა 173 კინოდანადგარი, ანუ 35 პროცენტით
მეტი, ვიდრე 1958 წელს. ამავე პერიოდში კი-
ნომაყურებელთა რიცხვი გადიდა სამი მილი-
ონ 222 ათას კაცამდე.

შემდგომ გაფართოვდა მასობრივი ბიბლიო-
თეკებისა და საკლუბო დაწესებულებათა ქსე-
ლი. აჭარაში ამჟამად არის 230 მასობრივი ბიბ-
ლიოთეკა და 179 საკლუბო დაწესებულება.
1961 წელს 1958 წელთან შედარებით მასობ-
რივ ბიბლიოთეკათა წიგნალი ფონდი გადიდა
152 ათას შეიდასი ეგზემპლარით.

შეიღწეულის სამხრეთგარე წელიწადში აჭარის
სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითა-
რების შედეგები ცხადყოფენ, რომ რესპუბლი-
კის მშრომელები ვადამდე და გადაპარბებით
შეასრულებენ შეიღწეულან გეგმას და თავიანთ
ლიტესულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში
კომუნისმის მშენებლობის გრანდიოზული პრო-
გრამის განხორციელებაში.



პავლე ჯორბენაძე

როზა ლუქსემბურგი მხატვრული ლიტერატურის შესახებ

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსა-
ჩინო მოღვაწემ, გერმანიის სოციალ-დემოკრა-
ტიის მემარცხენე ფრთის გამოჩენილმა თეორე-
ტიკოსმა როზა ლუქსემბურგმა თავისი ლიტერა-
ტურულ-კრიტიკული სტატიებითა და წერილე-
ბით საგრძნობი წვლილი შეიტანა მარქსისტუ-
ლი ესთეტიკური აზროვნების განვითარების ის-
ტორიაში. მართალია, მისი როგორც პრაქტიკუ-
ლი, ისე თეორიული მოღვაწეობა არ იყო დაწ-
ღვეული ზოგიერთი სერიოზული შეცდომისა-
გან, მაგრამ, როგორც ლენინი წერდა, „...მიუხე-
დავად... თავისი შეცდომებისა, იგი არწივი იყო
და არწივად დარჩება“...

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა
როზა ლუქსემბურგის როგორც პრაქტიკულ-
რევოლუციურ მოღვაწეობას, ისე მის თეორი-
ულ ნაწარმოებებს, რომელთა შესახებაც იგი
წერდა, რომ ისინი „ფრიად სასარგებლო გაკვე-
თილი იქნება მთელი მსოფლიოს კომუნისტთა
მრავალი თაობის აღსაზრდელად“.

როზა ლუქსემბურგის ნაწარმოებთა ეს მაღა-
ლი შეფასება მის ლიტერატურულ-კრიტიკულ
სტატიებსაც ეხება, რა თქმა უნდა, ცალკეული
შეცდომების გათვალისწინებით, რომლებიც ავ-
ტორმა დაუშვა თავის მოღვაწეობაში.

ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის სა-
კითხებს როზა ლუქსემბურგმა ძირითადად ექვ-
სი სტატია მიუძღვნა, რომლებიც შექმნილია
1898-1918 წლებში და უშუალოდ ეხება პო-
ლონურ, რუსულ და გერმანულ ლიტერატურას,
რამდენადაც გამოჩენილი რევოლუციონერის
პოლიტიკური მოღვაწეობა დაკავშირებული
იყო ამ ქვეყნებთან და ამ ქვეყნების ლიტერა-
ტურაც უფრო ახლოდგომი იყო მისთვის.

თავისი პირველი დიდი ლიტერატურულ-კრი-
ტიკული სტატია რ. ლუქსემბურგმა მიუძღვნა

ცნობილ პოლონელ პოეტს ადამ მიცკევიჩს.
1905 წელს კი ფრანც მერინგის წიგნის „შილე-
რის“ გამოსვლასთან (1898) დაკავშირებით
იგი აქვეყნებს სტატიას შილერის შესახებ.

დანარჩენ ოთხ ლიტერატურულ-კრიტიკულ
წერილში რ. ლუქსემბურგი ეხება რუსულ ლი-
ტერატურას. მათგან დიდ რუს მწერალს ლევ
ტოლსტოის მან მიუძღვნა სამი მნიშვნელოვანი
სტატია: „უტოპიური სოციალიზმის ეპიგონი“
(1908), „ლევ ტოლსტოი“ (1910) და „ტოლ-
სტოის სიკვდილშემდგომი ნაწარმოებები“
(1913).

ბრესლავლის ციხეში 1918 წელს რ. ლუქსემ-
ბურგმა შექმნა უკანასკნელი და ყველაზე დიდი
ლიტერატურული სტატია „რუსული ლიტერა-
ტურის სული და გული“. იგი მიძღვნილია ცნო-
ბილი რუსი მწერლის კოროლენკოსადმი და
გამოქვეყნებულია გერმანულად თარგმნილი
კოროლენკოს „ჩემი თანამედროვის ამბავის“
წინასიტყვაობის სახით.

უფრო ადრე, 1902 წელს, რ. ლუქსემბურგმა
გამოაქვეყნა ნეკროლოგი, მიძღვნილი გამოჩე-
ნილი რუსი მწერლის გლეზ უსპენსკისადმი. რ.
ლუქსემბურგის ესთეტიკური შეხედულებანი
გამუქებულია აგრეთვე მის სხვა სტატიებსა და
პირად წერილებში.

როზა ლუქსემბურგის რევოლუციურ მოღვა-
წეობას, მის საჯარო გამოსვლებს, პუბლიცის-
ტურ სტატიებსა და ლიტერატურულ-კრიტი-
კულ წერილებს იმ დროისათვის განსაკუთრე-
ბით დიდი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონ-
დათ, რადგანაც გერმანიის სოციალ-დემოკრატი-
ის რიგებში ფეხი მოიკიდა ოპორტუნიზმმა.
(ბერშტეინი, კაუცკი), რომლის წინააღმდეგ
დაუდნობლად იბრძოდა ფრ. ენგელსი, ხოლო
მისი სიკვდილის შემდეგ — ვ. ი. ლენინი. რე-

ვიზიონიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთაც, რომელშიც კარლ ლიბკნეხტან და კლარა ცეტკინთან ერთად შედიოდა პოლონეთიდან გერმანიაში ჩასული რ. ლუქსემბურგი. იგი გრძნობდა, რომ საჭირო იყო გაშლილი ბრძოლა იდეოლოგიის ყველა დარგში, განსაკუთრებით რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და ბურჟუაზიული დეკადენტური ხელოვნების, კერძოდ კი გადაგვარებული ბურჟუაზიული ლიტერატურის წინააღმდეგ, რამდენადაც რეაქციული ფილოსოფიისა და დეკადენტური ლიტერატურის მოძღვრებამ თავისი უარყოფითი დანი დასხვა გერმანული პროგრესული ლიტერატურის განვითარებას.

აი ასეთ ვითარებაში გამოვიდა როზა ლუქსემბურგი თავისი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებით, რომლებშიც იგი დაუნდობლად ამხილდა და გადაგვარებულ დეკადენტურ ლიტერატურას და მწერლობაში ფორმალისტის მემძლავრებას. მას ესმოდა, რომ ბურჟუაზიული ხელოვნების, კერძოდ კი ლიტერატურის გადაგვარება გამოწვეული იყო თვით ბურჟუაზიის, როგორც კლასის, დეგრადაციით. პროლეტარული ლიტერატურის შექმნისათვის, ლიტერატურის პარტიულობისათვის მებრძოლი როზა ლუქსემბურგი წერდა:

„მოდერნისტული, დეკადენტური, ოინაზური ხელოვნების ნატიფი ნაწარმოებები მართლაც კლასობრივი გადაგვარების პროდუქტია და ისინი არაა საჭირო სოციალისტურ საზოგადოებაში. ისინი უცხოა ჩვენი პროლეტარული ლიტერატურისათვის“.

როზა ლუქსემბურგისათვის უცხო იყო დეკადენტ მწერლობა და პოეტთა შინაარსისაგან დაცლილ ნაწარმოებთა უკიდურესი ფორმალუზმი, დეარქნილი სტილი, მანერულობა. იგი სასტიკად ილაშქრებდა აგრეთვე ნატურალიზმის წინააღმდეგ, ემილ ზოლას ექსპერიმენტული რომანის, ზოლას მიერ ხელოვნებაში მემკვიდრეობის თეორიის გადატანის წინააღმდეგ.

რ. ლუქსემბურგი მხატვრულ ნაწარმოებში უპირატესობას მის შინაარსს, მასში მოცემულ მსოფლმხედველობას ანიჭებდა. მოდერნისტ პოეტთა შესახებ იგი თავის მეგობარს ლუიზა კაუტცის წერდა:

„...მე კიდევ მაშინებს მათ მიერ ფორმის, პოეტური გამოსახვის ისტატური, სრულყოფილი დაუფლება და ამასთანავე დიდი, კეთილშობილური მსოფლმხედველობის ნაკლებობა“.

მისთვის ხელოვნების ძირითად მოთხოვნილებად იქცა „დიდი, კეთილშობილური მსოფლმხედველობა“. „პიროვნების სიდიადისა და მსოფლმხედველობის სიდიადის გარეშე არ არსებობს დიდი ხელოვნება“, — აღნიშნავდა იგი სტატიაში „ტოლსტოის სიკვდილშემდგომი ნაწარმოებები“.

მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოების შე-

საქმენლად, როზა ლუქსემბურგის აზრით, მართო ტალანტი როდია საკმარისი:

„ვის შეუძლია უარყოფა აბატი მონტინის ტალანტი და გენიალ კი. ვინ შეუდგებოდა სენტ-ბენეტის, ლიტერატურული ცესის ფორმის შემქმნელის დიდი ტალანტის უარყოფას“.

მიუხედავად ამისა, როგორც იქვე აღნიშნული, მათ ვერ შეძლეს მნიშვნელოვან მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნა, რამდენადაც არ გააჩნდათ არავითარი პრინციპი, არ ჰქონდათ მტკიცედ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და მზად იყვნენ თავიანთი ტალანტით მომსახურებოდნენ გაბატონებული კლასების ყველა პარტიას.

„მაგრამ ისინი ფრანგული ლიტერატურის უმნიშვნელო მოვლენად იქცნენ. მათი ზეგავლენა მეტად შეზღუდული იყო მათ ტალანტთან შედარებით. ეს მოხდა იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ადამიანები განსაზღვრული შეზღუდულების გარეშე, მტკიცე მსოფლმხედველობის გარეშე“ — დაასკვნა როზა ლუქსემბურგი.

ხაზს უსვამდა რა ლიტერატურის აღმზრდელბობით ხასიათს, როზა ლუქსემბურგი აცხადებდა, რომ „მტკიცე ზეგავლენისათვის, საზოგადოების ჭეშმარიტი აღზრდისათვის საჭიროა უფრო მეტი, ვიდრე ტალანტი, — საჭიროა პოეტური პიროვნება, ხასიათი, ინდივიდუალობა, რომელთაც ფესვი გადგმული აქვთ დასრულებულ ყოვლისმომცველ მსოფლმხედველობაში“.

როზა ლუქსემბურგს ხელოვნება როდო მიაჩნდა ზოგიერთი მოესთერო ადამიანის გასართობი საშუალებად, გაბატონებული კლასების ფუფუნების საგნად. ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, ობიექტური სინამდვილის შემეცნებისა და ადამიანთა აღზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

„ხელოვნება, დოქტრინერთა ყოველგვარ ენთეტურ და ფილოსოფიურ განსაზღვრათა მიუხედავად, არამც და არამც არაა ფუფუნება, დახვეწილი გემოვნების ადამიანებში „მშვენიერების“, „განცხრომისა“ და სხვა დიდკაცურ შეგრძნებათა გამომწვევი საშუალება, არამედ. ადამიანთა შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ისტორიული ფორმა...“

ყოველი დიდი მწერალი თავის შემოქმედებაში ასე თუ ისე ისტატურად ასახავს რეალურ სინამდვილეს, თავის ეპოქას, საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებას. ეს კარგად ესმოდა რეალისტური ლიტერატურისათვის მებრძოლ როზა ლუქსემბურგს:

„მაგრამ არა მარტო რუსების, არამედ საუკუნის მთელი სოციალური ისტორია აისახება მის შემოქმედებაში“, — ამბობდა იგი ტოლსტოიზე. ამ დიდმა მწერალმა, როზა ლუქსემბურგის აზრით, ასახა „ჭრელი მოძრავი მასა საზოგადოების ყველა ფენიდან, უპირველეს ყოვლისა კი ადამიანი მისი ვნებებით, მისი ბედნიერებითა და ტანჯვით“.

მაგრამ ხელოვანი პასიური დამკვირვებელი,

ცხოვრების მხოლოდ ამსახველი, მიუყვარებელი შემოქმედი როდი უნდა იყოს. მწერალი, პოეტი, უპირველეს ყოვლისა, ტრიბუნი, ხალხის, სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლი მოქალაქეა. ლექსმწერგი დიდ პოლონელ პოეტს აღამე მიცვენიხს თვლიდა მიცვენიხის თანამედროვე პოლონელი ახალგაზრდობის „ახალი იდეური მოძრაობის ცენტრად“ მას შემდეგ, რაც შექმნა „ოდა ახალგაზრდობისადმი“, რომელშიც იგი მგზნებარედ მოუწოდებდა ახალგაზრდობას „ახალ გზებზე დაეძრათ დაობებული დედამიწა“.

შილერზე დაწერილ სტატიაში როზა ლუქსემბურგი ხაზგასმით აღნიშნავდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რა დიდი ზეგავლენა იქონია შილერის შემოქმედებამ გერმანიის შეგნებული მებრძოლი პროლეტარიატის გარეგონელობაზე:

„გერმანიის პროლეტარულ ფენათა შორის შილერის პოეზიის გავრცელებამ, უდავოდ, ხელი შეუწყო მათ სულიერ აღმავლობასა და გარეგონელობაზე და, ამრიგად, იგი რამდენადმე მონაწილეობას იღებდა მუშათა კლასის ემანსიპაციის საქმეში,“ — წერდა როზა ლუქსემბურგი.

ხელოვნება, კერძოდ კი ლიტერატურა, როგორც საზოგადოების იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება, როზა ლუქსემბურგს მიაჩნდა კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებად ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში. პოლონური ლიტერატურის შესახებ იგი ამბობდა:

„კლასიციზმი და რომანტიზმი — ასეთი იყო ხელოვნების სფეროში გადატანილი წინააღმდეგობანი, რომლებიც ერთმანეთს ეჯახებოდნენ ეკონომიკასა და პოლიტიკაში...“

როზა ლუქსემბურგი მწერლის მსოფლმხედველობის, მისი შემოქმედების წინააღმდეგობრივ ხასიათს ქვეყნის ისტორიულ-სოციალური თავისებურებებით ხსნიდა. ასე, მაგალითად, შილერის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების წინააღმდეგობრივ, შეზღუდულ რევოლუციურ ხასიათს მაშინდელი გერმანიის ისტორიულ და სოციალურ უზადრუკობაში ხედავდა.

დახვეწილი მხატვრული გემოვნების მქონე როზა ლუქსემბურგი მუდამ წინააღმდეგი იყო ხელოვნებაში, კერძოდ კი მხატვრულ ლიტერატურაში შიშველი ტენდენციურობისა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაწარმოების მხატვრულობას. გოლსტორსის ერთ-ერთი რომანის შესახებ 1917 წლის თებერვალში იგი ლუიზა კაუცკის წერდა:

„გუშინ იგი ბოლომდე წავიკითხე და ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა ეს რომანი „მესაკუთრეზე“ ვაცოდებით ნაცლებად მომეწონა, იმიტომ რომ მასში სოციალური ტენდენცია ჰარბოხს. რომანში მე ვუყურებ არა ტენდენციას, არამედ მხატვრულობას“.

ეს იმიტომ, რომ როზა ლუქსემბურგისათვის მხატვრულობა იმავე იდეურობას, იდეის მხატვრულ გაფორმებას ნიშნავდა. ამიტომაც იგი მუდამ თავგამოდებით იბრძოდა იმ ნაწარმოებთა წინააღმდეგ, სადაც ტენდენციურობა ჰარბოხდა მხატვრულობას. მაგრამ როზა ლუქსემბურგი როდი იყო საერთოდ ტენდენციურობის წინააღმდეგი. პირიქით, იგი ხაზს უსვამდა რუსული ლიტერატურის ტენდენციურობას, მის მოქალაქეობრივ მებრძოლ ხასიათს.

„რუსული ლიტერატურის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან გამოაღვიძა რუს საზოგადოებაში ეს ძალადო მოქალაქეობრივი გრძნობა, გამოაშჴარავა თვითმპყრობელობის უღრმესი ფსიქოლოგიური ფესვები. იგი მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე არასოდეს არ უარყოფდა სოციალურ პასუხისმგებლობას...“

მაგრამ, როგორც როზა ლუქსემბურგი აღნიშნავდა, „რუსული ლიტერატურა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ტენდენციური ხელოვნება ამ სიტყვის უხეში გაგებით ან როგორც თავისუფლების გამაყრუებელი დაფუძნები“.

როზა ლუქსემბურგის აზრით, მწერალი უნდა იყოს „არა მარტო დაუცხრომელი ხელოვანი, არამედ დაუცხრომელი სოციალური მოაზროვნე“. მაგრამ ეს სოციალური აზრი, ტენდენცია, შიშვლად კი არ უნდა გვიჩვენოს, არამედ გაშალოს მხატვრულ საფუძველზე. ამიტომ იგი თავდადებით იბრძოდა „დიდი სტილის“ ქმედით ლიტერატურისათვის, რომლის საუკეთესო ნიმუშად XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა მიაჩნდა. იგი აღფრთოვანებით წერდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ „ლომისებური ნახტომით აიწაზღაურა ის, რაც ხელიდან გაუშვა ათასი წლის განმავლობაში, და, როგორც თანატოლი, შევიდა მსოფლიო ლიტერატურათა ოჯახში“.

რუსული ლიტერატურის ეს არნახული აყვავება, როზა ლუქსემბურგის აზრით, გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ეს ლიტერატურა ოპოზიციაში ედგა გაბატონებულ რეჟიმს. მაღალმხატვრულმა და მაღალიდევრმა რუსულმა ლიტერატურამ დიდი სახელი გაუთქმა რუსეთს, რუს ხალხს:

„სწორედ მხატვრულმა ლიტერატურამ მოუპოვა ადგილი ნახევრად აზიურ დესპოტურ სახელმწიფოს მსოფლიო კულტურაში, გაანგრა თვითმპყრობელობის მიერ აღმართული ჩინური კედელი და აავო ხიდი დასავლეთსა და რუსეთს შორის, რათა იქ გამოჩენილიყო არა მარტო ამღებად, არამედ მიმცემადაც, არა მარტო მოსწავლედ, არამედ ჰყუის დამრიგებლად. სკამარისა და დავასახელით სამი სახელი: ტოლსტოი, გოგოლი და დოსტოევსკი“.

როზა ლუქსემბურგი დაუდობლად ებრძოდა იმათ, ვინც ვიწრო კლასობრივი და პარტიული მოსაზრებით აყალბებდა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებას,

განუჩრეველად მიაკრებდა რა მათ „რეაქციონერს“ თუ „პროგრესულს“ მწერლის იარაღის:

„დოსტოევსკი წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში თავის გვიანდელ თხზულებებში, რეაქციონერს, ღვთისმოსავ მისტიკოსს და სოციალისტს მოძულეს. მის მიერ რუს რევოლუციონერთა ასახვა წარმოადგენს ლფარდლიან კარიკატურას. ტოლსტოის მისტიკურ მოძღვრებას, ყველა შემთხვევაში, რეაქციული ტენდენციების სუნი დაკრავს, და მაინც, ისინი ირივენი თავიანთი ნაწარმოებებით გვაღელვებენ, აგვამაღლებენ, გვათავისუფლებენ“.

ყოველივე ამის წყაროდ როზა ლუქსემბურგს ამ ორი გამოჩენილი რუსი მწერლის დიდი ჰუმანიზმი და ღრმა სოციალური პასუხისმგებლობა მიაჩნდა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მათ გრძნობებსა და აზრებს ესუფლება არა სოციალური სიძულვილი, არა კატორი ეგოიზმი. არამედ, „პირიქით, — ფართო ჰუმანურობა და სოციალური უსამართლობისადმი პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობა.“

ციდილობს რა მოგვეცეს ამ მწერალთა შემოქმედების ღრმა ანალიზი და ნათელი მოფინოს მის წინააღმდეგობრივ ხასიათს, როზა ლუქსემბურგი აღნიშნავს, რომ ჰუმანიტარულ ხელოვნებას მის მიერ წამოყენებული სოციალური რეცეპტი მეორეხარისხოვან მოვლენას წარმოადგენს. გადაწყვეტილი მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული შემოქმედების წყაროს და არა ხელოვნების მიერ თავისთვის შეგნებულად დასახულ მიზანს:

„ხელოვნებისა და მისი ქმედითი ძალისათვის აღნიშნულთანაა არა სოციალური რეცეპტი, არა პრობლემის გადაწყვეტა, არამედ თვით მისი დაყენება, სიღრმე, გაბედულება და მისდამი მიდგომის გულწრფელობა.“ — წერდა იგი.

როზა ლუქსემბურგისათვის ლიტერატურაში გადამწყვეტია სოციალური თემატიკა. ლიტერატურამ უნდა ასახოს არა შემთხვევითი, სენტიმენტალური ამბები, არამედ ისეთი მოვლენები, რომლებიც იწვევენ კონფლიქტს ადამიანთა შორის როგორც საზოგადოების მიმართ, ისე ცალკეულ ადამიანთა მიმართაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია როზა ლუქსემბურგის დამოკიდებულება დიდი პროლეტარული მწერლის გორკისა და მისი შემოქმედებისადმი. როზა ლუქსემბურგმა გორკი პირადად ინახულა ბერლინში, როცა გერმანიაში ყოფნის დროს გამოჩენილი რუსი მწერალი ხედებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს ბეპლეს, კაუცკის, ლიბკნეხტსა და სხვებს.

უპირისპირებდა რა ერთმანეთს წარსული რუსეთის ამსახველს — კოროლენკოსა და პროლეტარულ მწერალს — გორკის, როზა ლუქსემბურგი წერდა:

„კოროლენკოსათვის ინტერესის ცენტრს ისევ და ისევ გლეხი წარმოადგენს, გორკისათვის კი — გერმანული მეცნიერული სოციალიზმის ადეპტისათვის — ქალაქის პროლეტარიატი.

და მისი ანარქიზმი — ბოიკი. მაშინ როცა კოროლენკოსთან მოთხორობის ბუნებრივ წარჩინებულად წარმოადგენს, გორკისთან — მისი სოციალისტური, სარდაფი, ღამის სათევითი. კრიტიკის აზრით, კოროლენკოსა და გორკის შემოქმედების განსხვავებულობას საფუძვლად უდევს ის, რომ მათი ცხოვრება ბავშვობიდანვე სხვადასხვანაირად წარიმართა, რამაც მათ განსხვავებული მსოფლმხედველობა გამოუმუშავა:

„კოროლენკო, რომელიც აღიზარდა ღარიბ-რეალურ პირობებში, ბავშვობიდანვე განიშლება სამყაროსა და მის მოვლენათა უცნაულობის, მდგრადობის ნორმალური გრძნობით, როგორც ეს დამახასიათებელია ყველა ბედნიერი ბავშვისათვის. გორკი, რომელიც გამოვიდა ნაწილობრივ მეშინებდიდან, ნაწილობრივ კი ბოსიაკებიდან, საშინელებათა, ბიჭურებათა და ადამიანური ვნებების პრიმიტიულ გამოვლინებათა პირობებში აღზრდილი, სავსებით დოსტოევსკის სტოისიკეობით, ჯერ კიდევ ბავშვი, დევნილი მგლის ლეკვით იღრინება და ბელს უყვენებს თავის ბასრ ყბილებს“.

როზა ლუქსემბურგი განცვიფრებულია გორკის ჯერ არნახული ზრდით უმეცრებიდან გენიალობამდე, რაც მან რუსეთის პროლეტარიატის თვითშეგნების გასაოცარ სწრაფ ზრდას დაუკავშირა. მის მახვილ თვალს არ გამოუპარია, რომ ძველი, ბატონყმური რუსეთი ისტორიის წყვილადში ინთქმებოდა, რომ დადგა ახალი, რევოლუციური ქარიშხალთა დრო, რომელსაც სჭირდებოდა ახალი მოძღვრებები.

„კოროლენკოს მიერ ასახული რუსეთი უკვე აღარ არსებობს. იგი გუშინდელი რუსეთია. მისი სამშობლოსა და მის ადამიანთა წაწი, პოეტური, მეოცნებე განწყობილება გაქრა. ჯერ კიდევ ერთნახევარი ათეული წლის უკან მან ადგილი დაუთმო გორკისა და მის თანამებრძოლთა, რევოლუციის ხმაწერიალს ქარიშხალთა ტრაგიკულ, მუუხარე განწყობილებას“ — წერდა როზა ლუქსემბურგი.

როზა ლუქსემბურგის ლიტერატურულ-კრიტიკულ მეშვიდობაში დიდი ადგილი დიკავა ტოლსტოისადმი მიძღვნილმა სტატიებმა. მაგრამ სწორედ ამ სტატიებში ყველაზე უფრო იჩინა თავი როზა ლუქსემბურგისათვის დამახასიათებელმა შეცდომებმა. ამის გამო მან ვერ მოგვცა ტოლსტოის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების დასრულებული ღრმა ანალიზი, რაც უკვე გაყვებული იქნა ლენინს ტოლსტოისადმი მიძღვნილ სტატიებში. მაგრამ როზა ლუქსემბურგი ზოგიერთ რამეში მაინც უახლოვდებოდა ლენინს.

როზა ლუქსემბურგს კარგად ესმოდა, რომ ტოლსტოის შემოქმედების განხილვისას „არ შეიძლება ხელოვანი მოწყვეტით პიროვნებას, მამასადავ, მებრძოლს. ორივენი განუპირობებენ ერთმანეთს მათ სილიადში“. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტოლსტოი „თავიდანვე



იყო არა მარტო დაუცხრომელი ხელოვანი, არამედ დაუცხრომელი სოციალური მოაზროვნეც. მაშინ როცა ბურჟუაზიული დეკადენტური ლიტერატურა დაკნინებისა და გადაგარების გზას დაადგა და არ შეეძლო მოეცა მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, „ტოლსტოის განმარტებული გენია ინარჩუნებდა ეპიკური პოეტის მძლავრ მხატვრულ საშუალებებს.“

როზა ლუქსემბურგმა შესანიშნავად განმარტა, თუ რაში მდგომარეობდა დიდი რუსი რეალისტი მწერლის შემოქმედების სიღრმე და ძალა, თუ რატომაც ტოლსტოი გენიალური მწერალი, მიუხედავად მისი მოძღვრების რეაქციული ხასიათისა:

„როგორც ყველა მსგავს ინტელექტთან, ტოლსტოის ძალა და სიმძიმის ცენტრი არა მიაღწევდა პროპაგანდაშია, არამედ არსებულ ურთიერთობათა კრიტიკაში... არ არის თანამედროვე სოციალური წყობილების არც ერთი ტრადიციით ნაკურთხი ინსტიტუტი, რომელიც ტოლსტოის არ გაემთარაზებინოს, რომლის სიერე, უაზრობა და უზნებობა მას არ დაემტკიცებინოს. ტოლსტოიმ ბრძოლა გამოუყენა ბუიქუაზიულ საზოგადოებას და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დარჩა მის მოსისხლე მტრად.“

მეტად საგულისხმოა როზა ლუქსემბურგის მოსაზრებანი სატირის წარმოშობის მიზეზებზე. რევოლუციონერ კრიტიკოსს სატირა მიაჩნდა კულტურული ხალხების მდიდარი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ გამოხატულებად. მართლაც, საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა დიდი აღდგომა ეკავა დასავლეთში სატირას (მანდევინი, სვიფტი, სტერნი, ბაირნი და დიკენსი — ინგლისში, რაბლე, ვოლტერი და ბერანე — საფრანგეთში, ჰაინრიხ ჰაინე — გერმანიაში, მარკ ტვენი — ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა. შ.). ყველასათვის ცნობილია აგრეთვე, თუ რა სწრაფად განვითარდა სატირა XIX საუკუნის რუსეთში, რომელმაც წამოაყენა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი სატირიკოსი მწერლები, როგორიც იყვნენ სილტიკოვ-შჩედრინი და გოგოლი.

სატირის ფართოდ გავრცელებას, მის აყვავებას როზა ლუქსემბურგი უკავშირებდა არა პოლიტიკურ თავისუფლებას, არამედ ლიტერატურის საერთო სულისკვეთებას, საზოგადოებას ხელმძღვანელ შეხედულებას.

„სატირული ლიტერატურის აყვავებას ხშირად უკავშირებენ ინგლისში ძველ პოლიტიკურ თავისუფლებას და ხსნიან ამით. რუსული ლიტერატურა, რომელიც ამ მხრივ შეიძლება დავაყენოთ ინგლისური ლიტერატურის გვერდით,

ამტკიცებს, რომ ეს იმდენად სახელმწიფო ბიუბეზაჟი კი არაა დამოკიდებული, არამედ ლიტერატურის მისწრაფებისაგან, არა იმდენად დაწესებულებებისაგან, რამდენადაც საზოგადოების ხელმძღვანელი შეხედულებებისაგან.“

ამ ესოდენ დიდი და თვალსაჩინოა როზა ლუქსემბურგის წვლილი მარქსისტული ესთეტიკის განვითარების ისტორიაში, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ზოგიერთ შემთხვევაში იგი თავს ვერ აღწევდა შეცდომებს, თანაც ზოგიერთი მისი ესთეტიკური დებულება წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. კერძოდ, მცდარი და წინააღმდეგობრივია რ. ლუქსემბურგის შეხედულება მომავლის ხელოვნებაზე. მან უდავოდ შეცდომა დაუშვა, როცა დაეთანხმა ლევ ტოლსტოის შემდეგ სიტყვებს:

„...ჩვენს ნატივ ხელოვნებას შეეძლო წარმოშობილიყო მხოლოდ სახალხო მასთან მონობაზე და შეუძლია გავრცელდეს მხოლოდ მანამდე, სანამ იქნება ეს მონობა... მხოლოდ მუშათა დაძაბული შრომის პირობებში სპეციალისტებს — მწერლებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს, მსახიობებს შეუძლიათ მივიღწენ სრულყოფის იმ დახვეწილ საფეხურამდე, რომელსაც ისინი აღწევენ, და შეუძლიათ შექმნან ხელოვნების თავიანთი დახვეწილი ნაწარმოებები, და მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება იყოს ნატივი ხალხი, რომელიც დაფასებს ამ ნაწარმოებებს. ვაითავისუფლოთ კაპიტალის მონები — და შეუძლებელი იქნება ასეთი ნატივი ხელოვნების შექმნა.“

თუ კი ეს შეიძლება ითქვას ბურჟუაზიული ხელოვნების შესახებ, იგი სრულიად მიუღებელია მარქსისტული სოციალისტური ხელოვნების მიმართ, რამდენადაც სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალების გიგანტური ზრდა საშუალებას იძლევა საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვაითავისუფლდეს მატერიალური დოვლათის უშუალო წარმოებისაგან, რათა თავისი სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობანი გამოიყენოს ახალი, სოციალისტური ხელოვნების შესაქმნელად და საჭირო არაა, ხელოვანი დაზგასთან იდგეს ან კომპანიი მართოს.

ამის ნათელი დადასტურებაა ის დახვეწილი მაღალიდურო და მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებსაც ქმნიან ჩვენი მწერლები, პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები, მუსიკოსები, სცენისა და კინოს საუკეთესო ოსტატები.



მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერებათა აკადემიის სახელი

ალექსანდრე პუშკინი, როცა ოცდაცამეტი წლისა იყო, მაშინდელ პეტერბურგში, ერთ-ერთ სასახლეში გამართულ წვეულებაზე შეხვედრია ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს ნადეჟდა ლევის ასულ სოლოგუბს, რომელიც, როგორც იმ დროს მცხოვრები ადამიანების მოგონებების მიხედვით ვიცით, თურმე თვალწარმტაცი სილამაზის ქალი ყოფილა; მაშინდელ საზოგადოებაში იგი გამოირჩეოდა, როგორც ერთადერთი ახლად გაშლილი ვარდი ბაღში (სხვათა შორის, ის ვარდი თავისი ფურცლების დაცვენასაც მოსწრებია, ოთხმოცდარვა წელიწადს უცოცხლოა, 1903 წელს გარდაცვლილა). იმ ქალის სილამაზეს მრავალთა შორის დიდი პოეტის გულიც დაუტყვევებია. ალ. პუშკინმა, თავისი განცდების გამოსახატავად, როგორც ვიცით, შექმნა სოლოგუბის ქალისადმი მიძღვნილი ლექსი. ეს ლექსი ლირიკის ერთ-ერთ შედევრად ითვლება, მაგრამ ჩვენ ამჟამად ყურადღებას მხოლოდ მის შინაარსს ვაქცევთ, რადგან გვსურს შევნიშნოთ, რომ ზუსტად ანალოგიური შინაარსის წერილი მიუწერია ჩვენს ეგნატე ნინოშვილს თავისი სატრფოსათვის. ამ ფაქტს, ვფიქრობთ, მცირედენი მნიშვნელობა მიანიჭებენ, საერთოდ, მწერლის, დიდი იქნება თუ პატარა, ბუნების დასადგენად. პირველ რიგში გავიხსენოთ ალ. პუშკინის ხსენებული ლექსი ქართული თარგმანის მიხედვით. მისი თარგმანი, რომელიც ჩვენ გვეუთვნის, 1937 წელს გამოქვეყნდა პუშკინის საიუბილეო დღეებში. თარგმანს, და არა ორიგინალს, იმის გამო მივმართავთ, რომ ჩვენ, როგორც უკვე მოვახსენეთ მკითხველს, ამჟამად მხოლოდ ლექსის შინაარსი გვაინტერესებს. სხვა მხრივ თუ არ არის საყურადღებო თარგმანი, შინაარსის მოყოლის მხრივ მაინც ადეკვატურია. ამის გარდა, ვფიქრობთ, რომ თარგმანის გახსენებას პუშკინის წლებადელ საიუბილეო დღეებშიც ერთგვარი მნიშვნელობა აქვს.

ხსენებული ლექსი ქართულ თარგმანში ამგვარად გამოიყურება:

არა, არ ძალმიძს, ეს არც მმართვეს და ვერც გაგებდა;
რომ გატაცებით ვენდო მორევს სიყვარულისა,
მე ჩემს სიმშვიდეს, მყუდროებას ვფასებ მეტად,
დარდის, აღვზნების უფლებას მე არ ვაძლევ ვულსა.
მეყო ტრფილი, მაგრამ იგი ნეტავ მასმინა,
რათ არ ვეხვევი მე წუთიერ ოცნების ნისლში,
მოულოდნელად როს გაივლის ჩემს თვალთა წინა
ნაზი, სპეტაკი და ციური მშვენიება მისი.
გაივლის იგი, იმალება და ნუთუ მაშინ,
როს მოხიბლული სული ჩემი მას ეფერება,
არ შემიძლია რომ ვუცქირო და სიჩუმეში
დავლოცო იგი, და ვუსურვო ბედნიერება;
ჯულით ვუსურვო სიკეთენი ამა ქვეყნისა,
განცხრობა, შვება, სიხარული, ის, რაც სულს ალხენს,
მთლად ყველაფერი, დღეგრძელობა თვით იმ კაცისა,
ვინც ძვირფას ქალწულს მიაწიებს მეუღლის სახელს.

როგორც ამ ლექსიდან ჩანს, პუშკინი სოლოგუბის მომხიბვლელ ასულს ერთ-ერთ სადღესასწაულო წვეულებაზე შეხვედრია და მასთან დაახლოება შეუფერებლად მიუჩნევია ასაკობრივი განსხვავების გამო; მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქალიშვილს, რომლისკენ ლტოლვას პოეტის გული არ იშლის, სიყვარულში ბედნიერებას უსურვებს მისგან, პუშკინისაგან დამოუკიდებლად; ამ მხრივ პოეტი ისე შორს მიდის, რომ ბედნიერ სიცოცხლეს იმ ადამიანსაც უსურვებს, რომელიც მომავალში სოლოგუბის ასულის მეუღლე გახდება.

ზუსტად ამგვარი სულისკვეთება, რაც მალონების ხატვის დროს პოეზიაში, მუსიკაში, მხატვრობაში მხოლოდ დიდ შემოქმედთ ახასიათებთ, ეგანტე ნინოშვილსაც გამოუმჯდუნებია თავისი სატრფოს ნადასი კალანდაძისათვის მიწერილ ბარათში. აი ერთი ადგილი ამ წერილიდან: „მამ კიდევ განვიმეორებ, აღდეგარქმელს ღმერთმა თქვენი და თქვენი სატრფოს სიყვარული, ამხანაგობა, ცოლქმრობა!“ ხსენებულ წერილში, მეორე ადგილას, ე. ნინოშვილი ამხელს იმავე სულისკვეთებას, რაც სულს უღვამს პუშკინის ხსენებულ ლექსს: „კიდევ განვიმეორებთ გინატრით ნეტარ ცხოვრებას თქვენ და თქვენ მეუღლეს. გწამდეთ, რომ დიდად მესიამოვნება, თუ როდესმე ჩემს ყურამდევ მოაწია თქვენი კარგად ცხოვრების ამბავმა“.

ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც საყურადღებოა ის გარემოება, რომ ე. ნინოშვილიც თავის სატრფოს, ვით პუშკინი სოლოგუბის ქალს, საღვთისწაყულო ვითარებაში შეხვედრია; ნინოშვილს წერილში ხაზგასმული აქვს: „ასე, ნადასი, დღეს, 15 თებერვალს, 1892 წელს სრულიად და მოუბრუნებლად თავდება ის რომანი, რომელიც ამ თვე-ნახევრის წინათ, „კალანდას“ (ახალ წელს) დაიწყო სოფელ ხიდისთავში“.

არანაკლებ საინტერესოა უნდა იყოს ის ამბავიც, რომ თავის სატრფოსთან დაახლოების ხელისშემშლელ მიზეზად ნინოშვილიც, ვით პუ-

შკინი, ასაკობრივ განსხვავებას მიიჩნევს. ნინოშვილი წერს: „ჯერ ერთი, წლოვანებასთან შორის იმასაც შევნიშნავთ, რომ ამ დროს ნინოშვილიც, როგორც პუშკინი, ოცდამეცამეტე წლისა იყო) არ შეგეფერებით თქვენ, რადგანაც თქვენ ჩემზე განსხვავებით უყმაწვილესი ხართ, ეს ერთი უმთავრესი დაბრკოლებაა“.

ამ შედარებების დროს ზოგიერთი მკითხველი უთუოდ გაიფიქრებს: სად პეტერბურგი და სად სოფელი ხიდისთავი? სად გრაფ სოლოგუბის ასული და სად ე. ნინოშვილის სატრფო? მათ მიეუბნებო: გრანდიოზულობის თვალსაზრისით, გურული სოფლის კალანდა, მაჰახლეების ცეცხლით განათებული, ჩანჩქერებივით ხმაურა სიმღერებით აღგზნებული, მთავრის სხივებითა და ქალების კისკისით გაცისკროვნებული, განა ნაკლებ მომხიბვლელი იქნებოდა, ვიდრე პეტერბურგის ერთ-ერთ სასახლეში მოწყობილი ბალმასკარადო?

ე. ნინოშვილის სატრფოს სილამაზეში ვინმე თუ იმის გამო დაეჭვდება, რომ ის პროვინციელი იყო, მოვავაგნებთ იმ დროს მცხოვრებ, სწორედ ნიკოლოზ პირველის კარზე მყოფ ფრანგი დიპლომატის, პეტერბურგის ბალმასკარადების ხშირი სტუმრის მარკიზ დე-კუსტიანის სიტყვებს: „საერთოდ, კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ლამაზი ქალები პეტერბურგში იშვითი მოვლენია, მაგრამ მაღალი საზოგადოების თვალში გრაციო და ელეგანტობა აესებეს ნაკლს ქალის სილამაზისა, მე მხოლოდ რამოდენიმე ქართველი ქალი შემხვდა, რომლებშიაც შეერთებული იყო სილამაზე და გრაცია; ეს მნათობნი ჩრდილოეთის ქალთა შორის ისე ბრწყინავენ, როგორც ვარსკვლავები სამხრეთის ღამის ბნელ ცაზე“.

მართალია, პუშკინის ლექსი დიდი მხატვრული მოვლენაა, მაგრამ ნურც ე. ნინოშვილის კერძო ბარათს გავატანთ ქარს, ვინაიდან ის წერილიც იმ სხივებით არის ნაწერი, რომელსაც დიდ შემოქმედთა გულები გამოსცემენ.



დავით ნასუქაძე

გრიგოლ კოლხიდელი

კოლხიდელი — გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი პოეტის გრიგოლ ლევანისძე დადიანის ფსევდონიმია. იგი იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის და- ვით დადიანის უმცროსი ძმა.

გ. კოლხიდელი დაიბადა 1814 წელს. მთავარ- მართებელ ერმოლოვისა და გენერალ პასკევიჩის დახმარებით გრ. დადიანი ჩარიცხეს პაჟთა კო- რპუსში, რომლის დამთავრების შემდეგ მისი სამხედრო კარიერა არ შეჩერებულა. იგი მსახუ- რობდა ლიბეგვარდიის პრეობრაჟენსკის პოლ- ლეში, ხოლო უკანასკნელად ატარებდა ინფანტერი- ის გენერალ-ადიუტანტის ჩინს.

1853 წელს, როცა დავით დადიანი გარდაიც- ვალა, სამეგრელოს დედოფლად იმპერატორმა დანიშნა მისი მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე-და- დიანისა. დაქვრივებული რძლის პირველი მჩრე- ველი იყო გ. კოლხიდელი.

თავისი იდეებითა და მისწრაფებებით გრ. კოლხიდელი ახლო იდგა მაშინდელ მოწინავე ადამიანებთან. მისი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ პლატონ იოსელიანი, ისტორიკოსი მარი ბროსე, მამია გურიელი და სხვები. გ. კოლხი- დელმა მეტად მდიდარი მოგონებები მისცა სა- მეგრელოს სამთავროსა და დავით დადიანის შე- სახებ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს იონა მეუ- ნარჯიას.

ლექსების წერა ორივე ძმას ახალგაზრდობი- დანვე დაუწყია, მაგრამ დავით დადიანი სამთა- ვროს საქმეებში ჩამოაცილეს შემოქმედებით სა- მუშაობას, გრიგოლმა კი განაგრძო პოეზიის სა- მსახური და ქართულ მწერლობაში შესამჩნევი კვალიც დატოვა.

გრ. კოლხიდელი უმთავრესად მოღვაწეობდა ჟურნალ „ცისკარში“, რომლის დაარსებასაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. 1853 წელს „ცი- სკარის“ მერვე ნომერში მან დაბეჭდა ლექსი

„ცისკარი“, რომელშიც ჟურნალის გამოცემას „დარის დადგომას“ ადარებს და რწმუნას გამო- თქვამს, რომ იგი უდიდეს როლს შეასრულებს ქართველი ხალხის კულტურულ წინსვლაში.

თემატიკურად მრავალფეროვანი გრ. კოლხი- დელის შემოქმედების ძირითადი მოტივია პატ- რიოტიზმი, რომელსაც საფუძვლად ედო ქართ- ველი ხალხისა და მისი გმირული წარსულის სიყვარული.

გ. კოლხიდელი უმდებროდა სახელოვან ქარ- თველ მეფეებს დავით აღმაშენებელსა და გიო- რგი ბრწყინვალეს, რომლებმაც დაამარცხეს შე- მოსული დამპყრობლები და გააფართოეს სა- ქართველოს საზღვრები.

1860 წელს „ცისკარში“ (№ 2) გრ. კოლხიდე- ლმა დაბეჭდა ლექსი „სირაძე, ძველთა იმერთა მეჩონგურე, უგალობს დავით აღმაშენებელს“. მასში იგი ქება-დიდებათ მოიხსენიებს ქართველ მეფეს, რომელმაც ჩაიბარა დასუსტებული, და- ქუთმაცებული სამეფო, მაგრამ თავისი ზრუნეი- თა და სიბრძნით იგი შავი ზღვიდან დარბანდა- მდე გადაჭიმულ უმძლავრეს ქვეყნად გადაქცია. დასასრულ პოეტი ასკვნის: „სიმდიდრე, ოქრო, ვერცხლი“, „თვალ-მარგალიტი“, „სინარჩარე, სიტურფე და მშვენიერება“ ყველაფერი დროე- ბითია: ძლიერი, სუსტი, მოხუცი, ყრმა და ჯაბუ- კი — ყველა მომავლადვია; დრო ყველას წარბო- ცხა და გახრწნის, მაგრამ სახელი დავით აღმა- შენებლისა „არასოდეს წარაშლება“ და მუდამ „იბრწყინებს“.

შეიღო წლის შემდეგ იმავე „ცისკარში“ (№ 7 და 8) გრ. კოლხიდელმა გამოაქვეყნა ლექ- სი „მეფე გიორგი ბრწყინვალე“, რომელშიც წა- რმოგვიდგენს მას, როგორც ივერიის მტერთა „საზარო რისხვას“. პოეტი იყენებს მდიდარ მხატვრულ საღებავებს სახელოვანი მეფის და- სახატავად. გიორგი ბრწყინვალეს იგი ადარებს

„გლვარე მზეს“, რომელსაც ქართველმა ერმა სამართლიანად უწოდა „ბრწყინვალე“.

1857 წლის „ცისკარის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია პოეტის ლექსი „კორსიკელი“, რომელშიც მან დახატა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე. გრ. კოლხიდელი დაზავრებულად წარმოგიდგენს იმ სისხტიკესა და მუხანათობას, რასაც ნაპოლეონის ჯარები სხადიოდნენ დიდი რუსეთის მიწა-წყალზე, გვიხატავს მოსკოვის დაწვასა და გაჩანაგებას. ლექსში განსაკუთრებით კარგადაა ნაჩვენები თავისუფლებისმოყვარე დიდი რუსი ხალხი, რომელიც გმირულად აღუდგა წინ დამპყრობელს, ვაანადგურა იგი და მოწიბრისაგან იხსნა საკუთარი სამშობლო და ევროპის ხალხები.

შეიძლება დაბეჭდილებით ითქვას, რომ გრ. კოლხიდელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იწვოდა სამშობლოს სიყვარულით. პოეტი არაერთხელ დაფიქრებულა ქართველის ბედზე, მის ღუბჭორ აწმყოსა და ტანჯულ წარსულზე. 1858 წელს „ცისკარში“ (№ 11) მან მოათავსა ლექსი „მწირი“, რომელშიც ასახა სამშობლოსაგან მოწყვეტილი ქართველი ქაბუჯის ზეგარი.

საყურადღებოა აგრეთვე გრ. კოლხიდელის ორი ლექსი საერთო სათაურით „ჩემს მეგობარს“. ამ ლექსებში პოეტი სასტიკად გმობს იმ ადამიანებს, რომლებმაც დაიფიქვეს ქართული, მამაპაპური ადამ-წესები, სტუმართმოყვარეობა, გულგახსნილობა, შრომისმოყვარეობა და მეგობრისათვის თავდადება.

ჯდომა ურგები და ზარმაცობა,
სხვაზედ სიცილი, სხვაზედ უბნობა,
ერთის ნათქვამის მეორეს თხრობა,
მე არ მომწონს და, ვისაცა მოსწონს,
ღმერთმან მას ჭკუის მისცეს მშვიდობა.

დასასრულ, პოეტი თავის მეგობარს მოუწოდებს სამშობლოსათვის თავდადებისაკენ, სიკეთისა და ჰუმანურობისაკენ, რაც მისივე თქმით, ზუნებრავად თანდაყოლილი თვისებაა ყოველი ქართველისა.

აქვე უნდა გაეხსენოთ გრ. კოლხიდელის ღრმად პატრიოტული ლექსი „სამშობლო“, რომელიც, რუსულად თარგმნილი, დავით დდიანის ახლობელმა პირმა ნიკოლოზ ჩარკვიანმა ნაღმის დროს ექსპრომატად უთხრა სამეგრელოში სიძესთან სტუმრად ჩასულ ალექსანდრე პავლევიძეს.

გრ. კოლხიდელის პატრიოტულ ლექსებს ავთორგვინებს „ხობის წყალი“ (დაიბეჭდა „ცისკარში“, № 11, 1854 წ.). ამ ნაწარმოებში ნათლად ჩანს სამშობლოსადმი უდიდესი ერთგულება და სიყვარული. მარადმწვანე კოლხიდის ველი, ღრუბლებამდე აწვდილი მთის მწვერვალები, კლდე-ღრეებიდან გადმონადენი, მოჩირაილე ხობისწყალი მგოსანს ანიჭებენ განუზომელ ნეტარებას, სულის სიმშვიდესა და სიცოცხლეს. მისი

გრძნობა და გონება ისე ერწყმის მშობლიურ კუთხეს, რომ მისგან ვანშობება ვერც კი წარმოუდგენია. პოეტს ღრმად სჯერა, რომ მსოფლიო მას, ამ კუთხის შეილს ესმის ხობისწყლის „ცოცხლის“ დენა და ჩივილი.

გრ. კოლხიდელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. ამ მხრივ საყურადღებოა 1858 წელს „ცისკარში“ (№ 6) დაბეჭდილი ლექსი „სოფელი“, რომელსაც წამოღვარებული აქვს რედაქციის შენიშვნა: „ამ ლექსსა კოლხიდელისაჲს გებეჭდათ, როგორც იშვიათ თხზულებასა“. მართლაც, ეს ნაწარმოები კოლხიდელის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშია, რომელშიც განსაკუთრებით მევეთრად გამოჩნდა ავტორის მხატვრული ნიჭი, ორიგინალობა, პოეტური ხმა და მსოფლიო ისტორიის ღრმა ცოდნა.

ცხოვრების ავ-კარგზე დაფიქრებული პოეტი იგონებს ძველი საბერძნეთის, ეგვიპტის, რომისა და საფრანგეთის შორეულ წარსულს. იგი ოცნებით მისულა ამ ქვეყნების გამოჩენილ ადამიანთა სამარხებთან, უნახავს მათი ვატრეცილი, დამიწებული ჩონჩხები, რომლებიც სრულებით არ გვანან ერთ ღრთს სახელგანთქმულ გმირებს. იგი დასჩერება ნაპოლეონ ბონაპარტის ძეგლებს და განცვიფრებით ამბობს:

ესკვრეტ სოფელს დაფიქრებული, მე მისგან
განკვირვებული!
ვინ იცნოს ძვალნი მოყუასნო, ცეცხლითა
ძალთა დამწველის,
სასტიკის მეხის მებოროთთა, მეფეთა
კვერთხის მტრეველის,
დესპოტის, გმირის, ამაყის, სიმხნის
სიმხნითა მღვევლის,
საძრწუნო ნაპოლეონის, დიდთა მეფეთა
მძლეველის?
ესკვრეტ სოფელს დაფიქრებული,
ვარ მისგან განკვირვებული!

პოეტის თვალწინ ცოცხლდებიან რომაელი გმირები პომპეუსი და იულიუს კეისარი, ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე, რომაელი მოღვაწე ლუკული, ათენის მცველი მოხუცი მილიცი, ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, რომაელი სარდალი ანტონიოსი და სხვ.

ვერ ვიცან ძვალნი გამამარნი, კლეოპატრა
განმმარველისა,
კორნელია ქვრივისა, პომპეის გულის
მწყველელისა,
ასპიზიი ოსტატის პერიკლის გულს
მიმკვრელისა,
პოპიას ცოლის კესარის, კლოდიას
მანვეველისა.

ეს დიდი ექსპრესიით დაწერილი თხზულება მოვლენათა განვითარების რეალური კანონზო-

შიერებებს შეცნობით მთავრდება. ავტორის იპყრობის ქვეყნის ამოებების მისტიკური შეგრძნება, რასაც თავისებური მხატვრული ფორმით გადმოგვცემს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შეებრძოლნენ „მამებს“, გრ. კოლხიდეღმა „მამების“ მხარე დაიჭირა და გაუპაექრა აკაკი წერეთელს. ლექსში „აკაკის — კოლხიდეღი“, რომელიც ავტორმა 1875 წლის დეკემბერში დასწერა, მაგრამ მხოლოდ 1898 წელს დაიბეჭდა ქუთაისში („აკაკის თეოფი კრებულის“ მეათე ნომერში), გრ. კოლხიდეღი გამოდის შემრიგებლის როლში და „ახლებისაგან“ მოითხოვს „ძველებთან“ შეგუებასა და მათს პატივისცემას:

ძველს რომ ახალი არ ეყარება,
ნეტამც ვიცოდეს რას ემართება?
ახლისგან ძველის შეურაცხება,
მე ვგონებ, ახალთ არ ეკადრება!
ვაჟო, ახალიც ხომ მოხუცდება!
მაშინ ხომ იგი არ განახლდება?
ახალი ნეტა რისგან არსდება,
თუ ძველისაგან არ წარმოსდგება?!

დასასრულ, გრ. კოლხიდეღი მოითხოვს ორი — ძველი და ახალი თაობის შეხმატკბილებულ საქმიანობას და თავის ლექსს ასე ამთავრებს:

ერთის უღლის ქვეშ ესენი ორნი
საზოგადოსა ყანას ეყოფა,
და ყანის ოფლსა, დამუშავებულს,
ღვარძლი თავისთვის გამოეყოფა!

„შვილების“ წარმომადგენელმა დიდმა აკაკიმ იმავე კრებულში გრ. კოლხიდეღს შემდეგი პასუხი გასცა:

მებოძა თქვენი ბრძნული წერილი,
მაგრამ პირადად მე არ მეხება;
გაუჩრევლად ხნოვანებისა,
კარგის ყოველის მწვევია ქება!
თუ საფუძველი კარგია ძველი,
წუნს როგორ დასდებს ხუროთმოძღვარი?
ეცდება კიდევ, რომ ზედ აავოს

საშვილიშვილო წმინდა ტაძარი!..
თუ ეს არ მესმის, რაღა მსმენიან?
რა საჭიროა ამის მოძღვრება?
მთვარე მაშინაც კიდევ ანათებს,
როცა იღვავ, ნელ-ნელა ცხრება.
მათუსალადაც რომ გადაიქცეს
მეტის სიბერით აწ „კოლხიდეღი“,
მაინც დარჩება კიდევ იმაში
ოჯახის შვილი... ძველი ქართველი,
ვისთანაც მისვლა და ვისიც ნახვა
სული და გულით, მე მენატრება!..
მაგრამ ერთი რამ გარემოება
წინ მედგოება და მეფარება.
არ ვიცი, როგორ უნდა ევაზლო
როგორც მორჩილი? თუ ამხანაგი?
როგორც დადიანს წერეთელი? თუ
როგორც „კოლხიდეღს“ მხოლოდ აკაკი!

გრ. კოლხიდეღის ჭალამ ეკუთვნის აგრეთვე პოემა „რუხის ბრძოლა“. მანვე დიდი შრომა გასწია პოეტ ი. ბარატინსკისთან ერთად შოთა რუსთველის „გეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის. პოეტი რუსულ ენაზე ჰექზამეტრებით ლექსავდა და აწვდიდა ი. ბარატინსკის რუსთველის უძველავი პოემის სტროფებს. ამ თარგმანს შესანიშნავი სიტატია მიუძღვნა პროფ. დ. ჩუბინიშვილმა.

გრ. კოლხიდეღი დიდი პოეტის კვარცხლბეკზე არასოდეს მდგარა, მაგრამ გასული საუკუნის პოეზიაში მისი ხმა მაინც ყველასათვის გასაგონი გახდა. შალვა დადიანის მამამ ნიკოლოზ ტარიელის-ძე დადიანმა თავის „საამდრო გამოცანებში“ მას მიუძღვნა მშვენიერი აკროსტიხი, რომელიც შემდეგნაირად იწყება:

კარგი მცოდნეა ძველისა, სამწიგნობროსა
ენისა,
ონიქსის დაცმით მოლექსე, შემზიარები
სმენისა!..

გრ. კოლხიდეღი გარდაიცვალა 1901 წლის დეკემბრის ბოლოს. დაკრძალულია მარტვილის ტაძრის საგვარეულო აკლდამაში.



პეტანდის პატივად გაიხილ პატივად

მასალაზე ტიციან ტაბიძის გიომკაშვილისათვის

ტიციან ტაბიძე ბიძაშვილია გალაკტიონ ტაბიძისა. მათი მამები — იუსტინე და ვასილი დიდილი ძმები იყვნენ.

ტიციანის ბაბუა სტეფანე მღვდელი ყოფილა და მოხუცობის ჟამს გადაუწყვეტია მრევლი უფროსი ვაჟის — ვასილისათვის ჩაებარებინა, მაგრამ ვასილი მოულოდნელად გაცივებულია და გარდაცვლილა. მაშინ სტეფანეს უმცროსი შვილისათვის უთხოვია მღვდლად კურთხეულიყო. იუსტინე არ დათანხმებია, რადგან რექტორ ჩუღეცის მკვლელობასთან დაკავშირებით სემინარიიდან გარიცხულ სხვა მოსწავლეებთან ერთად ფიცი დაუდვია, არასოდეს მღვდელი არ გახდებოდა. შვილის საქციელით განაწყენებულმა სტეფანემ ქუთაისში, ჯაჭვის ხიდიდან დააბირა რიონში თავის დახრჩობა და, ბოლოს და ბოლოს, იუსტინე იძულებული გამხდარა დათმობაზე წასულიყო. მალე იგი მიტროპოლიტის თანხმობით მღვდლად აკურთხეს.

იუსტინეს მეუღლე, ტიციანის დედა იყო ელისაბედ ოქროპირის ასული ფხაკაძე, სოფელ ფარცხანაყანევის მკვიდრი. მისი ზედმიწევნით კეთილი ხასიათი გამოჰყვათ შვილებსაც, მათ შორის ტიციანს. პოეტს ჰყავდა ორი ძმა — სიმონი და იოსები და ორი და — სოფიო და ქეთო.

ტიციანის ნამდვილი სახელია ტიტე. ძველად, როგორც ცნობილია, ახალშობილს სახელს არაქმევდა მღვდელი საეკლესიო კალენდარის შესაბამისად. ტიციანის დაბადების დღეს (1895 წ. 2 აპრილი) დამთხვევია ორი სახელი — ტიტე და სტეფანე. მაგრამ რადგან ბაბუა სტეფანე იმ დროს ცოცხალი ყოფილა, ბავშვისათვის ტიტე

დაურქმევიათ. როგორც პოეტის და სოფიო გადმოგვცემს, ტიციანი შემდეგში უსაყვედურებდა თურმე მშობლებს, რატომ სტეფანე არ დამარქვით, მაღარმეს სახელი მეტნებოდაო. ბოლოს, როცა პოეტი „ცისფერყანწულთა“ ჯგუფში გაერთიანდა, სახელი გამოიცვალა, იტალიური ტიციანი დაირქვა.

ტიციანის უმცროსი ძმა სიმონი მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სახელოვანი ძმის ბავშვობის პერიოდზე.

— ჩემს ძმას, — გვიამბობს სიმონი, — განსაკუთრებით იტაცებდა წიგნების კითხვა. იშვიათად თუ გამოვიდოდა სოფლის ბიჭებთან სამამაშოდ. თავისუფალ დროს უყვარდა რიონში ბანაობა და ანეკისით თევზაობა. სოფლის საქმეები სრულებით არ ემარჯვებოდა. ერთხელ დედამ ტიტე ჩალის საჭრელად წაიყვანა ყანაში, მაგრამ მოქნეული სასტლავი ჩალის ღეროს აუცდა და ხელი გაიჭრა. გალაკტიონის დედას მაკრინეს ჰქონდა ძველი კარაბადინი და ცოტა წამლობაც იცოდა. ტიტე მაშინვე მივიყვანეთ მასთან. მაკრინემ უთხრა: როგორ მოვიკრიწო, დავაჩნდეს კრილობა თუ არაო. ცოტა დამაჩნდესო, უთხრა ჩემმა ძმამ და მართლაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეტყობოდა წითელი ნაჭრილობები მარცხენა ხელზე.

სამაგიეროდ პატარა ტიტე შესანიშნავად წერდა. ერთხელ მამას საეკლესიო ცნობარი უნდა გადაეწერა, მაგრამ ხელები უეცრად დაეცა და ეს საქმე შვილს მიანდო. ტიციანმა კარგად შეასრულა მამის დავალება და გასამრჯელოდ ათი მანეთი მიიღო. იმ ფულით მეზობელ ტაბიძეს გააკეთებინა კარადა, რომელშიც თავის წიგნებს

ინახავდა. ამის გამო მას „ტიტეს შკაფს“ ვეძახ-
დით.

ფურო გვიან, როდესაც ჩემი ძმა და გალაკტი-
ონი სოფელში ჩამოვიდოდნენ ხოლმე, ჩვენი
სახლის აივნაზე უყვარდათ საუბარი. აქ ისინი
მალაიანდ შეეძებოდნენ კეცის პურს, ნიგოზს და
წითელ ღვინოს...

მოვიყვანე ტიციანის ერთ-ერთ დაუბეჭდავ
ლექსს, რომელიც ავტობიოგრაფიულია და გვი-
ხატავს ავტორის ბავშვობის დღეებს სოფელში:

მოაქვს დღეაჲს
ვაზეთები და წერილები.
ლაფში და ტალახში
ცხენები გათქვირულან.
სამი ვერსიდან ისმის
მეღელევენს წამტრუნი:
— აბა წაიღეთ, შვილებო,
„ცნობის ფურცელი“. —
მე მხოლოდ ამ
დაძახებას ველი,
გადაფრინდებით ღობეზე,
თხრილებზე და თავსაფარ
წყარული მოვიტანთ ვაზეთებს.
ეზოში ხალხი შეგროვოლა.
უნდა უყუროთ ჩემ სიამაყეს,
როცა სხამაღლა ყველას
ვუკითხავ
რუსეთ-იაპონიის ამბებს.
მამას თვლები სტყვია,
მაგრამ თვლებიც რომ არ ტიოიღეს
რა სკობია, როცა სოფელში
მამას შვილი უკითხავს ვაზეთს.
ირგვლივ კი სხედან გლეხები
და ამბებს გარდა ისიც უკვირთ,
რომ ეს პატარა ბავშვი
ასე კარგად ერკვევა წიგნში...

ლექსის მომდევნო ზოგიერთი სტრიქონი კა-
ლიგრაფიულად გაუგებარია; ეს იმიტომ, რომ
ტიციანი რაღაც განსაკუთრებულად წვრილი
ასოვებით წერდა და ხშირად მისი ლექსების ავ-
ტოგრაფის ამოკითხვა ჰქირს გამადიდებელი შუ-
შითაც კი.

ტიციანის სახლის გვერდით სოფლის სასაფ-
ლაოა, სადაც იდგა „წმიდა გიორგის ეკლესია“. „ეხლა
ეზოს წინ დაღვრემილი მოჩანს საყდა-
რი“, — წერდა ტიციანი ამ ეკლესიაზე, რომე-
ლიც ამჟამად აღარ არის. აი აქ კითხულობდა ნა-
ეკლესიო ლოცვებს პატარა ტიტეს მამა... 1919
წელს იგი გარდაიცვალა. მამის ცხედართან ტი-
ციანმა დაწერა ლექსი „ღვდელი და მალარია“,
რომელიც ჯერ სახლში წაიკითხა, ხოლო შემ-
დეგ, მელნიმ გადაწერილი, როგორც ამას სო-
ფიო იგონებს, დაკრძალვის წინ კუბოში ჩააყო-
ლა მამას...

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის
დროს II კლასის მოსწავლე ტიციანი მარტო

მხატვრული ლიტერატურის კითხვით როდესაც
ფოლა გატაცებული. სოფ. კუევიში ტიტეს
წიგნებს შორის მისმა მეტელემ ნინო იაფა
კ. ტიმირიაზევის „ჩარლზ დარვინი და მისი მო-
ძღვრება“, რომლის თითქმის ყველა ფურცელზე
წითელი, ლურჯი და უბრალო ფანქრით ტი-
ციანს ხაზი გაუსვამს ჰეცნიერის საინტერესო
დებულებებისა და მოსაზრებებისათვის დარვინ-
ზე...

ტიციანს ადრე დაუწყია ლიტერატურული
საქმიანობა. ამას აღსატურებს პოეტის პირად
არქივში დაცული 1909 წლით დათარიღებულ
ლექსები.

* * *

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ტ. ტაბიძე
ცხოვრობდა თბილისში ვარდისუბნის ქუჩაზე.
ამ პერიოდში იგი უკვე იცნობდა და მეგობრობ-
და ბევრ რუს პოეტსა და მწერალს. მათ შორის
იყვნენ მაღლემტამი, კამენსკი, ტ. ვეჩორაკი, ს. გო-
როდეცი, კ. ბალმონტი, ი. ერენბურგი, ხოლო
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარების შემდეგ მან გაიცნო ე. მაიაკოვსკი,
ანდრეი ბელი, ს. ესენინი, ნ. ტიხონოვი, ბ.
პასტერნაკი, ი. ტინიანოვი და სხვ. მათგან ნ. ტი-
ხონოვს, ი. ერენბურგს, ბ. პასტერნაკს, ანდრეი
ბელის, კ. ბალმონტს, ს. ესენინს, ვ. გოლცევის და
სხვებს ხშირი სტუმრობა და მიმოწერა ჰქონდათ
ტ. ტაბიძესთან. ყველა ისინი დიდად აფასებდ-
ნენ ქართულ მეგობარს, როგორც ნიჭიერ
პოეტს და განსაკუთრებულ ადამიანს.

თავისი წიგნი „მზე სტუმრად მაიაკოვსკისთან“
მაიაკოვსკიმ ასეთი წარწერით უძღვნა ტიციან ტა-
ბიძეს: „Замечательным друзьям Табидзе са-
мому В. Маяковский“, ხოლო ქსენინმა ასე
დაწერა თავისი ლექსების წიგნს: „Милому
Тициану в знак большой любви и дружбы“.

ალსანიშნავია, რომ სიკვდილის წინ ს. ესენინ-
მა უკანასკნელი წერილი მოსკოვიდან 1925 წლის
20 მარტს მხოლოდ ტიციანს გამოუგზავნა თბი-
ლისში. ეს წერილი ამას წინათ გამოქვეყნდა
პრესაში.

საინტერესოა პოეტის რომანიც. აი როგორ
გაუცვნია მას ჩვენი სახელოვანი პოეტისა და დი-
დი საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის ნათესავი
ნინო მაყაშვილი, რომელიც შემდეგ მისი ცხოვ-
რების განუყოფელი მეგობარი გახდა.

ტიციანთან თბილისში სტუმრად იყო რუსი
პოეტი ბალმონტი. ქუჩაში მას შეუნიშნავს ყვა-
ვილებით ხელში მიმავალი ქალიშვილი, შეუჩე-
რებია იგი და მისთვის ლექსი წაუკითხავს. ტი-
ციანს ქალიშვილი მოსწონებია. მეგობრებში
უქრია კიდევაც. ეს იყო ნინო, ილია ჭავჭავაძის
ახლო ნათესავი.

მალე ტიციანი და ნინო დამეგობრდნენ. ნინო
თბილისში, ვანქის ტაძართან ახლოს, ორბელია-
ნის ქუჩაზე ცხოვრობდა. ერთ-ერთ თავის დაუ-

ბეჭდვად ლექსში ტიციანი იხსენიებს ამ ტაძარს: „ვანქის ტაძარი, ვანქის ქუჩა, არჩილ ჭორჭაძე“. ერთხელ ტიციანს ნინო წაუყვანია შითანბაზარში, უკან დაბრუნების შემდეგ შესულან კაფე „ინტერნაციონალიზმი“, სადაც მისდარან პ. იაშვილი, ვ. ვაფრინაშვილი, ლ. ჯაფარიძე და სხვები. ნინოსა და ტიციანის დანახვებზე მათ ყოყნიას ასტეხეს: „კოლომბინა მოდის, კოლომბინა მოდის!“

ბაოლომ ლექსით მიმართა ახალმოსულთ. ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ (1961 წლის ივლისში). ამიტომ აქ საჭიროდ არ ვცნობთ მის ხელმეორედ გამოქვეყნებას.

1920 წელს ნინო და ტიციანი დაქორწინდნენ და საცხოვრებლად გადავიდნენ სასტუმრო „კავკაზში“, მერე კი ჭრიბოედოვს ქუჩაზე № 18, ნინოს ნათესავთან, მოსამართლე ალექსანდრე ჭავჭავაძის ბინაზე.

1921 წ. ნინოს შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც თავდაპირველად „ჰინკა“ დაარქვეს. იმავე წლის 12 აგვისტოს ბაოლო იაშვილმა ასეთი ლექსი უძღვნა მას:

ტიციანის და ნინოს ჰინკას

თუ მართობა მეტად გვაწვალებს
და როცა ღამე სტირის და ღელავს,
ვიგონებთ ჰინკას პატარა თვალებს
და ვეხარბებით თავადურ თელავს.
ჩვენი იმედი და ჩვენი ბავშვი
ისევ მართა და ნათმენია,
თითქოს ზამბახი ავლია ნავში
და თითქოს ზამბახს რაღაც სწყყნია.
ჩვენ მოგონების გავწუხებს სევდა,
კოცნა დიდხანს არ მიგვიტანია,
ჩვენ დავატყევეთ თბილისში დედა
და ჰინკას სევდა ნამეტანია.
პოეტ ნათლიას ჰინკას თვალები,
უნდა დაკონოს პატარა ხელი.
მზლ მაქვს პატარა მარგალიტები
და ჩემს ინფანტას ყოველდღე ვეძლი.

ეს ლექსი დაუბეჭდავია და ტიციანის ასულის საკუთარ ალბომში ინახება.

შემდგომ ტიციანმა თავის პატარა გოგონას ტანიტი დაარქვა. „ტანიტი ტიციანის ასული ტაბიქა“ — მისწონდა თურმე ტიციანს ეს ალიტერაცია.

ტანიტი ტიციანის მეგობარი პოეტების და მწერლების საყვარელი და სათაყვანებელი გოგონა იყო. მის საკუთარ ალბომში ქართველი, რუსი და ევროპელი მწერლების ბევრი ავტოგრაფია.

ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს ტიციანის ლექსი, მიძღვნილი თბილისისადმი. აი ერთი ნაწყვეტი ამ დაუბეჭდავი ლექსიდან:

ბავშვების კალო გაღწეილი:
აქ ეხლაც საყდარია, სადაც მარჩია

„სამშობლოს“ ავტორი დავით ერისთავი
აკაკის ეპიტაფიით.

ერისთავი
გენერალ-ლეიტენანტი

ყაბანი,
ხიზამბარელის კრივი:
ქალაქი, რომელიც ჰყარს ხაშის სუნით,
ქალაქი გაბანილი წვირიან ღვინით,
ქალაქი გაგუდული გაფისული რუმბებით:
კულა გლდანელი და ესებუა,
მტკვარზე გაპარული ვანო მაჩაბელი....

* * *

ქართველი კლასიკოსი პოეტებიდან ტიციან ტაბიძეს ძლიერ უყვარდა ვაჟა-ფშაველა. იშვიათად შეხედებით ტიციანის წერილებსა და ლექსებს, „სადაც ვაჟა-ფშაველას ან მისი გმირების სახელს არ ახსენებდეს. იგი თვითონ ამზადებდა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ბჭყარედებს და უგზავნიდა რუს პოეტებს. ამის გამო ერთ-ერთ გამოქვეყნებულ წერილში ნ. ზაბოლოცკი ტიციანს სწერდა:

„ძვირფასო ტიციან იუსტინეს-ძვე!“

დღეს მივიღე თქვენი წერილი, 6 იანვარს გამოგზავნილი. მოხარული ვარ, რომ თარგმანი ვაჟა-ფშაველა მიზანშეწონილად მიგაჩნიათ. ძალიან სისიამოვნო გამოხმაურება მივიღე აგრეთვე ვ. გოლცევისაგან, რომელმაც თარგმანი მიიღო თავისი აღმანახისათვის. თარგმანში იქნება რამდენიმე პატარა შესწორება, რაც აუცილებელია მხედველობაში იქონიოს გამომცემლობა „აკადემიამ“. ძალიან მოხარული ვარ აგრეთვე იმისა, რომ ორბელიანის თარგმანი, თანახმად თქვენი სიტყვების, ეწყობა ზეგავში...“

გაიცნო რა ვაკის ერთ-ერთი მთარგმნელის ბ. პასტერნაკის ნამუშევარს, ტ. ტაბიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გამართლებულია მისი არჩევანი ვაჟა-ფშაველას პოემის „გველის მკამელის“ თარგმანისათვის.

თუ ვაჟა-ფშაველას სხვა პოემებში გაისმის უკანასკნელი ჭეაროსნების მახვილთა ჩხარული და კოსმიური ჰიმნი ბუნებისადმი, „გველის მკამელში“ მოცემულია მთიელის ინტიმური განცდილობი საყოფაცხოვრებო ვითარებისადმი კონფლიქტში.“

დღიუბიდან ვაჟა-ფშაველას მთაწმინდაზე გადასვენებასთან დაკავშირებით, ტიციანი წერს ლექსს „ვაჟა-ფშაველას გადასვენება მთაწმინდაზე“ და მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსე წერილს უგზავნის მოსკოვში ვ. გოლცევს:

„...ასევებდნენ ვაჟა-ფშაველას ნეშტს დიდუბიდან მთაწმინდაზე. იყო ბევრი დავიდარბაზი, მაგრამ ეს იყო დაუფიქრარი. რამდენი განცდები იყო ღია საფლავთან. იქნებ ჩვენ შევძლოთ მოვაწყუთ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი საღამო მოსკოვში. ჩამოსვლისთანავე მოვილაპარაკოთ.“

ლილუბიდან მოაწმინდაზე ვაჟას გადასვენებას დასწრებია ტიციანის მეუღლე ნინო.

— მახსოვს, — იგონებს ნინო, — როგორ ამოიღეს ვაჟას ნეშტი საფლავიდან. ჩოხა ჯერ კიდევ მთელი იყო, რომელზედაც ლამაზად ბრწყინავდნენ მასრები. წულები გაქონილი უნდა ყოფილიყო ჩატანებული საფლავში, რადგან პრიალდნენ.

დიდძალი ხალხის გამო გადასვენება სამ საათზე დამთავრდა. ბენგალიის მაგნიუმის შუქზე გადავლეთ სურათი. გადასვენება ნამდვილად მარად დაუფიქსარი იყო...

თავის დაუმთავრებელ ლექსში ტიციანმა მართლაც რომ შესანიშნავად თქვა:

სამპიროვანი ერთი არსება
ვაჟა, აკაკი, ილია.

და კიდევ რამდენი ალალი სიტყვა, რამდენი სტრიქონი აქვს მიძღვნილი ტიციანს პოეზიის ამ კოლოსისადმი...

რუსი პოეტების მიერ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა თარგმანი ტიციანს გადაუტია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის მოსკოვში, გამოცემლობა „აკადემიაში“ გასაგზავნად, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში დაიღუპა იგი და თარგმანის დაბეჭდვა, როგორც ჩანს, შეჩერებულია.

* * *

ტიციან ტაბიძის ინიციატივითა და დაუღალავი მუშაობით გაიხსნა თბილისის ლიტერატურული მუზეუმი და ა. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი, რომლის დირექტორიც თვითონ იყო რამდენიმე წლის განმავლობაში.

— ერთხელ გაზაფხულზე, — იგონებს პოეტის მეუღლე ნინო, — მე და ტიციანი მოსკოვიდან საქართველოში ვბრუნდებოდით. ორჯონიკიძემდე მატარებლით ჩამოვედით, ხოლო აქედან ყაზბეგამდე მანქანით ვიმგზავრეთ. ენახეთ ყაზბეგის სახლი, მიტოვებული და სავესებით უმეთვალყურაო. ტიციანს გული ეტკინა და იქვე ფიცი დასდო, რომ მთელი ძაღლონით იბრძოლებდა იქ ა. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის გახსნისათვის.

ამის შემდეგ ტიციანი შესდგომია საქმის პრაქტიკულ განხორციელებას. იგი დანიშნული იყო ა. ყაზბეგის სალიტერატურო-სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ხელმძღვანელად.

1934 წლის 19 იანვარს ტ. ტაბიძე საქართველოს განათლების სახალხო კომისარს სწერდა: „თანხმად განსაკუთრების კოლეგიის დადგენილებისა მე მივლინებული უნდა ვყოფილიყავი მოსკოვში ყაზბეგის მუზეუმის შესახებ. კოლეგიის მიერვე გამოტანილი იქნა მეორე დადგენილება ჩემი მოსკოვში გაგზავნის ქართული პოეზიის დიდი ანტოლოგიის რუსულად გამოცემისათვის, როგორც ამ ორგანიზაციის მდივანი.

დღემდე ამ საქმეების გამო ჩემი მოსკოვში გაგზავნა შეუძლებელი შეიქმნა, რადგან შესა-

ფერისი წინასწარი მუშაობა ჩატარებული არ იყო. ვინაიდან ამჟამად ამ საკითხების გამო ჩემი გამგზავრება შესაძლებელია, მე გადაწყვეტილი მაქვს გავემგზავრო მოსკოვში და ლენინგრადში ერთი თვით აქ 22 იანვარს. ამიტომ გთხოვთ გასცეთ განკარგულება გამოემწეროს მე საგზაო და მივლინების ხარჯები და მომეცეს ანგარიშ ქვეშ სამი თასი მანეთი“.

განსაკუთრების დადგენილების თანახმად, ტიციან ტაბიძე მართლაც გაემგზავრა მოსკოვს სათანადო ორგანიზაციებთან და პირებთან მოსალაპარაკებლად. მისთვის განსაკუთრებული დახმარება უნდა გაეწია მწერალ ბ. პოლინაჟს.

განსაკუთრების სამეცნიერო სექტორთან არსებული ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელისშემწყობი ღრობებითი კომიტეტი ხშირად აწყობდა სხდომებს, სადაც ტ. ტაბიძე გამოდიოდა საინტერესო მოხსენებებით. სხდომა იღებდა მთელ რიგ ღონისძიებებს ა. ყაზბეგის სახლ-მუზეუმში კაპიტალური შეკეთების ჩატარების და მისი ღრულად გახსნის შესახებ. ამისათვის შედგენილ იქნა სათანადო ხარჯთაღრიცხვა. 1933 წლის 3 ოქტომბერს ამის თაობაზე გ. ლევთაძე ტ. ტაბიძეს სწერდა:

„პატრეცებულ ტიციან!

ყაზბეგის რაიონისათვის დიდი საქმე კეთდება, თქვენი ცდით, მუზეუმის გახსნით. უმაღლესი სასწავლებლის გახსნა ყაზბეგში გაცილებით პატარა საქმე იქნებოდა, ვიდრე მუზეუმის გახსნა. თვითონ მოწინავე გლეხობის უმეტესობა იცნობს ამ საკითხს და ძალიან გიმადლობა... იმედი თქვენზეა, რომელმაც კარგად იცით, როგორ და რა საშუალებით უფრო ადრე და კარგად მოეწყოს ეს საქმე.

მე თქვენი დავალებით გიგზავნით შენობის ხარჯთაღრიცხვას... ხარჯთაღრიცხვა უნდა გადიდეს ადგილობრივი ფასების მიხედვით, რაც ოთხჯერ გადიდდება შეკეთების ღირებულებას“.

ხარჯთაღრიცხვა მეგონათა დაწერილი და ინახება ტიციანის მეუღლესთან ოჯახში.

ტ. ტაბიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ა. ყაზბეგის სახლ-მუზეუმის გახსნას. „თუ დიდი საერთო დიდება საქართველოს კარგად, უმჯველია კულტურის კარი იქვე უნდა გაიღოს“, — წერდა იგი. მანვე დაწერა სპეციალური წერილი „ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის კაბინეტისა და ისტორიულ მუზეუმის დაარსებისათვის“, რომელშიც დაასახელა ის მასალები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა მუზეუმში.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ აკადემიკოსმა ორბელიმ ტიციანს ანუქა წიგნების მთელი კოლექცია, მათ შორის მ. ბროსეს „ქართლის ცხოვრება“. ეს წიგნები ტ. ტაბიძემ მთლიანად გადასცა ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმს.

1935 წლის ივნისში ვაგუთ „კომუნისტში“ ტ. ტაბიძემ ტ. ყაზბეგელის ხელმოწერით გამოაქვეყნა წერილი „ყაზბეგის მუზეუმი“, სადაც მკით-

ხელებს წარმოუდგენდა ამ მუზეუმის სტრატის. მუზეუმის გახსნის წინ, 1935 წლის 4 ივნისს, ტაბიძემ მოსკოვში წერილი გაუგზავნა ვ. ვ. გო-
ლცევს: „ამ დღეებში ვნიშნავთ ყაზბეგის მუ-
ზეუმის გახსნას. ვიმედოვნებ, თქვენ ამ დროს
იქნებით თბილისში“.

1935 წლის 30 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა ყაზ-
ბეგის სახლ-მუზეუმი.

3 ივლისს გაზეთ „კომუნისტში“ შ. დადიანმა
ამ ამბებთან დაკავშირებით დაბეჭდა დიდი წე-
რილი სათაურით „დარიალის კარი“, სადაც აღ-
ნიშნა, რომ მეცნიერთაგან სერგი მაკალათია და
მწერალთაგან ტიციან ტაბიძე აუცილებლად მა-
დლობის ღირსი არიანო...

* * *

ვინ იყო და საიდან იცნობდა ტიციანი თამუ-
რია წერეთელს, რომელსაც არაერთი მშვენიერი
ლექსი მიუძღვნა?

თა. წერეთელი მოლარედ მუშაობდა თბილის-
ში, ვინმე ქებაძის ბორჯომის წყლის მაღაზიაში.
ტიციანს თურმე ხიბლავდა მისი იშვიათი ტან-
ღობა და „ირმის ფეხები“. ამის გამო, როგორც
ნინო იგონებს, ტიციანი დღეში ორჯერ-სამჯერ
შედიოდა იმ მაღაზიაში, რომ თამუნიათვის
ეცქირა. თავის სიმათის თამუნიასადმი ტიცი-
ანი ნინოსაც არ უმაღლავდა და ერთხელ უთქვამს:
მე ერთი ქალი მომწონს და მინდა გაჩვენო. და
მართლაც, ტიციანს ნინოსთვის უჩვენებია იგი.

აღსანიშნავია, რომ თამუნიას ტიციანთან არა
თუ რაიმე კავშირი, უბრალო ნაცნობობაც კი
არ ჰქონია.

დღეს თამუნიას „ირმის ფეხები“ აღარა აქვს.
მძიმე ავადმყოფური შემთხვევის გამო მას ერთი
ფეხი მოკვეთეს, მაგრამ წლებსა და ავადმოყ-
ფობას დღემდე ვერ შეუცვლია თამუნიას სახე.
მისი ახლანდელი იერი ყმაწვილქალობის ჯადო-
სნური სილამაზის ანარეკლია...

* * *

მეტად მდიდარი და საინტერესოა ტიციან ტა-
ბიძის პირადი არქივი, მისი ეპისტოლური მემ-
კიდრეობა. მასში დაცულია ბევრი სახელოვან-
ი მწერლის წმინდა ლიტერატურული ხასიათის
ბარათები, აგრეთვე პოეტის გამოუქვეყნებელი
ზოგიერთი ლექსი. აი, მაგალითად, რას სწერდა
ტიციანს ცნობილი რუსი პოეტი და მთარგმნე-
ლი ნ. ზაბოლოცკი:

„თქვენ განასიათებთ ლირიკული ხმის რალაც
მომხიბვლელი სიწმინდე, გულითაღობა და ფე-
რთო დიპაზონი. თქვენ უღაოდ ჩვენი კავშირის
ერთ-ერთი უდიდესი პოეტთაგანი ხართ. მე ძალ-

ზე ვამაყობ თქვენი მეგობრობით. იგი მისწრს
მუდმივი და შეუთავარი შრომისაკენ, მუდმივ
ლალ მოგვლით ლენინგრაღში. თქვენ აქ მოვა-
ლი მეგობარი და გულწრფელი დამფასებელი
ყავით“.

ასევე მაღალ შეფასებას აძლევდნენ ტიციანის
პოეზიას სხვა გამოჩენილი რუსი პოეტებიც. „ის
კულტურული ადამიანია, — თქვა ნ. ტიხონოვმა
ტიციანის შესახებ, — იგი იცნობს მსოფლიო
პოეზიას, მის განვითარებას. იცნობს რუსულ,
ევროპულ და სხვათა პოეზიას. მას გავლილი
აქვს ყველა ეს ეტაპი“.

„ასეთ ნათელ ფიგურას ძვირად შეხედები ამ
ქვეყნად“, — წერდა ტიციანზე პ. ანტოკოლსკი
მოგონებებში „ტიციან ტაბიძე“ (1958 წ.).

ტიციანის ლექსებს პოეტის სიცოცხლეში თა-
რგნდნენ რუსული ლექსის ისეთი ოსტატები,
როგორიცაა ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, ბ.
ბრიკი, ალ. კორჩაგინი, ბ. პასტერნაკი, ს. სპასკი,
ნ. უშაკოვი და სხვ. მისი თვითმული წიგნი რუ-
სულ ენაზე — ნამდვილი მოვლენა იყო. 1936
წლის აპრილში სერგო კლდიაშვილი ტიციანს
მოსკოვიდან სწერდა: „შენი ლექსების შესახებ,
ტიციანელო, აქ უკვე დიდი ლაპარაკია. მწერალ-
თა კავშირში გოლცევი ელაპარაკებოდა მწერ-
ლებს შენს წიგნზე, შემდეგ დაიწყო თითქმის
ყველამ ლაპარაკი და ყოველი მათი სიტყვიდან
ჩანდა, რომ დიდის ინტერესით მოვლიან. „Да,
это будет огромная книга,“ — იძახოდა
ჩვენი ვიქტორი. წიგნი უკვე შვალდა და
თუ ამ დღეებში არ მიიღეს შენთვის შეკვეთილი
ავტობიოგრაფია, უამისოდ დაიბეჭდება“.

1958 წ. 17 მარტს მოსკოვის რადიოში ტიცი-
ანის შესახებ მოკლე სიტყვით გამოვიდა სსრ კა-
ვშირის ხალხთა ლიტერატურის მოსკოვის გამო-
მცემლობის რედაქციის გამგე ა. ა. დევიე, რო-
მელმაც აღნიშნა, რომ ტიციან ტაბიძის ლექსე-
ბის წიგნი, გამოშვებული ათათასიანი ტირაჟით,
რამდენიმე დღეში მთლიანად გაიყიდა და წიგნ-
ვაჭრობამ წინადადება მოგვცაო დეკადის დღე-
ებისათვის კვლავ გამოვუშვათ მისი ახალი გამო-
ცემა.

* * *

ტანტ ტიციანის ასულს ახსოვს მამის უკანას-
კნელი სიტყვები: — უკეთესია არ გერიდებოდეს
მამის პატიოსანი სახელის ხსენება. შეიძლება მე
დვიდუბო, ძალიან გაგიჭირდეს, მაგრამ ყოველ-
თვის სიამაყით შეგიძლია თქვა, რომ მამაშენის
შვილი ხარ.

ტიციანი მართლაც საამაყო მამა იყო და ყვე-
ლასათვის საყვარელი პოეტი.



გიორგი მოისნაჟიშვილი

ბიბლიოთეკა — გიგანტი

გ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის
ასი წლისთავის ბაგო

გ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის 100 წლისთავი მთელი საბჭოთა კულტურის, მკითხველთა მრავალშრიანი არმიის ზეიმი. ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს მთელი საბჭოთა ხალხი. მას იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის წიგნთსაცავს, რომელიც ფართოდაა დაკავშირებული მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო დაწესებულებასა და ბიბლიოთეკასთან.

გ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა განეთარდა მოსკოვის რუმინელების საჯარო მუზეუმის ბაზაზე, რომელიც დაარსებულ იქნა 1862 წელს. მისი წიგნადი ფონდი მაშინ შეადგენდა მხოლოდ 100.000 ტომს. ბიბლიოთეკას ჰქონდა ერთადერთი სამკითხველო დარბაზი, რომელიც ოც კაცს იტევდა.

ძნელ პირობებში უხდებოდა რუმინელების ბიბლიოთეკას მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ მას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ მაშინდელი რუსეთის საზოგადო მოღვაწეები და მწერლები, ბიბლიოთეკას არ შეეძლო სათანადოდ გაეშალა მუშაობა, მომსახურებოდა მოსახლეობის ფართო ფენებს.

ბიბლიოთეკის მოღვაწეობას ჯეროვანი ყურადღება მიექცა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და მის მოღვაწეობასაც ფართო ასპარეზი მიეცა.

გ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა საბჭოთა ადამიანებისათვის ძვირფასია არა მარტო იმიტომ, რომ იგი ფართოდ

ავრცელებს ცოდნას, ეწევა მეცნიერებათა ახალი მიღწევების პროპაგანდას, ემსახურება მილიონობით მკითხველს, — იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი ლენინის სახელთან.

ახალგაზრდა ვლადიმერ ილიას-ძე 1893 და 1897 წლებში დადიოდა და მეცადინეობდა რუმინელების ბიბლიოთეკაში, ხოლო 1918-1920 წლებში სარგებლობდა ბიბლიოთეკის წიგნებით, როგორც საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი, ამასთან პირადად ზრუნავდა საბჭოთა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის.

ბიბლიოთეკის სიამაყე და სახელი, ამბობდა ვ. ი. ლენინი, უნდა განისაზღვრებოდეს არა იმით, თუ რამდენი იშვიათი ეგზემპლარია მასში, XVI საუკუნის რამდენი და რა გამოცემაა ან X საუკუნის რა ხელნაწერები მოეპოვება მას, არამედ იმით, თუ როგორ არის გავრცელებული წიგნი ხალხში, რამდენი ახალი მკითხველია მოზიდული, როგორ სწრაფად კმაყოფილება ყოველი მოთხოვნა წიგნზე.

გ. ი. ლენინის განსაკუთრებულ ინტერესს საბიბლიოთეკო საქმისადმი მოწმობს მისი წერილი „პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ“, რომელშიც მოცემულია ნათელი და კონკრეტული მითითებანი და წინადადებანი ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბიბლიოთეკების მუშაობის გარდაქმნის თაობაზე.

საბჭოთა მთავრობის პეტროგრადიდან მოსკოვში გადასვლის შემდეგ ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა რუმინელების ბიბლიოთეკას, რომელიც საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკად გადაკეთდა. ბიბლიოთეკის ფონდები შეიცვალა ნაციონალიზებული მილიონობით წიგნით. ამასთან ერთად მთავრობა დიდძალ თანხას

გამოყოფდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესავსებად.

ვ. ი. ლენინი პირადად ზრუნავდა, რომ რუმინელების ბიბლიოთეკა შეესებულებოდა იმ ბეჭდვითი ნაწარმებით, რაც კი გამოდიოდა ჩვენს ქვეყანაში.

1925 წლის 6 თებერვალს რუმინელების ბიბლიოთეკა გარდაიქმნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკად და ეწოდა ვლადიმერ ილიასძე ლენინის სახელი.

ბიბლიოთეკის მოღვაწეობამ მალე საყოველთაო აღიარება პოვა. 1945 წელს წიგნადი ფონდის შევსება-შეგროვებასა და დაცვაში, მოსახლეობის ფართო მასების წიგნით მომსახურების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა მთავრობამ იგი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

1862 წელს ერთ-ერთმა გამოცდილმა ბიბლიოთეკათმცოდნემ ხანგრძლივი ანგარიშის შემდეგ დაასკვნა, რომ მოსკოვის რუმინელების ბიბლიოთეკას ერთი საუკუნის შემდეგ, 1962 წლისათვის ორ მილიონ 300 ათასი წიგნი ექნებაო. მაგრამ იგი სასტიკად შეცდა: ასი წლისთავზე ამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი არა ორზე მეტ, არამედ 23 მილიონამდე ტომს შეადგენს. ბიბლიოთეკაშია წიგნი, ჟურნალი, გაზეთი და სხვა ნაბეჭდი გამოცემა 173 ენაზე, — დაწყებული IX საუკუნის ხელნაწერებით და დამთავრებული რამდენიმე საათის წინ გამოცემული გაზეთებით.

ძველი შენობის გვერდით აღიმართა ექვსი უზარმაზარი კორპუსი. ბიბლიოთეკას ახლა უკავია მთელი კვარტალი — დაახლოებით 70 ათასი კვადრატული მეტრი. რუმინელების ბიბლიოთეკას ერთი სამკითხველო ჰქონდა, ახლა მას 22 დიდი სამკითხველო დარბაზი აქვს, რომლებიც ერთდროულად ორი ათას 200 კაცს იტევს. აქ ყოველდღიურად მოდის რვა-ცხრა ათასი კაცი.

ბიბლიოთეკის მეურნეობა დიდი და რთულია. წიგნთსაცავს უკავია 18-სართულიანი მთელი კორპუსი. ბიბლიოთეკის ყველა თარო რომ ერთ ხაზზე განვალაგოთ, მივიღებთ 350 კილომეტრს.

ბიბლიოთეკაში მუშაობს 2.500 თანამშრომელი — ბიბლიოთეკარები, ბიბლიოგრაფები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის 55 მეცნიერებათა კანდიდატია.

ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა უნიკალურ და ძვირფას გამოცემათა საგანძურია. აქ არის XI-XIV საუკუნეების ხელნაწერები, ნაბეჭდი წიგნები XV საუკუნიდან დაწყებული მსოფლიოს ხალხთა 173 ენაზე.

ბიბლიოთეკაში ინახება 400-მდე საზოგადო მოღვაწისა და მწერლის არქივი, მათ შორის გო-

გოლის, ბელინსკის, ნეკრასოვის, ჩეხოვის, ტოლსტოის და სხვა გამოჩენილ ადამიანთა მწერლობები. ტოვებული ძვირფასი საარქივო მასალები.

ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას მკითხველთა მომსახურების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია; ამასთან მკითხველთა სწრებადობა და წიგნის ბრუნვა წლითწლობით იზრდება. 1961 წელს მკითხველთა სწრებადობამ მიადწია სარეკორდო ციფრებს — 2.400.000 კაცს. მკითხველებზე გაციემული წიგნების რაოდენობამ შარშან 12 მილიონს გადააჭარბა, რაც 30-ჯერ მეტია 1913 წელს გაციემულ წიგნებთან შედარებით.

ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები ხელმისაწვდომია არა მარტო მოსკოველებისათვის. მარტო 1961 წელს ბიბლიოთეკით ისარგებლა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 28 ათასმა მოქალაქემ და საზღვარგარეთის 55 ქვეყნის 3.500 მკითხველმა.

საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის საშუალებით ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკიდან წიგნებს იღებს ხუთი ათასი საბჭოთა და უცხოეთის 30 ქვეყნის 150 ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა აწარმოებს საერთაშორისო წიგნების გაცეკვას ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის 81 ქვეყნის 2.700 ბიბლიოთეკასა და სამეცნიერო დაწესებულებასთან.

საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით სარგებლობს აგრეთვე აკადემიკოსების სახელობის აქარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელმაც მარტო შარშან ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკიდან მიიღო ასი წიგნი.

წიგნადი ფონდის სიმდიდრითა და ნაწარმოებთა მოთხოვნის რიცხვით ქართულ ლიტერატურას ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. უკანასკნელ ოთხ წელშია დაიწყო საერთაშორისო საბიბლიოთეკათშორისო აბონემენტით ოთხი ათასზე მეტი მოთხოვნა დამკაყოფილდა ქართულ წიგნსა და ჟურნალზე.

ბიბლიოთეკა-გიგანტი, რომელმაც 100 წლის მანძილზე შეაგროვა საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნებში შექმნილი უზარმაზარი კულტურული ფასეულობანი, უდიდეს ცოდნას აძლევს ხალხს, რითაც ხელს უწყობს მეცნიერების, კულტურის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას, საკავშირობის ნათელი მომავლის — კომუნისმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდას.





ჯაბაძე ნოლიდელი

თქველები და გადმოცემები აჭარაში არსებულ ისპორიულ ძეგლებზე

საქართველო, კერძოდ აჭარა, მატერიალური კულტურის ძეგლებით მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ჩვენი ვარაუდით ისინი სამ გავლად უნდა დაიყოს: ისტორიული ძეგლები, რომლებიც მთის წვერებზეა გაშენებული, ბაზრის ძეგლები და ე. წ. ქალაქური დასახლება.

მთის წვერებზე გაშენებული მატერიალური კულტურის ძეგლები — ეკლესიები, მონასტრები თუ ციხეები წმინდა გიორგისა და ელია წინასწარმეტყველის სახელს ატარებენ. ასე, მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის მოწამის, ხინო წმიდის ეკლესია ქობულეთის რაიონში, ჯიხანჯური და თეთროსანი გვარაში წმიდა გიორგის სახელითაა ცნობილი. „დასავლეთ საქართველოში შემდეგ ადგილას იცის განთქმული წმიდა გიორგის დღეობები: სოფ. ჩხარში, სადაც მდებარეობს მთავარი მოწამის ბეჭი... სოფ. ხინოში, სოფ. აკყვის მახლობლად... ს. ჯიხანჯურის წმ. გიორგი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 49). ცნობილია აგრეთვე მთის წვერზე გაშენებული ციხეები, როგორცაა, მაგალითად, ელიას ციხე, ხირხათის ციხე და სხვ.

ბარის ძეგლებად აჭარაში შეიძლება დავასახელოთ გონიოს ციხე — ეს გრანდიოზული და ბუმბერაზი ნაგებობა, და ამჟამად დაუნგრეველი სხალთის ეკლესია.

ქალაქური დასახლების ტიპად აჭარაში უნდა მივიჩნიოთ ქალაქის ნანგრევები ბეშუმის ახლოს, რომელიც ვეებერთელა ფართობზეა მოფენილი, ბოზოყვათი — ციხისძირიდან დაწყებული, ვიდრე მდინარე კინტრიშამდე, და ფიჭვნარის, ჩოლოქის, ცეცხლაურისა და ჯიხანჯურის ქალაქური დასახლებანი, სადაც მატერიალური თუ სულიერი კულტურის მრავალი ძეგლია მოფინებული. ფიჭვნარში ნაპოვნი სამსხვერ-

პლოები, ჩოლოქში, ცეცხლაურსა და ჯიხანჯურაში მიკვლეული მეტალურგიის კერები — რკინის სადნობი ქურები აშკარად მეტყველებენ ცხოვრებისა და კულტურის მაღალ დონეზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ისტორიულ ძეგლებს — ციხე-სიმაგრეებს, მონასტრებს, ეკლესიებს, ხიდებს ხალხი, როგორც წესი, XII საუკუნეს, თამარის დროს მიაწერს.

1914 წლიდან, პირადად რომ მასსოვს, ქობულეთის ბარის მოსახლეობას ორჯერ მოუხდა მთებში გახიზნა. ამ დროს, სახელდახლოდ რაც წაიღებოდა, თან მიგვქონდა. საოჯახო ნივთებს, პროდუქტებს მიწაში ჩაფლულს ვტოვებდით. საშიშროება რომ გაივლიდა, უკან ვბრუნდებოდით, დამარხულ ნივთებს თუ პროდუქტებს ამოვიღებდით და მოვიმარდით.

ვინ იცის, მტრის შემოსევების გამო ქართველი ხალხი რამდენჯერ გახიზნულა მთებში და, რაც კი რამ ებოდა და თან არ წაიღებოდა, მიწაში მარხავდა. ამიტომ ჩვენი დიდი კულტურის მათუწყებელი ძეგლები უნდა ეძებნოთ როგორც მიწის ზედაპირზე, ისე სიღრმეში.

აჭარაში ისტორიულ ძეგლებზე მრავალი თქმულება და გადმოცემა ხალხში შემინახული. ხინო წმიდის ეკლესიას, მაგალითად, დიდხანს, თითქმის XX საუკუნემდე მოჰყვა „სამკურნალო თვისებები“. პირადად მასსოვს სოფელ თხინალიაში (ახლანდელი მუხანგატაქ) მურად ალის-ძე ჭათამაძეს ერთადერთი ვაჟი ავად გაუხდა. დიდხანს იავადმყოფა და გარდაიცვალა. იმისათვის, რომ ვაჟი გადაერჩინა, მურად ჭათამაძემ სახლიდან წაიყვანა დიდი წითელი მამალი, წაიღო ფული, გამომცხვარი ტაბლები, ლურსმანი, უხმარი ქსოვილი და ყოველივე ეს შესწირა ხინო წმიდის ეკლესიას.

ასეთივე „სამკურნალო“ მნიშვნელობა ჰქონდა

აჭყისთავში ქამერაძეების ეკლესიას. იმ დროს, როცა საქართველო-თურქეთის საზღვარი მდინარე ჩოლოქზე გადიოდა, საქართველოში გავრცელებული ყოფილა ტყვეთა მტაცებლობა. ტყვეთა მტაცებლებს ადგილობრივი მცხოვრებლებიც უწყობდნენ ხელს; მტაცებულნი ჭირისუფლები მათ წყევლიდნენ. დაწყევლილი ოჯახი, ფათერაკი რომ მოეცილებინა, ქამერაძეების ეკლესიის ეზოში იხდიდა „სამხეთოს“, მოიწვევდა მღვდელს ან ხოჯას, სხვა გვარის შვიდ წვერიან მოხუცს და კაცის მაგივრად ცხოველის ჩონჩხს მარხავდა.

ხინოს ეკლესიაზე ასეთი გადმოცემაც არსებობს: ეს მოხდა დაახლოებით XX საუკუნის 30-იან წლებში. მას შემდეგ, რაც ეკლესიის კედლები საკმაოდ ჩამოინგრა, ხინოში ერთ გლეხს განუზრახავს სახლის აშენება ისე, რომ პირველი საართული ქვისა ყოფილიყო, ხოლო მეორე — ხის. მოუყვანია ოთხი ქვისმტეხელი და დაუვალვია ეკლესიის კედლების მონგრევა.

ოსტატები სამუშაოდ ეკლესიაზე დილით მიდიოდნენ, ხოლო შემდეგ სადილი მასპინძელს აქვინდა. ერთ დღეს მასპინძელმა სადილი მოგვიანებით წაიღო. ეკლესიას რომ მიუახლოვდა, გაოცებული შეჩერდა — გარშემო ჩამო-ჩუმო არ იშმოდა. ეკლესიაში შევიდა და იგრგვებ მიმოყურა სამუშაო იარაღები დიანახა. ოსტატები არსად ჩანდნენ. სავარაუდოა, რომ მათ განაძი იპოვეს კედელში, გაიტაცეს და გაიქცნენ.

სხალთის ეკლესიაზე ასეთი გადმოცემაა შემონახული. გადმოცემას მოვიყვან ისევ, როგორც იგი ჩაიწერა ზურაბ თანდილაძემ 1958 წელს სოფელ ყინჩაურში ხუსეინ შახის-ძე შაინიძისაგან. „თურმე, პირველად, როცა დაიწყეს ეკლესიის აგება, ამ დროს ეკლესიის საფუძველი გამოზომილ იქნა ყინჩაურის შუა ცენტრში.

ამ ცენტრთან ერთი დიდი სხალი ყოფილა, ძალიან მსხვილი ყოფილა. ამის მოჭრა მოუწოდებოდა, დაუწყიან ჭრა. სიმსხვილის გამო რამდენიმე კაცს უჭირან და ვერ მოუჭრიან. როდესაც ჭრიდნენ, იმ დღეს დარჩებოდა მოუჭრელი. მეორე დღეს რომ მოვიდოდნენ, მიდუღებული ყოფილა. ამ დროს ერთ გამოცდილ კაცს შევიტყვებინა, რომ ჩვენ ვერ ვამთვრებთ მის მოჭრას, როცა მოვალთ, ისევ მიდუღებულია და როგორ მოვიქცეთო. ამ დროს ეტყვის ეს გამოცდილი კაცი: „ცულები შით შეტიეთ, ნუ გამოიღებთ და არ შედუღდებაო“.

მართლა დატოვეს ცული, წვაიდნენ. როცა დაილას მოვიდნენ, რომ ნამდვილად არ მიდუღებულა. ასე მოიჭრა ის სხალი. დაიწყეს იქ საფუძველი.

— სად კეთდება ეკლესია? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ. უპასუხებდნენ — სხალთან. ამით დარჩენილა სახელწოდება „სხალთა“.

ეკლესიის მასალა გადმოტანალიყო ყოფილა თენწარიდან, თენწარის სერიდან. აქ ყოფილა ქვის მარაგი და მახარაით გადმოუზიდნან. მისი

საფუძველი იმ ეკლესიის კიდეზე იქნენ არი. იმ ქვის ნაშთი კიდეზე იქნენ არი. ქვის მარაგის იქ გამოდებულია რკინის ზენჯირი. იმ ადგილს კი ეწოდება „ზენჯირი კლდე“.

ამ მუშაობის პერიოდში გაყოფილი იყო უსტიები ორ ნაწილად — მშენებელი და მასალის დამამზადებელი. როცა დამთავრების პერიოდში მიდგა საქმე, ამ დროს მშენებელმა შეუთვალა, რომ „მე მჭირდება ამდენეთი მასალა“. იმან მოსწერა ხამათ, რომ „შენ მაგდონი კი არ გჭირდება, ნამდვილად გჭირდება ამდენეთი“. დაგვემის გამაზნავარშებით სწორათ უთხრა ქვის დამამზადებელმა.

ამ დროს, როცა ეს წერილი უსტას მოუტანეს, ამ უსტას უფიქრია, რომ ამ მასტერს ჩემზე მეტი ცოდნაა გამოანგარიშებითო. დუფიქრია და ჯავრი მუტანია და თითქმის გადმოვარდნილა შენობიდან. მისი საფლავი ეკლესიის გვერდზე იყო.

ამ ეკლესიას უმოქმედია რამდონიმე ხანს, და როცა სამუსლიმანო შემოსულა, მაშინ კიდო დარჩენილა ეს ეკლესია და ერთი პაპი ყოფილა. იგი დადიდა. ამ პაპიდან დარჩენილა გვარი პაპოშვილები. იგი ახლა სოფლის სახელია. იგი, პაპი, ეკლესიაში დადიოდა, ლოცულობდა (ზ. თანდილაძე, ინსტ. ფ. 17, გვ. 71-72).

სხალთის ეკლესიაზე არსებობს გადმოცემის მეორე ვარიანტი, რომელიც ჭეენ ჩაიწერა. ამ გადმოცემის მიხედვით, სხალთის ეკლესია აუშენებია ორ ძმას. ერთი მათგანი საშენ მასალას ამზადებდა, ხოლო მეორე ეკლესიას აკეთებდა. მათ ჰყოლიათ ერთი ხარი, რომელსაც მთელი საშენი მასალა მართო, ადამიანის დაუმარებლად გადმოუზიდა. ძმებს წინასწარ გამოუთვლიათ საშენი მასალა. როცა უმცროსმა უფროს ძმას ხარით უკანასკნელი ქვა გაუგზავნა, შეუთვალა, მეტი მასალა აღარ გჭირდებაო. მაგრამ, თურმე, მუშებს გამოსაცდელად ერთი ქვა გადაუშლიათ, ამიტომ უფროს ძმას გაუგზავნია ხარი და შეუთვალა, ერთი ქვა მაკლიათ. ძმას ხარი ცარიელი გამოუგზავნია, მეტი არ გჭირდებათო. ამასობაში მუშებს გადამალული ქვა გამოუჩენიათ. უფროს ძმას ეს უკანასკნელი ქვაც დაუშენებია, მაგრამ იმის ჯაგრი, უმცროსმა ძმამ როგორ მაჯობაო, ეკლესიიდან გადმოვარდნილა და მომკვდარა.

მეტად საინტერესო გადმოცემა არსებობს ზიკაურის ციხის შესახებ: როცა ფეოდალურ ხანაში ქობულეთი უმეთ უროდ დარღწილა, ოქქაობა დაუწესებიათ. ოქქაობაზე იკრებოდნენ მუქიფისოულში, დიდ მინდორზე, ან ოჩხამურში, მუხის ხილთან. მაშინ, თურმე, პირველობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ გვარები. ცეცხლაძე, ნიყარაძე, გუგუზაძე, ართმელაძე, ლომაძე და სხვები. რომ ევლარ შეთანხმებულიან, გურიელისათვის შეუთვლიათ, მოგვეცით ვინმე მთავარი. დელეგაციისათვის გურიელს უთქვამს, ზიკაურის ციხეში თურქებს ტყვედ

ჰყავთ გურიიდან წამოყვანილი მამუკა თავდგირიძე, გამოისხენით და მეთაურად დაისვითო. დღევანდის ეს აზრი მოსწონებია.

ქობულეთიდან საქმის მოსაგვარებლად ხინიკაძე და ჯინჭარაძე გაუგზავნიან. მათ ათი მარჩილი დასჭირვებით მამუკას გამოსახსნელად. მთელ ქობულეთის საზოგადოებას უძებნია ათი მარჩილი (მარჩილი — დაახლოებით ათი კაცი) და, ბოლოს, სოფელ ჭახათში, ვინმე ეცესლაძის ოჯახში უპოვიათ თორმეტი მარჩილი. ხინიკაძეს და ჯინჭარაძეს ციხის უფროსისათვის ათი მარჩილი მიუციათ, ხიჭაურის ციხეში გოდორი ბაწრით შეუგზავნიან და მამუკა თავდგირიძე ციხიდან ჭოდრით გადმოუშვიათ. მამუკა თავდგირიძე ჩამოუყვანიათ სოფელ ქობულეთში და იქ დასახლებულა. ასე გაბატონდა თავდგირიძეების გვარი ქობულეთში.

ხიჭაურის ციხეზე მეორე გადმოცემაც არსებობს. ახლაც შეხვდებით მოხუცებს, რომლებიც ამბობენ, ამა თუ იმ ციხეში, ეკლესიაში, გვირაბში თუ სხვაგან შესვლა აკრძალულიაო. ეს აკრძალვა ორი გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული: ან ცრუმორწმუნეობის გამო, ან კიდევ ძველის დაცვის მიზნით. წინათ ნაყრძალ ადგილებში შესვლას გერავინ გაბედავდა. ასევე არავის შეეძლო შესვლა ხიჭაურის ციხეში. ალბათ იმიტომ, რომ არსებობდა გადმოცემა, თითქმის ხიჭაურის ციხეში განძი ინახებოდა, სამ გაბედულ ახალგაზრდას გადაუწყვეტია ციხეში შესვლა. დიდი ყოყმანის შემდეგ ერთი, ყველაზე უფრო გამბედავი, შესულა ციხის შიგნით და ბარი დაუკრავს. იგი მაშინვე გაუშვდა. მის ამხანაგებს შიშით ენა ჩაყარდნიათ და უკან გამოქცეულან. მკედარი ამხანაგის გამოსატანად შიგ რომ ვერ შესულან, გარედან თოჯი უსვრიათ, მოუბამთ და ისე გამოუთრევიან.

ამჟვარი თქმულებები და გადმოცემები, ალბათ, იმიტომ შექმნა ხალხმა, რომ მატერიალური კულტურის ძეგლები განადგურებისაგან დამცვა.

ერთი რამ გარკვევით შეინიშნება ადგილობრივ მოსახლეობაში: ისინი ისტორიულ ძეგლებს დიდი მოწიწებით და პატივისცემით ეპყრობიან და სათანადოდ უვლიან.

ბოდბეს ოცდაათი წლის წინათ სოფელ ვერეგეში პირველად მივიდა ექსპედიცია, ჩვენი ყურადღება მიიქცია მეტად საინტერესო გარემოებაში. ერთი დიდი, ბრტყელი ქვის გარშემო (ეტყობოდა, ეს ქვა ეკლესიის კარის თალი იყო)

მოხუცებს ე. წ. სალაყბო მოუწყვიათ და ამ ქვას დიდი მოწიწებით უვლიდნენ. მაწერი მხარე რომ არ დაზიანებულიყო, ქვა გადაუბრუნებიათ. მხოლოდ ჩვენი თხოვნით გვიჩვენეს ნაწერი მხარე.

როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, აჭარაშიც ისტორიულ ძეგლებს დიდი თამარის სახელს უკავშირებენ. თალიანი ხიდების, ეკლესიების, მონასტრების, ციხეების აგებას ქართველები თამარ მეფეს მიაწერენ.

ხალხური თქმულება გადმოგვცემს, რომ თამარს იმდენი ჯარი ჰყოლია, რომ აჭარისწყლიდან ჩამწყრივებულან, ციხის საშენი მასალა ხელიდან ხელში გადაუციათ და ისე აუშენებიათ ხირხათის ციხეო.

ხალხური თქმულებით, ხირხათის ციხეში თამარს უკანასკნელად უცხოვრია და საბოლოოდ იქ მოუწალავს თავი. ერთ-ერთ შაჰს თამარის ცოლად შერთვა განუზრახავს. თამარს უარი შეუთვლია. შაჰი დიდი ჯარით თამარის წინააღმდეგ წამოსულა. ყველა ციხე თამარს, თურმე, მაშინ აუშენებია. როცა შაჰს საქართველოს მეფე ერთ ციხეში მიუგნია, იქიდან თამარს მეორე ციხისათვის შეუფარებია თავი, უკანასკნელად ხირხათის ციხეში მისულა და ის გაუმარცხებია. შაჰი მისდგომია ხირხათს, მაგრამ ციხის აღება ვერაფრით ვერ მოუხერხებია. ბოლოს, თამარის ამალიდან ერთი დედაკაცი მისულა შაჰთან და უთქვამს, თუ დიდ საჩუქრებს მომიცემა, ციხეს გავაღებინებო. შაჰი დაპირებია. მოუყვანიათ ათასამდე თეთრი თხა. ამ თხებისათვის რქებზე სანთლები დაუმაგრებიათ, ბნელ ღამეში აუთნათ და თხები ხირხათის ციხისაკენ გაუჩეკათ. ეს რომ თამარს დაუნახავს, უთქვამს. ჩემი ჯარი მავათ ვეღარ გაუმკლავდებაო, შებრუნებულა ციხეში და თავი მოუწამლავს.

თამარის ციხის შესახებ არსებობს ასეთი გადმოცემა: ეს ციხე ადრინდელი ბათუმის ბასტიონს უნდა წარმოადგენდეს. ციხე შემალბებულ ბორცვზეა გაშენებული. ერთხელ თურმე აქ თავისი ლაშქრით თამარ მეფეს გაუვლია და დაბანაკებულია. ლაშქარს ქოშები გაუწმენდია, ერთად შეუგრძოვებია და ამრიგად წარმოშობილა ბორცვი. მეორედ გამოვლის დროს თამარ მეფის ბრძანებით ამ ბორცვზე ციხე აუშენებიათ, რომლისთვისაც თამარის სახელი დაურქმევიათ.

ასეთი თქმულებები და გადმოცემები ხალხში მრავლად მოიპოვება. საჭიროა მათი შეკრება, სათანადოდ დამუშავება და დასისტემაბა.



ქეთევან მაღალაშვილის ნაწარმოებთა გამოფენაზე

ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ქეთევან მაღალაშვილის ნაწარმოებთა რეტროსპექტული გამოფენა, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში მოეწყო აჭარის ხალხური შემოქმედების თეატრის შენობაში.

თანამედროვე ქართულ საბჭოთა სახეობა ზელოვნებას ბევრი გამოჩენილი ოსტატის სახელი ამშვენებს. მათ რიცხვშია მსოფლიო მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი, რომელიც ათობით წლების მანძილზე დაუცხრომლად ემსახურება ყვარებისა და ფუნჯის ხელოვნებას.

ქ. მაღალაშვილის შემოქმედება საბჭოთა საქართველოს თანატოლია. მართალია, პირველ ნაწარმოებთა შექმნის (1921 წ.) შემდეგ რგი ყოველთვის ერთნაირი ინტენსივობით არ მუშაობდა, მაგრამ მის მიერ გაწეული საქმიანობა რთულ გზაზე მუდამ შეიმჩნეოდა მხურვალე მისწრაფვაზე შემოქმედებითი დისტანციებისა და მუდმივი ძიებისაკენ.

რა თქმა უნდა, ხელოვნებაში თემისა და ქანრის არჩევანისათვის მარტო შემოქმედის სურვილი არ კმარა. მხატვარი მაშინ იმარჯვებს, როდესაც მისი მგზნებარე სურვილი ერწყმის მომადლებულ ნიჭს და უნარს. სწორედ ასეთი ხელოვანია ქეთევან მაღალაშვილი — შესანიშნავი ქართველი პორტრეტისტი.

ეპოქის სული მუდამ ცოცხლობს ყოველი დიდი მხატვრის შემოქმედებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის მხატვარ-პორტრეტისტზე. სწორედ ერთი ნიჭიერად შესრულებული ფერწერული თუ სკულპტურული პორტრეტი უფრო მეტს მოგვითხრობს თანამედროვეობაზე, ვიდრე საშუალო ღირსების მრავალფეროვანი კომპოზიციები და პეიზაჟები.

ხელოვნება ხომ ცხოვრებაა, ხოლო ცხოვრებაში უმთავრესი ადამიანია. ადამიანის სულიერი სამყარო ყოველთვის იყო და არის ხელოვნების ძირითადი თემა. ყველა დროის შემოქმედს განუზომლად აწვავდა მისი ღრმა და ნათელი გახსნის სურვილი.

ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ ქეშმარიტი ცხოვრება გულისა და გონების ცხოვრებაა. იგი აღიბეჭდება სახის და განსაკუთრებით თვალის გამომეტყველებაში. კარგად არის თქმული. ლენარდო და ვინჩი, რემბრანტი, ველასკესი, ტიციანი, რებინი მუდამ სანაქებოდ მოიხსენიებიან, რადგან მათ შესანიშნავად მოახერხეს „გულისა და გონების ცხოვრების“ სიმართლით ასახვა, გამოკვეთა.

კიდევ ამბობენ: სახე სულის სარკეაო. ქეშმარიტებაა. ყოველგვარი ადამიანური განცდები, გრძნობები უწინარესად და უსწრაფესად ადამიანის სახეზე აღიბეჭდება.

ქ. მაღალაშვილის პორტრეტები კონკრეტულ პიროვნებებს მიუთითებენ. იშვიათი გამოჩენილის გარდა, ყველა ისინი მხატვრის თანამედროვენი არიან. მხატვარი მოდელის შერჩევისას დიდ სიფრთხილეს იჩენს და ყოველთვის ცდილობს აიჩიოს ისეთი პიროვნება, რომელიც ღრმად აღებეჭდა ცნობიერებაში, კარგად იცნობს მის სულიერ სამყაროს, რაღაც უხილავი ძალებითა დაკავშირებული მასთან. ამ მხრივ ქ. მაღალაშვილი განსხვავდება იმ პორტრეტისტი მხატვრებისგან, რომლებიც ნატურას ეძებენ და პოულობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სახის ნაკვთები თუ სხვა გარეგნული ნიშნები მიმზიდველია დასახატავად.

ქ. მაღალაშვილის შემოქმედებითი ძიებისა და ინტერესთა წრე ძირითადად შემოფარგლულია დღევანდელი ქართველი საბჭოთა ინტელიგენციით. მხატვარი გარეგნული და შინაგანი თვისებების შერწყმით იმდენად ღრმად სწვდება ნატურის ბუნებას, რომ თითქოს ხელშეისახებად გვიჩვენებს ადამიანის ინდივიდუალობას, მის ნამდვილ სახეს, შინაგან სიბოძს, სილამაზესა და კეთილშობილებას.

მომავალში, თანამედროვე ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის საქმიანობის საფუძვლიანად შესწავლისას, ქ. მაღალაშვილის მოღვაწეობა მეორედ დაბადებული ცოცხალი სახეები უთუოდ ფასადულებელ სამსახურს გაუწევნებ ყველგვარებს, ხოლო ჩვენი შთამომავალი არა მარტო

ესთეტიკურად დატკეპნიან ამ პორტრეტების ხილვისას, არამედ ფრიად საგულისხმო ცოდნასაც შეიძენენ ჩვენი დროის ინტელექტუალური შრომის ადამიანთა დასახსიათებლად.

* * *

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს ელენე ახვლედიანს იცნობენ როგორც დახვეწილი, მკაფიო გემოვნების, ფერწერული კომპოზიციებისა და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების გამოჩენილ ოსტატს. ე. ახვლედიანი და ქ. მაღალაშვილი არა მარტო კოლეგები და კარგი მეგობრები არიან, არამედ შემოქმედებითაც მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. ისინი ცოდნის შეძენისა და დაოსტატების მიზნით ხომ ერთად იყვნენ საზღვარგარეთ. საესე-ბით ბუნებრივია, რომ ქ. მაღალაშვილმა განიხი-რაზა მეგობრის პორტრეტის შექმნა. მან დაწე-რა ე. ახვლედიანის რამდენიმე პორტრეტი, რომლებშიც სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგინა ცნობილი ქართველი მხატვარი. ეს სხვადასხვა-ობა მიუთითებს არა მარტო ცხოვრების სხვა-დასხვა პერიოდზე, არამედ უმთავრესად იმ ფსიქოლოგიურ განწყობილებას და შინაგან განცდებზე, მხატვრის ცხოვრებისეულ ინტერე-სებზე, რაც დამახასიათებელი იყო ნაწარმოებთა შექმნის პერიოდში ე. ახვლედიანისათვის.

ე. ახვლედიანის პირველი პორტრეტი დათა-რილებულია 1921 წლით. იგი ეტიუდური ხასია-თისაა და ფერწერული ამოცანების გადწყვე-ტის თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესოა ამ პერიოდში შექმნილ სხვა ნამუშევრებთან შედარ-ებით (მაგალითად, ი. ნიკოლაძის პორტრეტი). 1924 წელს მხატვარი კვლავ დაუბრუნდა ამ თემას და ელენე ახვლედიანის ორი პორტრეტი შექმნა. ერთ შათვანზე ე. ახვლედიანი გამოს-ხულია სამი მეოთხედი შებრუნებით მაყურებ-ლისადმი; იგი დამშვიდებულია, ხელში უჭირავს წიგნი ცნობილი ესპანელი მხატვრის ელ გრე-კოს პორტრეტის რეპროდუქციით, უკანა კედელ-ზე მოჩანს სურათი-პეიზაჟი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დეტალები არა მარტო კომპოზიციური ელემენტებია, არამედ გამოყენებულია სახის დასახასიათებლად და ხელს უწყობს პორტრე-ტის შინაგანი განწყობილების გადმოცემას. ამ სურათს, ისევე როგორც ამავე პერიოდში შექმ-ნილ სხვა პორტრეტებს, ახასიათებს ფეხების პირობითი ყავისფერი გამა, კონტურების ერთ-გვარი სიმკაცრე და გლუვი ფერწერა. ე. ახვლე-დიანის ბოლოდროინდელ პორტრეტებში მხატ-ვარი უკვე გვიჩვენებს ოსტატობის მაღალ დო-ნეს. ამჟამად მისი პალეტა უფრო გაბრწყინე-ბული და ნათელია. მხატვარი შეუწინაღებლად ისწრაფის გვიჩვენოს მდიდარ ფერთა შეხამე-ბის მთელი სამყარო, გაბედულად გადააქვს ნატურა ტილოზე, მოდელის კონტურები უფო-რო მთრთოლვარე და ცოცხალია, გამოსახულ საგნებს გამჭვირვალე ჰაერი ეკვრის.

საგულისხმოა, რომ ქ. მაღალაშვილი გაურბის პორტრეტში გამოსახული პიროვნების ჭეჭნეუ-ლად ჩვენს ხელოვნებაში ზოგჯერ შტამპად ქცე-ული გარეგნული ნიშნების მიხედვით, ე. ი. რო-დესაც მეშახტეს, მაგალითად, ხელში უჭირავს სანგრევი ურო, იწყინებს — ფარგალი, ხის მჭრელს — ნაჯახი და ა. შ. იგი ცდილობს მო-დელში მონახოს კერძო ნიშნები და დეტალები, ფსიქოლოგიური შტრიხები, რომლებიც სახეს აძლევს კონკრეტულობას, სიცოცხლეს და ინ-დივიდუალობას.

ამ მხრივ შესანიშნავია რეჟისორ დ. ალექსი-ძის პორტრეტი-სურათის მხატვრული ტრაქტო-ვა. ერთი შეხედვითაც აშკარად ჩანს, რომ რე-ჟისორი ჩაფლულია თავის საყვარელ საქმეში, იგი გასცქერის სცენის სიღრმეს და ძეგბს ახალ მიზანსცენას. მხატვარმა ოსტატურად გადმოგვე-ცა ხელოვანის არა მარტო შინაგანი ფსიქოლო-გიური განწყობილება, არამედ მისი იგრისავე. კომპოზიციის თვალსაზრისით უზარადადეს იქცევს მ. ხიდაშელის პორტრეტი. ყუ სიეტერ-ში მკვეთრად გამოკვეთილი და ხაზგასმით აღნიშნული ლამაზი ფეხურის სილუეტი, შეგუ-ებულად შერჩეული თმის ფერი და მარცხენა მაჯის გადმოჩნდებული მდგომარეობა შესანიშ-ნავად აჩარჩობს ლამაზ, ოდნავ დაძაბული ყუ-რადღებით მიპყრობილ პირსახეს.

მხატვრის საუკეთესო ნაწარმოებებს განეკუ-თვნება ჩვენი დროის უდიდესი პიანისტის სეია-ტოსლავ რიხტერის პორტრეტი. მან ეს-ეს არის ლაბოთავრა დაკრა, მაგრამ მის წინწამოწეულ, მოხრილ ფეხურაში, თვალების გამოძრავლე-ბასა და მოკრუნხული თითების მოძრაობაში თითქმის გრძელდება უკანასკნელი აკორდის ელერადობა. შესანიშნავადაა გადმოცემული სუ-რათის მთელი გამა და განსაკუთრებით ფონი და რითაობა. ერთი შეხედვით მხატვარმა თით-ქმის შუაგზაზე მიატოვა ფაქტურის წერა, მაგ-რამ არა! ასეთი მანერა მას დასჭირდა მთელი სურათის მუსიკალური ელერადობის გადმოსა-ცემად და შესანიშნავ შედეგსაც მიაღწია. იგი პირობითად შეიძლება მიმზღველი მუსიკალუ-რი ბეგრებით დაწერილ სურათად მოვსათუთ.

ქ. მაღალაშვილის მაღლიანი ფუნჯით გამო-ძერწილია ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვა ღვაწლმოსილ პიროვნებათა პორტრეტებიც. ყველა ისინი ჩვენი თანამედროვენი არიან, ჩვე-ნთან ერთად განიცდიან, შრომობენ და ქმნიან. მათ ხშირად ვხვდებით, კეთილშობილთ თუ ვის-მენთ. შეხვედრისას ჩვენ ვუკვირდებით მათ და ვცდილობთ აღმოვაჩინოთ ის, რითაც ისინი, როგორც ხელოვანი, განსხვავდებიან ჩვეულებ-რივი ადამიანებისაგან, მაგრამ ამ განსხვავებას ხშირად ვერ ვპოულობთ. ქ. მაღალაშვილის ტი-ლოებში კი აშკარად ვგრძნობთ, ვხედავთ და განვიცდიტ იმას, რასაც ჩვენი თვალი წინათ ვერ ამჩნევდა. ვუცქერით მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას და პოეტ სიმონ ჩიჭოვანის, მსა-

ხიზ ვერკო აწაფარბის თუ კომპოზიტორ შალვა მშველიძის; ანა შალვა დადიანის, სერგო ზაქარაიძის, ვასო გოძიაშვილის პორტრეტებსა და მონხბლული ვერხებით როგორც გარეგნული მსგავსების ოსტატური გადმოცემით, ისე უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ყველა მათგანში დიდი მხატვრის თვლით დანახული ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ნუანსები და შტრიხები, გადმოცემულია პროფესიული ხასიათი და შინაგანი არსი.

ქ. მაღალაშვილის პორტრეტები საინტერესოა ფერწერული ტექნიკის თვალსაზრისითაც. ხანგრძლივი წლების განმავლობაში იგი ზეითან საღებავებს ეტანებოდა და მისი შემოქმედებითი სტიქია ამ საღებავების ტილოზე გადატანის პროცესში მქადენდებოდა. მაგრამ მხატვრის ცხოვრებაში მოხდა თითქმის შემთხვევითი, მოულოდნელი, მაგრამ სავსებით კანონზომიერი გარდატეხა, როდესაც 1959 წლის ზაფხულში პასტელის ტექნიკით დაიწყო მუშაობა. ამის საბაზის ის იყო, რომ ქ. მაღალაშვილი თელავში ეწვია თავისი ძმის ოჯახს. მას თან ახლდა ცნობილი ესტონელი მხატვარი ე. ხალოპი. სავსებით გასაგებია, რომ კახეთის წარმატებული მხატვრის მოხიბლულმა ხალოპმა მაშინვე მოკიდა ხელი ფუნჯს. იგი პასტელის ფერებით მუშაობდა. მაშინ ქ. მაღალაშვილსაც დაებადა სურვილი თავდაც ეცადა მხატვრული ჩანაფიქრის პასტელით გადმოცემა. ამ დღიდან მოცილებული მხატვარი ზეითი დაწერილ ტილოებთან ერთად პასტელით თავისუფლად და დიდი სიყვარულით ქმნის ახალ პორტრეტებს.

პასტელი რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთი ძლიერ მოქნილი და მდიდარი ტექნიკური საშუალებაა. პასტელის ფერებით შესრულებული ნაწარმოების მხატვრული ეფექტი გამოიხატება ფერების არაჩვეულებრივ სიწმინდესა და ძალაში. იგი შესანიშნავად ინარჩუნებს თავდაპირველ სიახლესა და სიძლიერეს. იშვიათი ტალანტის მქონებით ქ. მაღალაშვილი ადვილად დაეუფლა ამ ახალ ტექნიკას და თავისი პორტრეტების გაღერვა გაამდიდრა ახალი უნიკალური ნიმუშებით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პიანისტ ელისო ვირსალაძის პორტრეტი. იგი დაწერილია რთული მოგერცხლისფერი ყვითელი გამით მოშავო-რუხ ცვილისფერ ფონზე. არაჩვეულებრივი ოსტატობით არის შესრულებული იერსახე; ოდნავ თავდახრილი, შემართული თვალების ბრწყინვალეობაში შესანიშნავადაა გადმოცემული პიანისტის ხასიათის ნუანსები. მხატვარმა განკვეთა დავიძალა ხელები, არც საკრავი აჩვენა, მაგრამ აშკარად გრძნობთ, რომ ე. ვირსალაძე როიალს უზის და ჩაფლულია საინტერესო მუსიკალურ ბეგრათ სტიქიაში.

ქ. მაღალაშვილის შემოქმედებაში პირობითად შეინიშნება სამი პერიოდი. პირველ პერიოდს ჩვენ შემოვფარგლავით 1926 წლით, რო-

დესაც იგი დავით კავაძესთან, ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანთან ერთად იმყოფებოდა პარიზში (1923-1926 წ. წ.), და მას შემდეგ მოქმედებითი ძიების წლებს დაეარქმევდით. ამ ხანებში ქეთევან მაღალაშვილი ეცნობა მეოცე საუკუნის მხატვრობის ახალ, მოდერნისტულ მიმართულებებს, მაგრამ ეს ულტრამოდერნი „ოზმები“ თავის გავლენაში ვერ იქცევენ მხატვარს — იგი ხელოვნებაში რეალისტურ პრინციპებს აღიარებს და ბოლომდე მისი ერთგული რჩება.

ამ წლებში შექმნილი მხატვარი ე. ახვლედიანის, მოქანდაკე ი. ნიკოლაძის, პროფ. ა. მკვათარიანის, ოუმორისტ „შ. შარაშიძის (თაგუნა) და სხვა პორტრეტები წერის მანერით, პორტრეტული ამოცანების დაფუყვების თვალსაზრისით თავისებურია და მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მათ ახასიათებს ერთგვარი რომანტიკული იერი. ყველა ისინი დაწერილია. მუქ-ყავისფერ გამაში და გვხვობაზე დიდი უბრალოებით და ხალასი სიმართლით.

მეორე პერიოდი — ეს არის 1926-1937 წლები, როდესაც ქეთევან მაღალაშვილი ძირითადად მხატვარ-რესტავრატორად მუშაობდა და პორტრეტის ხელოვნებისათვის შედარებით ნაკლებ დროს ხარჯავდა. ამ წლებში, მართალია, მან ოცდაათზე მეტი პორტრეტი დაწერა, რომელთაგან ბევრი მხატვრის დაოსტატებაზე, ახალი შემოქმედებითი გზების ძიებაზე მიგვიითებს, მაგრამ მათში მაინც არ ჩანს ის ინტენსიურობა და მაღალი პროფესიული კულტურა, რასაც მხატვარმა მომდევნო პერიოდში მიაღწია.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი ქ. მაღალაშვილის შემოქმედებითი ცხოვრებაში დაიწყო 1937 წლიდან, როცა მხატვრის ტალანტი მთელი სიძლიერით გამოვლინდა და გაიფურჩქნა, განსაკუთრებით კი 50-იანი წლების დამდეგიდან.

ქ. მაღალაშვილი არ ეკუთვნის იმ მხატვრებს, რომლებიც სინამდვილისადმი ხელოვნების დამოკიდებულების საკითხებს პუბლიცისტურ ტრაქტატებში გადმოგვცემს და თვით მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა და როგორ გადმოსცა გამოქვეყნებულ ნაწარმოებში. ქ. მაღალაშვილი ამკობინებს ბევრი და სხარტად თქვას ხელოვნების სპეციფიკური ნიშნების ენით, მკაცრად შემოიფარგლოს დამთვლიერებელთა სამსჯავროს წინაშე გამოტანილი ნიმუშით და ცნობისმოყვარეთა მრავალ შეკითხვას ლაქონიურად უპასუხოს — ნახატს სიტყვით ვერაფერს ვერ დაეუბნებ.

ერთხელ, ქ. მაღალაშვილის სახელოსნოში გა-
მართული საუბრის დროს, როდესაც ბოლო
დროს შესრულებულ პორტრეტებზე ჩამოვარ-
და ლაპარაკი, მისი ნიჭის ერთმა თაყვანისმცემე-
ლმა აღფრთოვანებით განაცხადა, ეს ტილოები
მოწმობენ, რომ ქეთევანი მომავალში კიდევ
ბევრს გვპირდებაო. ამან სიტყვაძუნწ მხატვარს
ათქმევინა: — იცით რა, ეს სიტყვა „გვპირდება“
არ მომწონს. დაპირებებს ყოველთვის გავუბო-
დი — დაპირება არ მიყვარს. უკეთესია ვთქვა,
რომ სურვილი მაქვს, დიახ, სურვილი იმისა,
რომ მექანიკურად კი არ განვაგრძო, რაც
დღემდე გამოკეთებია, არამედ ძაღლონე არ და-
ვიშურო, რათა შევქმნა კიდევ უკეთესი. ჩემთ-
ვის ყველაზე ძვირფასია ვიპოვო ისეთი გამო-
სახველობითი საშუალებები, რითაც ხაზგასმით
გადმოვცემ მოდელის დამახასიათებელ ნიშნებს.
მაგრამ ეს უნდა იყოს რაღაც ახალი, დღემდე
უთქმელი.

ჩვენ სავსებით ვერწმუნებით მხატვრის ამ
სურვილებს. ხანდაზმულობის მიუხედავად (იგი
დაიბადა 1894 წ.), ქეთევან მაღალაშვილი დღე-

საც მთელი გატაცებით მუშაობს მისთვის საყ-
ვარელი პორტრეტის ჟანრში და ახალაქვეყნულ
რმატებებს გვპირდება. ამის უტყუარ მოწმობას
რია ქ. მაღალაშვილის ბოლოდროინდელი ნამუ-
შევარი, კერძოდ, პიანისტ ელისო ვირსალაძის
პორტრეტი, რომელიც შემთხვევით როდი იყო
გამოფენილი დარბაზის მარცხნივ, სიღრმეში.
ამით მიგნებულად გაესვა ხაზი ქეთევან მაღა-
ლაშვილის დიდ შემოქმედებების პოტენციალს,
რომელიც მომავალ ქმნილებებში რელიეფურად
გამოვლინდება.

ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტების გამო-
ფენისაგან მიღებული შთაბეჭდილება აშკარად
მეტყველებს მხატვრის დიდბუნებოვან, კეთილ-
შობილურ, ჰუმანურ განწყობილებაზე. იგი
მთელი თავისი არსებით ცხოვრობს თანამედრო-
ეობით, გამსჭვალულია ადამიანის მხურვალე
სიყვარულით. სხვაგვარად არ შეიძლება შექმნა
ესოდენ დიდი და მიმზიდველი პორტრეტების
გალერეა, სადაც ყველა მოდელი ცოცხლობს,
შრომობს, იბრძვის უკეთესი მომავლისათვის,
ხალხის კეთილდღეობისათვის.

ვლ. შარაშიძე.

აქარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.



შეშე შეგრილია
აბეა სუგუდია

ახალი საბუთები 1862 წლის მღელვარების შესახებ აქარაში

აქარის 1862 წლის მღელვარება საერთოდ ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა მოძრაობის ზოგიერთი საკითხი არასწორადაა გაგებული. 1958 წელს ნაშრომში „ბათუმის ისტორიიდან“ დოქ. ვლ. სიჭინავა წერდა: „მნიშვნელოვანი იყო 1862 წელს ბატონყმური წყობილებისა და სავადასახადო სისტემის წინააღმდეგ ქობულეთელ და გურულ გლეხთა ერთიანი გამოსვლა. ეს აჯანყება ქობულეთელებს დაუწყიათ“ (გვ. 54). ავტორი აქ იმომეებს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულ ერთ-ერთ საბუთს,¹ რომელიც 1953 წელს გამოაქვეყნა პროფ. შ. ჩხეტიამ. მასში ნათქვამია: „ქობულეთში მოსახლეობა აღსდგა ადმინისტრაციის შემაღწეროვებელი ზომებისა და მთავრობის ფინანსური პოლიტიკის წინააღმდეგ. ჯარი თავმოყრილია. ჩვენთან გურიაში, ერთდროულად, იყო მანიფესტაციები, რომლებიც კეთილსასურველად დამთავრდა.“² მაშასადამე, 1862 წელს მოხდა არა აქარელ და გურულ გლეხთა „ერთიანი“ გამოსვლა, არამედ ერთდროული. მართლაც, რა „ერთიანი გამოსვლა“ უნდა მოეხდინა ამ ორი კუთხის მოსახლეობას, როცა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომები იყვნენ: აქარლები — თურქეთის, გურულები — რუსეთის.

აი ყველაფერი ის, რაც 1862 წლის მღელვარების შესახებ დღემდე იყო ცნობილი. ასე, რომ არსებული მასალებიდან ისიც კი არ ჩანდა, თუ რა ბედი ეწია ქობულეთის გამოსვლას, როდის

და როგორ ჩააქრო ის თურქეთის მთავრობამ.³

როგორც ცნობილია, თურქთა ბატონობის დროინდელი საარქივო საბუთები აქარაში არ შემონახულა. 1878 წელს ისინი ოსმალებმა გაიტაცეს. მართალია, გასულ საუკუნეში არაერთხელ იყო მათი დაბრუნების ცდა, მაგრამ ამაოდ. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითნებ ცნობას, რომელსაც შეუძლია პირდაპირი წყაროს მაგივრობა გავიწყობის აქარის წარსულის ამ საყურადღებო მოვლენის — 1862 წლის მღელვარების შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში მუშაობისას ჩვენ წავაწყდით დღემდე უცნობ ორ საინტერესო დოკუმენტს 1862 წლის მღელვარების შესახებ. ეს არის რუსეთის ბათუმელი ვიცე-კონსულის წერილები კავკასიის მეფისნაცვლისადმი.

აი ისინიც (მოგვაქვს ქართული თარგმანი):

პირველ წერილში, რომელიც 1862 წლის 8 მარტითაა დათარიღებული, ნათქვამია:

„...ბათუმის რაიონში შეიკრიბა 500-დან 600-მდე გლეხი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ გადასახადების გადიდების გამო და უარს ამბობენ ლითონის ფულზე გადაცვალონ ქაღალდის ნიშნები.

მდგომარეობა ისეთია, რომ კაიმაკამმა აუცილებლად ჩასთვალა 200-მდე ბაში-ბუზუკის შეკრება და ბათუმის გარნიზონის გასაძლიერებლად ქობულეთიდან მორიგე გაწვევის რეგულარული არმიის სამი ქვეგანაყოფის გამოძახება.

3. შ. ჩხეტიამ, გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს. საისტორიო მოამბე, ტ. 7, გვ. 175. სქოლიო.

1. იხ. ფონდი 8, საქმე 3887, ფურცელი 1, 2.
2. საისტორიო მოამბე, ტ. 7., 1953, გვ. 175.

არ ვეჭვობ, რომ შეკრებილი გლეხობა გაფანტული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების ძლიერების პირველივე დემონსტრაციის შემთხვევაში.⁴

მეორე ბარათში, რომელიც იმავე წლის 8 აპრილსა დაწერილი, აღნიშნულია:

„...ფულის გამოცვლისა და გადასახადების გადახდის თაობაზე უმკაცრო ფიქლების გამოთქმელად ბათუმის მდიდანობაში შეკრებილი გლეხები მშვიდობიანად დაიშალნენ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის პეტციის მირთმევის შემდეგ, რაც საბოლოო პასუხისათვის, შეპირების თანახმად, უნდა გადაეგზავნოს მთავრობას.“⁵

ასეთი შინაარსისა აღნიშნული დოკუმენტები. ჩანს, რომ მღელვარება გამოიწვია გადასახადების გადიდება და ქალაქის ფულის გამოცვლა. ეს ღონისძიება კი შემადგენელი ნაწილი იყო იმ რეფორმებისა, რომელთა განხორციელებას აჭარის საბოლოო გათურქებისათვის ოსმალეთი დაუდლადად ცდილობდა XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან. და თუ პორტამ 60-იან წლებამდე მისი განხორციელება ვერ შეძლო, ეს ამკუთხის მკვიდრთა თავგამოდებული ბრძოლის შედეგი იყო. ოსმალეთი ამხნევდა, რომ აჭარის „მოთხრა“ მის ძალას აღემატებოდა და ყოველი შეიარაღებული გამოსვლისას უკან იხევდა. ასე იყო 1844 და 1850 წლებში, როცა აჭარელთა გმირულმა ბრძოლებმა მოძალადეს ხელი ააღებინა ვანაზრახზე. მართალია, მაშინ ოსმალეთმა უარი თქვა თავისი გეგმის განხორციელებაზე, მაგრამ იგი საბოლოოდ როდი უარუყვია. ჩანს, 1862 წელს ოსმალეთი კვლავ შეეცადა მის გატარებას, რამაც მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია.

ფოლკლორული მასალიდან ირკვევა, რომ მღელვარება გაფართოებულა და მაჭახლის ხეობის სოფლებიც მოუცავს. აქ მოძრაობას მემედ ხინკლაძე ხელმძღვანელობდა. ხელისუფლებამ სცადა მისი დაბრკოლება. იგი ამით ვარაუდობდა მაჭახელთა დაშოშმინებას, მაგრამ უშედეგოდ. მ. ხინკლაძემ შავშეთს შეაფარა თავი (ცნობა მოგვაწოდა ა. ახვლედიანმა).

მოძრაობის გაფართოებას ის უწყობდა ხელს, რომ ხელისუფლება გადასახადებს ფულად მოითხოვდა. ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში ასეთი ღონისძიება მძიმე ტვირთად დაწვა გლეხობას. ხელისუფლება კი ყურად არ იღებდა ამას და გლეხს აძიულებდა უკანასკნელი სარჩო-საბადებელი გაეყიდა.

საბუთებიდან არ ჩანს მღელვარების მონაწილე ძალთა შემადგენლობა. მართალია, დოკუმენტში მოხსენიებულია გლეხობა, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იყო ერთგვაროვანი სოციალური ფენა.

4 საქ. სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 11, საქმე 3638, ფურცელი 2.

5 იქვე, ფურცელი 4.

ცხადია, ამის შესაბამისად, სხვადასხვა იქნებოდა გლეხთა თვითიული ფენის შეხედულება და დამოკიდებულება მოძრაობისადმი. ამას-ვე ადასტურებს ეკონომიური მდგომარეობა აპირობებდა.

საფიქრებელია, რომ აღრინდელი აჯანყების მსგავსად აღნიშნულ მღელვარებასთან დაკავშირებული იყვნენ მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენლებიც. სამისოდ მაშინ შესაფერი ნიდავი არსებობდა, რამდენადაც გაბატონებულმა წოდებამ რეფორმის შედეგად დაკარგა მოწევი, პრივილეგიები და უფლებებშიც გათანაბრდა. ასე, რომ მოძრაობაში მონაწილეობა მათ დაკარგული დიდების დაბრუნების საწინდრად მიაჩნდათ.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა გლეხობა და მოსახლეობის ზედაფენა ერთად გამოსულან დამპყრობელთა წინააღმდეგ. ასე იყო 1862 წლის მღელვარების დროსაც. მართალია, ირრვე წოდებას თავისი კლასობრივი ინტერესები ჰქონდა, მაგრამ საერთო მტრის — თურქთა წინააღმდეგ ბრძოლა მათ დროებით გაერთიანებას იწვევდა.

საბუთებიდან ჩანს, რომ გლეხობას აღნიშნული ღონისძიების მშვიდობიანი გზით შეცვლის იმედი ჰქონდა. ამ მიზნით ოსმალეთის მთავრობისათვის გადასაგზავნად ადგილობრივ ხელისუფლებას გადასცა პეტცია და კამიჯამის გამოძახებული არმიის ნაწილებთან ყოველგვარი შეჯახების გარეშე, მშვიდობიანად დაიშალა. აქ აშკარად იგრძნობა, საერთოდ, გლეხური მოძრაობის ხასიათი. გლეხობა ფიქრობდა, რომ მთავრობა მიიღებდა საჩივარს, გაიცემა მათ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის და არ დაიქნებდა დასახული ღონისძიების განხორციელებას. სამწუხაროდ, პეტციის შინაარსისა და იმის გარკვევა, თუ რა შედეგი მოჰყვა მას, არქივის მასალებით შეუძლებელია.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საბუთები მიუთითებს 1862 წლის აჭარის მღელვარების კიდევ ერთ რაიონს — ბათუმს. მასალებით ბათუმელ და ქობულეთელ გლეხთა გამოსვლა თითქმის ერთდროულად მიმდინარეობს. ვიცე-კონსულის წერილების თარიღით ბათუმის რაიონის გლეხთა ამბოხება 1862 წლის თებერვალ-მარტის მიჯნაზე დაიწყო (ამ დროს მიუთითებს ფოლკლორული მასალიც) და აპრილამდე გრძელდებოდა. 3 აპრილს ვიცე-კონსული კიდევაც აცნობებდა მეფისნაცვალს, რომ შეკრებილი გლეხობა დაიშალა. ჩანს, იგი შორეულ ამბავზე კი არა, იმ დღის (ან უშუალოდ წინა დღეების) ფაქტს წერდა კავკასიის ხელისუფლებას ამავე დროს მოხდა ქობულეთელთა გამოსვლა. ამის შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი კოლოუბაკინი 1862 წლის 1 აპრილს ატყობინებდა მეფისნაცვლის კანცელარიის უფ-

როსს კრუზენშტერნის, 6-ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბათუმსა და ქობულეთში მოძრაობა ერთდროულად მომხდარა. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ვიცე-კონსულის წერილისვე ცნობა ბათუმელი კაიმაკამის მიერ ქობულეთიდან რეგულარული არმიის ნაწილების გამოძახების შესახებ. თუ აქ რაიმე შეცდომა-გაუგებობა არაა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქობულეთში მღელვარება დაწყებულია ბათუმის რაიონის გლეხთა გამოსვლის ჩაქრობის შემდეგ. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს გლეხთა ორ დამოუკიდებელ მღელვარებასთან. სხვანაირად გაუგებარა კაიმაკამის გადაწყვეტილება ბათუმის რაიონის მეტოვრებთა წინააღმდეგ ჯარის ნაწილების გამოძახების შესახებ ქობულეთიდან, სადაც ამ დროს ანალოგიურ გამოსვლას უნდა ჰქონოდა ადგილი. დაბეჯითებით კი რაიმეს თქმა შეუძლებელია საამისო დამატებითი მასალის უქონლობის გამო.

მართალია, აღნიშნული საბუთები ნაკლებია (არ ჩანს მღელვარების ხელმძღვანელებისა და

6 საქ. სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 8, საქმე 3587, ფურცელი 1,2.

აქტიურ წევრთა ვინაობა, რა ზომები მიიღო მღელვარების დაწყების მოძრაობის მონაწილეების დაპატიმრებასთან და სხვ.), მაგრამ ამის მიუხედავად მნიშვნელობა დიდია. ვარდა იმისა, რომ ნათესავებს საერთოდ აქარელ გლეხთა 1862 წლის მღელვარებას, იგი გვიჩვენებს აგრეთვე თვით ამ მოძრაობის გამომწვევ მიზეზს, მსვლელობას მონაწილე ძალთა რაოდენობას და სხვ. ეს წერილები იმის მაჩვენებელიცაა, რომ რუსეთის აინტერესებდა აჭარის საკითხი და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით აქ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების კურსში იყო. ამაში არაფერია უჩვეულო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის ბრძოლა აჭარისათვის გადაწყვეტ ფაზაში შევიდა. 1858 წელს ბათუმში სანაოსნო საზოგადოების სააგენტოს დაარსება ამ კუთხის შემოერთებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და რუსეთი თურქთა ბატონობის წინააღმდეგ მართალი აქარელთა განმათავისუფლებელ მოძრაობის გამოყენებაზე ოცნებობდა. 1862 წლის მღელვარების შესახებ ბათუმელი რუსი ვიცე-კონსულის წერილები სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.



პედაგოგიკური მკვლევარები

პედაგოგიკური მკვლევარების მოღვაწეობის შესახებ

ქობულეთის საისტორიო მუზეუმში პირველად XVII საუკუნეში იხსენიება არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში „სამეგრელოს აღწერა“, ხოლო ქართველ მკვლევართა შორის ქობულეთი ვახუშტის შრომაში გვხვდება. მის წიგნში „აღწერა სამეგრელოსა საქართველოსა“ ნათქვამია, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქობულეთი ყოფილა „მცირე ქალაქსავე და ნავსადგური ფრიად კეთილი“.

ქობულეთის ისტორიულ წარსულის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარი პეტრე უმიკაშვილი. ავტორის ბეჭდური წერილებიდან ერთი — „ოსმალის საქართველო. ქობულეთი“ (გაზეთი „ივერია“ № 20, 1877 წ.) ეხება აჭარის ზღვის სანაპიროს თემებს.

3. უმიკაშვილს ქობულეთის სახელით კინტრიშის ხეობაში ორი პუნქტი აქვს მოხსენიებული. ქალაქი ქობულეთი ავტორის დაბა ქობულეთად, ხოლო სოფელი ქობულეთი ზემო ქობულეთად მიუჩნევია. გასული საუკუნის ცნობების ერთ რიგში დაბა ქობულეთის მიდამოები „კინტრიშის“ სახელითაა ცნობილი. ერთ ქართულ წყაროში დამოწმებულია ბევრ თაღდგირიძეთა მიერ გაშენებული „მცირე ქალაქი კინტრიში“.

3. უმიკაშვილი სტატიაში „ოსმალის საქართველო. ქობულეთი“ მოკლედ აღწერს ქობულეთის ტოპოგრაფიას და აღნიშნავს, რომ ადგილმდებარეობა ქობულეთისა ზღვის პირას უფრო ვაკეა. სამხრეთისა და გურიის აღმოსავლეთ საზღვარზე ვიწრო, ძალიან ვიწრო ხეობებია. ეს ადგილები სახნავ-სათესად ძნელად მოსახერხებელია. ამის გამოა, რომ სოფლები უფრო ზღვის სანაპირო ფერდობებზეა გაშენებული.

ქობულეთის შესახებ საყურადღებოა 3. უმიკაშვილის ხელნაწერი მასალებიც. ეს გამოუქვეყნებელი ცნობები დაცულია ლიტერატურის ინ-

სტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში. მათი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მიახლოებით დავადგინოთ კინტრიშის ხეობაში არსებული თემების, სოფლების, კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობა.

მიკვლეული მასალებით დასტურდება, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში ქობულეთში შემონახული ყოფილა დასახლების სათემო ფორმის ელემენტები. ჯერ კიდევ ადრე გ. ყაზბეგი შენიშნავდა, რომ „აჭარაში მოსახლეობის აღწერის ძირითადი ერთეულია თემი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ჯამე“ („აჭარის შესახებ“, გვ. 63).

ისტორიული აჭარა ხეობების ცოცხალ კრებულს წარმოადგენდა. ცალკეულ მთავარში რამდენიმე თემი სახლობდა. ხშირად გეოგრაფიული ერთეული „ხეობა“ ემთხვეოდა ეთნოგრაფიულ ერთეულს „ხევს“ (თემი). კინტრიშის ხეობაში ასეთი ერთეული იყო „ხევი ხინოსი“.

კინტრიშის ხეობაში ორი მაზრის (თემის — გ. მ.) არსებობაზე მიუთითებდა პოეტი რ. ერისთავი (გაზ. „დროება“, 1875 წ. № 10). ეს თემებია ხინო და ქობულეთი. ამ რაიონში ორი ისტორიული თემის (კინტრიშის ანუ ქობულეთის ზონა და ქობულეთი) არსებობა ექვთიმე თაყაიშვილსაც აქვს დამოწმებული (არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960 წ., გვ. 1). ორი თემის არსებობა აქვს მხედველობაში ზ. ჭიჭინაძესაც, როცა წერს: ორმოცი სოფელია კინტრიშისა და ქობულეთისაკენ (ქართველთა დავარდული სოფლები და ქართველი კათოლიკეები, გვ. 116).

კინტრიშის ხეობის სანახები თემობრივად შედარებით სრულად აღუწერია 3. უმიკაშვილს. ავტორს უსარგებლია თურქთა ბატონობის დროინდელი და 1879 წლის აღწერის მასალებით. ქობულეთის თემობრივი აღწერა 1879 წ. დეკემბრითაა დათარიღებული.

3. უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი მასალებით, ჩოლოქსა და ციხისძირის შორის (ქობულეთისა და ხინოში) ხუთი თემის არსებობა დასტურდება, რაც ველზე შეკრებილი მასალებითაც მტკიცდება. ეს თემებია:

1. **ხინოს თემი**, რომელშიც შედიოდა სოფლები: ხინო (110 კ., 419 ს.), დიდვაკე (70 კ., 197 ს.), მესხიქელი (15 კ., 34 ს.), ზერაბოსელი (40 კ., 76 ს.), კობალაური (20 კ., 48 ს.), ვარჯანაული (20 კ., 48 ს.), ტყემალკარავი (50 კ., 211 ს.). თემში სულ ყოფილა ცხრა სოფელი, რომლებშიც ითვლებოდა 395 კომლი — 1442 სული (სულთა რაოდენობაში მხოლოდ მამრობითი სქესია შეტანილი).

2. **ქობულეთის თემი**, რომელშიც შედიოდა სოფლები: ქობულეთი (213 კ., 604 ს.), ზენითი (64 კ., 256 ს.), აკყვისთავი (113 კ., 598 ს.). ამ თემში სულ ყოფილა 390 კომლი — 1458 სული.

3. **ალამბარის თემი**, რომელშიც შედიოდა სოფლები: ალამბარი (86 კ., 427 ს.), ლეღვა (64 კ., 241 ს.), ქაქუთი (41 კ., 184 ს.). თემში სულ ყოფილა 198 კომლი — 852 სული.

4. **ხუცუბნის თემი**, რომელშიც შედიოდა სოფლები: ხუცუბანი (68 კ., 354 ს.), გვარა (12 კ., 45 ს.), სამება (15 კ., 451 ს.).¹ თემში სულ ყოფილა 113 (195) კომლი — 850 სული.

5. **კვირიკის თემი**, რომელშიც შედიოდა სოფლები: კვირიკე (46 კ., 170 ს.), დავა (20 კ., 64 ს.), ბობოყვათი (20 კ., 64 ს.). ამ თემში სულ ყოფილა 86 კომლი — 300 სული. თითქმის ყველა მოზრდილ სოფელში ყოფილა მეჩეთი და ერთი სასულიერო პირი.

ამრიგად, ამ მასალებითა და ეთნოგრაფიულ ყოფილი შეკრებილი ცნობებით დასტურდება თემის არსებობა ქობულეთში, თუმცა იგი გასულ საუკუნეში დაშლის პროცესს განიცდიდა.

რევოლუციამდე თემის დამახასიათებელი ნიშნები (სათემო მიწების არსებობა, ტყის კოლექტიური სარგებლობა, წყალსადენების საერთო მოვლა-პატრონობა, საერთო წისქვილი და სხვ.) გადმონაშთის ფორმით განაგრძობდა არსებობას.

3. უმიკაშვილი აპარული თემის, რაგორც სოციალური ერთეულის, ბუნებისა და თავისებურებების ამსახველ მასალებს არ იძლევა. ამ ხარვეზს ავსებს შიდამთიანი აპარის მთის ზოლის სოფლების სათემო აღწერის მონაცემები. მათი მიხედვით, თემის სარგებლობაში ჩანს სახნავ-სათესი მიწებიც, რაც არსებითად განასხვავებს აპარულ (ქართულ) თემს აღმოსავლური (თურქული) თემისაგან (ა. ავალიანი, მიწათმოქმედ-

ლობის ფორმები აპარში, გვ. 119-127). სათემო სარგებლობაში სახნავ-სათესი მიწების გავრცელება აპარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს დადასტურდა სოფ. ვერნებსა (1958 წ.) და ჩაქვისთავში (1960 წ.).

ოსმალთა ბატონობისაგან აპარის განთავისუფლების წინ. საქართველოში ქობულეთიდან ცნობილი ყოფილა რამდენიმე გვარი თუ გვარეულობა. 3. უმიკაშვილის გამოქვეყნებულ სტატიის „ოსმალის საქართველო. გვარეულობანი“ (გაზ. „ივერია“, 1877 წ. № 44) და გამოუქვეყნებელ მასალებში დამოწმებულია მთელი რიგი გვარები: თავდგირიძე, თამაზაშვილი, დადიანი-შვილი, ჯაში, დუშბაძე, გუგუნავა, ჭყონია, ქარცხაძე, გეგაძე, ციკაძე და ა. შ.

3. უმიკაშვილის თქმით, ერთი ძირიდან ნაყარი გვარები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა თემში ცხოვრობენ, განპირობებულია იმით, რომ „ზოგნი აქედან გადასულან და ზოგნი იქიდან“² გადმოსულან აქეთ.

3. უმიკაშვილის არქივში დაცულია მასალები ქობულეთის მოსახლეობის შესახებ. ავტორი არაერთხელ მიუთითებდა, რომ აპარის მკვიდრი მოსახლეობა „ჩამომავლობით ქართველია და მამა-პაპა ქრისტიანები ჰყოლიათ“. ამავე დროს იგი ხაზს უსვამს იმ ჭეშმარიტ ფაქტს, რომ „აპარის მთელი მოსახლეობა ქართველობაა“. მწიგნობარი კმაყოფილებით აღნიშნავდა: „აპარლებს კარგად ახსოვთ, რომ ჩვენი ძმანი არიან“.

პეტრე უმიკაშვილი განსაკუთრებული სიამოვნებით აღნიშნავდა იმ ამბავს, რომ აპარლებს საერთოდ და, კერძოდ, ქობულეთლებს უღირსად მჭიდრო ურთიერთობა და კავშირი ჰქონდათ მოსაზღვრე გურიის მოსახლეობასთან. ქობულეთის მცხოვრებლებს და გურულებს განუწყვეტლად აქვთ თანამეზობლობა და ურთიერთობა, წერდა იგი. მათი ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ხშირად მოყვრობა-დანათესავეებით გვირგვინდებო. ბეგებსა თუ გლეხაკებს ხშირად „ქობულეთის გურული ქალები ჰყავთ“, შენიშნავდა სახელოვანი მწიგნობარი და აღნიშნავდა, რომ მათ შორის ცოლ-ქმრობა ხშირად „სიყვარულით, მიჯნურობით“ ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ წინათ აპარა ოსმალეთის მონებაში იმყოფებოდა, გურულებსა და აპარლებს შორის მაინც ყოფილა „დიდი მისვლა-მოსვლა“. გურია-ქობულეთის საზღვრებზე „მეზობლად მდებარე სოფლები ჭორწილსა და ქელესს ისე არ გადაიხდიან, რომ ერთმანეთი არ მოიწვიონ, ერთი სიტყვით, ქირში და ლხინში ერთობა აქვთ“.

¹ სამების კომლთა და სულთა რაოდენობა შეუფარდებელია და აქ 15 კომლის ნაცვლად საფიქრებელია იყოს 115.

ქობულეთის მცხოვრებლები გურიაში დადო-
ოდნენ ნაგომრობაზეც, სადაც იმართებოდა
ბაზრობა და ჭირითი. ერთ ასეთ ჭირითში ქო-
ბულეთლებს გაუმარჯვნიათ (გაზ. „სასოფლო
გაზეთი“, 1874 წ. № 11, 12).

3. უმიკაშვილის გადმოცემით, ნაგომრობაზე
გამართული ჭირითის დროს ქობულეთის ბე-
გები მაყურებელს გულში ძველს ვარამს უღვი-
ძებდა, ვარამს „საქართველოს ერთობისა და
წყუელ დაშორებაზე“. მწიგნობარს გულს უკლა-
ვდა დაკარგული აჭარის ბედი და ამიტომ იყო,
რომ იგი „საქართველოს ერთობისა“ და ერთია-
ნობის აღდგენისათვის მებრძოლთა რიგებში იდ-
ვა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის
წინ პ. უმიკაშვილს სურდა ენახა აჭარა. 1879
წლის 8 აგვისტოთი დათარიღებულ, მაგრამ გა-
მოუქმევინებელ წერილში ვკითხულობთ: როდე-
მაც ჯერ კიდევ ომის ხსენება არ იყო, მინდოდა

მენახა ჩვენი მოძმენი და მენახა იმ მდგომარეო-
ბაში, რომელსაც შესჩვეოდა მათი აზრი, მათი
რება და გვარიშვილობის გრძნობა. ავტორის
სურვილი ყოფილა გაეგო, რად მიაჩნდათ მუს-
ლიმან ქართველებს (აჭარლებს) ქრისტიანი ქარ-
თველები, რად მიაჩნდათ თავისი თავი, რას ამ-
ბობდნენ, რის მადლობელი იყვნენ, რას უჩიო-
დნენ. უმიკაშვილი წერილს შემდეგი სიტყვებით
ამთავრებს: იმათი აზრი და რწმენა მინდოდა შე-
მეტყო და ვერ შევიტყვე. იგი მართლაც ვეღარ
ჩამოვიდა ომის წინააღმდეგ აჭარაში.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა სა-
ბოლოოდ განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობი-
საგან. ასრულდა პ. უმიკაშვილის ოცნება: ხეალ
მორიგება მოხდება და ქრისტიანი და მუსლიმი-
ანი ქართველი მოსახლეობა „ისევ მხალ შეიყრე-
ბიანო“. ეს ასეც მოხდა.



შვიდონ სინაპრიძე

თავდგირიძეთა შტავლესი ისტორიიდან

საგვარეულოთა წარსულის შესწავლა, ამა თუ იმ გვარის თავგადასავლის შეცნობა ქვეყნის წარსულის არაერთ, დღემდე ბურუსით მოცულ საკითხს მოჰფენდა ნათელს.

საინტერესო და შესწავლის ღირსია ყოველი საგვარეულო, მიუხედავად იმისა, თუ რა ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის ცხოვრებაში ამ გვარის წარმომადგენლებს. თუმცა ჯერ ისეთ საგვარეულოებზეც კი ცოტა რამ ვიცით, რომლებიც დროის საქმოდ ხანგრძლივ მონაკვეთზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ისტორიაში.

ასეთ საგვარეულოთა რიცხვს მიეკუთვნებიან თავდგირიძეები. ეს გვარსახელი საისტორიო საბუთებში, ეპიგრაფიულ ძეგლებსა თუ სხვა წყაროებში რამდენიმე ვარიანტული ფორმით გვხვდება — თავდირიძე, თადგირიძე, თაქთირიძე, თავდგირიძე. ამ გვარსახელის უძველესი ფორმაა თავდირიძე. აქედან ბეგრათა გაღასმით (მეტათესი) მიღებულია „თადგირიძე“.

რაც შეეხება „თაქთირიძეს“, იგი „თავდგირიძის“ დიალექტური და შედარებით გვიანდელი ფორმა უნდა იყოს. თაქთირიძის პირველი ნაწილის (თაქ) ქ მდღერ გ-ს დაყრუბითაა მიღებული, ხოლო მეორე ნაწილის (თირ) თ მდღერ-ღ-ს დაყრუბამ მოგვცა.

მოგვიანებით ეს გვარსახელი თავდგირიძედ გაფორმდა. ეს ფორმა მიღებულია ამ გვარსახელის ერთ-ერთი ვარიანტული ფორმის (თადგირიძის) პირველ ნაწილში (თად) გ-ს ჩართვით.

ამ საგვარეულოს უძველესი წარმომადგენლები იხსენიებიან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ნუსხებში. ერთი მათგანი 1914 წელს გამოსცა აკად. ნ. მარმა. აქ 8 ნომერის მოსახსენებლის № 53 აღაპი ნათქვამია: „ამავე დღესა აღაპი თავდგირიძისა ფიცხვერასი“.

აკად. ნ. მარმა ყურადღებას აქცევს ამავე დღის წინა აღაპებსაც და მათგან გამოყოფს სამ აღაპს (№ 51, 52, 53), რომლებშიც „ძველ

ხელს“ ხედავს, თუმცა შემდეგ არაფერს ამბობს, თუ სახელობრ, რომელ საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ ეს „ძველი ხელით“ შესრულებული არაპები.

ჯვრის მონასტრის აღაპებიდან მხოლოდ რამდენიმე XI-XII საუკუნეების, დანარჩენი კი გვიან, შუა საუკუნეებშია შედგენილი, ჩვენთვის საინტერესო აღაპიც ამავე ხანისაა, თუმცა ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რომელ საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს იგი.

უფრო მეტი მასალება ამავე მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში მოხსენებულ ამირა თავდირიძეზე (აღაპი № 223-ა). ეს უკანასკნელი აქ თავსდება ერთი და იმავე ხელით ნაწერ რვა აღაპში, რომელთა შორის იხსენიებიან XIV საუკუნის ისტორიული პირები:

დავით მეფე (1346-1360), აღბულა ათაბაგი და სხვ. ამირა თავდირიძესაც ამავე საუკუნეში უნდა ეცნოება. სხვა რამე ცნობა ამ პიროვნების შესახებ წყაროებს არ შემოუწავს.

როგორც მეცხეთის საპატრიარქოს სამცხურთა თავადების აღწერილობიდან ვტყობილობთ, თავდგირიძენი სამცხე-საათაბაგოს მკვიდრნი ყოფილან. ეს საბუთი შედგენილია XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის. ამიტომ ამ ძეგლმა თავის დროზე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. იგი პირველად ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ გამოსცა. ბაქრაძისეულ გამოცემაში ვკითხულობთ: „თაქთირიძესა აქუს ჩარჩანელი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“. ასევე იგი დამოწმებული ზოგიერთ მერმინდელ ნაშრომშიც, რომელთა ავტორები ამ გამოცემით ხელმძღვანელობდნენ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950 წ., გვ. 68).

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია შე-

ნიშნულია, რომ ამ ძეგლის ბაქრადისეულ გამოცემაში დიდი შეუსაბამოებანია.

დედანში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: „ხერხემლისძე სასაფლაოდთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა თაქთირიძესა აქუს“. აქედან დასტურდება, რომ თაგლირიძე იყოფილან არა ჩარჩანელთა მეზობლები და ამავე დროს მათივე პატრონები, არამედ ხერხემლისძეთა მეზობლები და სიუზერენები. იზადება კითხვა, საათაბაგოს რომელ მხარეში მდებარეობდა სახერხემლიძო ან სათაგლირიძო? სამწუხაროდ, სამცხე-საათაბაგოს სათავადოების ისტორიული გეოგრაფია დღემდე სრულებით შეუსწავლელია და არც ხსენებულ სათავადოთა ადგილმდებარეობაა ცნობილი.

ხერხემლისძეთა ადგილსამყოფელის დასადგენად ერთი საგულისხმო ცნობა დაუტევს ქართულ ქაშათაღმწერელს თურქების შემოსევათა აღწერაში (XIV ს.).

აზატ მოსე XIII საუკუნის დასასრულს შემოესია საქართველოს. თურქებს დაუპყრობით მთელი რიგი თემები: ბასიანი, ტაო და ნიგალისხევში (კოროხის ქვემო წელი) ჩამოსულან. მანამდე მათ ვერაინ აღდგომია წინ, აქ კი თურქებისათვის ენერგიული წინააღმდეგობა გაუწევიათ და გზა გადაუკეტავთ ხერხემლისძეთა ქვეშევრდომებს. მემატიანის სიტყვით, ამ დროს „...თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისხევს უვალთა ადგილჳა, რომელნი მოისრნეს ხერხემლისძეთა აზნაურთაგან“.

აქედან ჩანს, რომ ხერხემლისძეთა აზნაურები მურღულ-ნიგალში ისდნენ. მაშასადამე, კოროხის ქვემო წელის გარკვეული ნაწილი სახე-

რხემლიძოდ შეიძლება მივიჩნიოთ. კოროხის აუზშივე, სახერხემლიძოს მახლობლად, უდებელია სათაგლირიძო სამფლობელოც. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს შემდეგში თავის ყმობაში მოუქცევია პირველი. მსგავსი ფაქტებით სავსეა სამცხე-საათაბაგოს შუა საუკუნეების ისტორია.

როგორ მოხდა ეს, რამ გამოიწვია ხერხემლისძეთა დაცემა ან თაგლირიძეთა აღზევება? ამის დასადგენად აუცილებელი ცნობები არ შემონახულა.

მოგვიანებით (XVII საუკუნიდან) თაგლირიძეებს ქობულეთში ვხვდეთ.

რამ აიძულა თაგლირიძენი დაეტოვებინათ მამაპაპური სამკვიდრებელი და ქობულეთში გადმოსახლებულიყვნენ? ჩვენი აზრით, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო თურქთა მოძალემა.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალებმა გამუდმებული ორბევა-აოხრებით დიდად შეაწუხეს საათაბაგოს სამხრეთი პროვინციები, ხოლო XVI საუკუნის 40-იან წლებში კიდევ დაეუფლნენ ათაბაგთა სამფლობელოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეებს, მათ შორის, ეტყობა, სათაგლირიძოსაც. თაგლირიძეებმა, როგორც ჩანს, არ ისურვეს ოსმალბასთან (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა) შეერიგება და საქართველოს შიდა რაიონებს მიაშურეს.

თაგლირიძენი ქობულეთში შედგნენ, სამთავრო კარზე მაღალი თანამდებობა (ბოქალთუხუცესობა) და დიდი ყმა-მამულებიც (აჭყვის, კინტრიშის და ჩაქვის ხეობაში) დაიმკვიდრეს და კვლავ ძლიერი სათავადო ჩამოაყალიბეს.



გათუველი გოლიათი

ტელეგრაფი ძუნწად გვატყობინებდა: შორეულ ამერიკულ ქალაქ ტოლიდოში, სადაც დამთავრდა მსოფლიოს პირველობა კლასიკურ ჭილაობაში, საბჭოთა სპორტსმენებმა სამი პირველი ადგილი დაიკავეს. მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მეორედ დაიმსახურა ბათუმის მკვიდრმა, ოცდაშვიდი წლის ინჟინერმა როსტომ აბაშიძემ...

ოჯახში სპორტით გატაცებული იყო ყველა მამაკაცი. ხშირად საღამოობით მყუდრო ეზოში ტურგენევის ქუჩაზე თავს იყრიდნენ ძმები აბაშიძეები. იწყებოდა ერთგვარი ჩემპიონატი სიძიმეების აწვევაში. ძმები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ღონესა და სიმარდესი. პატარა როსტომი ჭერჯერობით მხოლოდ თვალს ადევნებდა ამ „შეჯიბრებას“. ბიჭის განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა ბიძია იუსუფის გამარჯვება. მას ისიც უყვარდა, როცა უფროსები უამბობდნენ ბაბუაზე — ღონიერ მამულ აბაშიძეზე.

როსტომი თავის ჩემპიონატებსაც აწყობდა. სკოლიდან თავისუფალ დროს თანატოლებთან ერთად იგი პიონერთა პარკში ატარებდა. ბიჭებს უყვარდათ ჭილაობა, ერთმანეთის ძალღონის მოსიწვევა. ისინი, რა თქმა უნდა, არავითარ წესებს არ იცავდნენ. თვითებული მათვანი ისე ჭილაობდა, როგორც შეეძლო, და ყველა ცდილობდა წაეჭკია მოწინააღმდეგე. მაგრამ როსტომს ვერც ერთი მისი ნორმი მეგობარი ვერ ერეოდა. იგი ითვლებოდა ტურგენევის ქუჩის ჩემპიონად.

და როცა თხუთმეტი წლის ჭაბუკი მივიდა სამეცადინოდ ბავშვთა სპორტულ სკოლაში, მისმა პირველმა მწვრთნელმა და მრჩეველმა აკაკი მიმინოშვილმა მასში შენიშნა მომავალი მოჭიდავის ყველა თვისება — განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემები, კარგი აგებულება, ღონე, სიმარჯვე და მოხერხებულება. ეს იყო 1950 წელი.

— ნამდვილი მოჭიდავე რომ გახდეს, — ეუბნებოდა ხოლმე როსტომს აკაკი მიმინოშვილი,

— საჭიროა მოთმინებით, ხანგრძლივად იშრომო, ბევრი ივარჯიშო, გულდაგულ დაამუშაო თვითებული მოძრაობა.

და მეცადინეობა გრძელდებოდა. როსტომი ახალ-ახალ ხერხებს და სწორ დგომს ეუფლებოდა. ვარჯიშობდა დიდხანს და მოთმინებით, რათა საჭირო წუთებში შეძლებოდა სხვადასხვა ილეთის გამოყენება. გაუძნელდა, ძლიერ გაუძნელდა. მაგრამ მით უფრო სასიხარულო იყო პირველი ოფიციალური გამარჯვება აჭარის პირველობაზე ჭაბუკთა შორის, როცა მან მეხუთედ წუთზე სუფთად მოუგო მოწინააღმდეგეს.

გადიოდა დაძაბული წვრთნის წლები. ჭაბუკი თანდათან უფრო გაბედული და შეუპოვარი, ურყევი და მტკიცე ხდებოდა, ეუფლებოდა ტექნიკურ ხერხებს. რაც მთავარია, თვითებული შეხვედრის შემდეგ მას უძლიერდებოდა ნებისყოფა, სისწრაფე შეტევისა და შეუპოვრობა თავდაცვის დროს. ამ ხნის განმავლობაში ის არაერთხელ იყო პრიზიორი და გაიმარჯვა შეჯიბრებებში ხარკოვსა და თბილისში, როსტოვსა და ბათუმში. სპორტის საყვარელ სახეობაში მეცადინეობას ხელი არ შეუშლია მისთვის წარმატებით დამთავრებინა სკოლა და შესულიყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.

სულ უფრო ნაკლები დრო რჩებოდა როსტომს სპორტული მეცადინეობისათვის. ლექციები, სწავლა ბევრ დროს ართმევდა. მაგრამ იგი წვრთნას მაინც არ ეშვებოდა. როსტომმა გადიოდა ახალი მწვრთნელების მდიდარი გამოცდილება. იგი თვალყურს ადევნებდა თავის მეტოქეებს, სწავლობდა იმ დროს ცნობილ სპორტსმენთა — მომავალ მოწინააღმდეგეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს. ყოველივე ეს გამოადგა საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის დროს. მხოლოდ ფინალში იგემა ახალგაზრდა მოჭიდავემ დამარცხების სიმწარე გამოცდილ მოჭიდავე ტაჩიოვთან შეხვედრისას და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მაგრამ მისმა ოსტატობამ, ბრწყინვალე ტექნიკამ მაყურებლებისათვის

და მონაწილეთა საყოველთაო მოწონება გამოიწვია.

იმ წუთს, როდესაც სპორტსმენმა პირველად გაიმარჯვა დიდ შეჯიბრებაში, იგი არასოდეს დაივიწყებს. ეს იყო მესამე მსოფლიო მეგობრული სპორტული თამაშობების დროს. საერთაშორისო შეჯიბრებაში იგი პირველად მონაწილეობდა. მით უფრო საპატიო იყო მოპოვებული გამარჯვება. შეუპოვრად მიიწვედა როსტომი ფინალისაკენ — ზედიზედ დაამარცხა ფრანგი, ფინელი, ავსტრიელი, ბულგარელი. მაგრამ ფათერაკი, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად მოვიდა. გადამწყვეტი ბრძოლის წინაღმეხ როსტომი ავად გახდა, სიცხე მისცა. და მაშინ, პირველად მრავალი წლის განმავლობაში, მან არ დაუტყვრა მწერბრებს, რომელმაც აუტრალა ფინალში მონაწილეობა. მისი მოწინააღმდეგე იყო გამოცდილი და ძლიერი, არაერთგზის გამარჯვებული რუმინელი პოპოვიჩი. სწორედ ამ შეხვედრაში გამოამჟღავნა როსტომმა მთელი თავისი სიმტკიცე, გაბედულება, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელი მისწრაფება. მაყურებლებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ საბჭოთა სპორტსმენი ავადმყოფი და სიცხიანი იბრძოდა. მოწინააღმდეგე იყო სწრაფად შეიბნე, წამის რალაც ნაწილთ დასწყობი მან პოპოვიჩს, მოსწყვიტა ხალჩას და ძლიერად დასცა. ამ მოულოდნელმა ხერხმა გააოცა რუმინელი, წამოდგომაც ვერ მოასწრო, რომ ბეჭებზე მოექცა. შეხვედრა სულ ოცდაათ წამს გაგრძელდა. ასე მოიპოვა როსტომმა პირველი ოქროს მედალი. თუმცა, როდესაც დარბაზში გამარჯვებულის პატივსაცემად დიდებულიად აქლერდა საბჭოთა კავშირის ჰიმნი, თვითონ როსტომმა ამაშიც უკვე შორს იყო. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. სამ თვეზე ცოტათი მეტი დრო გავიდა და ოცდაორი წლის ქართველმა მოწინააღმდეგე მეორე ოქროს მედალი დაიმსახურა — იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ქვემძიმე წონაში.

ყველაზე დიდ წარმატებას რ. აბაშიძემ მიაღწია 1958 წელს მსოფლიოს პირველობაზე ბუდაპეშტში. ჩემპიონატის მონაწილეთა შორის იყო შვიდი ოლიმპიური ჩემპიონი და შვიდი მსოფლიოს ჩემპიონი. მეტად მწვავე ბრძოლები ეწვია. მაგრამ ამან არ შეაშინა ახალგაზრდა სპორტსმენი. იგი იბრძოდა მისთვის ჩვეული შემტევი ტენიონ და ზედიზედ დაამარცხა პოლონელი სიდოროვიჩი, იზრაილელი ვოლკოვიჩი, ფრანგი ჟაუელი, უნგრელი გურიჩი, ფრედ დაამთავრა შეხვედრები ბულგარელ სირაკოვთან, შვედ იანსონთან და პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო წოდება.

ბრწყინვალე გამარჯვებამ თავბრუ როდი დაახვია როსტომ აბაშიძეს. იგი შეუპოვრად სრულყოფს ოსტატობას, მონაწილეობს ბევრ საერთაშორისო შეხვედრაში და იმარჯვებს კიდევაც. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატებში ლეოვსა

და თბილისში იგი ხდება ბრინჯაოსა და ოქროს მედლების მფლობელი, ხოლო ლეოვში იღებს საუკეთესო ტექნიკისათვის დაწესებულ ერთდერთ პრიზს. როსტომ აბაშიძემ, რომელმაც კარგად შეუთავსა ერთმანეთს სპორტი და სწავლა, ბრწყინვალედ დაიცვა სადილობო შრომაც და მშენებელი ინჟინრის წოდება მიიღო. ამასთან მის ცხოვრებაში მოხდა მეტად სასიხარულო ამბავი — იგი ტყუპი ქალ-ვაჟის ბედნიერი მამა გახდა.

...ყვეებერთელა 170-ადგილიანმა ლაინერმა „ბოინგ-707“ კურსი აიღო შორეულ ამერიკულ ქალაქ ტოლიდოსაკენ. თვითმფრინავის ფრთებს ქვეშ გაიფრავს ბრიუსელმა, ამსტერდამმა, პარიზმა. როსტომს არ უნდა იფიქროს. მომავალ შეჯიბრებაზე. მეტოქეები ძლიერი არიან, ვანსა... კუთვრებით თუქტი ათლი — მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშობათა ანარქთგზის ჩემპიონი, რომელიც ერთნაირად ძლიერია თავისუფალ და კლასიკურ ქიდაობაში. იგი სხვა რამეზე ფიქრობს — პირველად უწევს შერკინება სპეციალური პლატკური მასისაგან დამზადებულ ლეიბზე. საინტერესოა რას წარმოადგენს იგი?

ტოლიდოში სპორტსმენებს აუტანელი სიცხე დახვდათ. თერმომეტრი ჩრდილში 40 გრადუსს უჩვენებდა, ხოლო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში „ფილ-პლუში“, სადაც მსოფლიოს პირველობა ტარდებოდა, კიდევ უფრო ცხელია.

ახალი წესები (ორი ხუთ-ხუთ წუთიანი „ტი-მი“), რაც ქიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ შემოიღო, მოჭიდავეებს, რომლებიც გამარჯვებისაკენ ისწრაფოდნენ, აიძულებდა შეხვედრები გაბედულად, თავდაუზოგავად ჩაეტარებინათ. როსტომ აბაშიძე პირველად კანადელ ოიანპრის ხელება და წმინდა უგებს მას სამ წუთსა და 14 წამში. როგორაც არ ეცადა ბათუმელი მოჭიდავე გამოეყენებინა ფანდი ამერიკელ ლოველთან შეხვედრაში, ვერა და ვერ მოახერხა. ლოველი სულ გარბოდა ლეიბიდან. მსაჯები მას განუწყვეტლივ აძლევდნენ შენიშვნას, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ფინალისთვის როსტომს ორი საჯარიმო ქულა ჰქონდა. დილით მისი მოწინააღმდეგე იყო შვედი იანსონი — საბჭოთა სპორტსმენის ძველი ნაცნობი. აქამდე ისინი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და შედნე ყოველთვის ფრე იყო. არსებითად ეს შეხვედრა წყვეტდა ოქროს მედლის ბედს. მერვე წუთზე როსტომმა მოწინააღმდეგე პარტერში გადაიყვანა, ხოლო შემდეგ მხრებზე გადაიგდო და გამარჯვებისათვის სპირო ქულები მოიპოვა.

მაგრამ წინ კიდევ სამი შეხვედრა. საღამოს ის უნდა ექიდაოს თურქ ათლის, რუმინელ მარტინესკუსა და ბულგარელ რადევს. ყველაზე ძნელი მაინც ათლისთან შეხება. ტანმოჩირი, ჯმუხი, საუკეთესო ტექნიკის მქონე ათლი მეტად ღონიერი.



იმ დღეს. „ფილდ-პაუზი“ გაიქცა თურქი სტუდენტებით, რომლებიც ტოლიდოში სწავლობდნენ. ისინი ეროვნული აღმებით მოვიდნენ და, რაც მთავარია, დიდი ხმაურით თანაუგრძნობდნენ თავიანთ თანამემამულეს. თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე არ შეწყვეტილა შეძახილები „გაუმარჯოს ათლის“, რითაც ისინი ამხნევებდნენ ოლიმპიურ ჩემპიონს. მაგრამ ამან ვერ უშველა თურქ სპორტსმენს. ათლის მხოლოდ გამარჯვება აწყობდა და ამერიკელისაგან განსხვავებით მეტად აგრესიულად იბრძოდა. როსტომ აბაშიძე კი თავის სტიქიაში იყო. შეხვედრის დაწყებიდანვე მან მეტოქე მოულოდნელად გადაიყვანა პარტერში. პირველი ნახევარი საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობით მიმდინარეობდა. ერთწუთიანი შესვენების შემდეგ თურქი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მერე კი ერთ-ერთი შეტევის დროს ცუდად მოზომა ნაბიჯი, რასაც როსტომის საპასუხო ელვისებური ასროლა მოჰყვა და აი ათლი... ზურგით დაეცა. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო. ხუთი წუთი და 42 წამი დასჭირდა როსტომს ათლის დასამარცხებლად. თურქი სტუდენტები დუმდნენ. მათ წამსვე დაუშვეს ეროვნული აღმები.

ოთხჯერ გამოვიდა ამ დღეს როსტომი საკიდაო ლეიბზე. თითქოს ყველაზე მეტი გასაჭირი მას დაადგა, მაგრამ როსტომმა ძლია დადლი-

ლობა და რიგრიგობით ბეჭეებზე დააწვინა თავი მეტოქე, ხოლო ბულგარულ რადევთან შეხვედრა ფრედ დაამთავრა. მეგობრებმა მხურვალედ მიულოცეს როსტომ აბაშიძეს მსოფლიოს ჩემპიონობა.

მწვრთნელებისა და მსახვების უმრავლესობამ როსტომ აბაშიძე ცნო ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ. მან უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა თავისი შესანიშნავი, კვშმარიტად ოსტატური ბრძოლით.

ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, მესამე მეგობრულ სპორტულ თამაშობათა ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადისა და ჩემპიონატის პრიზიორი, ხუთი ოქროსა და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი — აი ჩვენი თანამემამულის როსტომ აბაშიძის სპორტულ წარმატებათა არასრული სია. ამ წლების მანძილზე მან ჩაატარა 23 საერთაშორისო შეხვედრა, რომელთაგან მოიგო 16 და ფრედ დაამთავრა შვიდი.

რ. აბაშიძეს ახალი ორთაბრძოლები, ახალი განცდები ელის. ამ შეხვედრების მწვერვალი, რა თქმა უნდა, იქნება 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონატი შეეციაში და ოლიმპიური თამაშობანი ტოკიოში. ჩვენ გვჯერა, რომ როსტომი არ დაკმაყოფილდება მიღწეულით, კიდევ ბევრჯერ ასახელებს საბჭოთა სპორტს და ახალ-ახალ სიხარულს მოუტანს თანამემამულეებს.

ა. შაშიაპაშვილი.



აჭარის ისტორიული წარსულის ამსახველი რომანი

ქართველი ხალხის მთელი ისტორია საკუთარი მიწა-წყლისა და ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის უმაგალითო ბრძოლების, ყოველი მხრიდან შემოსეულ ურაცხვ დამპყრობთა ცეცხლებთან ლეგენდარული გამკლავების, ქვეყნის უმოწყალო იავარყოფისა და ქვეშაობად მკვდრებით აღდგომის მძიმე და გასაოცარი ისტორიაა საერთოდ, მაგრამ აჭარის ხვედრი და სვეტუქუღმართობა ხომ სრულიად განსაკუთრებულია მაინც.

იესუფ ფალავას ახალ რომანში „ქედუხრელნი“, რომელიც წელს გამოსცა აჭარის სახელგანთქმად, სწორედ აჭარის ეს ისტორიული ხვედრია ნახევრები. ავტორი შეეცადა მხატვრულად წარმოედგინა აჭარელთა ბედთან შეურიგებლობა, მათი ქედუხრელობა, ბრძოლა ეროვნული მეობისა და სარწმუნოების გადარჩენისათვის.

ნაწარმოების ისტორიული ფონი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულის საქართველოა, ერთი მხრივ ირანისა, ზოლო მეორე მხრივ ოსმალეთის ავბედითი გავლენისა და განუწყვეტელი მუქარის ქვეშ მოქცეული.

ნაწარმოების მთავარი გმირი კი ხალხია, ხალხი, რომელიც წელში წყდებოდა, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ ყველგან და ყოველთვის მომხდურს საკადრის პასუხს აძლევდა, საკუთარი მეკრდით იცავდა მამულს და იფარავდა დიად ეროვნულ დროშას.

რომანში სიმართლითაა გამოხატული საქართველოს იმდროინდელი ვითარება, მთავართა და იმედგარეობა, ქვეყნის როგორც ერთგულთა, ისე მოღალატეთა, როგორც უანგარო მამულიშვილთა, ისე ანგარებით გულდაბურულ ადამიანთა სახეები.

დიდი ოსმალეთი წარღვნიტ ემუქრება პატარა, მაგრამ ურჩ, გაუტეხელ საქართველოს. და აი იმ ქართველთა საზრუნავი, რომლებიც ისედაც ენით აუწყებელ სოციალურ და ეროვნულ ჩაგ-

რას განიცდიდნენ, რომელთა გულშიც თურქი დამპყრობი დღენიადაგ გავარვარებულ მახვილს ატრიალებდა, რათა იქიდან ქართული სული ამოეშანათა, — გახდა არა მარტო საკუთარი ხვედრი, არამედ მთელი საქართველოს ბედიც. აჭარელთა ყოფაცხოვრების უმძიმეს სურათებთან ერთად ნაწარმოებში დამაჯერებლად და შთამბეჭდავად აისახა მათი შეუწუხებელი ლტოლვა დედა საქართველოსაკენ და მზადყოფნა მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის თავის განწირვისა.

„რამდენი კეთილსინდისიერებაა ხალხში დარჩენილი, — თავისთავთან ბჭობას განაგრძობდა აჭარელი ბები, — აი ამ ქაბუქს, — ავლიანს ირიბად გახედა როდამა, — გული შესტიკია, რომ სახელი გამოუცვალეს, მეჰმედი დაარქვეს, მაგრამ გული ისევ ქართველური აქვს. მამის მსგავსად სინდისი წმიდა დარჩა, მამულის სიყვარული შეურყეველი, გულს კი, აბა, როგორ ამოართმევ?...“

მაგრამ როგორ მოიქცევიან ჩვენი შთამომავლები?... შვილები და შვილთაშვილები? — შუბლის ძარღვი შეუტოცდა აბუსერისძეს, სახეზე პირქუში ღრუბლები დაედინა. — ალბათ, რჯულსაც შეეღვვიან, დედა-ენასა და ქართულ ადათ-წესსაც? ჰოდა, თუ ასე მოხდა, ჩვენი ქართველობაც ორთქლივით გაქრება, მამულის სიყვარულიც.

— არა, ეს არ უნდა მოხდეს, არა!.. ყოველმა ჩვენგანმა ეროვნული ღირსება და სინდისი შთამომავლობას უნდა უანდერძოს“ (გვ. 40).

და როცა ოსმალები საქართველოზე გასალაშქრებლად აჭარელთა გაწვევასაც შეუდგნენ, ამ უკანასკნელთა აღშფოთებას უკვე ვერაფერი აკავებს:

„— პატარების დასაპურებლად კოდი პური არ გამაჩნია და, აბა, რა მელაშქრება ეს ოხერი. — ყვიროდა ვიღაც ხანში შესული გლეხი.

— სულთანის მის გადასულს მიაკვდა, სერას-

კირი... საქართველოსან ნეტავ რა გვაქვს გასაყოფი... ეთანხმებოდა ვილც მოხუცი.

— ჰოი, დედასა... ერთობა რომ გვექონდეს, შუბს ამ ვადამთიელთ ვამერებდით გულში. — კვერს უკრავდა მესამე“ (გვ. 176).

ამ დროისათვის უკვე მზადაა შეთქმულება და მიღებულია გადაწყვეტილება — თურქების ლაშქარს გადამწყვეტ მომენტში ზურგიდან ჩასცენ მახვილი აპარელმა მეომრებმა და სანუკვარი სამშობლოს ნაწამები ძუძუ-მკერდი ურჯულოებს არ ათელინონ. მაგრამ ლაშქარად გვეუფლება ყველა აპარელი შეთქმულების ამბავი ჯერ კიდევ როდი იცის:

„— მოძმეთა წინააღმდეგ ვერ დაგვიყოლები, ბეგ, ვერა“...

— ერის ღალატზე გვაქვებ?...“

— ქართველების სისხლის დაღვრას სიკვდილი გვირჩევნია, ბეგ... ისა სჯობს თავები აქვე დაგვყავრივინონ“.

აი რა სიტყვები გაისმის ყოველი მხრიდან.

ბოლოს, ლაშქარი მიიწვი დაიძრა. დაიწყო უთანასწორო ომი. საზიზარო მოღალატე, „ერის გამყიდველი“, როგორც უწოდებდნენ შას აპარელი გლეხები, შემთხვევით გაიგებს შეთქმულების ამბავს და სასწრაფოდ ატყობინებს ამას თურქ ხელისუფლებას, რომლებიც აპატიმრებენ შეთქმულების მეთაურებს.

და სწორედ იმ დროს, როდესაც განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს, რაკა ქართველთა ჯარებს უდიდესი ვასაქირი ადგათ და აპარლები ყოველ წუთს ამბოხების ნიშანს ელიან, მოაქვთ ცნობა მეთაური ბეგების დატყვევების შესახებ. მაგრამ შეთქმულნი ვერ შეაჯარიმ არც ცნობამ. „ამბოხების ცეცხლი ხალხს უნდა დაეხრო და კვლავ დაანთებოს“, — აცხადებს მოხუცი აპარელი გლეხი თომა, რაზმებს სათავეში უდგება და მახვილამოწველი ოსმალოთა ზურგში ცხენს პირველი შეაგლეკებს. აპარელთა თევანწირული დარტყმით გადრკა „ურჯულოთა“ ნება. თურქი აფთარი სერასკირი იძულებული გახდა ქართველებისათვის ზავი ეთხოვა და განზრახვაზე დროებით ხელი აეღო.

აქვე უნდა აღინიშნოს საუცხოოდ მიგნებული და გადმოცემული ეპიზოდი დაზავების მომენტისათვის ქართველ მთავართა შორის კვლავ ჩამოვარდნილი ქიშპისა.

გურიის მთავარს — ქაიხოსროს საერთო მტერთან ბრძოლაში მხარი მისცეს საქართველოს სხვა სამთავროებმა და ლაშქარი მიაშველეს, მაგრამ გურიელის პატივით, როგორც ქართველთა მთავარსარდლისა, რომელთანაც მოსალაპარაკებლად გზავნის სერასკირი თავის ღესპანებს, დადიანნი შურს იწვევს და ოდიშის მთავარს თავისი ჯარი ბრძოლის ველიდან საჩქაროდ გაჰყავს. დადიანის ამ ნაბიჯმა ლაშქრის აღმოფთება გამოიწვია.

„— თუ ბოლომდე არ უნდა გვებრძოლა, რად მოგვრეკეს, პატენი, რად? — ცხარობდა შუახ-

ნის ოდიშელი. — მტრის პირისპირ მოძმეთა მტრად მიტოვება რა წესია?

— ჩვენმა მთავარმაც სწორედ ამავე წესით გადავი ახლა აფხაზი ჩაერია. — თურქმა გურია-იმერეთი თუ დაიპყრო, ჩვენი მიწა-წყალსაც აიკლებს.

— სიმაღლის თქმისთვის ცემით სულს ამოგზლიან, ეს რა საქმეა, — ახლა სხვა მეგრელი ანთხევდა ბოლმას“.

ამ ეპიზოდით შესანიშნავადაა ხაზგასმული ქართველი ხალხის ნამდვილი, უანგარო პატრიოტიზმი და გულისთქმის ერთიანობა, წარჩინებულთა მუდმივ შფოთსა და ურთიერთ შეუთანხმებლობასთან დაპირისპირებული.

რომანის მოქმედ პირთა შორის ვხვდებით როგორც რეალურად არსებულ ისტორიულ პიროვნებებს, ისევე მწერლის მიერ გამოგონილ პერსონაჟებსაც, რომელთა ხასიათებშიც განზოგადებულია რეალური სინამდვილიდან აღებული ტიპიური ნიშან-თვისებები. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ნაწარმოების პირველხარისხიანი გმირები — აპარელი ჭაბუკი ნუგზარ ავალიანი და გურიელის ხიზანი ქალი, ციციშვილის ასული ცირა. სექტაცი და ამამდღებელია მათი ურთიერთ სიყვარული. იგი მხოლოდ პირადი ბედნიერებისა და საკუთარი ცხოვრების კეთილმოწყობისაკენ როდი იტყუებს ჭაბუკ გულს, არამედ, შესაბამისად ჩვენი ეროვნული ათასწლოვანი ტრადიციისა, მამულისათვის თავდადებისა და საგმირო საქმეებისაკენ მისწრაფების ცეცხლითაც აღანთებს მათ.

რომანში ბევრი პერსონაჟი და ყველა, რა თქმა უნდა, თანაბარი ძალით არაა გამოკვეთილი. სრულად არიან დახატული გურიის მთავარი ქაიხოსრო, აპარელი ბეგი როდამ აბუსერისძე, ოდიშის მთავარი ლევან დადიანი, როსტომ ფაშა და მისი მეუღლე მარიამი, ავალიანის ოჯახის წევრები, მოხუცი გლეხი თომა, სხალთელი ბეგი ჯუმბერ მიქელაძე, შარავნის ყაჩაღი ხოსიტა ქლენტი და სხვები.

ისტორიული ამბებისა და სხვადასხვა აღწერილობათა სიზუსტე შეიძლება ყველგან არ იყოს დატული, მაგრამ ეს არც იყო აუცილებელი.

განსაკუთრებით გვინდა შეგვირდით მარიამის რეალისტურ და მეტად მიმზიდველ მოწამებრივ მხატვრულ სახეზე. მარიამის მეუღლეს მამული გაუყვია და, ცხადია, ნამუსიკ ზედ დაურთავს — უარუყვია გურიცა და რჭული. მაგრამ მარიამი ვერასტეი ვერ გაუტეხია, ვერ დაუმორჩილებია ბოროტ ძალას. სამშობლოს ხატება და ქრისტეს ჯვარი (წარსულში ერომანეთს დამთხვეული ეს ორი ცნება) სამუდამოდ ხელუხლებელი და შეუბღალავი რჩება მის სპეტაკ არსებაში. მარიამი სახელოვანი წინაპრის ქეთევან შამბულის ღირსეული მემკვიდრე და შთამომავალია. ის საუკეთესო თვისებები, რომლითაც შეამკო ავტორმა ამ გმირის სახე, ქეშარიტად დამახა-

სათბებელი და ნიშნადობლივი იყო ქართველ ქალთათვის საერთოდ.

როდამ აბუსერისძე დადებითი გმირია. იგი მეთხველის დიდ სიმპათიას იმსახურებს თავისი უებრო პატრიოტიზმით, მაგრამ რაკარგია, რომ ავტორი დათმობაზე არ წვიდა მის წინაშე და არ მიჩქმალა მისი კლასობრივი ბუნება. როდამი ერის ერთგული პატრიოტია, მაგრამ ამავე დროს გულქვა მებატონეც.

სრულყოფილად გამოქრწილი „ერისა და რჯულის მოღალატეთა“ და წარსულის უბოროტესი სოციალური სიკის — ტყვეების ეპრობის ხელშემწყობ ავაზათა საქმეველ სახეები (სხალთელი ბეგი ჯუმბერ მიქელაძე, იმერელი ხოსიტა ქლენტი და სხვები).

რომანში საინტერესოდაა წარმოდგენილი ბევრი ძველი ქართული ტრადიცია: ჯირითი, ნადიმი, ქართველი კაცის ენამახვილობა და სიტყვაკაზმულობა და სხვ. ლამაზადაა დახატული ბუნების სურათები, ამავე დროს ბუნების მოგლენათა აღწერა მკიდროდაა დაეაშვირებული აღმამინის განცდებთან და სურათს სიღრმეს, სიმძაფრესა და ემოციურობას მატებს. აი ორი-ოდე მაგალითი:

„— გვიკვდება, შვილო, მამაშენი... — ამოცმინა მოხუცმა.

— რა მოუვიდა? — ჰკითხა ჰაბუკმა. მომდგარი ცრემლი ძლივს შეიკავა და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა ავადმყოფისაკენ.

დედამიწას ბინდი ეპარებოდა. აქარისწყლის ხეობიდან ცივი ნიავი მოჰქროდა“ (გვ. 115).

ან კიდევ: „ხალხის შეგუბებულმა აღშფოთებამ მაშინ იფეთქა, როდესაც თურქები კუბოს ეცნენ და თურქული წესის მიხედვით მიცვალბებულის წინ თავით გამოსვენება სცადეს. ქრისტიანობის გულშემატკივარი თავისას ცდილობდნენ, თურქები თავისას და მიცვალბებულ რამდენჯერმე შემოატრიალეს.

კოკისპირელი წვიმა მოდიოდა და მოტირალთ სახეში ასხამდა“ (გვ. 118).

რამდენიმე სიტყვა რომანის ზოგიერთ ნაკლზე.

არა გვგონია რგებდეს ამ წიგნს და, საერთოდ, რომელიმე ისტორიულ რომანს ხაზგასმა ისეთი რამისა, რაც ცალკეულ პიროვნებათა სუბიექტურ (და არა საზოგადო) თავისებურებას წარმოადგენს (სიმაზინჯვა იგი მისი ბუნებასა თუ სიკეთე) და არ არის დამახასიათებელი ქართველკაცობისათვის საერთოდ, გინდ მჭეფ

იყოს იგი და გინდ მდაბიო. მით უმეტეს, როდესაც ასეთი უჩვეულო შემთხვევის თუ მოვლენის აღწერა არ ემსახურება არც ხასიათებისა და არც ნაწარმოების იდეური შინაარსის გახსნას საერთოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას აყეთებს ჩვენი ზოგიერთი მწერალი. ამ ცდუნებას ვერ აცდა იუსუფ ფაღავა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩართული ეპიზოდი. „შმაგი მბრძანებელი“, რომელიც ოდიშის მთავრის ლევან დადიანის მიერ ცოლ-შვილის უდანაშაულოდ და მხეცურად ამოკლვის ამბავს გვამცნობს. ამ „შმაგი“ ფეოდალის ბუნება ნაწარმოებში ხომ სავსებით გარკვეულია და ხასიათიც უმისოდ სავსებით გამოკვეთილი. ამიტომ ეს ეპიზოდი სრულიად ზედმეტი და ყველა ამბავს მოწყვეტილია, თუნდაც იგი ისტორიულად მართალი იყოს.

ხასიათების გამოსამჟღავნებლად ავტორი ხშირად მიმართავს ხერხს — ალაპარაკოს გმირი უფრო მეტად, ვიდრე ამოქმედოს იგი. ამავე დროს მოქმედ პირთა სიტყვები ხშირად ზედმეტად პათეტიკურია, ხოლო ზოგჯერ დეკლარაციასაც კი მოგვაგონებს. გლუხიცა და დიდებულებიც, უსწავლელებიცა და სწავლელებიც, თუმცა თავის გულისნაღებს, საკუთარ ნაფიქრსა და ნაზრევს, მაგრამ ერთნაირი და ხშირად ძლიერ მაღალფარდოვანი ფრაზებით გვაუწყებს.

ხშირადან ნახშირი ნაწარმოებში სიტყვა „ქედუხრელი“ სხვადასხვა ფორმით (ქელი არ მოიხარა, ქელს არ მოვიხრით, ქელს ვერ მოგვახრევივინებთ, ქედუხრელი და ა. შ). ეს აუფერულეს ამ ეპითეტს, ასუსტებს სიტყვის ზემოქმედებას, მით უმეტეს, რომ იგი მთელი ნაწარმოების ერთიანი და შესანიშნავად შერჩეული სათაურია, მოქმედების განვითარების საწყისიდან დასასრულამდე ისე დადასტურებული და ცხადყოფილი, რომ არათუ ხაზგასმას, მოხსენიებასაც კი არ საჭიროებდა.

აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებანი მაინც ვერ ჩრდილავენ რომანის იდეურ-აღმშრდლობით ღირსებას. ეს წიგნი ავტორის მორიგი წარმატებაა.

წარსულის სოციალური და ეროვნული ბედუკუდმართობის აღწერით, სახელოვან წინაპართა გაცოცხლებით ავტორი ეხმაურება ჩვენს დიად თანადროულობას — გვინერგავს ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის წმინდა გრძნობებს, მშვიდობის, ხალხთა ძმობისა და სამშობლოსათვის უანგარო თავდადების მაღალ შეგნებას.

ლილი ჩიქოვანი.



მკაცრი პოეზია

გასაგები ნართაული

მხოლოდ სამი დღით ეწვია სტუმრად.
თვე გადის, წასვლას არ ფიქრობს სულაც.
მასპინძელს იბყრობს შიში და სევდა,
როდისღა წავა აშოტი ნეტავ?
სურს მეგობარი მიუხედეს გუმანს
და ნართაულით მიმართავს სტუმარს:
— არ მოგენატრა ცოლ-შვილი შენი?
მისგან სიშორე დარდია, სენი.
— სწორია! მე მათ მივწერ, ბატონო,
რომ აქ ჩამოსვლა არ დააყოვნონ...

ბულბული გალიაში

ბულბულმა თქვა: — გალიაში
რად ჩამკეტეს დღე და ღამე?
უთხრეს: — ბრიყვო, მისთვის
ჩაგსვით,
რომ კატას არ შეეჭამე!
— ჰოდა, ჩემი თუ გაქვთ შიში, —
ბულბულმა ხმა გაიმართა, —
აქ რად ეზივარ, გამომიშვით,
გალიაში ჩასვით კატა!

თარგმნა შ. თვალაძემ.



ნუკლიონ ჩხაიძე

ცემენტის სახლი

მამაჩემმა წაბლის დაკარსალებული ოდა დამიტოვა, ავ თვალს არ ენახებოდა ისეთი. ბოყვები და სალოჯე ფიცრები თავისი ხელით დაემზადებინა უკანავას ტყეში. ხარები რომ ვერ ეშოვა, ზურგით ჩამოეზიდა... მართალია, ოდა დაბალზე იდგა, მაგრამ ორი გაშლილი დარბაზი და მასზე მიდგმული ოთახები თვალს ახარებდა... დაილოცოს წაბლის მასალა!.. რაც დრო გადის და ძველდება, მით უფრო ემატება ფერი და სილამაზე.

გავიდა დრო... მეზობლებმა უარი თქვეს დაბალ ოდებზე და ორსართულიანი სახლები წამოჰიმეს. შეჯიბრება გაიმართა, — ვინ უკეთეს სახლს ააშენებსო. ძვირფასი წაბლის მასალა ცემენტმა შესცვალა... ცემენტი... ცემენტი... ყველა ცემენტზე ლაპარაკობს. მანეთს მანეთზე ადებენ და ცემენტს ცემენტზე ყიდულობენ...

სარდიონ კვაჭაძის ქალიშვილმა, იმ ჩემი ცოდვით სავსემ, ჩემს შვილს უთხრა, მაგ ფიცრულ სახლში ვერ წამოგყვებით, ახლა ცემენტის ორსართულიანი სახლებია მოდაში!

შვილმაც დამიჩემა:

— მამაჩემო, დღე და ღამე ქარი გვიქრის ამ ხის სახლში, ვცივდებით. სანამ დავიხორცებოდეთ, ავაშენოთ ცემენტის სახლი. მეზობლებზე ნაკლები აბა, რითი

ვართ? ხომ ზედავ, ამისთანა სახლში საცოლე არ მომყვება.

ჩემს ცოლს რძლის ხსენებაზე საცნაური შეერყა, სიხარულისაგან აფარფატდა და შვილს მიემხრო, გავუსწოროთ ბაღანას ხასიათი, მართლაც ქარი გვიქრის ამ სახლში, ძვლებსაც გავითბობთ და მტერსაც თვალებს დავუფსებთო.

ველარ მოვითმინე და ავყვირდი:

— რას ლაპარაკობთ, თუ იცით?! რამ გადაგრიათ? გაახილეთ თვალი! სადაა ამდენი ფული! ცემენტის ორსართულიანი სახლი ავაშენოთ, რომ იმახით, იცით რამდენი ამბავი უნდა ამას! გამოუცდელი ხარ, შვილო, გამოუცდელი. და არ იცი, რომ ვერ მოვერევით ამხელა საქმეს... ცემენტიც არაა ადვილი საშოვარი.

— ესე იგი, მამაჩემო, არ გინდა ცოლი მოვიყვანო, ხომ?... ცემენტმა შეგაშინა? აბა, სირცხვილი შენ! მე თვითონ ავაშენებ სახლს. მივალ ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, ვიცი, კლიმენტი არ მეტყვის უარს და მასესხებს ცემენტს. შენ კი მიყურე შორიდან, თუ არ შეგერცხვება! — შემრისხა შვილმა, ეზოს ჰიშკარი ცხვირის წინ მომიხურა და კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან წავიდა ცემენტის სასესხებლად.

ნასადილევს ჩემს ეზოს ცემენტით და...

ტორიტიონი მისქანა მიაღება. ზედ მე-
წისქვილესავით თეთრად გადაპნტილი
ჩემი ბიჭი წამოსკუპულიყო. ბიჭოს, მა-
რთლა არ ასესხა იმ ჩემი ცოდვით სავსე
კლიმენტიმ ერთი ტონა ცემენტი!

ცოლი და შვილი უჩემოდ შეუდგნენ
ორსართულიანი სახლის მშენებლობის
თადარიგს.

ერთ ხანს შორიდან შევეყურებდი, მა-
რა თანდათან ავწრიალდი, შემრცხვა
განზე გადგომა. ასეთ დროს მამა შვილს
კი არა, მტერი დაეხმარება მტერს. სიტყ-
ვა „რძალიც“ თავლივით ჩამეწვეთა
ყურში და ვთქვი:

— აბა, შვილო, რახან არ იშლი, მეც
აგერ ვარ ჩემი პენსიით. ვატყობ, ეს ცე-
მენტი ჩვენ არ გვეყოფა. მიდი კლიმენ-
ტისთან, გამოართვი კიდეც ცემენტი და
გავაჩაღოთ მშენებლობა. — ცოლს კი
ხმამალღ დაუცაცხანე: — აბა, ქალო,
რაკი „ბაღანას ხასიათის გასწორებაზე“
წავიდა საქმე. ერთად „გავუსწოროთ ხა-
სიათი“. შენც ნახე, რა გასასწორებელია.
საქმელ-სასმელი არ მოგვაკლო, თუ არა,
ვაი შენი ბრალი!

ჩვენი თავმჯდომარე კლიმენტი პატა-
რა კი შეიშმუშნა, მარა ხელწერილის
ქვეშ კიდეც გვასესხა ერთი ტონა ცემენ-
ტი.

— დასაწყისში ეს თავზე საყრელად
გვეყოფათ, დანარჩენი მერე ვნახოთ, —
მოგვცა იმედი.

დავშალეთ მამისეული წაბლის ოდა და
მის ადგილზე ჩავყარეთ ცემენტის ორ-
სართულიანი და ათოთახიანი სახლის
ფუძე. ჩავყარეთ და... ცემენტიც გაგვი-
თავდა.

— კოლმეურნეობის საერთო კრების
დადგენილებით ამ დღეებში კლუბის
მშენებლობა უნდა დაიწყეთ, მეტ ცე-
მენტს ველარ მოგცემთ. — მორიდებით
გაგვიცხადა კლიმენტიმ.

კლიმენტი ისეთი ხასიათისაა, რომ თუ
საჭიროება მოითხოვს, სამჯერ ჩაგყობა
ფოთში ფეხით, მაგრამ ოქროთი რომ
ავსო, საზოგადო საქმეს არ უღალატებს.
პირიქით შეგვეშინდა, ნასესხები ცემენ-
ტის უკან დაბრუნება არ მოგვთხოვოსო.

ალარც ფული... ალარც ცემენტი... მე-
ლი სახლი დარღვეულია, ახალი კი არა
მიწას არაა აცილებული... ხრეში... ხრე-
ში... ხრეში... ხრეშმა გამინახევრა სი-
ცოცხლე. ხრეში ყოფილა რაც ყოფილა.

— აბა, ერთი მანქანა ხრეში! — ისე
დამიძახებს მოხელე-კალატოზი, თითქოს
ერთი კილოგრამი ხრეში დომებოდეს.
შავი ღლისათვის მქონდა გაღანახული
300 მანეთი, ვიკადრე მისი გამოჩენა.
ფულის დანახვაზე შვილმა ასჯერ გა-
დამკოცნა სიხარულით. მოვიტანეთ, რო-
გორც იყო, ხრეში. მაგრამ ქვა?...
სილა?... რკინა?... მუშახელი?... ღვინო?...
არაყი?... პური?... ქათმები?... მოხელეს
ქათმის ხორცს ხომ ვერ მიაკლებ! ღვი-
ნოს, კარგი, წყალს და შაქარს დაუმატებს
კაცი და ხეავს შემატებს, მარა საქმელს
რა მოგუხერხობთ!.. ნაცნობი თუ უცნო-
ბი ყველა „ხელის წამოსაკვრელად“ მო-
ვიდა... ყველას ჭამა უნდა. რაც მქონდა,
ყველაფერზე ხელი ავიღე, დაწყვიტე
ფრინველი, დავცალე დერგი, გამოვამშ-
რალე ქვევრი, მარა ჩემი ამშენებლები
მინც ვერაფრით ამოვპირე.

ისეც მეზობლები დალოცა ღმერთმა.
შორს მცხოვრებ ძმას ჯობნებია ყურის-
ძირის მეზობელი. ძალიან რომ გამიჭირ-
და, იმათ მივადექი... ისინიც მაგრად და-
მხედნენ... ვის ფიცარი მოქონდა, ვის
ღვინო, ვის ქათამი, ვის გოჭი და ვის რა!..
ეს ყველა სესხი და ვალია. იმათ რომ გა-
უჭირდებოდათ, მე უნდა დაევხმარო. ჯან-
დაბას, ყმად დავუდგები მერე ყველას,
ოღონდ ახლა ამ სახლს და მათ მშენებ-
ლებს ამოვპირავდე.

მაგრამ ცემენტი?! ცემენტის მოცემა
ყველას ეხარება. ყველა ორსართულია-
ნი სახლის მშენებლობაზე ფიქრობს.
იმისათვის ინახავს ცემენტს.

ერთი ათჯერ მონათლული მეზობელი
დაიწვა ჩვენი საცოდაობით და გვასესხა
ორი ტონა ცემენტი, მარა წვეთივით გაქ-
რა სადღაც. ვალი კი ვალს ემატებოდა.
ვალი... ვალი... ვალი... ღვინო — სესხი...
არაყი — სესხი... ფიცარი — სესხი... ცე-
მენტი — სესხი... ფული — სესხი... მა-

მაპაპური წაბლის სახლი დაშლილი. ზამთარი მოახლოვდა და ღია ცის ქვეშ ვყრივართ. ნოემბრის ცივმა ქარმა დაუქროლა.

— ახლა გვიქრის ქარი გვერდებში, თვრა ამდენ ხანს კარგად ვიყავით! — აუუყვირდი ცოლს.

ისევ მეზობელმა შეგვიწყალა და ერთი ოთახი დაგვითმო დროებით...

ფეხწაკრულ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო: ჩემ შვილს საცოლე გაუთხოვდა. ინჟინერს წაყვა მეზობელ სოფელში. იმ ინჟინერმა ჩვენზე ადრე დაამთავრა ცემენტის ორსართულიანი სახლის მშენებლობა და იმით გვაჯობა.

— იგი ინჟინერია და ააშენებდა, შვილო, აბა რა იზამდა. ცემენტი მის ხელშია, ხრეშიც და ფიცარიც. ხომ გახსოვს რა ფული აგვართვა მაგ სულწაწყმედილმა ერთ ტონა ცემენტში, ნაპარევი მაინც არ ყოფილიყო! ჰოდა, იმ შენს სა-

ცოლეს ქურდი თუ ურჩევნია პატრონსან კაცს, ყავდეს ბატონო! — ამით უკვე ვაიმედე სირცხვილისაგან დამუნჯებული შვილი.

სარდიონ კვაჭაძის გოგოს კისერი მოტეხია, შვილი მთლად გამომილენჩდა. არც ჭამს, არც სვამს, ძილიც გაუტყდა, მეშინია, ჯავრს არ გადაყვეს!

ხმას თუ ამოიღებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მე დამადანაშაულოს, შენი ბრალია, რატომ დროზე არ ამიშენე ცემენტის ორსართულიანი სახლიო.

...ვზივართ ახლა და ველოდებით გაზაფხულს. გაზაფხულზე აუცილებლად შეასრულებს თავის სიტყვას კლიმენტი, მორჩება კლუბის მშენებლობას და გვიშოვის ცემენტს. მაშინ ჩვენც დავამთავრებთ ცემენტის ორსართულიან სახლს. საცოლე კი... საცოლე თუნდაც ათასი მოიძებნება, ოღონდ სახლი იყოს ცემენტის და ორსართულიანი.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII, 1962 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7
თაბახი, შეკვეთის № 4172, ემ 00654, ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 2000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობისა და
გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Грузглавополиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
(Батуми, ул. Р. Люксембург, 22)

შპს 40 353.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*ლიტერატურული აფხაზი*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ